ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

პროკრასტინაცია და პერფექციონიზმი შფოთვასთან მიმართებაში: მიმოხილვა და ანალიზი

თინათინ კროპაძე[1]
https://orcid.org/0000-0001-8339-4129
https://doi.org/10.61446/pa.3.2025.10285

აბსტრაქტი

თანამედროვე ორგანიზაციულ ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ მექანიზმებს, რომლებიც ზემოქმედებენ ინდივიდის თვითრეგულაციასა და სამუშაოს შესრულების ეფექტიანობაზე. სტატია მიზნად ისახავს პროკრასტინაციისა და პერფექციონიზმის ურთიერთკავშირის ანალიზს, შფოთვის ფსიქოლოგიურ ფონზე.

წინამდებარე ნაშრომში განმარტებულია ფსიქოლოგიური ტერმინები; განხილულია ფსიქოლოგების და ფსიქიატრების: მ.ჰოლენდერის, გ.ბერნსის, დ.ჰამაჩეკის და სხვათა თეორიული მოდელები, სადაც მკვლევარები ხსნიან პერფექციონიზმის და პროკრასტინაციის ფენომენს და შფოთვის, როგორც მედიატორს როლს ამ ორ კონსტრუქტს შორის.

ნაშრომში მიმოხილულია ფსიქოლოგიის სხვადასხვა(ორგანიზაციული, სოციალური, პიროვნების, განვითარების)დარგებში, მედიცინაში, ჩატარებული სამეცნიერო კვლევები. ჩატარებული ანალიზი ეფუძნება ემპირიულ კვლევებსა და თანამედროვე თეორიებს თვითრეგულაციის, ემოციური კონტროლისა და მოტივაციური პროცესების შესახებ. მათი ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნები მიუთითებს, რომ შფოთვა წარმოადგენს ცენტრალურ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს პერფექციონისტური ტენდენციებისა და მნიშვნელოვანი საქმის გადადება/გადავადების ქცევის განხორციელების ალბათობას და მის სიძლიერეს.

განხილული თეორიული მოდელები და ორგანიზაციულ ფსიქოლოგიაში ჩატარებული კომპლექსური კვლევები ამყარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასურველია ემოციური რეგულაცია განიხილებოდეს როგორც ფსიქოპროფილაქტიკური ჩარევის სტრატეგია, მით უფრო, აკადემიურ და პროფესიულ გარემოში.

ნაშრომში განხილულ თეორიულ მოდელებს და ჩატარებული კვლევის შედეგებს გავლენა აქვს პერფექციონიზმსა და პროკრასტინაციას შორის ურთიერთობის თეორიულ და ემპირიულ გაგებაზე და შეუძლია გავლენა მოახდინოს ინტერვენციების გზების შემუშავებაზე, რათა მკითხველს ასწავლოს, თუ როგორ შეუძლიათ გაუმკლავდნენ პერფექციონიზმის და პროკრასტინაციის სტრესულ ფორმებს ზრდასრულ ასაკში.

საკვანძო სიტყვები: პროკრასტინაცია, პერფექციონიზმი, შფოთვა, თვითრეგულაცია, ემოციური კონტროლი.

[1] სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Procrastination and Perfectionism in Relation to Anxiety: A Review and Analysis

Tinatin Kropadze[2]

Abstract

In contemporary organizational psychology, significant attention is given to the mechanisms influencing an individual's self-regulation and work performance effectiveness. This article aims to analyze the relationship between procrastination and perfectionism against the psychological backdrop of anxiety.

The paper defines psychological terms and discusses the theoretical models of psychologists and psychiatrists such as M.Hollander, G.Burns, D.Hamachek, and others, where the researchers explain the phenomena of perfectionism and procrastination, highlighting the role of anxiety as a mediator between these two constructs.

The paper reviews scientific research conducted in various fields of psychology (organizational, social, personality, developmental) and medicine. The analysis is based on empirical studies and contemporary theories regarding self-regulation, emotional control, and motivational processes. Conclusions drawn from this analysis indicate that anxiety plays a central role in determining the likelihood and intensity of perfectionistic tendencies and procrastination behaviors.

The theoretical models discussed, along with the complex research conducted in organizational psychology, support the idea that emotional regulation should be considered as a strategy for psychoprophylactic intervention, particularly in academic and professional settings.

The theoretical models and research findings presented in this paper contribute to the theoretical and empirical understanding of the relationship between perfectionism and procrastination and could influence the development of intervention strategies, teaching readers how to cope with the stressful forms of perfectionism and procrastination in adulthood.

Keywords: procrastination, perfectionism, anxiety, self-regulation, emotional control.

[2] Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Professor of Alte University, PhD in Social Sciences

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

თანამედროვე აკადემიურ და სამუშაო გარემოში ხშირად გვხვდება ფენომენები, რომლებიც ამცირებენ ინდივიდის ეფექტიანობასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას. ასეთ მექანიზმებს შორის განსაკუთრებით თვალსაჩინოა **პროკრასტინაცია** - ქცევა, რომელიც გულისხმობს მიზანმიმართული ამოცანის გადადებას მიუხედავად მისი უარყოფითი შედეგებისა. პროკრასტინაცია არ წარმოადგენს უბრალო დროის მენეჯმენტის პრობლემას; იგი ხშირად დაკავშირებულია ემოციურ დისბალანსთან, შფოთვასთან და თვითკრიტიკულობასთან.

პროკრასტინაცია არის გავრცელებული პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებულ ნეგატიურ შედეგებთან და ხშირად მაშინ ჩნდება, როდესაც ადამიანები ავერსიულად მიჩნეულ ამოცანებს აწყდებიან. პროკრასტინაციას დიდი კავშირი აქვს განწყობის მოკლევადიან აღდგენასა და ემოციების რეგულირებასთან. გარდა ამისა, საკუთარი თავის და მიზნის მიღწევაში ჩართული განწყობის მარეგულირებელი პროცესების დროებითი გაგება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროკრასტინაციის გასაგებად, რადგან პროკრასტინაციის შედეგებს, როგორც წესი, მომავალი პიროვნება („მე") იტანს.[3]

მეორე მხრივ, **პერფექციონიზმი** - სრულყოფილებისადმი ზედმეტად მომთხოვნი მიდრეკილება - ასევე განიხილება როგორც შფოთვითი და თვითკრიტიკული აზროვნების გამოხატულება.[4] პერფექციონიზმის მექანიზმები ხშირად ქმნის შიშზე დაფუძნებულ მოტივაციას, რაც იწვევს ქცევის გადადებას ან მოქმედების თავიდან არიდებას.

პერფექციონიზმი ლათინური სიტყვაა(perfectus) და „აბსოლუტურ სრულყოფილებას" ნიშნავს . 1978 წელს ფსიქოლოგმა მ.ჰოლენდერმა (M.H.Hollender) ერთ-ერთმა პირველმა განსაზღვრა პერფექციონიზმი, როგორც საკუთარი თავისადმი ყოველდღიურად წაყენებული იმაზე უფრო მაღალი დონის მოთხოვნები, ვიდრე ამას

[3] F.Sirois, T.Pychyl, *Procrastination and the priority of short-term mood regulation: Consequences for future self.* Social and Personality Psychology Compass, 7(2), 115–127. 2013, https://surl.li/osraii (გადამოწმებულია 24.11.2025)
[4] P.L.Hewitt, G.L.Flett, Perfectionism in the self and social contexts: Conceptualization, assessment, and association with psychopathology. Journal of Personality and Social Psychology, 60(3), 1991, 456–470. https://surl.lu/pgtyxe (გადამოწმებულია 24.11.2025)

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

გარემოება ითხოვს. მოგვიანებით, გ.ბერნსმა (G.S.Berns), ნეირომეცნიერების დარგში მოღვაწე ფსიქოლოგიის პროფესორმა, დააზუსტა და შეავსო ეს ცნება კოგნიტური პარამეტრით (აზროვნებით) – „ყველაფერი ან არაფერი".[5] ამ შემთხვევაში, მოქმედების შესრულებაში დასაშვებია მხოლოდ ორი ვარიანტი: მაღალი სტანდარტებისადმი შესატყვისობა ან სრული კრახი.

ფსიქოლოგმა დონალდ ჰამაჩეკმა (D.E.Hamachek) პერფექციონიზმის ორ სახე გამოყო – ჯანსაღი და ნევროტული(დესტრუქციული). ჯანსაღია პერფექციონიზმი, როცა ადამიანი შრომისმოყვარეა და ლიდერის თვისებებით ხასიათდება, აქტიურია, მოტივირებული; აქვს მაღალი, მაგრამ რეალისტური სტანდარტები; გააჩნია მიზნები და მისი მიღწევის კონკრეტული გზები; აქვს პოზიტიური თვითშეფასება და პრეტენზიის მაღალი დონე; ისახავს ძნელად მისაღწევ მიზნებს, მაგრამ მას ეს პროცესი, განსაკუთრებით შედეგი სიამოვნებს. მუშაობის პროცესში აზარტულია და გარკვეულად ღელავს კიდეც.[6]

ნევროტული პერფექციონიზმის შემთხვევაში პიროვნებას წარუმატებლობის ძლიერი შიში იპყრობს; სრულყოფილება ადამიანის სასურველი მიზანი ხდება; იგი მუდამ უკმაყოფილოა საკუთარი მიღწევებით; სიყვარულის და საყოველთაო პატივისცემის დამსახურების მიზნით, საორიენტაციოდ იღებს ისეთ ეტალონს, რაც მის შესაძლებლობებს აღემატება(არ შეესატყვისება), რაც მუდმივ დაძაბულობას იწვევს პიროვნებაში.

იმისათვის, რომ არ შელახონ საკუთარი „უბადლო" იმიჯი, პერფექციონისტები ცდილობენ დამალონ დაშვებული შეცდომები ან უარი თქვან ჩანაფიქრზე. ისინი მოქმედებენ პრინციპით „ყველაფერი ან არაფერი"; ელოდებიან იდეალურ მომენტს და ემზადებიან დიდი წარმატებებისთვის. ხშირად ეს მომენტი იგვიანებს, ამასობაში კი სხვები ახალ საქმეებს იწყებენ, შეცდომებსაც უშვებენ, მათ მაგალითზე სწავლობენ და თანდათან წინ მიიწევენ.

[5] სამეცნიერო პორტალი, „ფსიქოლოგია", https://surl.li/rznzbc (გადამოწმებულია 24.11.2025)
[6] D.E.Hamachek. *Psychodynamics of normal and neurotic perfectionism.* Psychology: A Journal of Human Behavior, 15(1), 27–33. 1978;

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ძალზე საინტერესოა მნიშვნელოვანი საქმის გადადება/გადავადების, ე.წ. პროკრასტინაციის ფენომენი, რომელიც საქმის სრულყოფილად შესასრულებლად საგანგებო მომზადებისათვის, საქმიანობის დაწყების გადადებას გულისხმობს.[7] პერფექციონისტის უბედურება სწორედ ის გახლავთ, რომ შეიძლება ეს მომენტი – თავში ყველაფრის იდეალურად დალაგება - არასოდეს დადგეს. უამრავი დრო და ენერგია მიაქვს მეორეხარისხოვან დეტალებზე ფიქრს, სწორედ ეს იგულისხმება გამოთქმაში „საუკეთესო -კარგის მტერია".

ამგვარად, აუცილებელია განვასხვავოთ საუკეთესო შედეგებისკენ სწრაფვა (რომელიც ადამიანის ბუნებრივ მოტივაციას წარმოადგენს) მისი პათოლოგიური ფორმისგან, რაც გამოიხატება არასრულყოფილების უარყოფაში. პირველი პიროვნების განვითარების მამოძრავებელი ძალაა, მეორე კი შემაფერხებელი და დამთრგუნავი.

ძირითადი ნაწილი

პერფექციონისტული ორიენტაცია ბავშვობიდანვე ფორმირდება. მას ოჯახური აღზრდის თავისებურებები განსაზღვრავს. კერძოდ, ნევროტულ პერფექციონიზმს აყალიბებს ბავშვის გამოცდილება – მშობლის ე.წ. პირობითი სიყვარული - ხარ ისეთი, აკეთებ ისე, როგორიც მას მოსწონს – იმსახურებ შექებას, წახალისებას და პირიქით. თუ მშობელი ბავშვს არ წაახალისებს, ბავშვი ისწრაფვის იყოს კარგი არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავი აარიდოს სხვების საყვედურს, არამედ იმიტომაც, რომ ბოლოსდაბოლოს თვითონაც მიიღოს საკუთარი თავი, მაგრამ რის ფასად? დიდი ძალისხმევისა და დიდი მიღწევების ფასად. ბავშვი აცნობიერებს, რომ მხოლოდ კარგად შესრულებული საქმიანობა ხდის მას ღირსეულ არსებად. როგორც წესი, პერფექციონისტის მშობლები საკმაოდ მკაცრები, მომთხოვნები არიან, თუმცა ამავე დროს, ნაკლებად იციან მხარდაჭერა და გვერდში დგომა. ბავშვი იძულებულია იყოს „შეუმცდარი", რათა დააკმაყოფილოს მშობლის მოლოდინი და თავი აარიდოს კრიტიკას. გამოყოფენ მშობლის 4 ტიპს, რომელიც გავლენას ახდენს ბავშვებში პერფექციონისტული აზროვნების ფორმირებაზე: 1.მშობლები ზედმეტად კრიტიკულები და მომთხოვნები არიან; 2. მშობლების მოლოდინები და სტანდარტები

[7] ოჯახის მკურნალი, https://surl.li/uyhgoi (გადამოწმებულია 24.11.2025)

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ზედმეტად მაღალია; 3. მშობლებს არ უყვართ ბავშვის წხალისება, ან განმამტკიცებელი სტიმულები არათანმიმდევრული და ირიბია; 4. პერფექციონისტული განწყობებისა და ქცევის მქონე მშობლები თვითონვე არიან ბავშვისთვის მიბაძვის ობიექტები-მოდელები.

ამ სტატიაში განხილულია, თუ როგორ ფუნქციონირებს შფოთვა როგორც **საშუალო რგოლი** პერფექციონიზმსა და პროკრასტინაციას შორის და როგორ შეიძლება ამ ურთიერთობის გააზრება დაეხმაროს ფსიქოლოგიურ პრაქტიკასა და თვითრეგულაციის გაუმჯობესების პროგრამებს.

თეორიული საფუძვლები

პროკრასტინაციის ბუნება და ემოციური საფუძვლები - ამერიკელი მკვლევარი ორგანიზაციული ქცევისა და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში, პროფესორი პიერს სტილი(P.Steel) 2007წლის ნაშრომში „ პროკრასტინაციის ბუნება: ტიპური თვითრეგულირების უკმარისობის მეტაანალიზური და თეორიული მიმოხილვა", პროკრასტინაციას განსაზღვრავს როგორც თვითრეგულაციის მარცხს, რომელიც გამოწვეულია დროის არარაციონალური აღქმითა და ემოციური დისბალანსით.[8]

ინდივიდი ხშირად არ იწყებს ამოცანას არა იმიტომ, რომ არ იცის როგორ იმოქმედოს, არამედ იმიტომ, რომ მისი შესრულება უკავშირდება შფოთვას, წარუმატებლობის შიშს ან თვითდაჯერების ნაკლებობას. ამგვარად, პროკრასტინაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც **ემოციური რეგულაციის სტრატეგია**, რომლის მიზანია დროებითი შფოთვის შემცირება მიმდინარე ამოცანისგან დისტანცირებით.[9]

პერფექციონიზმი როგორც შფოთვითი მექანიზმი - პერფექციონიზმი ისტორიულად აღქმულია, როგორც ორმხრივი კონსტრუქტი: მისი ადაპტური ფორმა ხელს უწყობს მოტივაციასა და ხარისხზე ორიენტირებულ მუშაობას, ხოლო ნაკლებად ადაპტური ფორმა განაპირობებს შფოთვასა და გადატვირთულობას.

[8] P.Steel, *The nature of procrastination: a meta-analytic and theoretical review of quintessential self-regulatory failure,* Psychol Bull, Jan;133(1):65-94. 2007, doi: 10.1037/0033-2909.133.1.65;
[9] F.M.Sirois et al.,*Procrastination and the Priority of Short-Term Mood Regulation: Consequences for Future Self,* Social and Personality Psychology Compass, 7(2):115–127, DOI:10.1111/spc3.12011, 2013.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

პერფექციონიზმი DSM-III-ის ერთი დიაგნოზის მთავარი დიაგნოსტიკური კრიტერიუმია და ვარაუდობენ, რომ ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფსიქოპათოლოგიების ფართო სპექტრში. თუმცა, ამ კონსტრუქტის ზუსტი განმარტება არ არსებობს და ამ საკითხზე კვლევებიც მწირია. პერფექციონიზმის შესახებ არსებული თეორიების საფუძველზე, შემუშავდა მრავალგანზომილებიანი საზომი და პერფექციონიზმის ბუნებასთან დაკავშირებით რამდენიმე ჰიპოთეზა ოთხ ცალკეულ კვლევაში შემოწმდა. ამ საზომის მთავარი განზომილება იყო შეცდომების დაშვების გამო გადაჭარბებული შეშფოთება. გამოვლინდა ხუთი სხვა განზომილება, მათ შორის მაღალი პიროვნული სტანდარტები, მშობლების მაღალი მოლოდინების აღქმა, მშობლების მაღალი კრიტიკის აღქმა, საკუთარი ქმედებების ხარისხის ეჭვი და წესრიგისა და ორგანიზებულობისადმი უპირატესობა. პერფექციონიზმი და მისი ზოგიერთი ქვესკალა კორელაციაში იყო ფსიქოპათოლოგიური სიმპტომების ფართო სპექტრთან. ასევე არსებობდა კავშირი პერფექციონიზმსა და პროკრასტინაციას შორის. მრავალგანზომილებიანი პერფექციონიზმის სკალის (MPS) რამდენიმე ქვესკალა, პიროვნული სტანდარტები და ორგანიზებულობა, დაკავშირებული იყო პოზიტიურ მიღწევებისკენ სწრაფვასთან და სამუშაო ჩვევებთან. MPS მჭიდრო კავშირში იყო პერფექციონიზმის ერთ-ერთ არსებულ საზომთან. პერფექციონიზმის სამომავლო კვლევებმა უნდა გაითვალისწინოს კონსტრუქტის მრავალგანზომილებიანი ბუნება.[10] Hewitt და Flett -ის ჯერ კიდევ 1991წლის სტატიაში შეეცადნენ ეჩვენებინათ, რომ პერფექციონიზმის კონსტრუქტი მრავალგანზომილებიანია და მოიცავს როგორც პიროვნულ, ასევე სოციალურ კომპონენტებს. მათი კვლევით, ეს კომპონენტები ხელს უწყობენ ფსიქოპათოლოგიის მძიმე დონეებს. ისინი აქცენტს აკეთებენ პერფექციონიზმის სამ განზომილებას: თვითორიენტირებულ პერფექციონიზმს, სხვაზე ორიენტირებულ პერფექციონიზმს და სოციალურად განსაზღვრულ პერფექციონიზმს.[11]

[10] R.O.Frost, P.Marten, C.Lahart, R.Rosenblate, *The dimensions of perfectionism*, Cognitive therapy and Research, Volume 14, pages 449–468, 1990, https://surl.li/xftuje (გადამოწმებულია 24.11.2025)
[11] P.L.Hewitt, G.L.Flett, Perfectionism in the Self and Social Contexts: Conceptualization,Assessment, and Association With Psychopathology, 1991 Mar; 60(3):456-70. doi: 10.1037//0022-3514.60.3.456;

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ოთხი კვლევა ადასტურებს კონსტრუქტის მრავალგანზომილებიანობას და აჩვენებს, რომ ამ განზომილებების შეფასება შესაძლებელია სანდო და ვალიდური გზით. და ბოლოს, 77 ფსიქიატრიულ პაციენტზე ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ თვით-ორიენტირებული, სხვაზე ორიენტირებული და სოციალურად განსაზღვრული პერფექციონიზმი დიფერენცირებულად უკავშირდება პიროვნების აშლილობების და სხვა ფსიქოლოგიური დისაპლეციის ინდექსებს. პერფექციონიზმის შესწავლისადმი მრავალგანზომილებიანი მიდგომა გამართლებულია, განსაკუთრებით პერფექციონიზმსა და დისაპლეციას შორის კავშირის თვალსაზრისით.

ამდენად, გამოყოფენ პერფექციონიზმის სამ ტიპს:

1. **Self-oriented perfectionism** – საკუთარი თავისადმი სრულყოფილების მოთხოვნა;
2. **Other-oriented perfectionism** – მაღალი მოლოდინები სხვებისადმი;
3. **Socially prescribed perfectionism** – სოციალურად დადგენილი პერფექციონიზმი.

ბავშვებსა და მოზარდებში იზრდება ინტერესი პერფექციონიზმის მიმართ, ასევე იზრდება ინტერესი ახალგაზრდებში პერფექციონიზმის შესაფასებლად შექმნილი საზომების მიმართ. მოგვიანებით, 2016 წლის Flet-ის მიერ ჩატარებული კვლევები და შესაბამისი სამეცნიერო სტატიები აღწერს ბავშვ-მოზარდის პერფექციონიზმის შკალის (CAPS) განვითარებას და ფსიქომეტრიულ მახასიათებლებს, რომელიც წარმოადგენს თვითორიენტირებულ პერფექციონიზმსა და სოციალურად წინასწარ განსაზღვრულ პერფექციონიზმს. წარმოდგენილია სამი კვლევის შედეგები, რომლებიც მოიცავს მრავალ ნიმუშს.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ პერფექციონისტი სტუდენტების აკადემიური ქცევა მოტივირებულია ფაქტორების რთული ნაზავით, რომელიც მოიცავს ინტროექციულ რეგულირებაზე ძლიერ აქცენტს როგორც თვითორიენტირებულ, ასევე სოციალურად წინასწარ განსაზღვრულ პერფექციონიზმში; თუმცა, ამ პერფექციონიზმის განზომილებებს შორის არსებობს ძირითადი მოტივაციური განსხვავებები.

და ბოლოს, კვლევამ დაადასტურა, რომ თვითორიენტირებული და სოციალურად წინასწარ განსაზღვრული პერფექციონიზმი დაკავშირებულია სტრესის, დისტრესის და ადაპტაციის სხვადასხვა ინდექსთან. კოლექტიურად, ჩვენი შედეგები

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ადასტურებს CAPS-ის გამოყენებას და იმ მოსაზრებას, რომ დაუცველი ბავშვები და მოზარდები, რომლებიც პერფექციონისტები არიან, მნიშვნელოვანი ზეწოლის ქვეშ არიან, რათა დააკმაყოფილონ მოლოდინები. ამ შედეგების შეფასება და თეორიული შედეგები განხილულია. პირველი და მესამე ფორმები განსაკუთრებით კორელირებს შფოთვასთან და პროკრასტინაციასთან, რადგან ინდივიდი შიშობს შეცდომების დაშვების ან კრიტიკის მიღების გამო.[12]

შფოთვა, როგორც შუამავალი რგოლი(მედიუმი)

შფოთვა წარმოადგენს ემოციურ მდგომარეობას, რომელიც ჩნდება მაშინ, როცა ინდივიდი აღიქვამს უთანასწორობას საკუთარი უნარების და ამოცანის მოთხოვნებს შორის.[13] ასეთი აღქმა იწვევს თვითშეფასების საფრთხის განცდას, რაც ზრდის მნიშვნელოვანი საქმის გადადება/გადავადების ალბათობას. სტრესის დაძლევის და მისი სტრატეგიების საკითხების მკვლევარებმა, რ.ლაზარუსმა (Lazarus) და ს.ფოლკმანმა (Folkman), 1984წელს მოახდინეს მოზარდობისა და ადრეული ზრდასრულობის ასაკში კოგნიტური და განწყობის პრობლემების, აღქმული სოციალური მხარდაჭერისა და გამკლავების სტრატეგიების შეფასება; იმის გაგება, თუ როგორ უკავშირდება გამკლავების სტრატეგიები ასაკს, სქესსა და სწავლის წლებს; მონაწილეები იყვნენ 517 მოზარდი და ახალგაზრდა(საშუალო ასაკი 18.95 წელი). მონაწილეები სწავლობდნენ იტალიის საშუალო სკოლებში, ასოციაციურ ჯგუფებში ან უნივერსიტეტში. მათ შეავსეს თვითშეფასების კითხვარების ნაკრები უსაფრთხო ონლაინ საიტის ან ქაღალდის ვერსიის საშუალებით. კვლევა აჩვენებდა, თუ როგორ პროგნოზირებდა სტაბილური ფაქტორი სქესი და ზოგიერთი მოდიფიცირებადი ფაქტორი, კერძოდ, გარკვეული გამკლავების სტრატეგიები და მეგობრების მხარდაჭერა კოგნიტურ და განწყობის პრობლემებს.

კვლევები აჩვენებს, რომ შფოთვა ამცირებს კოგნიტურ კონტროლს და ზღუდავს მოტივაციურ პროცესებს, რაც პროკრასტინაციის ერთ-ერთ ნეიროფსიქოლოგიურ საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს.

---

[12] G.L. Flett, P.L.Hewitt, A.Besser, Ch.Su, T.Vaillancourt, D.Boucher, Y.Munro, Lisa A.Davidson, O.Gale, *The Child–Adolescent Perfectionism Scale: Development, Psychometric Properties, and Associations With Stress, Distress and Psychiatric Symptoms,* Journal of Psychoeducational Assessment, Vol. 34(7) 634–652, 2016, DOI: 10.1177/0734282916651381;

[13] R.Lazarus, S.Folkman, S. Stress, Appraisal, and Coping. New York: Springer.1984

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

პერფექციონიზმის ნიშნებია:

- ✓ ძალზე ძლიერი პასუხისმგებლობის გრძნობა; მცირე შეცდომის დაშვების შეუძლებლად მიჩნევა; მახვილი თვალით უმნიშვნელო დეტალების შემჩნევა;
- ✓ ყველაფერში საუკეთესოდ ყოფნის სურვილი, ისეთ საქმიანობაშიც კი, რომელიც პიროვნებისთვის უინტერესოა;
- ✓ დიდი დროს დახარჯვა და უკანასკნელ წუთამდე შედეგის გაუმჯობესება, თუნდაც დროის, ძილის, კვების ხარჯზე. პიროვნებას ეს ქცევა უფრო სწორად მიაჩნია, ვიდრე ის, რომ რაღაც არ გააკეთოს;
- ✓ იდელურისკენ სწრაფვა: ან ყველაფერი ან არაფერი, მხოლოდ ასე და არა სხვაგვარად. არსებობს თეთრი და შავი, არ არსებობს რუხი ფერი. თუ პიროვნება იდეალურ შედეგამდე ვერ მივიდა, ამჯობინებს უარი თქვას, რადგან, მისი აზრით, დროს კარგავს იმაზე, რაც გამარჯვებას არ მოუტანს;
- ✓ საკუთარი თავის მიმართ მკაცრი კრიტიკის არსებობა და საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი თავის დასჯაც კი;
- ✓ კრიტიკის მიმართ მაღალი მგრძნობიარობა და წარუმატებლობის შიშის ქონა, რადგან იგულისხმება, რომ პიროვნება სრულყოფილი არ არის;
- ✓ ძლიერი დამოკიდებულება სხვა ადამიანების შეფასებაზე.

შფოთვა პერფექციონიზმისა და პროკრასტინაციის შორის არ წარმოადგენს მხოლოდ თანმხლებ ემოციურ ფაქტორს - ის ფუნქციონირებს როგორც **მნიშვნელოვანი მედიუმი**, რომელიც ახდენს ზეგავლენას გადაწყვეტილების მიღებასა და ქცევის დაგეგმვაზე. ინდივიდები, რომელთაც ახასიათებთ მაღალი დონის პერფექციონიზმი, ხშირად ამჟღავნებენ შფოთვის მაღალ დონეს და ამასთანავე, ტენდენციას მნიშვნელოვანი საქმის გადადება/გადავადებისკენ, რაც შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს როგორც ფსიქოლოგიური თავდაცვა წარუმატებლობის შიშის წინააღმდეგ.[14]

[14]G.L. Flett, P.L.Hewitt, A.Besser, Ch.Su, T.Vaillancourt, D.Boucher, Y.Munro, Lisa A.Davidson, O.Gale, *The Child–Adolescent Perfectionism Scale: Development, Psychometric Properties, and Associations With Stress, Distress and Psychiatric Symptoms,* Journal of Psychoeducational Assessment, Vol. 34(7) 634–652, 2016, DOI: 10.1177/0734282916651381

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ამ ურთიერთობის გააზრება მნიშვნელოვანია როგორც **აკადემიურ სფეროში** (სწავლის მოტივაციისა და თვითრეგულაციის გაუმჯობესებისთვის), ასევე **კლინიკურ პრაქტიკაში**, რადგან შფოთვითი პერფექციონიზმი შეიძლება გახდეს დეპრესიული სიმპტომების ან პროფესიული გადაღლის წინაპირობა.

თანამედროვე ინტერვენციული მიდგომები(მაგალითად, კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია (CBT) და აზრებზე კონცენტრირებული (Mindfulness) თერა-პია) ეფექტიანად ამცირებს შფოთვითი რეგულაციის პრობლემებს და ხელს უწყობს საკუთარი თავის მიმღებლობის გაზრდას, რაც თავის მხრივ ამცირებს პროკრასტინაციულ ქცევას.[15]

დასკვნა

პროკრასტინაცია და პერფექციონიზმი რთულად ურთიერთდაკავშირებული კონსტრუქტებია, რომელთა შორის შფოთვა ასრულებს ცენტრალურ მედიატორულ როლს. შფოთვითი ფონი აძლიერებს თვითკრიტიკულობას და ამცირებს თვითეფექტურობის განცდას, რაც იწვევს ქცევის გადადებას როგორც დროებით სტრატეგიას ემოციური დისკომფორტის თავიდან ასაცილებლად.

კვლევის შედეგების მიხედვით, აუცილებელია ისეთი ფსიქოლოგიური ჩარევის მოდელების განვითარება, რომლებიც ფოკუსირდება შფოთვის მართ ე, თვითშეგნებისა და ემოციური ინტელექტის გაძლიერებაზე. ეს მიდგომები ხელს შეუწყობს თვითრეგულაციის მექანიზმების გაძლიერებას და შეამცირებს ნაკლებად ადაპტირებადი პერფექციონიზმის ზეგავლენას როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ კონტექსტში.

ამასთან, პერფექციონიზმისგან თავის დაღწევის მიზნით, მნიშვნელოვანია რეალური მიზნების დასახვა, სხვებზე მოვალეობების გადანაწილება, ჯგუფური მუშაობა და თანამშრომლობა; სასურველია, რომ პიროვნებამ თავს შეცდომის დაშვების უფლება მისცეს, ისწავლოს საქმის დახარისხება, მთავარის განსხვავება მეორეხარისხოვანისგან;

[15]A.Rozental, E.Forsell, A.Svensson, G.Andersson, P.Carlbring, *Internet-based cognitive-behavior therapy for procrastination: A randomized controlled trial,* 2015, DOI: 10.1037/ccp0000023

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

იმ შემთხვევაში კი, თუ პიროვნებას პერფექციონიზმი ქრონიკულ სტადიაში გადაუვა, მნიშვნელოვანია დროის აღრიცხვის წარმოება; იმის გარკვევა, თუ რა აქტივობას რამდენ დროს უთმობს. მნიშვნელოვანი გასააზრებელია, თუ რა მოჰყვება დაძაბული რეჟიმით მუშაობას. ამასთან, აუცილებელია, რომ პიროვნებამ დაიტოვოს დრო არასამუშაო აქტივობებისა და რელაქსაციისთვის.

ბიბლიოგრაფია

Flett, G. L., Stainton, M., Hewitt, P.L., Sherry, S.B., *Perfectionism, procrastination, and psychological distress: A review of theoretical and empirical connections*. Personality and Individual Differences, 98, 122–129, 2016;

Frost, R.O, P.Marten, P, C.Lahart, C, R.Rosenblate, R.,The dimensions of perfectionism, Cognitive therapy and Research, Volume 14, pages 449–468, 1990, https://link.springer.com/journal/10608;

Hamachek, D.E., *Psychodynamics of normal and neurotic perfectionism.* Psychology: A Journal of Human Behavior, 15(1), 27–33. 1978;

Hewitt, P.L., Flett, G.L. *Perfectionism in the self and social contexts: Conceptualization, assessment, and association with psychopathology*. Journal of Personality and Social Psychology, 60(3), 456–470, 1991; https://surl.li/znlola (გადამოწმებულია 24.11.2025);

Lazarus, R. S., & Folkman, S., Stress, appraisal, and coping. New York: Springer.1984;

Rozental, A., Carlbring, P., Rozental, D., Andersson, G. *Internet-based cognitive behavior therapy for procrastination: A randomized controlled trial*. Journal of Consulting and Clinical Psychology, 83(4), 808–824. 2015;

Sadeghi, S., et al. *Neural correlates of procrastination and anxiety: A neurocognitive perspective*. Frontiers in Psychology, 12, 635–649., 2021;

Sirois, F.M., Pychyl, T.A. *Procrastination and the priority of short-term mood regulation: Consequences for future self*. Social and Personality Psychology Compass, 7(2), 115–127, 2013; https://doi.org/10.1111/spc3.12011;

Steel, P., *The nature of procrastination: A meta-analytic and theoretical review of quintessential self-regulatory failure*. Psychological Bulletin, 133(1), 65–94. 2007, doi:10.1037/0033-2909.133.1.65;

ვებგვერდი: https://surl.li/orzffy (გადამოწმებულია 24.11.2025)

ვებგვერდი: https://surl.li/disqfe (გადამოწმებულია 24.11.2025)

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სოციალური ქსელები როგორც ინფორმაციული ომის იარაღი: ზეგავლენა, მეთოდები და პრევენცია

ლევან ჭოლიკიძე[1]
ლაშა ნოზაძე[2]
https://doi.org/10.61446/pa.3.2025.10286

აბსტრაქტი

სოციალურმა ქსელებმა ფუნდამენტურად შეცვალეს ინდივიდების, ბიზნესებისა და სახელმწიფოების კომუნიკაციისა და ურთიერთქმედების ფორმა. ეს ციფრული პლატფორმები უზრუნველყოფენ გლობალურ, რეალურ დროში კავშირს, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს გაანალიზონ იდეები, ჩაერთონ დისკუსიებში და მიიღონ ინფორმაცია მყისიერად. თუმცა, სოციალური ქსელები დღეს აღარ წარმოადგენენ მხოლოდ კომუნიკაციის ინსტრუმენტებს - ისინი გადაიქცნენ მნიშვნელოვან აქტორებად ეკონომიკურ, პოლიტიკურ და უსაფრთხოების სფეროებში. ნაშრომი იკვლევს სოციალური ქსელების მრავალმხრივ როლს, მათ გავლენას საზოგადოებაზე, მათი გამოყენების შესაძლებლობებს საინფორმაციო ომებში და იმ საჭირო ზომებს, რომლებიც უნდა იქნას მიღებული არსებული რისკების შესამცირებლად. პირველი ნაწილი მიმოიხილავს უმსხვილეს სოციალურ ქსელებს, მათ შორის Facebook, Twitter (X), Instagram, Telegram, TikTok, WhatsApp, LinkedIn და Snapchat. თითოეული პლატფორმა სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფს მოიცავს და უნიკალურ ფუნქციებს ასრულებს, დაწყებული მულტიმედიური კონტენტის გაზიარებით და დამთავრებული დაშიფრული მესიჯინგით. აღნიშნული პლატფორმები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა ბიზნესი, განათლება, პოლიტიკა, აქტივიზმი და უსაფრთხოება. სოციალური ქსელები აძლიერებენ ბიზნესს, რადგან კომპანიებს პირდაპირი მარკეტინგული არხებით მომხმარებელთან კავშირის შესაძლებლობას აძლევენ, ცვლიან ტრადიციულ რეკლამირებას და ქმნიან ახალ ელექტრონული კომერციის შესაძლებლობებს. თუმცა, მათი გავლენა ვრცელდება პოლიტიკურ პროცესებზე, საზოგადოებრივ მოძრაობებზე და, გარკვეულ შემთხვევებში, მანიპულაციასა და კიბერ-მუქარებზეც. სოციალური ქსელების განვითარებამ საზოგადოებასთან ერთად, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები მოიტანა. ერთი მხრივ, სოციალური მედია ხელს უწყობს კომუნიკაციას, ციფრული განათლების განვითარებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. მეორე მხრივ, ის აძლიერებს დეზინფორმაციის გავრცელებას, კიბერბულინგს, კონფიდენციალურობის პრობლემებს და პოლიტიკურ პოლარიზაციას. ალგორითმების უნარი, რომ მომხმარებელს მიაწოდოს სენსაციური და პოპულარული შინაარსი, კიდევ უფრო ამწვავებს ამ პრობლემებს, ქმნის ე.წ. "ექო კამერებს" და ხელს უწყობს პროპაგანდის გავრცელებას. კვლევის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია სოციალური ქსელების ტრანსფორმაცია საინფორმაციო ომების ინსტრუმენტებად. სახელმწიფოები, ორგანიზაციები და არასახელმწიფოებრივი აქტორები სულ უფრო ხშირად იყენებენ სოციალურ მედიას ციფრული გავლენის ოპერაციებისთვის, პროპაგანდის გასავრცელებლად და სტრატეგიული დეზინფორმაციის კამპანიებისთვის. საინფორმაციო ომი მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო დომენებს, სადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ღრმა ყალბი (deepfake) ტექნოლოგიები, კიბერ-ჯაშუშობა და ფსიქოლოგიური ოპერაციები. სოციალური ქსელების საშუალებით ხორციელდება საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება, არჩევნებში ჩარევა და მმართველობის დესტაბილიზაცია კოორდინირებული ყალბი ქცევის (CIB) და ბოტ-ქსელების მეშვეობით. სოციალური ქსელებით მართული საინფორმაციო ომის გავლენა ვრცელდება პოლიტიკურ დესტაბილიზაციაზე, საზოგადოებრივ პოლარიზაციაზე, ეკონომიკურ შედეგებზე და ეროვნულ უსაფრთხოებაზე. დეზინ-

[1] სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, ინფორმატიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
[2] სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ინფორმატიკის მიმართულების ასისტენტ პროფესორი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ფორმაციის კამპანიები ხელს უწყობს დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ ნდობის შერყევას, სამოქალაქო არეულობების გაღვივებას და საზოგადოებრივი დაპირისპირების გაძლიერებას. სოციალურ ქსელებში პოლიტიკური და ეკონომიკური მანიპულაციები აზარალებს საბაზრო სტაბილურობას, ზიანს აყენებს ბიზნესის რეპუტაციას და იწვევს მომხმარებელთა პანიკას, რაც ფინანსური კრიზისების წინაპირობა ხდება. გარდა ამისა, ეროვნული უსაფრთხოების რისკები მოიცავს კიბერჯაშუშობას, სადაზვერვო ინფორმაციის გაჟონვასა და ფსიქოლოგიური ომის ტექნიკებს, რომლებიც არყევს ნდობას სამხედრო და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.

ამ გამოწვევების გადასაჭრელად, ნაშრომი განიხილავს სხვადასხვა პრევენციულ ზომებსა და თავდაცვით სტრატეგიებს. ძირითადი გადაწყვეტილებები მოიცავს ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებას დეზინფორმაციის ამოსაცნობად, კონტენტის მოდერაციის პოლიტიკას, მთავრობის რეგულაციებს, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ინიციატივებსა და საერთაშორისო თანამშრომლობას. AI-ით მართული ფაქტჩეკინგის ინსტრუმენტები, დეზინფორმაციის რეალურ დროში მონიტორინგი და ეთიკური AI-ის მართვის მოდელები აუცილებელია ცრუ ინფორმაციის გავრცელების შესაჩერებლად. ასევე, უნდა გაძლიერდეს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, რათა დაიცვას პერსონალური მონაცემები, თავიდან აიცილოს კიბერთავდასხმები და დაარეგულიროს სოციალური მედიის როლი ეროვნულ უსაფრთხოებაში. ციფრული წიგნიერების პროგრამებიც გადამწყვეტია მოქალაქეების განათლებისთვის, რათა მათ შეძლონ დეზინფორმაციის ამოცნობა და მის წინააღმდეგ ბრძოლა.სოციალური ქსელების მომავალი, სავარაუდოდ, მოიცავს რეგულაციების გამკაცრებას, AI-ით მართული მოდერაციის გაუმჯობესებას და დეზინფორმაციის ტაქტიკების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიური პროგრესი ახალ შესაძლებლობებს ქმნის გლობალური კომუნიკაციისა და ეკონომიკური ზრდისთვის, მას თან ახლავს რთული ეთიკური და უსაფრთხოების გამოწვევები. სოციალური ქსელების როლის გააზრება კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ სახელმწიფოებმა, ბიზნესებმა და ინდივიდებმა შეძლონ ციფრული სივრცის პასუხისმგებლიანად გამოყენება და განვითარებადი საფრთხეებისგან დაცვა. ეს ნაშრომი კომპლექსურ ანალიზს უტარებს სოციალური ქსელების როლს თანამედროვე საზოგადოებაში, ხაზგასმით აღნიშნავს მათ გავლენას, მოწყვლადობას და სტრატეგიულ მნიშვნელობას თანამედროვე საინფორმაციო ომების კონტექსტში. რეალურ მაგალითებზე, ისტორიულ ტენდენციებზე და ახალ კიბერუსაფრთხოების გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, კვლევა ხელს უწყობს ციფრული მმართველობისა და სოციალური მედიის პასუხისმგებლიანი გამოყენების დისკურსის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: სოციალური ქსელები, საინფორმაციო ომი, დეზინფორმაცია, კიბერშეტევა, ღრმა ყალბი (deepfake), ფსიქოლოგიური ოპერაციები, კიბერუსაფრთხოება

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Social Networks as Weapons of Information Warfare: Impact, Methods, and Prevention

Levan Cholikidze[3]
Lasha Nozadze[4]

Abstract

Social networks have fundamentally reshaped the way individuals, businesses, and governments communicate, interact, and influence public discourse. These digital platforms facilitate real-time global connectivity, enabling users to share ideas, engage in discussions, and access information instantaneously. However, social networks have evolved beyond personal communication tools to become significant actors in economic, political, and security landscapes. This paper explores the multifaceted role of social networks, analyzing their impact on society, their potential as instruments of information warfare, and the necessary countermeasures required to mitigate associated risks.The first section provides an overview of major social networks, including Facebook, Twitter (X), Instagram, Telegram, TikTok, WhatsApp, LinkedIn, and Snapchat. Each platform caters to different demographics and serves unique functions, ranging from multimedia content sharing to encrypted messaging. These platforms influence various societal aspects, including business, education, politics, activism, and security. Social networks empower businesses by offering direct marketing channels, reshaping traditional advertising, and providing e-commerce opportunities. However, their influence extends beyond commerce into political engagement, social movements, and, in some cases, manipulation through misinformation and cyber threats. The rise of social networks has led to both positive advancements and significant challenges. On one hand, social media fosters enhanced connectivity, digital literacy, and open access to information. On the other hand, it contributes to misinformation, cyberbullying, privacy concerns, and political polarization. The ability of social media algorithms to prioritize sensational content exacerbates these challenges by reinforcing ideological echo chambers and enabling the spread of propaganda.A key theme explored in this research is the transformation of social networks into tools for information warfare. Governments, organizations, and non-state actors have increasingly leveraged social media for digital influence operations, propaganda dissemination, and strategic misinformation campaigns. Information warfare is categorized into political, economic, and military domains, with tactics such as deepfake technology, cyber espionage, and psychological operations playing a critical role. Social networks have been used to manipulate public opinion, interfere in elections, and disrupt governance through coordinated inauthentic behavior (CIB) and bot networks.The impact of information warfare extends to various societal dimensions, including political destabilization, social polarization, economic consequences, and national security threats. Disinformation campaigns have been utilized to undermine trust in democratic institutions, fuel civil unrest, and amplify societal divisions. Election interference, coordinated propaganda, and misinformation targeting specific communities have exacerbated political and social tensions globally. Economic ramifications of social media-based disinformation include market manipulation, corporate reputation damage, and consumer panic, leading to financial instability. National security risks include cyber espionage, intelligence leaks, and psychological warfare tactics that weaken public trust in military and governmental institutions.To address the challenges posed by social media-based information warfare, this paper explores various countermeasures and mitigation strategies. Key solutions include the implementation of artificial intelligence (AI) for misinformation detection, content moderation policies, government regulations, public awareness initiatives, and international collaboration. AI-driven fact-checking tools, real-time disinformation tracking systems, and ethical AI governance models are essential in mitigating the spread of false information. Additionally, cybersecurity policies must be strengthened to protect personal data, prevent cyberattacks, and regulate social media's role in national

[3]Associate Professor of Bachelor's program in Informatics of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Doctor of Computer Science
[4]Associate Professor of Bachelor's program in Informatics of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Doctor of Computer Science

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

security affairs. Digital literacy programs are also critical in equipping citizens with the skills to identify and combat misinformation.The future of social networks will likely involve increased regulatory oversight, AI-driven moderation, and evolving disinformation tactics. While technological advancements present new opportunities for global communication and economic growth, they also pose complex ethical and security challenges. Understanding the evolving role of social networks is essential for governments, businesses, and individuals to navigate the digital landscape responsibly and safeguard against emerging threats.This research provides a comprehensive analysis of the role of social networks in modern society, emphasizing their influence, vulnerabilities, and strategic significance in contemporary information warfare. By examining real-world case studies, historical trends, and emerging cybersecurity solutions, this study aims to contribute to the ongoing discourse on digital governance and the responsible use of social media platforms.

Keywords: Social networks, information warfare, disinformation, Cyber attack, Deepfake, psychological operations, Cybersecurity.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

21-ე საუკუნეში სოციალური ქსელები თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ძალად იქცა. თავდაპირველად, ისინი შეიქმნა როგორც პლატ-ფორმები კომუნიკაციისა და კონტენტის გასაზიარებლად, თუმცა სწრაფადვე გადა-იქცა ეკონომიკური განვითარების, პოლიტიკური ჩართულობისა და საინფორმა-ციო ომის ინსტრუმენტებად. სოციალური მედიის სწრაფმა გაფართოებამ ფუნდა-მენტურად შეცვალა ინდივიდთა ურთიერთქმედება, ბიზნესის ფუნქციონირება და სახელმწიფოთა კომუნიკაციის მეთოდები, რაც როგორც ახალ შესაძლებლობებს, ისე მნიშვნელოვან გამოწვევებს ქმნის. ამ პლატფორმებმა უზრუნველყოფს ინფორ-მაციის უპრეცედენტო ხელმისაწვდომობას და გლობალურ კავშირებს, მაგრამ ამავდროულად წარმოშობს ისეთ საფრთხეებს, როგორიცაა დეზინფორმაცია, კონფიდენციალურობის დარღვევა, სოციალური პოლარიზაცია და კიბერ-მუქარა.

სოციალური ქსელები, როგორიცაა Facebook, Twitter (X), Instagram, Telegram, TikTok, WhatsApp და LinkedIn, მილიარდობით მომხმარებელს აერთიანებს და კრიტიკულ როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, არჩევნებზე ზემოქმედებაში და გლობალური ბაზრების ცვლილებაში. სოციალური ქსელების გავლენა სცილდება პირად კომუნიკაციას და მოიცავს კორპორატიულ ბრენდინგს, ციფრულ აქტივიზმს, ელექტრონულ კომერციასა და პოლიტიკურ მობილიზაციას. თუმცა, ამავე დროს, ეს პლატფორმები გამოყენებულა საზიანო მიზნებისთვის, მათ შორის პროპაგანდის გავრცელებისთვის, კიბერ-ჯაშუშობისთვის, საარჩევნო მანი-პულაციებისთვისა და ფსიქოლოგიური ოპერაციებისთვის. სახელმწიფოები, სა-დაზვერვო სააგენტოები და არახელმწიფოებრივი აქტორები სულ უფრო მეტად იყენებენ სოციალურ ქსელებს სტრატეგიული გავლენის ოპერაციებისთვის, რაც ახალ საფრთხეებს ქმნის ეროვნული უსაფრთხოებისა და დემოკრატიული პროცე-სებისთვის.

ძირითადი ნაწილი

სოციალური ქსელების ევოლუციის ანალიზი

ფუნქციების ინტეგრაცია და მომხმარებლის ჩართულობა

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სოციალური ქსელები თავდაპირველად შეიქმნა, როგორც კომუნიკაციის, კონტენტის გაზიარებისა და ადამიანების დაკავშირების პლატფორმები. თუმცა, დროთა განმავლობაში ისინი გადაიქცნენ ინფორმაციული მანიპულაციის, პროპაგანდის და გავლენის ოპერაციების მძლავრ იარაღად. სოციალური ქსელების საწყისი ეტაპი (2000-იანი წლები - ორგანული ზრდის ხანა) Facebook, Twitter და YouTube გაჩნდა, როგორც პლატფორმები პირადი ურთიერთობებისთვის და გასართობი კონტენტის გაზიარებისთვის. ძირითადი კონტენტი მომხმარებელთა მიერ გენერირდებოდა და მათზე გარე გავლენა ნაკლებად შეიმჩნეოდა. დეზინფორმაციის შემთხვევები მინიმალური იყო, ხოლო ფაქტების გადამოწმება არ წარმოადგენდა პრიორიტეტს.

სოციალური ქსელები მუდმივად ადაპტირდებიან მომხმარებლის ქცევასთან ახალი ფუნქციების დამატებით, რაც ზრდის ინტერაქტიულობას. ასეთი ფუნქციების მაგალითებია:

- პირდაპირი ეთერი.
- დროებითი კონტენტი (Stories).
- ალგორითმულად მართული სიახლეების ფიდი.
- ხელოვნური ინტელექტის რეკომენდაციები.
- ელექტრონული კომერციის ინტეგრაცია (მაგალითად, Facebook Marketplace ან Instagram Shopping).
- გაფართოებული რეალობის (AR) ფილტრები და ვირტუალური რეალობის სივრცეები;

ამ განვითარებამ გაზარდა მომხმარებლის ჩართულობა, რის შედეგადაც სოციალური ქსელები ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ახალმა შესაძლებლობებმა უფრო მოქნილი გახადა კომუნიკაციის შესაძლებლობები. ქვემოთ მოცემულია ცხრილი, სადაც ნაჩვენებია ძირითადი სოციალური ქსელები, მათი შექმნის წელი და სხვადასხვა ფუნქციონალის დამატების თარიღები.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ცხრილი 1-სოციალური ქსელებში ფუნქციების დამატება წლების მიხედვით

სოციალური ქსელი	შექმნის წელი	ტექსტური ჩატი	აუდიო ზარები	ვიდეო ზარები	ფაილების გაზიარება	პირდაპირი ტრანსლაცია
Facebook	2004	2004	2013	2015	2011	2016
Twitter	2006	2006	-	-	2015	2015
LinkedIn	2003	2003	-	2017	2015	2019
Instagram	2010	2010	-	2018	2018	2016
TikTok	2016	2016	-	2018	2020	2016
WhatsApp	2009	2009	2015	2016	2017	2018
Telegram	2013	2013	2017	2020	2014	2021
Snapchat	2011	2011	2018	2018	2019	2015
WeChat	2011	2011	2012	2015	2013	2016
Discord	2015	2015	2015	2016	2017	2017

ცხრილი ასახავს როგორ გარდაიქმნენ სოციალური ქსელები დროის განმავლობაში, ძირითადად ახალი ფუნქციების ინტეგრაციის გზით, რაც აუმჯობესებს მომხმარებლის გამოცდილებას და ჩართულობას. ამ ფუნქციებმა შექმნა უფრო მდიდარი კომუნიკაცია, ჩართულობა და უფრო დინამიკური კონტენტის გაზიარება. თუმცა ამ ევოლუციამ ასევე გამოიწვია უსაფრთხოების მოწყვლადობები და ბოროტად გამოყენება, განსაკუთრებით დეზინფორმაციის და მცდარი ინფორმაციის გავრცელების კუთხით. სოციალური ქსელების ევოლუცია შეიძლება გავაანალიზოთ შემდეგი ასპექტების მიხედვით, ფუნქციების ინტეგრაცია და მომხმარებლის ჩართულობა.

სოციალური ქსელები მუდმივად ადაპტირდებიან მომხმარებლის ქცევასთან ახალი ფუნქციების დამატებით, რაც ზრდის ინტერაქტიულობას ასეთი ფუნქციების მაგალითები და მომხმარებელთა ზრდის დინამიკა მოყვანილია შემდეგ ცხრილში.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ცხრილი 2-სოციალური ქსელების მომხმარებელთა რაოდენობის ზრდის დინამიკა.

სოციალური ქსელი	შექმნის წელი	მომხმარებელთა რაოდენობა (მლნ)	გაზიარების ფუნქციის დამატება	მოწონების ფუნქციის დამატება
Facebook	2004	2008: 100, 2012: 1000, 2017: 2000	2006	2009
Twitter	2006	2010: 54, 2012: 185, 2017: 330	2009	2015
Instagram	2010	2012: 30, 2014: 200, 2018: 1000	2013	2011
LinkedIn	2003	2010: 90, 2012: 175, 2017: 500	2008	2010
Snapchat	2011	2014: 50, 2016: 150, 2018: 186	2012	2015
TikTok	2016	2018: 500, 2019: 800, 2020: 1000	2016	2018
WhatsApp	2009	2013: 200, 2016: 1000, 2020: 2000	2011	•
Telegram	2013	2014: 35, 2016: 100, 2020: 400	2013	•
Viber	2010	2012: 50, 2014: 100, 2018: 260	2013	•
WeChat	2011	2013: 300, 2016: 846, 2020: 1200	2012	2014

აღნიშნული მონაცემები აჩვენებს, რომ სოციალური ქსელების ფუნქციების განვითარება და მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა მჭიდროდ არის დაკავშირებული. ფუნქციების დამატება, როგორიცაა გაზიარება და მოწონება, ხელს უწყობს მომხმარებელთა ჩართულობის ზრდას, რაც თავის მხრივ აისახება პლატფორმების პოპულარობაზე.

პირდაპირი ეთერი, დროებითი კონტენტი, ალგორითმულად მართული სიახლეების ფიდი, ხელოვნური ინტელექტის რეკომენდაციები, ელექტრონული კომერციის ინტეგრაცია, როგორიცაა facebook marketplace ან instagram shopping, გაფართოებული რეალობის ფილტრები და ვირტუალური რეალობის სივრცეები. ამ განვითარებამ გაზარდა მომხმარებლის ჩართულობა რაც სოციალურ ქსელებს აქცევს ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელ ნაწილად.

ცხრილი 3-მნიშვნელოვანი ფუნქციები, რომელმაც გავლენა იქონია მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდაზე.

სოციალური ქსელი	დაფუძნების წელი	მნიშვნელოვანი ფუნქციები
Facebook	2004	სიახლეების ფიდი (2006), პირდაპირი ვიდეო (2016), Marketplace (2016)
Twitter	2006	ჰეშთეგები (2007), გადატვიტვა (2009), სივრცეები (2021)

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Instagram	2010	ისტორიები (2016), შოპინგი (2018), Reels (2020)
Snapchat	2011	ისტორიები (2013), Snap Map (2017)
TikTok	2016	ალგორითმული "For You" გვერდი (2018), პირდაპირი ეთერი (2020)
LinkedIn	2003	სტატიები (2014), ისტორიები (2020, წაშლილი 2021)

ყოველმა პლატფორმამ დროთა განმავლობაში გააფართოვა თავისი შესაძლებლობები, ხოლო ბევრი ფუნქცია გადმოღებულია კონკურენტებისგან. ვიდეო კონტენტი, მოკლე ფორმატის ისტორიები და ცოცხალი ურთიერთქმედება დღეს წამყვან ტენდენციებად მიიჩნევა.

ალგორითმული პერსონალიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომხმარებლის ჩართულობისა და ინფორმაციის მოხმარების ფორმირებაში.

ინფორმაციული ომის მეთოდები სოციალური ქსელების გამოყენებით

ინფორმაციული ომი სოციალური ქსელების მეშვეობით მოიცავს სხვადასხვა ტაქტიკას და სტრატეგიას, რომლებიც გამოიყენება მოსახლეობაზე გავლენის მოსახდენად, მათი შეცდომაში შეყვანისა და დესტაბილიზაციისთვის. ძირითადი მეთოდები მოიცავს:

დეზინფორმაცია და ყალბი ახალი ამბები

დეზინფორმაცია გულისხმობს განზრახ გავრცელებულ მცდარ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, რომელიც გამოიყენება არჩევნების მანიპულაციისთვის, საზოგადოებრივი არეულობის გამოწვევისთვის და რეპუტაციის დაზიანებისთვის. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით ძლიერდება ბოტებისა და ტროლების ფერმების მიერ. ყალბი ახალი ამბების ვებსაიტები, სოციალურ ქსელებში გავრცელებული პოსტები, ღრმა ყალბი (deepfake) ვიდეოები და AI-ის მიერ გენერირებული სტატიები გამოიყენება საზოგადოების დაბნეულობისა და ინფორმაციული ქაოსის შესაქმნელად. დეზინფორმაციული კამპანიები ხშირად ორგანიზებულია სახელმწიფოებისა და გავლენიანი ჯგუფების მიერ, რათა ხელი შეუწყონ პოლიტიკურ პროპაგანდას და საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციას.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ფსიქოლოგიური ოპერაციები (PSYOPS)

ფსიქოლოგიური ოპერაციები მიზანმიმართული კამპანიებია, რომლებიც ემოციური, მსოფლმხედველობრივი და ქცევითი გავლენის მოხდენას ემსახურება. ისინი ფართოდ გამოიყენება სამხედრო ოპერაციებში მოწინააღმდეგის დემორალიზაციისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის. ეს მეთოდები ეყრდნობა შიშის, გაურკვევლობისა და ეჭვების გაღვივებას, რაც ხელს უწყობს საზოგადოების დაყოფასა და ინსტიტუტებისა და ლიდერების მიმართ უნდობლობის გაძლიერებას.

ღრმა ყალბი და ხელოვნური ინტელექტით (AI)[5] გენერირებული კონტენტი

ხელოვნური ინტელექტით შექმნილი ვიდეოები და სურათები ცრუ ნარატივების გასავრცელებლად გამოიყენება. ღრმა ყალბი ტექნოლოგიები ქმნის ჰიპერრეალისტურ ვიდეოებსა და აუდიოჩანაწერებს, რომლებიც ადამიანებს იმ ქმედებებსა და განცხადებებს მიაწერენ, რაც რეალურად არასდროს გაუკეთებიათ ან უთქვამთ. ეს ტექნოლოგია გამოიყენება სკანდალების შექმნის, საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა და გეოპოლიტიკური დაძაბულობის გასამწვავებლად.

კიბერ-შპიონაჟი და თვალთვალი

სოციალური ქსელები მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს სადაზვერვო ინფორმაციის შესაგროვებლად. კიბერთავდამსხმელები იყენებენ სოციალურ ინჟინერიას მგრძნობიარე მონაცემების მოპოვებისთვის. სადაზვერვო სააგენტოები და კიბერდამნაშავეები სოციალურ ქსელებში არსებულ საჯარო მონაცემებს ინდივიდებისა და ორგანიზაციების ფსიქოლოგიური პროფილების შესაქმნელად იყენებენ. ფიშინგ-კამპანიები და მავნე ბმულები ვრცელდება სოციალური ქსელების საშუალებით, რაც კიბერთაღლითებს შესაძლებლობას აძლევს მოიპოვონ მომხმარებელთა პირადი მონაცემები, მათ შორის – შესასვლელი კოდები და ფინანსური ინფორმაცია.

კოორდინირებული არაავთენტური ქცევა (CIB)[6]

[5] Benkler, Yochai, Robert Faris, and Hal Roberts. *Network Propaganda: Manipulation, Disinformation, and Radicalization in American Politics.* Oxford University Press, 2018.
[6] Bradshaw, Samantha, and Philip N. Howard. *Troops, Trolls and Troublemakers: A Global Inventory of Organized Social Media Manipulation.* Oxford Internet Institute, 2017.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ეს მოიცავს ყალბი ანგარიშების ქსელებს, რომლებიც მიზანმიმართულად გამოიყენება გარკვეული ნარატივების გასაძლიერებლად. სახელმწიფო აქტორები ხშირად იყენებენ ამ ტექნიკას საერთაშორისო ურთიერთობების მანიპულაციისთვის. ტროლების ფერმები, ბოტნეტები და ყალბი პროფილები კოორდინირებულად მართავენ მასშტაბურ საინფორმაციო ოპერაციებს, რათა ხელოვნურად გაზარდონ ჩართულობა სოციალურ მედიაში და ყალბი ნარატივები უფრო სანდოდ წარმოაჩინონ.

ჰეშთეგების მანიპულაცია და ტრენდების ხელყოფა[7]

ბოტების გამოყენებით შესაძლებელია სოციალურ ქსელებში ტრენდული თემების მანიპულაცია, რაც ხელს უწყობს ყალბი მოძრაობების შექმნას ან რეალური მოძრაობების დესტაბილიზაციას. სოციალური მედიის ტრენდების ხელოვნური წარმართვა შეიძლება გამოყენებულ იქნას პანიკის გასავრცელებლად, იდეოლოგიური დაპირისპირების გასამძაფრებლად და პოლიტიკური გარემოს დესტაბილიზაციისთვის.

ამ მეთოდების კომბინირებული გამოყენება სოციალური ქსელების მეშვეობით ინფორმაციულ ომს ახალი მასშტაბით აძლიერებს, რაც საზოგადოებას კიდევ უფრო მეტად მოწყვლადს ხდის დეზინფორმაციის, ფსიქოლოგიური ზემოქმედებისა და კიბერ-შეტევების მიმართ.

სოციალური ქსელებით ინფორმაციული ომის შედეგები

პოლიტიკური დესტაბილიზაცია

- დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი ნდობის შემცირება.
- არჩევნებისა და რეფერენდუმების მანიპულირება.

სოციალური პოლარიზაცია

- პოლიტიკურ, ეთნიკურ და იდეოლოგიურ ჯგუფებს შორის დაძაბულობის გაზრდა.
- საზოგადოებაში კონფლიქტებისა და დაპირისპირების გაძლიერება.

ეკონომიკური ზიანი

[7] Chesney, Robert, and Danielle Citron. "Deepfakes: A Looming Challenge for Privacy, Democracy, and National Security." *California Law Review* 107, no. 6 (2019): 1753-1819.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

- ყალბი ინფორმაცია გავლენას ახდენს საფონდო ბაზრებზე.
- კომპანიებს შეიძლება მიადგეს რეპუტაციული და ფინანსური ზიანი.

ეროვნული უსაფრთხოების საფრთხე

- კიბერ-ჯაშუშობა ამცირებს თავდაცვის შესაძლებლობებს.
- დეზინფორმაცია იწვევს პანიკას და საზოგადოებრივ არასტაბილურობას.

სოციალურ მედიაზე დაფუძნებული საინფორმაციო ომის ზეგავლენა ღრმა და ფართომასშტაბიანია, რომელიც სხვადასხვა სფეროს – საზოგადოებას, პოლიტიკას, ეკონომიკასა და ეროვნულ უსაფრთხოებას – მოიცავს. ერთ-ერთი მთავარი შედეგი არის პოლიტიკური დესტაბილიზაცია, რადგან სოციალური მედიის მანიპულირება არყევს დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი ნდობას და გამოიყენება არჩევნების და რეფერენდუმების მანიპულაციისთვის. დეზინფორმაციის გავრცელება და პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაცია ასუსტებს დემოკრატიულ პროცესს და იწვევს მმართველი სტრუქტურებისადმი ნდობის დაკარგვას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გავლენა არის სოციალური პოლარიზაცია, რადგან სოციალური მედიის პლატფორმები აძლიერებენ დაყოფას პოლიტიკურ, ეთნიკურ და იდეოლოგიურ ჯგუფებს შორის. მიზანმიმართული პროპაგანდა, ყალბი ინფორმაცია და პროვოკაციული კონტენტი ზრდის მტრობას და ამძაფრებს საზოგადოებრივ კონფლიქტებს, რაც ხშირად ძალადობას და არეულობას იწვევს. შედეგად, ადამიანები მეტად უპირისპირდებიან ერთმანეთს და ნაკლებად მზად არიან კონსტრუქციული დიალოგისთვის. სოციალურ მედიაზე დაფუძნებული საინფორმაციო ომის ეკონომიკური შედეგებიც საგანგაშოა. დეზინფორმაციის კამპანიებმა შეიძლება გამოიწვიოს საფონდო ბირჟების მერყეობა, რაც ფინანსურ არასტაბილურობას და გაურკვევლობას ქმნის. კომპანიები და ბიზნესები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან, რადგან ცრუ ჭორები და დეზინფორმაცია მათი რეპუტაციის დაზიანებას და სერიოზულ ფინანსურ ზარალს იწვევს. ასევე, ინვესტორთა ნდობა შეიძლება შეირყეს, რაც კაპიტალის გადინებასა და ეკონომიკური ზრდის შეფერხებას იწვევს. გარდა ამისა, ეროვნული უსაფრთხოებისთვის რისკები იზრდება კიბერ შპიონაჟისა და ყალბი ინფორმაციის გავრცელების გამო. მტრული ძალები იყენებენ სოციალურ მედიას კიბერ შპიონაჟისთვის, რაც ასუსტებს თავდაცვის სტრატეგიებს და

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

საფრთხეს უქმნის კონფიდენციალურ ინფორმაციას. ასევე, ყალბი ინფორმაციის სწრაფი გავრცელება კრიზისულ ვითარებაში – იქნება ეს ჯანდაცვის კრიზისი თუ გეოპოლიტიკური კონფლიქტი – იწვევს საზოგადოებრივ პანიკას, დაბნეულობას და მასობრივ ისტერიკას, რაც ასუსტებს სახელმწიფო პასუხს და ზოგად სტაბილურობას.

ამრიგად, სოციალური მედიის საშუალებით ინფორმაციის მანიპულაციას მრავალმხრივი ნეგატიური შედეგები აქვს, რაც აყალიბებს არასტაბილურობას, უნდობლობას და ეკონომიკურ ზიანს. ამ გამოწვევების დაძლევა საჭიროებს მედია წიგნიერების განვითარებას, სტრატეგიული საპასუხო ზომების გატარებას და სოციალური მედიის საინფორმაციო ომის საფრთხეების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

პრევენცია და წინააღმდეგობის მექანიზმები

AI და ფაქტების გადამოწმების ტექნოლოგიები[8]

- ავტომატური ინსტრუმენტები დეზინფორმაციის გამოსავლენად.
- რეალურ დროში კონტენტის მოდერაცია.

კანონმდებლობა და მთავრობის ჩარევა

- სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მკაცრი რეგულაციები დეზინფორმაციის წინააღმდეგ.
- სოციალური ქსელების კომპანიებთან თანამშრომლობა.

მოსახლეობის ინფორმირებულობა და ციფრული წიგნიერება

- საზოგადოებას უნდა შეეძლოს ყალბი ამბების ამოცნობა.
- კრიტიკული აზროვნების განვითარება.

კიბერუსაფრთხოების გაძლიერება

- მონაცემთა დაცვა და სოციალური ინჟინერიის პრევენცია.

პრევენცია და საპასუხო ღონისძიებები

[8] Golovchenko, Yevgeniy, Courtney Buntain, Gregory Eady, Michael A. Brown, and Joshua A. Tucker. "Cross-Platform State Propaganda: Russian Trolls on Twitter and YouTube during the 2016 U.S. Presidential Election." *The International Journal of Press/Politics* 25, no. 3 (2020): 357-389.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სოციალურ ქსელებში საინფორმაციო ომის რისკების შემცირების მიზნით, შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება, რომლებიც ფოკუსირებულია ტექნოლოგიურ განვითარებაზე, რეგულაციურ ზომებზე, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე, კიბერუსაფრთხოებასა და ხელოვნური ინტელექტის ეთიკურ გამოყენებაზე. ერთ-ერთი ძირითადი მიდგომა არის ხელოვნური ინტელექტისა და ფაქტების გადამოწმების ტექნოლოგიების გამოყენება. ავტომატიზებული ინსტრუმენტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დეზინფორმაციის ამოცნობასა და აღმოფხვრაში, რაც ხელს უწყობს ცრუ ნარატივების გავრცელების შეჩერებას. რეალურ დროში კონტენტის მოდერაციის მექანიზმები, რომლებიც დაფუძნებულია მანქანურ სწავლაზე, კიდევ უფრო აძლიერებს ამ პროცესს, რაც საშუალებას იძლევა დეზინფორმაციის შეზღუდვა მოხდეს მისი გავრცელების დაწყებამდე. დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია რეგულაციური პოლიტიკა და სახელმწიფო ჩარევა. სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ შესაბამისი კანონები, რომლებიც პასუხისგებაში მისცემს იმ პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მიზანმიმართულად ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებასა ან საზოგადოებრივ წესრიგს. ამასთანავე, აუცილებელია სახელმწიფოსა და სოციალური მედიის კომპანიებს შორის თანამშრომლობა, რათა მოხდეს მავნე კონტენტის ეფექტიანი მონიტორინგი და მისი დროული აღმოფხვრა. მკაფიო წესებისა და ერთობლივი მოქმედების მეშვეობით შესაძლებელია ციფრული სივრცის უსაფრთხოების გაძლიერება. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ციფრული წიგნიერების განვითარება ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია საინფორმაციო ომის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოსახლეობის განათლება ყალბი ამბების, პროპაგანდისა და მანიპულაციური კონტენტის ამოცნობის უნარების განვითარებაზე ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ მდგრადობას დეზინფორმაციის მიმართ. კრიტიკული აზროვნების წახალისება დაეხმარება ადამიანებს, რომ გადაამოწმონ წყაროები, შეაფასონ საეჭვო ნარატივები და გაარჩიონ სანდო ინფორმაცია მცდარისგან. ცნობიერების ამაღლების კამპანიები, მედია წიგნიერების პროგრამები და საგანმანათლებლო ინიციატივები საზოგადოების ციფრულ გარემოში პასუხისმგებლიან ნავიგაციას

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შეუწყობს ხელს. კიბერუსაფრთხოების ზომებს დიდი მნიშვნელობა აქვს კიბერსპიონაჟის თავიდან ასაცილებლად და მგრძნობიარე ინფორმაციის დაცვისთვის. უსაფრთხოების პროტოკოლების გაძლიერება ხელს უშლის ბოროტმოქმედებს მონაცემების უკანონო წვდომასა და მანიპულირებაში. უსაფრთხოების გაუმჯობესებული პრაქტიკები, როგორიცაა დაშიფვრა, უსაფრთხო ავთენტიკაცია და შეღწევადობის გამოვლენის სისტემები, უზრუნველყოფს მომხმარებლების დაცვას კიბერშეთევებისგან. მონაცემთა დაცვის პრიორიტეტიზებით შესაძლებელია მანიპულაციისა და დეზინფორმაციის გავრცელების რისკების შემცირება.

ბოლოს, აუცილებელია ეთიკური მიდგომების გათვალისწინება ხელოვნური ინტელექტისა და სოციალური მედიის მართვაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანობა და გამჭვირვალობა კონტენტის მოდერაციის პროცესში. ეთიკური ხელოვნური ინტელექტის დანერგვა ხელს შეუწყობს ალგორითმული მიკერძოების თავიდან აცილებას, რაც შესაძლოა უნებლიეთ გააძლიერებდეს დეზინფორმაციას ან შეავიწროებდეს სანდო ინფორმაციას. კონტენტის რეკომენდაციის სისტემებისა და მოდერაციის პოლიტიკის გამჭვირვალობა შექმნის მომხმარებლებს შორის ნდობას და სოციალური მედიის პლატფორმების პასუხისმგებლიანი ფუნქციონირების საფუძველს. მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ეთიკური ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ხელოვნური ინტელექტის ბოროტად გამოყენება საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების მიზნით.

ამ სტრატეგიების ინტეგრირებით შესაძლებელია საზოგადოები თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება საინფორმაციო ომის საფრთხეების წინააღმდეგ, რაც ხელს შეუწყობს უსაფრთხო და ინფორმირებულ ციფრულ გარემოს.

დასკვნა

სოციალური ქსელები თანამედროვე ციფრულ ეპოქაში იქცა არა მხოლოდ კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაზიარების საშუალებად, არამედ საინფორმაციო ომის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად. მათი ალგორითმული მექანიზმები და ხელოვნური ინტელექტის მოდელები ქმნიან ახალ ტიპის გავლენას საზოგა-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

დოებრივ ცნობიერებაზე, რაც პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სფეროებშიც აისახება. აღნიშნული პლატფორმები ხელს უწყობენ როგორც დემოკრატიული პროცესების გამჭვირვალობას, ისე მათი მანიპულაციის შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ, სოციალური ქსელები დღეს უკვე განიხილება როგორც „ციფრული ბრძოლის ველი", სადაც მიმდინარეობს ნარატივების, მოსაზრებებისა და სიმბოლური ძალაუფლების დაპირისპირება.

სოციალური მედიის ალგორითმები ხშირად აძლიერებენ ე.წ. ექოკამერებს, რაც საზოგადოებრივ პოლარიზაციას იწვევს. მომხმარებლები იღებენ მხოლოდ მათთვის სასურველ შინაარს, შედეგად კი მცირდება კრიტიკული აზროვნების უნარი და იზრდება მანიპულაციის რისკი. ამგვარად, დეზინფორმაციის კამპანიები ხშირად წარმატებით იყენებენ ფსიქოლოგიურ და ტექნოლოგიურ ხარვეზებს საზოგადოებაზე ზემოქმედებისთვის. ერთდროულად ვითარდება ღრმა ყალბი (deepfake) ტექნოლოგიები, რომლებიც ქმნიან რეალისტურ, მაგრამ ყალბ ვიდეო-და აუდიომასალებს, რითაც იბნევა საზოგადოებრივი აღქმა და ირღვევა ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მედიასაშუალებების მიმართ.სოციალური მედიის ალგორითმები ხშირად აძლიერებენ ე.წ. ექო-კამერებს, რაც საზოგადოებრივ პოლარიზაციას იწვევს. მომხმარებლები იღებენ მხოლოდ მათთვის სასურველ შინაარსს, შედეგად კი მცირდება კრიტიკული აზროვნების უნარი და იზრდება მანიპულაციის რისკი. ამგვარად, დეზინფორმაციის კამპანიები ხშირად წარმატებით იყენებენ ფსიქოლოგიურ და ტექნოლოგიურ ხარვეზებს საზოგადოებაზე ზემოქმედებისთვის. ერთდროულად ვითარდება ღრმა ყალბი (deepfake) ტექნოლოგიები, რომლებიც ქმნიან რეალისტურ, მაგრამ ყალბ ვიდეო და აუდიომასალებს, რითაც იბნევა საზოგადოებრივი აღქმა და ირღვევა ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მედიასაშუალებების მიმართ. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებელია პრევენციული მექანიზმების დანერგვა რამდენიმე მიმართულებით: ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე შექმნილი აქტჩეკინგის სისტემები, მკაცრი სახელმწიფო რეგულაციები, ციფრული წიგნიერების პროგრამები და საერთაშორისო თანამშრომლობა ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვისთვის. საქართველოს უსაფრთხოების კონტექსტში

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა და რეგიონში არსებული საინფორმაციო დაპირისპირებები აძლიერებს კიბერშეტევებისა და პროპაგანდის კამპანიების რისკებს. აუცილებელია ციფრული თავდაცვის სისტემების გამყარება და სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო სექტორს შორის კოორდინირებული კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება. მომავალი ტენდენციების ათვალისწინებით, კაცობრიობა შეიძლება შევიდეს „ალგორითმული ცივი ომის" ეპოქაში, სადაც სახელმწიფოები და კერძო სტრუქტურები ერთმანეთს შეეჯიბრებიან ინფორმაციის, მონაცემებისა და ზეგავლენის კონტროლში.

ბიბლიოგრაფია

Benkler, Y., Faris, R., & Roberts, H. *Network Propaganda: Manipulation, Disinformation, and Radicalization in American Politics.* Oxford University Press. (2018).

Bradshaw, S., & Howard, P. N. *Troops, Trolls and Troublemakers: A Global Inventory of Organized Social Media Manipulation.* Oxford Internet Institute. (2017).

Chesney, R., & Citron, D. *Deepfakes: A Looming Challenge for Privacy, Democracy, and National Security.* California Law Review, 107(6), (2019). 1753-1819.

Golovchenko, Y., Buntain, C., Eady, G., Brown, M. A., & Tucker, J. A. *Cross-Platform State Propaganda: Russian Trolls on Twitter and YouTube during the 2016 U.S. Presidential Election.* The International Journal of Press/Politics, 25(3), (2020). 357-389.

Marwick, A., & Lewis, R. *Media Manipulation and Disinformation Online.* Data & Society Research Institute. (2017).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ქიმია ომში

მერაბ ნადირაშვილი[1]
https://doi.org/10.61446/pa.3.2025.10288

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში არსებულმა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური რეალიების განსხვავებულობამ, სახელმწიფოთა შორის უსაფრთხოების საკითხში არსებულმა უნდობლობამ, სამხედრო სფეროს არნახული განვითარება განაპირობა. ასეთი პროგრესი, უდავოდ, მეცნიერების მაღალი დონითაა განპირობებული.

ერთი შეხედვით, ქიმიის მეცნიერების მონაწილეობა ამ პროგრესში თითქოს შეუმჩნეველია და მხოლოდ ქიმიური იარაღისა და მისგან თავდაცვის საშუალებათა შექმნით შემოიფარგლება. თუმცა, ეს ასე არ არის. ქიმია, საოცარი შესაძლებლობების მეცნიერებაა. მას შეუძლია შექმნას ბუნებაში არსებული და არარსებული ნივთიერებები, რომლებსაც უდიდესი პრაქტიკული გამოყენება აქვთ. აქ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი - სამხედრო სფეროა. აკადემიკოს ა.ნ. ფრუმკინის თქმით, ,,ქიმია არის ერთ-ერთი არსებითი ფაქტორთაგანი, რომელზეც დამოკიდებულია წარმატება თანამედროვე ომში...''

სტატიაში, მისი ფორმატის გათვალისწინებით, მოკლედაა განხილული ის ძირითადი აქცენტები, რომლებსაც ქიმიური მეცნიერება იძლევა სამხედრო საქმეში სტრატეგიული თუ ტაქტიკური ხასიათის ამოცანების გადაწყვეტისათვის.

საკვანძო სიტყვები: ქიმია, სამხედრო საქმე, ატომბირთვული პროცესები, სტრატეგია, ტაქტიკა, ფეთქებადი ნივთიერებები, სინთეზი, ანალიზი, ტესტირება...

[1] გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ქიმიის აკადემიური დოქტორი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Chemistry in War

Merab Nadirashvili[2]

Abstract

The divergence of political and socio-economic realities in the modern world, the distrust in the security issue between the States, has led to the unprecedented development of the military sphere. Such progress is undoubtedly due to the high level of science. At first glance, the participation of Chemistry scientists in this progress seems imperceptible and is limited only to the creation of chemical weapons and means of defense against it. However, this is not the case. Chemistry, is a science of amazing abilities. It is capable of creating substances present and non-existent in nature that have the greatest practical use. Here is one of the most important - the military sphere. According to Academician A.N. Frumkin ,,chemistry is one of the essential factors on which success in modern warfare depends...'' The article, taking into account its format, briefly discusses the main accents that chemical science gives for solving tasks of a strategic or tactical nature in military affairs.

Keywords: chemistry, military affairs, nuclear processes, strategy, tactics, explosives, synthesis, analysis, testing...

[2] Grigol Tsulukidze Mining Institute, Senior research associate, Academic Doctor of Chemistry

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

კაცობრიობის ისტორია – ომების ისტორიაა, ნათქვამია. თანამედროვე ეპოქაც, სამწუხაროდ, ამის ნათელი დადასტურებაა: რუსეთ-უკრაინის, ირან-ისრაელის სამხედრო დაპირისპირებაა, ,,დენთის სუნი'' სხვა რეგიონებში, არასტაბილური პოლიტიკური პროცესები - დღევანდელი რეალობაა.

ომი ადამიანის ყოფიერების თანამდევი და ტრაგიზმით გამორჩეული ატრიბუტი გახდა. დაპყრობითი თუ თავდაცვითი ომები, რევოლუციები, რელიგიური, ეთნიკური დაპირისპირებანი – აი მიზეზები, რომელთა გამოც ქვეყნები და ადამიანები სამკვდრო–სასიცოცხლოდ უპირისპირდებიან ერთმანეთს...

ისტორიაში ძნელად თუ ვიპოვით დროის მშვიდობიან, უმცირეს პერიოდსაც კი. საოცარი ფაქტია, ათასეული წლების მანძილზე ადამიანებმა ვერ ისწავლეს მშვიდობიანი თანაარსებობა: თვით ცივილიზებული ერები ომების თავიდან აცილებას ვერ ახერხებენ. ამის მაგალითად არცთუ შორეულ წარსულში ევროპის შუაგულში დაწყებული ორი მსოფლიო ომის გახსენებაც კმარა, როცა მაღალგანვითარებულ გერმანიაში აღმოცენებულმა მტაცებლურმა, ფაშისტურმა იდეოლოგიამ კაცობრიობა სიკვდილისა და ნგრევისათვის გაიმეტა...

ომის საფრთხეებზე ნაკლები არც ბუნებრივი, კატალიზმებია: გლობალური დათბობა, მიწისძვრები, წყალდიდობები, ციურ სხეულებთან შეჯახების უსიამოვნო პერსპექტივა და ა.შ.

ადამიანების მიერ ამ საფრთხეების არად ჩაგდება, მათი აცილებისათვის თანამშრომლობაზე უარის თქმა, ,,სამაგიეროდ'' თავისსავე მსგავსთა განადგურების საშუალებათა დახვეწაზე ზრუნვა, თანამედროვეობის მართლაცდა პარადოქსთა პარადოქსია.

ამიტომ, ჯერაც აქტუალურია ფრაზა: ,,გინდა მშვიდობა?! ემზადე ომისათვის!!!''

ომისათვის მზადებას კი უდიდესი ძალისხმევა, მატერიალური თუ სულიერი რესურსების მაქსიმალური მობილიზება სჭირდება. არც ისაა საკამათო, რომ სამომარ ვითარებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება მეცნიერებას. დღეს მსოფლიოს ის არმიებია წარმატებული, რომლებიც სამხედრო საქმეს თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების გამოყენებით წარმართავენ. აქ, ქიმიას გამორჩეული ადგილი უკავია.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე ცივილიზაციის არსებობა ქიმიის მიღწევების გარეშე წარმოუდგენელია. ალბათ, არ მოიძებნება ადამიანის მოღვაწეობის ისეთი სფერო, ეს მეცნიერება რომ არ მონაწილეობდეს. აქ ერთ-ერთი უპირველესი – სამხედრო საქმეა.

ქიმიას ეფუძნება მრავალი საომარი სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხების გადაჭრა. მეტიც, ხშირად ის სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკის განმსაზღვრელიცაა. რა იძლევა ამის თქმის საფუძველს?

1915 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, გერმანელების მიერ ფრანგების წინააღმდეგ ქლორის გამოყენება ქიმიური ომის პირველი პრეცედენტი იყო. ცხადია, ვერსალის ზავის „წნეხში" გერმანიის მოქცევისას, ამ ბარბაროსობასაც მიუძღვოდა წვლილი. მეორე მსოფლიო ომში იმავე გერმანელებმა ასიათასობით ტყვე გაანადგურეს მომწამლავი ნივთიერებით „ციკლონ-ბ." ეს ქიმიასთან დაკავშირებული ეპიზოდიც ერთ-ერთი უმძიმესი იყო იმ ბრალდებათაგან, საერთაშორისო ტრიბუნალმა რომ წაუყენა ფაშისტებს ნიურნბერგში. მართალია, ჟენევის (1925) და სხვა კონვენციებით ქიმიური იარაღის ომში გამოყენება აკრძალულია, მაგრამ როგორც ჩანს, კონვენციები აგრესორებს ვერ აჩერებენ, რაც ახლო წარსულში სირიაში მომწამლავი ნივთიერებების გამოყენების ფაქტებმაც დაადასტურა. ანუ, ქიმიური ომის საფრთხე და მისგან დაცვა, **ერთი რომელიმე ქვეყნის საზღვრებს სცილდება და მსოფლიო პრობლემად გვევლინება...**

ატომური და თერმობირთვული პროცესები

ზოგჯერ, ქიმია ეპოქალური აღმოჩენების გზამკვლევიც გამხდარა, რის მაგალითად ურანის ატომბირთვის გახლეჩის ისტორიაც კმარა. ამ უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ აღმოჩენას წინ უსწრებდა რადიოაქტივობის.[3]

მაინც რაში მდგომარეობს ქიმიკოსთა ღვაწლი ატომური ენერგიის შეცნობაში?

როგორც ცნობილია, ნელი ნეიტრონებით ბომბარდირებისას, ურანის ატომბირთვი U^{235} ატომგულურ გარდაქმნებს განიცდის. 1934 წელს, იტალიელი ენრიკო ფერმის მიერ განხორციელებული ეს პროცესი დიდი ენერგიის გამოყოფით წარიმართა.

[3] ანრი ბეკერელი, ნეიტრონის (1932, ჯეიმს ჩედვიკი) ხელოვნური რადიოაქტივობისა (1934, ირენ კიური, ფრედერიკ ჟოლიო) და სხვა უდიდესი აღმოჩენები, 1896, 1,2.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ანალოგიური შედეგები მიიღეს ჰანი-შტრასმანის ჯგუფმა ბერლინში და კიურების ოჯახმა - პარიზში... ყველამ შენიშნა ნეიტრონის მოქმედების ეფექტი, თუმცა პროცესის მექანიზმის ახსნა ვერავინ შეძლო.

თავდაპირველად, ცნობილ მეცნიერ-ატომისტებს, მათ შორის ენრიკო ფერმისაც, მიაჩნდათ, რომ ურანის ატომგულური გარდაქმნით მასით ახლოს მდგომი ტრანსურანული ელემენტები მიიღებოდა. ეს ასეც ხდება, თუ რეაქციაში მაღალი ენერგიის ნეიტრონებს გამოიყენებენ. თვისობრივად განსხვავებულია ურანის ნელი ნეიტრონებით ბომბარდირება. გერმანელმა ქიმიკოსებმა იდა და ვალტერ ნოდაკებმა, ნეიტრონის ზემოქმედებისას ურანის ატომბირთვის ორ მსხვილ „ნატეხად" - ცნობილი ელემენტების იზოტოპებად გაყოფა ივარაუდეს. ფიზიკოსებმა, პირველ რიგში კი - ფერმიმ, ეს ჰიპოთეზა არ გაიზიარეს. ასე გაგრძელდა 1938 წლის ბოლომდე, ვიდრე ოტო ჰანმა, რადიაციული ქიმიის უბადლო სპეციალისტმა, წერტილი არ დაუსვა ამ გაურკვევლობას: სკრუპულოზური ექსპერიმენტებით, დაადასტურა რა ქიმიკოსთა ჰიპოთეზა, მან აღმოაჩინა, რომ ნეიტრონი ურანის ატომბირთვს ორად - ბარიუმისა და კრიპტონის ატომბირთვებად ყოფს. შესაძლებელია სხვა იზოტოპური წყვილების წარმოქმნაც. ურანის ბირთვის პროტონები ნაწილდება „შვილობილ" ატომებში:[4]



მარტივი ნივთიერება ურანის დაშლით ორი ახალი მარტივი ნივთიერების (Ba + Kr ან Xe + Sr) წარმოქმნა არის ატომურ დონეზე მიმდინარე ქიმიური პროცესი. ამრიგად, ის, რაც ცნობილმა ფიზიკოსებმა ნილს ბორის ჩათვლით, ვერ შენიშნეს, ქიმიკოსებმა ივარაუდეს და ექსპერიმენტულად დაადასტურეს, შესაბამისად, ატომური საუკუნის ,,პიონერებად'' ფიზიკოსებთან ერთად ისინიც უნდა ჩაითვალონ...

[4]К. Нениценку, Общая химия, «Мир», Москва, 1968, с.737-769, 773.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ურანის დაშლის პროცესს თან ახლავს უდიდესი ენერგიის გამოთავისუფლება, რაც მილიონჯერ მეტია, ვიდრე მანამდე ცნობილი ყველა სხვა სახის ენერგია. ურანის ეს თვისება დაედო საფუძვლად რობერტ ოპენჰაიმერის ჯგუფის მიერ ამერიკაში ე.წ. ატომური ბომბის შექმნას, რომელიც 1945 წლის 16 ივლისს ნიუ-მექსიკოს შტატში გამოსცადეს.

რა განაპირობებს ურანის ატომბირთვების დაშლის დროს განუზომლად დიდი ენერგიის გამოყოფას? ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოციან წლებში, საბჭოთა ნობელიანტმა მეცნიერმა, ნ. სემიონოვმა წამოაყენა განშტოებული ჯაჭვური რეაქციების კონცეფცია, რომელთა მიმდინარეობისას საწყისი ნივთიერების მოლეკულასთან აქტიური ნაწილაკების ურთიერთქმედებისას წარმოიქმნება არა ერთი, არამედ ორი ან მეტი ახალი აქტიური ნაწილაკი. ერთი მათგანი აგრძელებს „ძველ" ჯაჭვს, ხოლო სხვები - ახალი ჯაჭვების ინიცირებას ახდენენ. აღნიშნული ზვავისებური მექანიზმებით მიმდინარეობს ჰალოგენწყალბადების სინთეზის, მოტორული საწვავისა და წყალბად-ჟანგბადის ნარევის, ანუ მგრგვინავი აირის აფეთქებითი გარდაქმნა. ქვემოთ ილუსტრირებულია უკანასკნელი პროცესი:[5]

$$H_2 + \frac{1}{2} O_2 \longrightarrow H_2O$$

$$H_2 + O_2 \longrightarrow \cdot OH + \cdot OH$$

$$\cdot OH + H_2 \longrightarrow H_2O + H\cdot$$

$$H\cdot + O_2 \longrightarrow \cdot OH + \dot{O}$$

$$\dot{O} + H_2 \longrightarrow \cdot OH + H\cdot$$

ანალოგიური მექანიზმით მიმდინარეობს ატომგულური გარდაქმნის პროცესებიც. ურანის ყოველი ატომი გახლეჩისას გამოყოფს სულ ცოტა ორ ან სამ ნეიტრონს მაინც. სამი ნეიტრონი გახლეჩს ურანის სამ ატომს, რომლებიც თავის მხრივ იძლევიან ცხრა ნეიტრონს. ეს უკანასკნელნი ხლეჩენ ცხრა სხვა ატომს 27 ნეიტრონის ამოტყორცნით და ა.შ. - გეომეტრიული პროგრესიით. ეს ხდება წამის უმცირეს ნაწილში, შედეგად კი გამოიყოფა უზარმაზარი ენერგია:

[5]Н. Л. Глинка, Общая химия, изд. «Химия», 1975, с. 54-59, 179.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0



რა არის საერთო ქიმიური დაშლის რეაქციებსა და ურანის ატომის გახლეჩვას შორის?! მოვიყვანოთ ქიმიური დაშლის მაგალითი:

$$2HgO \longrightarrow 2Hg + O_2$$

ვერცხლისწყლის ოქსიდი — ვერცხლის წყალი — ჟანგბადი

რთული ნივთიერების, ვერცხლისწყლის ოქსიდის დაშლისას, ვერცხლისწყლისა და ჟანგბადის ატომები მიიღება (ჟანგბადის ატომები წყვილდება მოლეკულებად). ანალოგიური რამ ხდება გამლღვალი მარილების ელექტროლიზის დროს.

ურანის ატომბირთვის დაშლა თვისობრივად განსხვავებული, თუმცა, პრინციპულად დაშლის ტიპიური რეაქციაა ატომბირთვულ დონეზე: აქ ერთი მძიმე ატომბირთვისაგან (ურანი) დაშლის შედეგად ორი მარტივი ნივთიერების ატომები მიიღება. შესაბამისად, ურანის აფეთქება, შედეგის მიხედვით, ქიმიურ დაშლას, ანუ ქიმიურ აფეთქებას შეიძლება მივაკუთვნოთ. იგივე მექანიზმი არეგულირებს ე.წ. თერმობირთვულ პროცესებსაც. ურანისა და სხვა მძიმე ატომბირთვების გაყოფისაგან განსხვავებით, აქ განუზომლად დიდი ენერგიის წარმოქმნას განაპირობებს მაღალ ტემპერატურებზე მსუბუქი ატომბირთვებიs შერწყმის, ანუ სინთეზის რეაქციები.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მზის ენერგიისა და თერმობირთვული პროცესების იგივეობის ჰიპოთეზა ავსტიელ მეცნიერს ფრიც ჰოუტერმანსს ეკუთვნის... ამ ჰიპოთეზის პრაქტიკულ რეალიზებას, XX ს. 50-იან წლებში ე.წ. ,,წყალბადის ბომბის'' შექმნა მოჰყვა.[6]

თერმობირთვული რეაქციების საკმაოდ ბევრი სახეობაა ცნობილი. აი ორი მათგანი:

1. deiteriumisa da triTiumis Serwyma:

$$ {}^{2}_{1}H + {}^{3}_{1}H \longrightarrow {}^{4}_{2}He + {}^{1}_{0}n $$

2. liTiumisa da deiteriumis Serwyma

$$ {}^{6}_{3}Li + {}^{2}_{1}H \longrightarrow 2\,{}^{4}_{2}He $$

წყალბადის ბომბის აფეთქება - ესაა უმართავი თერმობირთვული სინთეზი. აქ „საწვავად", ჩვეულებრივ, ლითიუმის დეიტერიდს იყენებენ. ასეთი ტიპის სინთეზის დაწყებას მილიონ გრადუსამდე ტემპერატურა სჭირდება, რაც ჩვეულებრივი ატომური ბომბის აფეთქებით მიიღწევა. წყალბადის ბომბის აფეთქების დროს წამის რამდენიმე მემილიონედ ნაწილში გამოიყოფა ენერგიის განუზომლად დიდი რაოდენობა. ამიტომ ასეთი ტიპის იარაღს უდიდესი დამანგრეველი ძალა გააჩნია.

თერმობირთვული აფეთქებაც, ზემოხსენებული მსჯელობის მიხედვით, ქიმიურ აფეთქებას უნდა მივაკუთვნოთ.

ამრიგად, ჰალოგენწყალბადების სინთეზიც, „მგრგვინავი აირისა" და მოტორული საწვავის აფეთქებაც, ურანისა და სხვა მძიმე ატომბირთვების გახლეჩაც და თერმობირთვული სინთეზიც, განშტოებული ჯაჭვური მექანიზმით მიმდინარეობს. ყველა შემთხვევაში, პროცესის შედეგი, საწყისი ნივთიერების შეცვლა, ანუ **ქიმიური** გარდაქმნაა...

სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანები

სტრატეგიული ამოცანების გადაჭრაში ქიმიის მონაწილეობას, ხშირად, ომის

[6] რ. იუნგი, „ათასი მზის ელვარებით", თბილისი, 1977, 37.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ბედზეც შეუძლია გავლენა მოახდინოს. აი ორიოდე მაგალითი:

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს, როდესაც გერმანიას სატელიტი ქვეყნები და მათ შორის ნავთობით მდიდარი რუმინეთი ჩამოსცილდა, ეს ქვეყანა აღმოჩნდა მოტორული საწვავის მკვეთრი დეფიციტის წინაშე. ქვანახშირით მდიდარმა გერმანიამ, რომელსაც ყოველთვის უძლიერესი ქიმიკოსები ჰყავდა, ეს პრობლემა იოლად გადაჭრა ფრანც ფიშერისა და ჰანს ტროპშის მიერ, XX ს. 20-იანი წლების დასაწყისში აღმოჩენილი სინთეზის წყალობით. კონკრეტულად, ქვანახშირის კატალიზური „გათხევადებით", მათ მიიღეს სინთეზური ბენზინი - სინტინი. პროცესის ქიმიზმი ასეთია:

სინთეზის პირველ ეტაპზე, გავარვარებულ ქვანახშირზე გადახურებული წყლის ორთქლის გატარებით მიიღება ე.წ. **„წყალგაზი"**:

$$C + H_2O \longrightarrow CO + H_2$$

ამავე ნარევს **სინთეზგაზსაც** უწოდებენ. ის, უშუალოდ, შეიძლება გამოყენებულ იქნას აირად საწვავად. სინთეზის მეორე ეტაპი ნახშირბადის ოქსიდის კატალიზური (Ru, Co, Fe, Ni) აღდგენითი **ოლიგომერიზაციაა,** სინტინის ფრაქციის წარმოქმნით[7]

$$n\,CO + (2n+1)\,H_2 \longrightarrow C_nH_{2n+2} + n\,H_2O$$

$$n\,CO + 2n\,H_2 \longrightarrow C_n\,H_{2n} + n\,H_2O$$

1944 წელს გერმანიაში სინთეზირებული იქნა 6 მილიონი ტონა სინტინი. შესაბამისად, ამ ქვეყანამ საომარი მოქმედებების ერთი წლით გახანგრძლივება შეძლო.

სტალინგრადის ეპოპეის შემდეგ, 1943 წლის ზაფხულში საბჭოთა არმიამ მეორე უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა კურსკთან. თუმცა, დასაწყისში, ამ ომში წარმატების მიღწევა ბეწვზე ეკიდა. საქმე იმაშია, რომ ახალი „იაკ-9" გამანადგურებლების ფრთის გარსაცმები, უხარისხო წებოთი და ნიტროსაღებავით იყო გაკეთებული და ჰაერთან შეხებისას სკდებოდა. ამ საგანგებო შემთხვევის გამო, მთელი

[7]Петров А.А., Бальян Х.В., Трощенко А.Т. Органическая химия, Высшая школа, Москва, 1973. с. 14-15.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

გამანადგურებელი ავიაციის ოპერაციაში მონაწილეობა საეჭვო გახდა. განსაკუთ-რებული ღონისძიებების გატარებით, პირველ რიგში ხარისხიანი ქიმიური მასალის გამოყენებით, მოხერხდა ამ დეფექტის გამოსწორება, რასაც გერმანელ-ფაშისტთა დამარცხება მოჰყვა.

სამხედრო საქმიანობის ყოველდღიურობაში ლოკალური ამოცანების გადაჭრაც, ხშირად, ქიმიური ნივთიერებების გამოყენებას მოითხოვს, მაგალითად:

ატომურ წყალქვეშა გემს შეუძლია თვეობით არ ამოცურდეს წყლის ზედაპირზე - მის ძრავს ჟანგბადი არ სჭირდება. ეკიპაჟისათვის საჭირო ჟანგბადის რეგენერაცია კი მარტივ ქიმიურ რეაქციებს ეფუძნება. მაგალითად, ნატრიუმის პეროქსიდისა და ნახშირბადის დიოქსიდის ურთიერთქმედება:

$$2Na_2O_2 + 2CO_2 \longrightarrow 2Na_2CO_3 + O_2\uparrow$$

ნატრიუმის სულფატის წყალხსნარის ელექტროლიზის დროს ანოდზე ჰიდროქსილის ანიონების განმუხტვა:

$$4HO^- - 4e^- \longrightarrow 2H_2O + O_2\uparrow$$

ე.წ. ქლორატ-სანთლების დაწვისას მასში არსებული ნატრიუმის ქლორატის დაშლა:

$$2NaClO_3 \longrightarrow 2NaCl + 3O_2\uparrow$$

ტუტე მეტალების ჰიდრიდები წყალთან რეაქციით აირად წყალბადს გამოყოფენ:

$$CaH_2 + 2H_2O \longrightarrow Ca(OH)_2 + 2H_2\uparrow$$

მეორე მსოფლიო ომის დროს, ოკეანის თავზე ავარიისას, ამერიკელი მფრინავები ამ გზით მიღებული წყალბადით ავსებდნენ გასაბერ ნავებს, ჟილეტებს, სასიგნალო ანტენებს, რაც მათი გადარჩენის რეალური შანსი იყო.

სამხედრო ტექნიკას, მოტორულ საწვავთან ერთად, ავტონომიური ელექტრული ენერგიაც ესაჭიროება. ამისათვის იყენებენ ტუტე- და მჟავა აკუმულატორებს, გალ-ვანურ ელემენტებს და ა.შ. ელექტროქიმიის დახმარებით შექმნილია ელექტროდე-ნის გენერაციის თანამედროვე აპარატურა მაღალი მ.ქ.კ.-ით და მოხმარების სიად-ვილით.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

დედამიწაზე ნავთობის მარაგის ამოწურვის პერსპექტივას ქიმიკოსები, გარდა სინტინის შექმნისა, შიდაწვის ძრავაში წყალბადის გამოყენების იდეითაც პასუხობენ. ამ აირისა და ჟანგბადის შენაზავი 2:1 პროპორციით არის უძლიერესი ფეთქებადი ნარევი - ე.წ. „მგრგვინავი" აირი. წყალბადის ამოუწურავი მარაგი მსოფლიო ოკეანეა. რაც შეეხება „გამონაბოლქვს", ეს სხვა არაფერია, თუ არა ეკოლოგიურად სუფთა წყლის ორთქლი. საჭიროა, „მხოლოდ", მოიძებნოს წყალბადის მიღების იაფი მეთოდი...

ქიმიური ნივთიერებები, სინთეზი და ანალიზი

ნივთიერებათა შექმნა, კვლევა და გამოყენება მთლიანად უკავშირდება ქიმიის ორ უპირველეს მეთოდს - სინთეზსა და ანალიზს. სინთეზის გზითაა შექმნილი მილიონობით ორგანული ნივთიერება, მათ შორის ფეთქებადი ნივთიერებების (ფნ) უდიდესი უმრავლესობა.

ახლადშექმნილი ნებისმიერი ნივთიერების, მათ შორის ფნების ქიმიური აგებულების დადგენა ანალიზის გარეშე შეუძლებელია. საყურადღებოა ისიც, რომ ქიმიური ანალიზის არეალი ხშირად სცილდება ქიმიის საზღვრებს და ისეთ მნიშვნელოვან დარგებშიც აღწევს, როგორიცაა კრიმინალისტიკა, კვების მრეწველობა, მინერალოგია, ფარმაცია, სამხედრო საქმე...

ამჟამად, ადამიანისთვის მილიონობით ქიმიური ნივთიერებაა ცნობილი. ამასთან, ორგანული ნივთიერებების, ანუ, ნახშირბადნაერთების რაოდენობა მრავალჯერ აღემატება არაორგანული (მინერალური) ნაერთებისას.

დედამიწაზე არსებული ქიმიური ელემენტებისა და მათი ნაერთების კლასიფიკაცია ბევრნაირია, თუმცა ორ ელემენტს - **ნახშირბადსა** და **სილიციუმს,** განსაკუთრებული ადგილი უკავიათ გარემომცველ სამყაროში. არაცოცხალ ბუნებაში დომინირებს სილიციუმი. დედამიწის ქერქში, მთის ქანებში, მინერალებში არსებული ნივთიერებები უმეტესად სილიციუმის ნაერთებია.

რაც შეეხება ცოცხალ ბუნებას, ის ნახშირბადის შენაერთების, ანუ ორგანული ნივთიერებების სამყაროა, რომლის მასშტაბები ბევრად უფრო შთამბეჭდავია.

ორგანულ ნივთიერებებს შეისწავლის ორგანული ქიმია. აქ ცენტრალური ელე-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მენტი ნახშირბადია. მასთან ერთად, ორგანული მოლეკულები შეიცავენ ე.წ. ელემ-ენტ-ორგანოგენებსაც: წყალბადს - H, ჟანგბადს – O, აზოტს – N, გოგირდს – S, ფოსფორს – P, ჰალოგენებს – Hal.

ორგანული ნაერთების მიღების უმნიშვნელოვანესი მეთოდი **სინთეზია**. ორგა-ნულ სინთეზს, პრაქტიკულად, უსაზღვრო შესაძლებლობები გააჩნია. დღეისათვის ცნობილი მილიონობით ორგანული ნივთიერება, სულაც არ არის ბევრი იმასთან შედარებით, რისი შექმნაც პოტენციურად არის შესაძლებელი. ამასთან, ბუნებრივი ორგანული ნაერთების გამოყოფა და შესწავლა ბევრად ჩამორჩება რაოდენობით – სინთეზურისას.

სინთეზის გზით შესაძლებელია, არამხოლოდ ინსულინის, ქინაქინის, ინდიგოს, კაუჩუკისა და სხვათა ,,კოპირება'', არამედ – ბუნებაში არარსებული უამრავი ახალი ნივთიერების შექმნაც. აქ ,,უამრავი'' – შედარებით მოკრძალებული სიტყვაა.

ორგანული ნაერთების სიმრავლის მიზეზი, პირველ რიგში, არის ნახშირბადის ქიმიური ბუნება, მაღალი ვალენტობა, უნარი, შექმნას ქიმიური ნაერთები მრავალ ელემენტთან, გადაებას ერთმანეთს გრძელ ჯაჭვებად ქიმიური ბმებით. ქიმიური აგებულების თეორიამ ახალი იმპულსი შესძინა **იზომერიის** მოვლენას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორგანულ ქიმიაში. ნახშირწყალბადებშიც კი, რო-მელთა მოლეკულები მხოლოდ C და H - ატომებისაგან შედგებიან, იზომერიის გა-მო ქიმიური ინდივიდუუმების უზარმაზარი რაოდენობაა შესაძლებელი. მაგალი-თად, თუ ბუთანს აქვს ორი იზომერი, $C_{20}H_{42}$ ნახშირწყალბადს - 366319. ეს ნიშნავს, რომ ატომთა ,,კომპლექტს'', რომელიც 20 ნახშირბადისა და 42 წყალბადატომისაგან შედგება 366319 განსხვავებული შეერთებით ამდენივე ნივთიერების მოცემა შეუძლია. უფრო მეტი იზომერები აქვთ ნახშირწყალბადების ნაწარმებს. ქიმიის თეორიამ და სინთეზის პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ამ ნივთიერებებს რეალობად აქცევს წარმატებული ორგანული სინთეზი.[8]

ქიმიკოს-ორგანიკოსებმა შეძლეს ასიათასობით სინთეზური ნივთიერებების სასარგებლო თვისებების შესწავლა და ადამიანის სამსახურში ჩაყენება, რაც უდა-

[8]Несмеянов А.Н., Несмеянов Н.А. Начала Органической химий, т.I., Изд. Химия, Москва, 1969. с. 12, 13, 299-302, 328.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ვოდ, ეპოქალური მოვლენაა მეცნიერებაში. ქვემოთ მოტანილია ორგანული (პოლიმერული) ქიმიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმის, რეზინის მოკლე დახასიათება.

თანამედროვე სამხედრო მანქანა, პირდაპირი და არაპირდაპირი გაგებით, დგას კაუჩუკისა და მისი ნაწარმის - რეზინის პროდუქციაზე.

დღეისათვის, ამ ორი უმნიშვნელოვანესი პროდუქტის წარმოება მსოფლიოში ათეულ მილიონობით ტონას შეადგენს. მათ გარეშე წარმოუდგენელია ტრანსპორტი, მათ შორის სამხედრო ტექნიკა, ავიაცია.

თვისებებითა და ქიმიური აგებულებით რეზინის „წინაპარია" კაუჩუკი. ნატურალური კაუჩუკის 96 % ჰევეასაგან მიიღება. ეს მცენარე გავრცელებულია ე.წ. ,,კაუჩუკის სარტყელში'' - ეკვატორიდან ჩრდილოეთით და სამხრეთით 1300 კმ სიგანის ზოლში.

XIX საუკუნეში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება ბუნებრივ კაუჩუკზე. საჭირო გახდა კაუჩუკის ქიმიური შედგენილობის დადგენა და სინთეზი. აღმოჩნდა, რომ ეს ნივთიერება მხოლოდ ნახშირბადისა და წყალბადისაგან შედგება, და რადგანაც ბრომიან წყალს აუფერულებს, ის არის არანაჯერი პოლიმერული ნივთიერება. ელემენტ- ანალიზით დადგენილ იქნა ფორმულა $(C_5H_8)n$, რის საფუძველზეც გაკეთდა დასკვნა, რომ კაუჩუკის პოლიმერული მოლეკულები შედგება **იზოპრენის** მონომერებისაგან:[9]



კაუჩუკის ნაკლოვანი თვისებებია დარბილება და წებოვნება გაცხელებისას, ხოლო სიმაგრე და სიმყიფე - გაყინვისას. ამ ნაკლის გამოსწორება შეიძლება კაუჩუკის გოგირდთან რეაქციით - **ვულკანიზაციით,** რის შედეგადაც მიიღება ბუნებაში არარსებული უძვირფასესი სამრეწველო პროდუქტი - **რეზინი.** ვულკანიზაციის პროცესში ხდება კაუჩუკის ხაზოვანი მაკრომოლეკულების სივრცითი ,,შეკერვა''

[9] იქვე. Несмеянов А.Н., Несмеянов Н.А. 1969. с. 12, 13, 299-302, 328.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

გოგირდის ,,ხიდებით'', მათში არსებული ორმაგი ბმების ხარჯზე. მიღებულ ვულკ-ანიზატს - რეზინს, აქვს მკვეთრად გაზრდილი სიმტკიცე და ცვეთამედეგობა, ელა-სტიურობა, სითბო- და ყინვამედეგობა და ა.შ. მაღალი ცვეთამედეგობა ახასიათებთ ბუთადიენის სტიროლთან და აკრილონიტრილთან ე.წ. **თანაპოლიმერიზაციით** მიღებულ კაუჩუკებსაც.

სამხედრო მრეწველობაში უდიდესი მნიშვნილობა აქვთ **პოლიმერულ მასალებს,** რომლებიც პოლიმერიზაციისა და პოლიკონდენსაციის პროცესებით იწარმოებიან.

ეს მასალებია ქიმიური ბოჭკოები, პლასტმასები და ა.შ. მაგალითის სახით მო-გვყავს ორგანული მინის, ანუ **პლექსიგლასისა და ფენოლფორმალდეჰიდური** ფი-სების ფორმულები:[10,11]



პოლიმეთილმეტაკრილატი, ანუ პლექსიგლასი



ფენოლფორმალდეჰიდური პოლიმერული მოლეკულა

სამხედრო საქმეში აქტიურად გამოიყენება უამრავი არაორგანული ნივთიერება. აი, ზოგიერთი მათგანი:[12]

ქლორიანი კირი $CaOCl_2$ გამოიყენება დეგაზაციის დროს, წყლის დაქლორები-სათვის, ასევე სადეზინფექციო საშუალებად.

[10] იქვე. Несмеянов А.Н., Несмеянов Н.А. 1969. с. 12, 13, 299-302, 328.
[11]Несмеянов А.Н., Несмеянов Н.А. Начала Органической химий, т.II., Изд. Химия, Москва, 1969. с. 124.
[12]Химический энциклопедический словарь. Советская энциклопедия, Москва, 1983. сс. 294, 542, 615.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ბერტოლეს მარილი $KClO_3$, წვის უნარის მქონე სხვადასხვა ნივთიერებებთან წარმოქმნის ფეთქებად ნარევებს, რომლებიც საარტილერიო საქმეში, პიროტექნიკაში და ასანთის წარმოებაში გამოიყენება.

თეთრი ფოსფორი გამოიყენება ცეცხლგამჩენი ნივთიერებების სახით, საავიაციო ბომბების, ნაღმების, ყუმბარების დასამზადებლად. წვის ტემპერატურა 1200^0 C-ს აღწევს.

ფოსფორის ანჰიდრიდი P_2O_5 წარმოიქმნება ფოსფორის წვისას ჰაერში. მისი ორთქლი ტენს იზიდავს და წარმოქმნის სქელ, თეთრ კვამლს. იყენებენ ე.წ. ,,კვამლის ფარდის'' შესაქმნელად.

გრაფიტს - ელემენტ ნახშირბადის ალოტროპულ სახეცვლილებას, იყენებენ ატომურ რეაქტორებში ნეიტრონების შემაკავებლად, ასევე, წყალქვეშა ნავებისა და რაკეტების წარმოებაში.

ოქსილიქვიტები - გათხევადებული ჟანგბადისა და ფოროვანი ორგანული მშთანთქმელებისაგან მიღებული ბრიზანტული ფნებია. გამოიყენება, როგორც სამხედრო, ასევე სამთო საქმეშიც.

ნახშირბადის დიოქსიდი CO_2 წვას ხელს არ უწყობს. მისი ეს თვისება გამოიყენება ხანძრის ჩასაქრობად. გათხევადებული CO_2 გამოიყენება თანამედროვე სამხედრო თვითმფრინავების რეაქტიული ძრავების ხანძრისაგან დასაცავად.

სილიციუმი Si, რომელსაც ნახევარგამტარის თვისებები აქვს, გამოიყენება თანამედროვე სამხედრო ელექტრონიკაში, ასევე მზის ბატარეების, ტრანზისტორების, დიოდების დასამზადებლად.

სილიციუმის დიოქსიდი, ანუ კაჟმიწა SiO_2, გვხვდება მინერალ კვარცის სახით.

გაუსუფთავებელი კვარცი არის ჩვეულებრივი ქვიშა, რომლის მოხმარება მსოფლიოში ასეულმილიონობით ტონით განისაზღვრება.

მინა სილიკატური ნაწარმია, რომლის ფორმულაა $Na_2O \cdot CaO \cdot 6SiO_2$.

ცემენტი უმნიშვნელოვანესი სამშენებლო მასალაა, რომლის შემადგენლობაში კალციუმის, სილიციუმის, ალუმინისა და რკინის ოქსიდები მონაწილეობენ. მისი ერთ-ერთი ფორმულა ასეთია - $3CaO \cdot SiO_2$.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მეტალები და მათი შენადნობები უდიდეს გამოყენებას პოულობენ სამხედრო საქმეში, როგორც სამხედრო ტექნიკის - ჯავშანმანქანების, თვითმფრინავების, ტანკების დასამზადებლად, ასევე სამხედრო ინფრასტრუქტურის მოსაწყობადაც. თუჯი, ფოლადი, დურალუმინი, სილუმინი, ბრინჯაო, თითბერი - ეს ის შენადნობებია, რომელთაგან მრავალი სამხედრო ნაკეთობა მზადდება.

ფეთქებადი ნივთიერებები

თანამედროვე სამყარო ძნელი წარმოსადგენია ფნების გარეშე. აფეთქება - ფნების ექსკლუზიური, უმნიშვნელოვანესი თვისებაა. ეს ,,სწრაფი'' ენერგიაა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას არამხოლოდ ომში, არამედ მშვიდობიან პერიოდშიც: სამთო საქმეში, ინფრასტრუქტურის მოწყობისას და ა.შ.

ქვემოთ მოტანილია უმნიშვნელოვანესი ფნების ფორმულები, რომლებიც დაყოფილია ქიმიური ნივთიერებების კლასებისადმი მათი მიკუთვნების შესაბამისად:[13]

პოლინიტროარომატული PNA ნაერთები:



ტროტილი TNT



პიკრინმჟავა TNP



ტრინიტრო-ბენზოლი TNB



ჰექსანიტრო-ბენზოლი HNB

აზოტმჟავას ესტერები



ნიტროგლიცერინი



ტენი



ნიტროცელულოზა

ნიტრამინები

[13]მ. ნადირაშვილი ,,ვადაგასული პოლინიტროარომატული ფეთქებადი ნივთიერებების უტილიზაცია-რეციკლირების მეთოდოლოგიის კვლევა'', სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, შრომები, N1, გვ. 52-60, გორი, 2023.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0



ჰექსოგენი



ოქტოგენი



CL-20

უკანასკნელი ნივთიერება CL-20 სინთეზირებულია მეოცე საუკუნის ბოლოს აშშ-ში. ის, დღეს ცნობილ ფნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი სიმძლავრის მქონე ფეთქებადი ნივთიერებაა.[14]

დასკვნა

და ბოლოს, უმნიშვნელოვანესი სამხედრო ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია იმ ქიმიური ნივთიერებების, მასალების, ხელსაწყოების გარეშე, რომლებიც ქიმიური მეცნიერების მიერაა შექმნილი.

დღეს არსებული მასობრივი განადგურების იარაღის, ასევე „ჩვეულებრივი" შეიარაღების სახეობებისა და მათგან დაცვის საშუალებების შექმნა დიდწილად ქიმიურ პროცესებზეა დამოკიდებული. არც ისაა საკამათო, რომ ქიმიის გარეშე შეუძლებელია ტროტილის, ტენის, პიკრინმჟავას, ოქტანიტროკუბანის, CL-20-ის, ამონიტების, დენთებისა და სხვა ფეთქებადი ნივთიერებების სინთეზი და დანიშნულებისამებრ გამოყენება; ამონიუმის ქლორიდით, ფოსფორის ანჰიდრიდით და ა. შ. „კვამლის ფარდის" მომზადება; აირწინაღების შექმნა და მოწამლული ობიექტების დეგაზაცია ანტიდოტებით, ანუ სპეციალური ქიმიური რეაგენტებით; ცეცხლგამჩენი ნარევების მომზადება, ცეცხლმაქრების გამოყენება, ტუტე და მჟავური აკუმულატორების გამართვა; კოროზიისაგან დაცვის ქიმიური საშუალებების, კაუჩუკის, რეზინის, პოლიმერების, ქიმიური ბოჭკოების, საწვავ-საცხები მასალების, ფარმაცევტული პრეპარატების შექმნა; ქიმიური სამშენებლო მასალების, მეტალებისა და შენადნობების გამოყენება და მრავალი სხვა ქიმიური ოპერაციების შესრულება.

[14] U.R. Nair, R. Sivabalan, ets., Hexanitrohexaazaisowurzitane (CL-20), CL-20 based formulations (review), Combustion, Explosion and Shock Waves, Volume 41, March 2005. pp. 121-132.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

... ამ, მიმოხილვით, გვსურს წარმოვაჩინოთ სამხედრო მეცნიერებაში ქიმიის როლი და მნიშვნელობა. ეს საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ფიზიკასთან და სხვა მეცნიერებებთან ერთად, არის ის ბაზისი, რომელზეც დგას თანამედროვე სამხედრო საქმე...

ბიბლიოგრაფია

Нениценку, К.Общая химия, «Мир», Москва, 1968, с.737-769, 773.

Глинка, Н. Л. Общая химия, изд. «Химия», 1975, с. 54-59, 179.

Лоуренс, У. Л. «Люди и атомы», Москва, 1967, 24.

იუნგი, რ. „ათასი მზის ელვარებით", თბილისი, 1977, 37.

Петров А.А., Бальян Х.В., Трощенко А.Т. Органическая химия, Высшая школа, Москва, 1973. с. 14-15.

Несмеянов А.Н., Несмеянов Н.А. Начала Органической химий, т.I., Изд. Химия, Москва, 1969. с. 12, 13, 299-302, 328.

Несмеянов А.Н., Несмеянов Н.А. Начала Органической химий, т.II., Изд. Химия, Москва, 1969. с. 124.

Химический энциклопедический словарь. Советская энциклопедия, Москва, 1983. сс. 294, 542, 615.

ნადირაშვილი, მ. ,,ვადაგასული პოლინიტროარომატული ფეთქებადი ნივთიერებების უტილიზაცია-რეციკლირების მეთოდოლოგიის კვლევა'', სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, შრომები, N1, გვ. 52-60, გორი, 2023.

Nair, U.R. Sivabalan, R.ets., Hexanitrohexaazaisowurzitane (CL-20), CL-20 based formulations (review), Combustion, Explosion and Shock Waves, Volume 41, March 2005. pp. 121-132.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

გლობალური დათბობის პირობებში სასმელი წყლის რესურსების დეფიციტის რისკები და მათი მდგრადი მართვის აუცილებლობა საქართველოში

სოფიო ბაციკაძე[1]
https://doi.org/10.61446/pa.3.2025.10287

აბსტრაქტი

სტატია განიხილავს გლობალური დათბობის ზეგავლენას მტკნარი წყლის ციკლზე და სასმელი წყლის რესურსების დეფიციტის გლობალურ ტენდენციებზე, რომელთა შორის აღსანიშნავია **ნალექების სივრცით-დროითი განაწილების ცვალებადობა, გვალვების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდა** და **მყინვარების დნობით გამოწვეული მდინარეთა დინების რეჟიმის სეზონური გადალაგება.** აღნიშნული პროცესები არღვევს ბუნებრივ ჰიდროლოგიურ ბალანსს, ამცირებს წყლის რესურსების პროგნოზირებადობას და ზრდის როგორც რაოდენობრივი ხელმისაწვდომობის, ისე ხარისხობრივი უსაფრთხოების რისკებს. შედეგად, მატულობს ექსტრემალური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების (განგრძივებული გვალვები, უეცარი წყალმცირობა) ალბათობა, რაც განსაკუთრებით მტკნარი წყლის მარაგებზე დამოკიდებულ რეგიონებს უქმნის გამოწვევებს წყლის მართვისა და უსაფრთხო წყალზე წვდომის უზრუნველყოფის კუთხით. ამ გლობალურ კონტექსტში აღწერილია საქართველოს მდგომარეობა: მიუხედავად შედარებით მდიდარი წყლის რესურსებისა, კლიმატის ცვლილებასთან ერთად, მმართველობით და ინფრასტრუქტურულ შეზღუდვებთან კომბინაციაში, იზრდება რესურსების დეფიციტისა და უსაფრთხო წყალზე ხელმისაწვდომობის რისკი. ნაშრომი ეყრდნობა დოკუმენტურ მიმოხილვასა და შედარებით მაგალითებს (ისრაელი, კანადა) და მიმოიხილავს ქვეყნის საკანონმდებლო ჩარჩოს და პრაქტიკულ გამოწვევებს: ინფრასტრუქტურის მოძველებასა და წყლის დანაკარგებს, წყალმომარაგების დროებით ან ტერიტორიულ შეზღუდვებს, უსაფრთხო წყალზე თანაბარ წვდომასთან დაკავშირებულ პრობლემებს, არასაკმარის ლაბორატორიულ მონიტორინგს და რეგიონულ დისბალანსს (რესურსების კონცენტრაცია დასავლეთ საქართველოში). სათანადოდ არის ხაზგასმული აღურიცხავი ქსელები და კონტროლის არასრულფასოვანი მექანიზმები, რაც განსაკუთრებით იჩენს თავს აღმოსავლეთ რეგიონებში; შესაბამის კონტექსტს ამყარებს სურსათის ეროვნული სააგენტოს 2015–2020 წლების სინჯების პრაქტიკა, სადაც ფიქსირდება ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საფრთხეები. განსაზღვრულია უწყებათაშორისი კოორდინაციის სისუსტე და ერთიანი პოლიტიკის დეფიციტი, რაც აფერხებს გეგმიურ მართვასა და თანამედროვე მონიტორინგის სისტემებზე გადასვლას. დასკვნით ნაწილში დასაბუთებულია ერთიანი ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის აუცილებლობა, აუზობრივ მართვაზე გადასვლა, ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი განახლება, მონაცემებზე დაფუძნებული მონიტორინგის დამკვიდრება და სპეციალიზებული საკოორდინაციო ორგანოს შექმნა; დამატებით, ხაზგასმულია კერძო სექტორის პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრა სასმელი წყლის ხარისხსა და მიწოდებაზე.

საკვანძო სიტყვები: გლობალური დათბობა; კლიმატის ცვლილება; სასმელი წყლის რესურსები; წყლის დეფიციტი; მდგრადი წყლის მართვა; აუზობრივი მართვა; უსაფრთხო წყალზე წვდომა; წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა; წყლის დანაკარგები; ლაბორატორიული მონიტორინგი; უწყებათაშორისი კოორდინაცია; საქართველო.

[1]საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Risks of Drinking-Water Resource Scarcity under Global Warming and the Necessity of Sustainable Management in Georgia

Sophio Batsikadze[2]

Abstract

The article examines the impact of global warming on the freshwater cycle and on global trends in drinking-water resource scarcity, among which particularly salient are the spatiotemporal variability of precipitation, the rising frequency and intensity of droughts, and the seasonal reconfiguration of river-flow regimes driven by glacier melt. These processes disrupt the natural hydrological balance, reduce the predictability of water resources, and heighten risks to both quantitative availability and quality safety. Consequently, the probability of extreme hydrometeorological events (prolonged droughts, sudden low-flow conditions) increases, creating structural challenges for regions dependent on freshwater reserves in terms of water management and ensuring access to safe drinking water.

Within this global context, the article describes Georgia's situation: despite relatively abundant water resources, climate change—combined with governance and infrastructural constraints—elevates the risks of scarcity and limited access. The study relies on a documentary review and comparative cases (Israel, Canada) and surveys the country's legal framework alongside practical challenges: aging infrastructure and water losses, temporary or spatial constraints in water supply, inequities in access to safe water, insufficient laboratory monitoring, and a pronounced regional imbalance (concentration of resources in western Georgia). It duly highlights unregistered networks and inadequate control mechanisms, which are especially evident in the eastern regions; this is corroborated by the National Food Agency's sampling practices for 2015–2020, which record physical, chemical, and biological hazards. The analysis identifies weak interagency coordination and the absence of a unified policy, impeding planned management and the transition to modern monitoring systems. In conclusion, the article substantiates the need for a national strategy and action plan, a shift to river-basin management, phased infrastructure renewal, the institutionalization of data-driven monitoring, and the establishment of a dedicated coordinating body; additionally, it underscores the clear delineation of private-sector responsibilities for water quality and provision.

Keywords: global warming; climate change; drinking-water resources; water scarcity; sustainable water management; river-basin management; access to safe water; water supply infrastructure; water losses; laboratory monitoring; interagency coordination; Georgia.

[2] Deputy Head of the Legal Support Department, Legal Department, Ministry of Defense of Georgia; Doctoral Candidate in the Public Administration PhD Program, Georgian Technical University

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

არცთუ დიდი ხნის წინათ გლობალური დათბობისა და კლიმატის ცვლილების საკითხებზე მწვავე დისკუსიები იმართებოდა. ბევრისთვის გლობალური დათბობა სადავო საკითად განიხილებოდა. თუმცა, დღეს ამ კუთხით საკმარისზე მეტი მეცნიერული მტკიცებულება არსებობს და კლიმატურ პროცესებზეც უფრო სრული წარმოდგენა გვაქვს, ვიდრე თუნდაც 10 წლის წინათ.[3]

გლობალური დათბობა და კლიმატის ცვლილება თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე მწვავე გარემოსდაცვით გამოწვევად იქცა. მეცნიერები მიუთითებენ, რომ საშუალო გლობალური ტემპერატურის მატება მნიშვნელოვან გავლენას ახ-დენს ჰიდროლოგიურ ციკლზე, იწვევს ნალექების განაწილების ცვლილებას, გვალ-ვების გახშირებას და მტკნარი წყლის რესურსების დეფიციტს[4]. გარდა ამისა, მყინ-ვარების დნობა, განაპირობებს მდინარეთა ჩამონადენის ცვლილებას. მიუხედავად იმისა, რომ მყინვარების დნობა თავდაპირველად ზრდის მდინარეთა წყლის დონეს, გრძელვადიან პერსპექტივაში მცირდება სასმელი წყლის რესურსიც[5].

მიუხედავად იმისა, რომ დედამიწის ზედაპირის 3/4 წლითაა დაფარული, მხო-ლოდ 3%-ია სასმელად ვარგისი. მეტიც, აქედან მხოლოდ 0.3% მოდის მდინარეებზე, ტბებსა და მიწისქვეშა წყლებზე, ხოლო დანარჩენი მყინვარების სახითაა ლოკალი-ზებული. შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წყლის დეფიციტია. თუ გლობალური დათბობისა და მიწების გაუდაბნოების ტემპი ასეთი სიხშირით გაგრძელდა, 2025 წლისთვის დედამიწის მოსახლეობის 2/3-ს შეექმნება სასმელი წყლის დეფიციტი. დღეს-დღეისობით ამგვარი პრობლემის წი-ნაშე დედამიწის მოსახლეობის 40% დგას[6]. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წყლის ექსპერტების ხელმძღვანელობით ჩატარებულმა წყლის უსაფრთხოების გლობალურმა შეფასებამ დაადგინა, რომ მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობა

[3]კლიმატის ცვლილება გამოწვევები და პრობლემების დაძლევის გზები". პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. 2021წ.
[4]IPCC Sixth Assessment Report, "Climate Change 2021: The Physical Science Basis",. https://surl.li/ylrvgu, გადამოწმებულია . 20.11.2025
[5]Global Warming Is Wreaking Havoc on the Planet's Water Cycle. Fernanda González Science Jan 10, 2025. https://surl.lu/qjvitn, გადამოწმებულია . 20.11.2025
[6] ISO Consulting Blog. Oct 30, 2019. სასმელი წყლის დეფიციტი მსოფლიოში. https://surl.li/nrdlez, გადამოწმებულია . 20.11.2025

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ამჟამად სასმელი წყლის სიმცირის პირობებში ცხოვრობს, რაც საგანგაშო ტენდენციად ფასდება. წყლის უსაფრთხოების სტატუსის უფრო რეალისტური გაგების უზრუნველსაყოფად, გაეროს ამ შეფასებამ წყლის უსაფრთხოება 10 კომპონენტზე შეაფასა: სასმელი წყალი, სანიტარული მდგომარეობა, კარგი ჯანმრთელობა, წყლის ხარისხი, წყლის ხელმისაწვდომობა, წყლის ღირებულება, წყლის მართვა, ადამიანის უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება და წყლის რესურსების სტაბილურობა. შედეგები შემაშფოთებელია: მსოფლიო მოსახლეობის 78% ამჟამად წყლის, მათ შორის სასმელი წყლის, რესურსების დეფიციტს განიცდის[7].

აღსანიშნავია ისიც, რომ ბუნებრივი წყლის უხვი ხელმისაწვდომობა სულაც არ უზრუნველყოფს წყლის მარაგების შეუზღუდავი მოხმარების პოტენციალს და მით უფრო არ უზრუნველყოფს უსაფრთხო სასმელი წყლის ხელმისაწვდომობას. უსაფრთხო სასმელ წყალზე წვდომა ჯერ კიდევ გლობალური მოსახლეობის ნახევარზე მეტის ოცნებაა. 70%-ზე მეტს არ აქვს უსაფრთხო სასმელ წყალზე წვდომა, მათგან ყველაზე ცუდ დღეშია აფრიკის სახელმწიფოები, სადაც რეგიონის მხოლოდ 15%-ს მიუწვდება ხელი სუფთა წყალზე[8].

ძირითადი ნაწილი

ზემოაღნიშნული გამოწვევების შედეგად, წყლის რესურსების სიმცირე და ხარისხიან წყალზე ხელმისაწვდომობა სერიოზულ პრობლემად იქცა მსოფლიოს მრავალ რეგიონში, მათ შორის ისეთ ქვეყნებში, რომლებიც ტრადიციულად მდიდრები იყვნენ მტკნარი წყლით[9].

კლიმატური ცვლილებების წინაშე საქართველოც უძლური აღმოჩნდა. მართალია ქვეყანა მდიდარია წყლის რესურსებით, თუმცა კლიმატის ცვლილებისა და წყლის რესურსების არასაკმარისი მართვის პირობებში, სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა მომავალში შესაძლოა პრობლემად იქცეს. კვლევები აჩვენებს, რომ ამჟამად, ქვეყანაში არსებული წყლის რესურსები სრულად აკმაყოფილებს წყალზე,

[7]კლიმატის ცვლილება გამოწვევები და პრობლემების დაძლევის გზები. undp_ge_ee_climate-change_publication-for-media_2021_geo.pdf. ევროკავშირი საქართველოსთვის. https://surl.lt/jnoecw, გადამოწმებულია . 20.11.2025
[8] Global Water Security 2023 Assessment. Originally published 23 Mar 2023.
[9] UN World Water Development Report 2022. United nations. https://surl.lt/angrgy, გადამოწმებულია . 20.11.2025

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მათ შორის სასმელ წყალზე მოთხოვნას, თუმცა, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ გლობალური დათბობის პირობებში, წყალზე მოთხოვნის გაზრდის შემთხვევაში, შესაძლოა წყლის დეფიციტი შეიქმნას.[10]

საქართველოში არსებული მდგომარეობის განხილვამდე, მიზანშეწონილი იქნება ისრაელის მაგალითის მოყვანა და იმის წარმოჩენა თუ როგორი რთული გეოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით უწევს ქვეყანას წყლის მოპოვება, თუმცა ეფექტური პოლიტიკის გატარებით უზრუნველყოფილია ხარისხიანი წყლის უწყვეტი მიწოდება მოსახლეობისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ისრაელში ფაქტობრივად წყალი არ არის, ის მთისქვეშა და მიწისქვეშა ტბებიდან ამოტუმბვის შედეგად მოიპოვება და ყველა მოქალაქეს უწყვეტად მიეწოდება. ისრაელში წყლის რესურსების მართვას უზრუნველყოფს ისრაელის წყლის ორგანო (Water Authority), რომელიც პასუხისმგებელია წყლის რესურსების დაგეგმვასა და მართვაზე, მათ შორის წყლის მიწოდების, ხარისხის კონტროლისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.[11] კარგი მაგალითია კანადაც, ის გამოირჩევა მდიდარი წყლის რესურსებითა და ეფექტური მართვის სისტემით, რომელიც გარემოს დაცვასა და მოსახლეობის საჭიროებებს აერთიანებს. ქვეყანა იყენებს მდინარეთა აუზების მართვის მოდელს, რაც წყლის რესურსების თანაბარ განაწილებას უწყობს ხელს. მკაცრი კანონმდებლობა, თანამედროვე მონიტორინგისა, წყლის გაფილტვრის ტექნოლოგიები და საზოგადოებრივი ჩართულობა კანადას წარმატებულ მოდელად აქცევს.

რაც შეეხება საქართველოს, გლობალური დათბობის პირობებში, როდესაც მსოფლიოში ასე მწვავედ დგას სასმელი წყლის რესურსების სიმცირის საკითხი, ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გაცნობიერებული სასმელი წყლის რესურსების სისტემის არსებობის მნიშვნელობა და სრულყოფილად არ არის ჩამოყალიბებული ზოგადად წყლის რესურსების მართვის სახელმწიფო პოლიტიკა. მართვის პროცესში ჩანს ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევები როგორიცაა: სასმელი წყლის დანაკარგები, მოსახლეობისათვის სასმელი წყლის შეზღუდული მიწოდება, უვნებელი

[10]გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული ანგარიში, 2013წ.
[11] Water Infrastructure in Israel. Published on June 5, 2023. https://surl.lt/ytmugq, გადამოწმებულია . 20.11.2025

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

წყლის ხელმისაწვდომობა, მოძველებული ინფრასტრუქტურა, არასაკმარისი ლაბორატორიული კვლევები, აღურიცხავი წყალსადენები და კონტროლის არასათანადო ზომები. ეს იმ გამოწვევების მცირე ჩამონათვალია, რომლის წინაშეც დგას საქართველოს სასმელი წყლის სისტემა.

სასმელი წყლის მართვასთან დაკავშირებულ მთავარ გამოწვევად მაინც გვევლინება ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა. ამ მიმართულებით საინტერესოა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ აღებული სასმელი წყლის სინჯები 2015-2020 წლის მონაცემები, რომელიც მოიცავდა 12 რეგიონს, ამ წლების მიხედვით საქართველოს მასშტაბით აღებულ იქნა 3363 სინჯი, რომელთაგან ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საფრთხეები იკვეთება და შესაძლებელია საფრთხე შეუქმნან მოსახლეობის ჯანმრთელობას. მიუხედავად ამ კვლევისა, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ კვლევა არასკმარისია რადგან არ ხდება ყველა რეგიონიდან და ყველა წყლის რესურსიდან სინჯის აღება[12].

გარდა აღნიშნულისა მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ის რომ წყლის რესურსები არათანაბრად არის გადანაწილებული და უმეტესად ქვეყნის დასავლეთ ნაწილშია თავმოყრილი, მაშინ როცა წყლის რესურსებით შედარებით ღარიბი აღმოსავლეთ ნაწილი შეზღუდული რესურსის პირობებში რჩება.

საქართველოს წინაშე არსებული გამომწვევებიდან გამომდინარე, საინტერესო იქნება მიმოვიხილოთ დღეს არსებული მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები.

საკანონმდებლო ბაზის თვალსაზრისით დღეის მდგომარეობით ქვეყანას გააჩნია საქართველოს კანონი ,,წყლის რესურსების მართვის შესახებ"[13], რომელიც ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით[14] ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით შემუშავდა და სფეროს რეფორმის კუთხით მნიშვნელოვან

[12]სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2018-2021 წლების პროგრამებსა და ანგარიში.
[13],,წყლის რესურსების მართვის შესახებ" საქართველოს კანონი.
[14] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. https://surl.lu/vxinmp, . გადამოწმებულია . 20.11.2025

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. კანონის თანახმად, სუფთა წყალთან მოქალაქეთა წვდომის უფლება, წყლის რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენების შესაძლებლობა წარმოადგენს წყლის რესურსების მართვის მთავარ ამომავალ წერტილს. ქვეყანაში ასევე მოქმედებს ,,სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი''[15], რომელიც 2014 წელს დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ და ადგენს ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების სანიტარიულ ნორმებს სასმელი წყლისათვის. ამასთან, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის" თანახმად, განისაზღვრება თბილისის წყალსაცავის დაცვის რეჟიმი. წყლის რესურსების მართვა რეგულირდება არა მხოლოდ ძირითადი კანონით, არამედ შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებითაც, რომლებიც განსაზღვრავენ წყლის მართვის დამატებით მექანიზმებს. თუმცა, ამ აქტებში ღონისძიებები ფრაგმენტულად არის გაწერილი, რაც იწვევს ინფორმაციის კოორდინაციის ნაკლებობას პრაქტიკული განხორციელებისას.

მიუხედავად საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობისა, იკვეთება ქვეყანაში სასმელი წყლის რესურსების მართვის ერთიანი მიდგომის დეფიციტი. არ არსებობს ზემოაღნიშნული კანონის მიზნების გათვალისწინებით შექმნილი ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს სათანადო ღონისძიებების გაწერას და პასუხისმგებელი უწყებების განსაზღვრას.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობები დამოუკიდებლად მართავენ სხვადასხვა პროცესებს, თუმცა მათ შორის კოორდინაცია სუსტია. ამის გამო, ხშირად გადაწყვეტილებები დროში იწელება და ზოგიერთ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი ხდება. ამის მაგალითია ისიც, რომ ქვეყანაში ხდება წყლის რესურსების არარაციონალური განაწილება, კერძოდ როდესაც დასავლეთ საქართველოში გვაქვს

[15] ,,სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება (N58. 15.01.2021წ.) https://surl.lu/dwhgqq, გადამოწმებულია . 20.11.2025

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სასმელი წყლის სიუხვე და ხშირად დანაკარგებიც, აღმოსავლეთ საქართველოს ბევრი რეგიონი მუდმივი წყლის მომარაგების გარეშე რჩება. ამასთან, ქვეყანაში არ არის აღწერილი წყალმომარაგების სისტემები და არ არის საჭირო ინფრასტრუქ-ტურული პროექტების განხორციელების სტატიკაც.

ამ და სხვა პრობლემების კოორდინაციის და შესაბამისი კონტროლის მიზნით, პირველ რიგში ერთიანი სტრატეგიის ფარგლებში უნდა მოხდეს ყველა მნი-შვნელოვანი ღონისძიების აკუმულირება ერთიან ჩარჩოში. მიზანშეწონილია ქვე-ყანაში არსებობდეს წყლის რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი ორგანო მაგალითად ,,წყლის რესურსების მართვის სააგენტო", რომელიც ქვეყნის მასშტა-ბით უზრუნველყოფს წყლის რესურსების მართვას, წყალმოხმარების კოორდი-ნაციას, თანამედროვე მონიტორინგის სისტემების დანერგვას, საჭირო ინვესტიცი-ების მოძიებას და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას. ამასთან, მოსახ-ლეობის უსაფრთხო სასმელი წყლით მომარაგების მიზნით, საჭიროა კერძო სექტორსაც განესაზღვროს შესაბამისი ვალდებულებები, განსაკუთრებით იმ კომპა-ნიებს რომლებიც ახორციელებენ სასმელი წყლის რეალიზაცია.

დასკვნა

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გლობალური დათბობის პირობებში სასმელი წყლის რესურსების დაცვა და მდგრადი მართვა საქართველოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული გამოწვევაა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას მნიშნელო-ვანი ჰიდროლოგიური რესურსები აქვს, არათანაბარი განაწილება, ინფრასტრუქ-ტურული პრობლემები და არაეფექტიანი მართვა მომავალში წყლის დეფიციტისა და დაბინძურების საფრთხეს ქმნის.

ქვეყნის ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მოიცავს თა-ნამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, წყლის აუზობრივი მართვის სისტემის ჩამოყალიბებასა და საკანონმდებლო რეგულაციების გაძლიერებას, რაც უზრუნ-ველყოფს წყლის რესურსების დაცვას, მისი რაციონალური გამოყენებისა და სა-მომავლო კრიზისების პრევენციას, შედეგად კი ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე დადებითად აისახება.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ბიბლიოგრაფია

ასოცირების შესახებ შეთანხმება… (2014). ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. https://surl.li/lhwytq, გადამოწმებულია . 20.11.2025

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული ანგარიში. (2013). ეროვნული ანგარიში გარემოს მდგომარეობის შესახებ. თბილისი: საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო.

კლიმატის ცვლილება — გამოწვევები და პრობლემების დაძლევის გზები. (2021). პუბლიკაცია ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. თბილისი: UNDP Georgia / ევროკავშირი. https://surl.li/rwizkk, გადამოწმებულია . 20.11.2025

„სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება №58. სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი.(2021, 15 იანვარი). https://surl.lu/cnctso, გადამოწმებულია . 20.11.2025

სურსათის ეროვნული სააგენტო. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის პროგრამები და ანგარიში. თბილისი: (2018–2021). სურსათის ეროვნული სააგენტო.

საქართველოს კანონი „წყლის რესურსების მართვის შესახებ". თბილისი: საქართველო.

Fanack Water. (2023, June 5). *Water infrastructure in Israel.* https://surl.li/rjyetd, Accessed 20.11.2025

González, F. (2025, January 10). Global warming is wreaking havoc on the planet's water cycle. *WIRED.* https://surl.li/cnqghp, Accessed 20.11.2025

IPCC. *Climate change 2021: The physical science basis.* Cambridge University Press. https://surl.li/jsxrbx, Accessed. 20.11.2025

ISO Consulting. *Water scarcity in the world.* (2019, October 30). https://surl.li/rgzztd, Accessed 20.11.2025

UN-Water. *The United Nations World Water Development Report 2022: Groundwater — Making the invisible visible.* https://surl.li/xftthl, გადამოწმებულია . 20.11.2025

United Nations University Institute for Water, Environment and Health (UNU-INWEH). (2023, March 23). *Global water security 2023 assessment.* https://surl.li/ojwldr, Accessed . 20.11.2025

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

აშშ-ის საგარეო დახმარების ჰუმანიტარული და ეკონომიკური პროგრამები საქართველოში 1990-2020 წლებში

ელენე გოცაძე[1]
https://doi.org/10.61446/pa.3.2025.10290

აბსტრაქტი

სტატიის ინტერესის საგანს 1990-2020 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოს მიმართ გაწეულ საგარეო დახმარების მოცულობის, დინამიკის, მიზნების, ინტერესებისა და შედეგების ანალიზი წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მიმართ აშშ-ის მიერ გაწეული საგარეო დახმარება სათანადოდ არ არის შესწავლილი; როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო წყაროებში ინფორმაცია არის შეზღუდული და გაფანტული; კონკრეტული პროექტების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ წყაროებში არსებული ინფორმაცია წარმოდგენას გვაძლევს დახმარების მოცულობაზე, მის დინამიკასა და სხვა ქვეყნებთან იმავე მონაცემების შედარებაზე. შესაბამისად, ის გვთავაზობს მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებს და არა მის ანალიზს. შესაბამისად, დაინტერესებული პირებისთვის და მომავალი მკვლევარებისთვის სათანადო ინფორმაციის, ცოდნის და ანალიზის ხელმისაწვდომობა პრობლემას წარმოადგენს.

სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითადად ღია წყაროებში არსებულ მონაცემებს, მათ შორის, საჯარო უწყებების ვებ-გვერდებსა და მედია-საშუალებებში გამოქვეყნებულ ინფორმაციას ეფუძნება. ასევე, გამოყენებული მაქვს ინტერვიუები შეერთებული შტატების განვითარების პროგრამებში მონაწილე პირებთან.

აშშ-ის მიერ საქართველოში განხორციელებული საგარეო დახმარება უახლესი ისტორიის ნაწილია. კონკრეტული პროგრამების დაგეგმვასა და იმპლამენტაციაში ჩართული ადამიანები ამა თუ იმ ფორმით დღესაც აქტიურად არიან ჩართულები ქვეყნის განვითარების საქმეში. ამიტომ მათგან, როგორც პირველწყაროდან, მიღებული ინფორმაცია აღნიშნული პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების კუთხით, მნიშვნელოვანია. შესაბამისად, სტატიის წერის დროს ენერგეტიკის პროგრამების შესახებ ვესაუბრე მურმან მარგველაშვილს (ინჟინერ ენერგეტიკოსთა ასოციაციის წევრი, არასამთავრობო ორგანიზაციის „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის" დამფუძნებელი, 1994 წლიდან მუშაობდა USAID-ის ენერგეტიკის სხვადასხვა პროექტში); ხოლო აშშ-საქართველოს ურთიერთობებზე ინტერვიუ ჩავწერე მიხეილ დარჩიაშვილთან (საგარეო ურთიერთობების სპეციალისტთან და დიპლომატთან).

სტატიის მიზანია აშშ-ის მიერ საქართველოს მიმართ გაწეული ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური დახმარების ანალიზი. ვინაიდან აშშ-მა საქართველოს განვითარების მიმართ მხარდაჭერა დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე დაიწყო, კვლევის პერიოდად აღებული მაქვს 1990-2020 წლები, თუმცა პროგრამების ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ზოგ შემთხვევაში 2023 წლამდე პერიოდსაც ეხება.

უნდა აღინიშნოს, რომ 2025 წელს აშშ-ის საგარეო დახმარების არქიტექტურა ძირეულად შეიცვალა, რაც განპირობებულია აშშ-ის 47-ე პრეზიდენტის დონალდ ტრამპის პოლიტიკით. პრეზიდენტმა დახურა აშშ-ის საერთშორისო დახმარების სააგენტო და მიმდინარე დახმარების პროგრამები გააუქმა, რამაც საერთაშორისო დახმარების ინდუსტრიაში ქაოსი და გაუგებრობა შექმნა. ამიტომ, ვფიქრობ რომ აღნიშნული საკითხის შესწავლა, განსაკუთრებით ამ ბუნდოვანების პერიოდში, აქტუალურია, ერთის მხრივ, რომ არ დაიკარგოს ინფორმაცია და ცოდნა და, მეორეს მხრივ, რომ უკეთ მოვემზადოთ აშშ-ის საერთაშორისო დახმარების ახალი ეტაპისათვის.

საკვანძო სიტყვები: აშშ–საქართველოს ურთიერთობები; ჰუმანიტარული დიპლომატია; რუსეთ–საქართველოს ომი (2008); USAID; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რეფორმა.

[1]ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

U.S. Foreign Assistance in Georgia: Humanitarian and Economic Programs, 1990–2020

Elene Gotsadze[2]

Abstract

The article provides the analysis of the volume, dynamics, objectives, interests, and outcomes of the foreign assistance provided by the United States to Georgia between 1990 and 2020. It should be noted that U.S. foreign assistance to Georgia has not been adequately studied; information in both Georgian and international sources is limited and fragmented, and data on specific projects are often unavailable. Official U.S. sources provide information on the volume and dynamics of assistance, as well as comparative data with other countries. Consequently, these sources offer statistical data but not analytical insight. Therefore, the accessibility of relevant information, knowledge, and analysis remains a challenge for interested individuals and future researchers.

The information presented in this article is primarily based on open-source data, including information available on public agency websites and in media publications. Additionally, I conducted interviews with individuals involved in U.S.-funded development programs.

U.S. foreign assistance to Georgia is part of the country's modern history. Many individuals who participated in the planning and implementation of specific programs remain actively engaged in Georgia's development today. Therefore, information obtained directly from such primary sources is valuable for understanding the planning, execution, and evaluation of these programs. In this regard, I spoke with Murman Margvelashvili (member of the Association of Energy Engineers, founder of the NGO *World Experience for Georgia*, and participant in various USAID energy projects since 1994) regarding U.S. energy programs in Georgia. I also interviewed Mikheil Darchiashvili (foreign relations specialist and diplomat) about U.S.–Georgia relations.

The article consists of Abstract, keywords, introduction, main part, conclusion, and literature review.

The purpose of this paper is to analyze the humanitarian and socio-economic assistance provided by the United States to Georgia. Since the U.S. began supporting Georgia's development immediately after it gained independence, the research period covers 1990–2020. However, considering the duration of certain programs, the analysis extends in some cases up to 2023.

In 2025, the structure of U.S. foreign assistance was modified following the policies implemented by the 47th President of the United States, Donald Trump. The President closed the U.S. Agency for International Development (USAID) and terminated ongoing assistance programs, creating confusion and chaos within the international aid industry. Therefore, I believe that studying this issue is particularly relevant during this period of uncertainty, both to preserve valuable information and knowledge, and to better prepare for a new stage in U.S. international assistance.

Keywords:U.S.–Georgia relations; humanitarian diplomacy; technical assistance; strategic partnership; Russia–Georgia war 2008; USAID; MCC; public health reform; Hepatitis C elimination program.

[2] Humanity Studies, PHD Student of Iv. Javakhisvili Tbilisi State University

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

დამოუკიდებლობის მოპოვებისა და შენარჩუნების გზა საქართველოსთვის რთული და, ხშირ შემთხვევაში, შეცდომებით სავსე აღმოჩნდა. მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში ტერიტორიულად მცირემ, მაგრამ გეოპოლიტიკურად მიმზიდველმა ქვეყანამ სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზაზე დიდი გამოცდილება მიიღო. ევროატლანტიკურ სივრცეში გაჩენილი მეგობრების სახით, დამოუკიდებელი საქართველოსთვის ახალი და უზარმაზარი „შესაძლებლობების ფანჯარა" გაიხსნა.

აღნიშნული სტატია საქართველოს მიმართ შეერთებული შტატების მიერ გაწეული ჰუმანიტარული, სოციალური და ეკონომიკური დახმარების მიმოხილვას ისახავს მიზნად. სტატიაში აღწერილია 1991-2023 წწ. საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე ამერიკის საგარეო დახმარების მექანიზმები და მიმართულებები. აღნიშნული სტატია უფრო ვრცელი საკვლევი თემის ნაწილს წარმოადგენს, რომლის მიზანი აშშ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა და ანალიზი უნდა იყოს.

ძირითადი ნაწილი

საბჭოთა კავშირის დაშლამდე საქართველო საშუალოდ განვითარებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით სსრკ-ში მე-8 ადგილს იკავებდა. მისი ეკონომიკის მოცულობა 8 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების, სამოქალაქო ომის და პარალიზებული ეკონომიკის ფონზე, 1991 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 21%-ით შემცირდა. 1992 წლისათვის საქართველოს არშემდგარი სახელმწიფოს სტატუსი ჰქონდა მინიჭებული.* მან ერთდროულად რამდენიმე ანტირეკორდი დაამყარა: ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 44%-ით შემცირდა, ინფლაციამ კი ოთხნიშნა

*ქვეყანა, რომელშიც, კონფლიქტის, არაეფექტური მმართველობის ან სახელმწიფოს დაშლის გამო, ცენტრალური მთავრობა ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურების მიწოდებას საკუთარი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ციფრს გადააჭარბა[4]. ჩრდილოვანი ეკონომიკის წილით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილს იკავებდა.

მწვავე კრიზისის შედეგად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა ჩამოიშალა და უმოქმედო გახდა. რთულ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობა უსახსრობის გამო ვერ იღებდა სასიცოცხლოდ აუცილებელ პირველად სამედიცინო დახმარებას. მკვეთრად შემცირდა სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის სფეროს დაფინანსება. თუ 1985 წელს ჯანდაცვის ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე 95,5 აშშ დოლარს შეადგენდა, 1990 წელს ის 13 დოლარი გახდა, ხოლო 1994 წლისათვის ეს მაჩვენებელი 0,9 დოლარამდე დაეცა. შესაბამისად, გაუარესდა მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები: გაიზარდა ავადობა, შემცირდა შობადობა, მოიმატა სოციალურად საშიში დაავადებების რიცხვმა. 1990-1995 წლებში დედათა სიკვდილიანობა 20.5-დან 55.1-მდე (100 000 ცოცხალშობილზე), ხოლო ბავშვთა გარდაცვალება – 20.7-დან 28.6-მდე გაიზარდა.

სოციალურ-ეკონომიკური სურათის შესაქმნელად უნდა ვახსენოთ ენერგეტიკის სექტორი, რომელიც 1990-იან წლებში კრიტიკულად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. დამოუკიდებლობის აღდგენამდე, საქართველოში 45 ჰესი (დადგმ. სიმძლავრით 2893 მგვტ) და 2 თბოელექტრო სადგური (დადგმული სიმძლავრით 380 მგვტ) ფუნქციონირებდა. ისტორიულად ყველაზე მაღალი მოხმარება საქართველოს 1980-1989 წლებში ჰქონდა. სსრკ-ს დაშლამ სექტორი, ფაქტობრივად, გაანადგურა. საქართველოს 1990 წლის რეკორდული რაოდენობის მოხმარება 17.4 მლრდ კვტ.სთ-დან 2002 წელს 7.7 მლრდ კვტ.სთ-მდე შემცირდა.[5] ქვეყანაში ელექტრო ენერგიის უმძიმესი კრიზისი შეიქმნა.

1990-იანი წლების საქართველოს ეკონომიკური კატასტროფა მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. სამოქალაქო ომი, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომები, კორუფცია, კრიმინალი, სახელმწიფოს მართვისა და საბაზრო ეკონომიკის არცოდ-

[4]„დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური ისტორია- 32 წელი რიცხვებში", ელ. რესურსი, https://surl.li/rqynut, (გადამოწმებულია 26.11.2025)
[5] საქართველოს ენერგოდამოკუდებულების მიმოხილვა, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა, 2023 წ. https://surl.li/jzouam, (გადამოწმებულია 26.11.2025)

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ნა, სახელმწიფო ინსტიტუტების არქონა, ჰიპერინფლაცია თუ ენერგეტიკული კრიზისი[6]. ამ ფაქტორების ერთობლიობამ ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სამი წლის შემდეგ, საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი უღარიბესი სახელმწიფო იყო. უკეთ წარმოასადგენად, 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, მეორე მსოფლიო ომში განადგურებული გერმანიის მდგომარეობას უტოლდებოდა.

1995 წელი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ფისკალური წელი იყო, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა 2.6%-ით გაიზარდა. სწორედ ამ წელს მიმოქცევაში ჩაეშვა ახალი ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი, ამოქმედდა ახალი სტანდარტის მონეტარული პოლიტიკა და პირველად დამტკიცდა სრული სახელმწიფო ბიუჯეტი. 1995 წელს ჰიპერინფლაციის ტემპი 57%-მდე შემცირდა, ხოლო 1997 წელს უკვე 7.2% იყო. ლარის კურსი დოლარის მიმართ სტაბილური იყო. 1996-1997 წლებში საქართველოს ექსპორტი 57%-ით გაიზარდა. 1997 წელს 243 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, როცა 1996 წელს ინვესტიციები მხოლოდ 4 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა[7].

სამოქალაქო ომის დასრულებამ, ახალი მონეტარული სისტემის ამოქმედებამ, სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნამ, ცენტრალიზებული ხელისუფლების ჩამოყალიბებამ და ძლიერმა საერთაშორისო მხარდაჭერამ ქვეყანას ამოსუნთქვის საშუალება მისცა. 1996-97 წლებში ეკონომიკამ საშუალოდ 10%-იანი მატება აჩვენა. ეს იყო დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი შემთხვევა, როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტი ორნიშნა მაჩვენებლით გაიზარდა.

შეერთებული შტატების საგარეო დახმარების ინსტრუმენტი

ამერიკის შეერთებული შტატები მისი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, მათ შორის, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ევროპის განადგურებული ქვეყნების აღსადგენად და გასაძლიერებლად, შემდეგ, ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთით ექსპანსიის შესაჩერებლად და ცივი ომის

[6] ზესო ნამჩავაძე, დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური ისტორია, https://surl.li/yyohor, (გადამოწმებულია 26.11.2025)
[7] იქვე.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შემდეგ კი, ევრაზიის კონტინენტზე აღმოცენებული ახალი რესპუბლიკების დემოკრატიული განვითარების მხარდასაჭერად, საგარეო დახმარების მექანიზმებს ეფექტიანად იყენებდა.

1961 წლამდე შეერთებული შტატები პარტნიორების დახმარებას სხვადასხვა მექანიზმებით ახორციელებდა და მათი საქმიანობის მონიტორინგი და კოორდინირება რთული იყო. სწორედ საგარეო დახმარების უკეთ კოორდინირების მიზნით, კონგრესის მხარდაჭერით პრეზიდენტმა კენედიმ 1961 წელს დამოუკიდებელი ორგანიზაცია - ამერიკის საერთაშორისო განვითრების სააგენტო, იგივე USAID-ი დააარსა. მას შემდეგ სააგენტო საგარეო დახმარების გაწევის მთავარ ინსტრუმენტად იქცა. 130-მდე ქვეყანაში განთავსებული მისიების საშუალებით, შეერთებული შტატები ათწლეულების მანძილზე ხელს უწყობდა პარტნიორ ქვეყნებში სიღატაკის დამარცხებას, დემოკრატიისა და კარგი მმართველობის გაძლიერებას, კატასტროფის შედეგების აღმოფხვრას, ეკონომიკის ზრდას, ჯანმრთელობის დაცვას და სურსათის უვნებლობას.* გარდა USAID-ისა, შეერთებული შტატები დახმარების მიმღებ პარტნიორ ქვეყნებს თავისი ხაზინის, სოფლის მეურნეობის, თავდაცვის, განათლების და სხვა დეპარტამენტების საშუალებებით ეხმარებოდა, თუმცა USAID-ის მოცულობა მთლიანი საგარეო დახმარების 60%-ს შეადგენდა.

გლობალური გამოწვევების მოსაგვარებლად, USAID-ი თავის განვითარების პროგრამებს ორგანიზებას შემდეგი მიმართულებებით უწევდა:

- **ჰუმანიტარული დახმარება, რომელშიც შედიოდა:** სტიქიური უბედურებების რეაგირება და მდგრადობა; საკვების უსაფრთხოება და საგანგებო დახმარება; ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა; ჯანმრთელობის საგანგებო სიტუაციები (მაგ., COVID-19, ებოლას რეაგირება, ცე ჰეპატიტის ელიმინაცია და აშ).

*2025 წლის 19 იანვარს გამოცხადდა სააგენტოს ძირეული რეფორმა და სააგენტოს მისიები მრავალ ქვეყანაში დაიხურა.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

- **ეკონომიკური ზრდა და ვაჭრობა, რომელშც შედიოდა:** კერძო სექტორის ჩართულობა; ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობა და საკვების უსაფრთხოება (მაგ., Feed the Future); სამუშაო ძალის განვითარება და უნარების გაძლიერება; ციფრული ეკონომიკა და ინოვაციები.
- **დემოკრატია, ადამიანის უფლებები და მმართველობა, რომელშიც შედიოდა:** სამართლის უზენაესობა და სასამართლო რეფორმები; კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერა; საარჩევნო პროცესები; დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი მმართველობა.
- **გლობალური ჯანმრთელობა, რომელშიც შედიოდა:** დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა; ინფექციური დაავადებების მართვა; ჯანმრთელობის სისტემის გაძლიერება; კვება და წყალი, სანიტარია და ჰიგიენა (WASH)
- **განათლება და ახალგაზრდობის განვითარება, რომელშიც შედიოდა:** საბაზისო და უმაღლესი განათლება; სამუშაოსთვის მზადყოფნა და ტექნიკური სწავლება; წიგნიერება და ადრეული ბავშვობის განვითარება; განათლების ხელმისაწვდომობა.
- **გარემო და კლიმატის ცვლილება, რომელშიც შედიოდა:** კლიმატის მდგრადობა და ადაპტაცია; ბუნებრივი რესურსების მართვა; განახლებადი ენერგია და მდგრადობა; ბიომრავალფეროვნების დაცვა,
- **მშვიდობა და უსაფრთხოება, რომელშც შედიოდა:** კონფლიქტის პრევენცია და სტაბილიზაცია; ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა; უსაფრთხოების სექტორის რეფორმა; საზოგადოების მდგრადობის ინიციატივები.

დონორისა და ბენეფიციარი სახელმწიფოებისინტერესები

შეერთებული შტატების საგარეო დახმარების მიზნები და ამოცანები სრულად შეესაბამებოდა მის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს. მისი მიმღები მხოლოდ ის ქვეყნები იყო, რომელიც ამერიკის მიმართ მეგობრულად იყვნენ განწყობილნი, ამერიკის უსაფრთხოების მიზნებს იზიარებდნენ, გაცხადებული ჰქონდათ დემოკრატიულ მიზნები და მხარს უჭერდნენ საერთაშორისო წესრიგსა და უსაფრთხოებას.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი თავისი საგარეო დახმარების ინსტრუმენტის ამოქმედებამდე პარტნიორი ქვეყნის მიმართ ინდივიდუალურ სტრატეგიულ მიზნებს აყალიბებდა და, შესაბამისად, საგარეო დახმარებას შინაარსს ადგენდა. უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი ორმხრივ თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე იდგა. მის განხორციელებას მიმღებ ქვეყანასთან კონსულტაციებისა და შეთანხმების შემდეგ იწყებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საგარეო დახმარების მიზნები როგორც შეერთებული შტატების სტრატეგიულ ინტერესებს, ასევე, ბენეფიციარი ქვეყნის მიზნებსა და ამოცანებს პასუხობდა.

საქართველოს ინტერესი მეტად პრაგმატული და სწორხაზოვანი იყო: ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის, ეკონომიკის, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა და, ზოგადი მყარი (ამერიკის შეერთებული შტატების) კეთილგანწყობის მოპოვება, რაც მას რეგიონში ანგარიშგასაწევ და სანდო ძალად აქცევდა.

ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები, ასევე, პრაგმატული გახლდათ. პირველი, მას სურდა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი „რუხი არეალის" ამოვსება განვითარების გზაზე დამდგარ ქვეყნებში დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებით და, შედეგად, რუსეთისა და ჩინეთის ექსპანსიის შეჩერება და ისეთი საფრთხეების შემცირება, როგორიცაა ტრანსკონტინენტური დანაშაულებები, ტერორიზმი და სხვა. საქართველოს შემთხვევაში, მისი ინტერესის სფეროს, ასევე, წარმოადგენდა ის სატრანზიტო კორიდორი რომელიც „აბრეშუმის გზის" სახელით იყო ცნობილი და შავ და კასპიის ზღვებზე გადიოდა.

დემოკრატიის ხელშემწყობი, პოლიტიკურ-ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო და ხალხთა შორის ურთიერთობების გაღრმავების მიზნით შექმნილი პროგრამების საშუალებით, შეერთებული შტატებისგან საქართველო მუდმივად იღებდა მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას, როგორც ორმხრივი, ასევე, მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში. მისი მხარდაჭერით, საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემა თანამედროვე

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

საშუალებებით, ცოდნითა და კომპეტენციით აღიჭურვა. საქართველოს თავდაცვისუნარიანობა მკვეთრად გაიზარდა და 2010 წლისთვის ნატოსთან თავსებადობას მიაღწია.

ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების პროგრამებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოში სტაბილური, დემოკრატიული და ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოსა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადობის მშენებლობაში.

შეერთებული შტატების მიერ საქართველოს მხარდაჭერის პირველი ეტაპი: ჰუმანიტარული დახმარება ამერიკელი ხალხის სახელით

აშშ საგარეო დახმარება საქართველოს მიმართ თავდაპირველად ჰუმანიტარულ ხასიათს ატარებდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებიდან ერთი თვის შემდეგ, 1992 წლის 22 იანვარს, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსმა) ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისადმი მიძღვნილ ჰუმანიტარული დახმარების საერთაშორისო კონფერენციაზე განაცხადა, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, მათ შორის, საქართველოს ვაშინგტონი 600 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ტექნიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას გაუწევდა. ამ განცხადებიდან ორ თვეში, 1992 წლის 23 მარტს, შეერთებულმა შტატებმა საქართველოსთვის სამედიცინო და ჰუმანიტარულ დახმარება გამოყო.

ქართულ-ამერიკული ურთიერთობები განსაკუთრებით მაღალ დონეზე ავიდა საქართველოში ედუარდ შევარდნაძის დაბრუნების შემდეგ, რასაც, დიდწილად პირადი ურთიერთობები განაპირობებდა. 1992 წლის 23 აპრილს საქართველოსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა, ხოლო იმავე წლის 25 მაისს საქართველოს ოფიციალური სამთავრობო ვიზიტით შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი ესტუმრა. ეს ვიზიტი ხაზს უსვამდა ვაშინგტონის ინტერესს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიმართ და წარმოადგენდა მკაფიო გზავნილს, რომ საქართველო მისი გეოპოლიტიკური ინტერესების არეალში შედიოდა. ჯეიმს ბეიკერმა, სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად, შექმნა საქართველოს მეგობართა ორგანიზაცია, რამაც დიდი როლი ითამაშა ქვეყნისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევაში. ბეიკერმა შტატებში დაბრუნებისთანავე პირველი და სასწრაფო დახმარება გაუწია საქართველოს. პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

(უფროსმა) ასი ათასი ტონა ხორბალი გამოგზავნა. ქვეყნისთვის, სადაც სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და მოსახლეობის დიდ ნაწილს პურის რიგში დგომა საათობით უწევდა, ბუნებრივია, ეს უმნიშვნელოვანესი დახმარება იყო.

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბების შემდეგ, გაიზარდა ამერიკული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჰუმანიტარული მისიები. ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა საქართველოს გაწევრიანებას საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში.

1992 წლიდან საქართველოში დაიწყო მუშაობა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს მისიამ (USAID), რომელიც უმთავრესად არასამხედრო საერთაშორისო დახმარების კოორდინატორი იყო.

1992 წლის 4 მაისს საქართველოში სამედიცინო დახმარების ორი და საკვებით დახმარების სამი თვითმფრინავი ჩამოფრინდა. მოგვიანებით, შეერთებულმა შტატებმა 4 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ჰუმანიტარული დახმარების გამოყოფის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. დახმარება განსაზღვრული იყო „კავკასიის რეგიონში კონფლიქტების შედეგად დაზარალებულთათვის". ჰუმანიტარული დახმარების მიზანი იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო და სხვა სახის სოციალური პროგრამებით უზრუნველყოფა გახლდათ.

დამოუკიდებლობის პირველ წლებში მოქალაქეები ვერ იღებდნენ გადაუდებელ სამედიცინო სერვისებს. 1991-1993 წლებში საქართველოში ინსულინდამოკიდებულ დიაბეტით დაავადებულ პირთა რაოდენობა 40 ათასს აჭარბებდა. არსებულ სიტუაციას განსაკუთრებით ამძიმებდა დიაბეტიანი ბავშვების მდგომარეობა (14 წლამდე ასაკის 300-ზე მეტი ბავშვი). ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო, სახელმწიფო ვერ ახერხებდა ინსულინის შესყიდვას, რაც ათიათასობით დაავადებულის დაღუპვას ნიშნავდა. უმწვავესი პრობლემის გადასაწყვეტად, საქართველოს მთავრობის მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ თხოვნით მიმართა აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერს. დახმარებამაც არ დააყოვნა. 1992 წლის 21 ივნისს სამედიცინო და ჰუმანიტარული მისიის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეებს ინსულინის 194 000 ფლაკონი და 500 000 ცალი ნემსი გადაეცა. ამ

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

პროგრამით 1992-94 წლებში საქართველომ აშშ-დან მიიღო ჰუმანიტარული წესით გამოგზავნილი 15 მილიონამდე დოლარის ღირებულების ინსულინი „ჰუმულინი", რითაც ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე იქნა შენარჩუნებულ.

მხარეებს შორის ნდობის გაჩენამ დახმარების შინაარსი და მასშტაბი გააფართოვა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა საგარეო დახმარების ინსტიტუციონალიზაცია და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. 1992 წლის 31 ივლისს თბილისში საქართველოს რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის ჰუმანიტარული და ტექნიკური ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობისათვის თანამშრომლობის თაობაზე პირველ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. ხელშეკრულების მიზანს ქართველი ხალხისათვის ჰუმანიტარული და ტექნიკური ეკონომიკური დახმარების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. კერძოდ, შეთანხმება არეგულირებდა შემდეგ საკითხებს:

1.ბეგარასა და საგადასახო საკითხებს.

2.პერსონალის სტატუსს

3.ინსპექციასა და რევიზიას.

4.დახმარების გამოყენებას.

ჰუმანიტარული დანიშნულების დახმარებიდან ტექნიკურ დახმარებაზე გადასვლა

საქართველოსა და აშშ-ს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდა ბილ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში (1993 – 2001), როცა ხელი მოეწერა ოფიციალურ მემორანდუმებს, რომლებიც აშშ-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებასა და ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებს ემსახურებოდა. საქართველომ 1994 წლიდან თამამი რეფორმების გატარება დაიწყო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ქართულ მხარეს შესთავაზა გეგმა, რომელიც ქვეყანას არსებული კრიზისის დაძლევასა და საფინანსო თუ ეკონომიკური სახის რეფორმების გატარებაში დაეხმარებოდა. გეგმა მოიცავდა მთავრობის ხარჯების შემცირებას, დაბალეფექტიანი სახელმწიფო ორგანიზაციების გაუქმებას, სახელმწიფო ბიუროკრატიისა და ბიუჯეტის ოპტიმიზაციას, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვას. განვითარებას.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სწორედ ამ პერიოდში აშშ-ის ჰუმანიტარული დახმარება ტექნიკურ დახმარებაში გადაიზარდა.

შეერთებული შტატების მიერ საქართველოსთვის გაწეულმა დახმარებამ სისტემატიური სახე 1992 წელს მას შემდეგ მიიღო, როცა საქართველოში მუშაობას ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო შეუდგა. USAID-ი სახელმწიფო დეპარტამენტსა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან სრულ კოორდინაციაში მუშაობდა. პროგრამები საქართველოს მთავრობასთან წინასწარ თანხმდებოდა და მისი ძლიერი მხარდაჭერით ხორციელდებოდა. გარდა დაგეგმილი პროგრამებისა, USAID-ი საქართველოს ბუნებრივი კატასტროფებისა და საგანგებო მდგომარეობის დროს ჰუმანიტარულ მყისიერ და მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა.

მნიშვნელოვანია, ვახსენოთ 1997 წელს გაფორმებული სამთავრობო ჩარჩო-შეთანხმება მასობრივი განადგურების იარაღის თავიდან აცილების სფეროში თანამშრომლობისა და თავდაცვითი და სამხედრო კავშირების გაღრმავების შესახებ. ამ ხელშეკრულებით, სხვასთან ერთად, საფუძველი ჩაეყარა ბიოლოგიური საფრთხის შემცირების პროგრამას და დაიწყო ორ ქვეყანას შორის კონსულტაციები თავდაცვისა და უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით. შედეგად, 2002 წელს საქართველოში დაიწყო წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა, რომლის მიზანი საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზება და თავდაცვისუნარიანობის გაზრდა გახლდათ. ასევე, 2004 წელს თბილისში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია ეგ. წ. „ლუგარის ცენტრი" აშენდა.

შეერთებული შტატების მმართველი ელიტა დიდ ყურადღებას უთმობდა რუსეთის გვერდის ავლით ალტერნატიული სატრანზიტო მაგისტრალის საკითხს. პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, მოხერხდა შესაბამისი პოლიტიკური და საინვესტიციო რესურსების მობილიზება ბაქო-სუფსის ადრეული ნავთობსადენის ასაშენებლად, ასევე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის თაობაზე მოლაპარაკებების დასაწყებად. 1999 წელს გავლენიანი სენატორების ჯგუფმა ორპარტიული კანონპროექტი „აბრეშუმის გზის სტრატეგია" შეიმუშავეს

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

(Silk Road Strategy Act of 1999), რომელიც სატრანსპორტო კავშირების გარდა, კონ-ფლიქტების მოგვარების, ფინანსური დახმარების და, ზოგადად, რეგიონის ქვეყნე-ბის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწ-ყობას ითვალისწინებდა.[9]

2000-იან წლებში, ევრაზიის რეგიონში მოსახლეობის ერთ სულ მოსახლეზე საქართველო გახდა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ყველაზე მსხვილი დახმარeბის მიმღები ქვეყანა.

აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია

2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოსთან ურთიერთობები ხარისხობრივად ახალ, სტრატე-გიული პარტნიორობის დონეზე აიყვანა. 2009 წლის 9 იანვარს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელი სტრატეგიული პარტნიორობის ქარ-ტიას მოეწერა, რომელიც საერთო ღირებულებებსა და ინტერესებს ეფუძნებოდა. თუ გავითვალისწინებთ ხელმოწერამდე საქართველოში არსებულ რთულ ვითარე-ბას, ქარტიაზე ხელმოწერა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ გადაწყვეტილებად შეიძლება შევაფასოთ.

აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია 2009-2024 წლებში აშშ-სა და საქართველოს შორის ფართო და სიღრმისეული თანამშრომლობის მთა-ვარ მექანიზმს წარმოადგენდა. აღნიშნული მექანიზმით თანამშრომლობა წარიმარ-თა ოთხი ძირითადი მიმართულებით: დემოკრატია და მმართველობა; უსაფრთხო-ება და თავდაცვა; ეკონომიკა, ვაჭრობა და ენერგეტიკა; ხალხთა შორის ურთიერთო-ბები და კულტურული გაცვლები[10].

ქარტიის შინაარსი დაეფუძნა ორ სახელმწიფოს შორის სტრატეგიული თანამ-შრომლობის პრინციპებს, სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის მხარდაჭერას, ასევე, დემოკრატიისა და სტაბილურობის განმტკიცებას. სტრატეგიული ქარტიის ფარგლებში შექმნილმა

[9] „აბრეშუმის გზის სტრატეგია" kanonproeqtis Sesaxeb informacia, https://surl.lt/cucqni, (გადამოწმებულია 01.12.2025)

[10] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია https://surl.lt/wqmqbm, (გადამოწმებულია 01.12.2025)

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სახელმწიფო კომისიამ და ქვეკომისიებმა, თანამშრომლობის მანამდე არსებული ფორმატები ჩაანაცვლა და თანამშრომლობა სრულიად ახალ, უმაღლეს დონეზე აიყვანა.

სტრატეგიული ქარტია იყო ამერიკის შეერთებული შტატების ურყევი და ყოვლისმომცველი მხარდაჭერის დემონსტრირება. სტრატეგიული პარტნიორის სტატუსი გაცილებით მეტია, ვიდრე - მოკავშირის და თანამშრომლობის ჩარჩოც გაცილებით დატვირთული და ყოვლისმომცველია. მსგავსი შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებს გაფორმებული აქვს ავღანეთთან (2012) ყაზახეთთან (2024), სომხეთთან (2025) და სხვა ქვეყნებთან.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია 15 წელი წარმატებით მუშაობდა, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის შეჩერების თაობაზე, „ქართული ოცნების" მიერ გაცხადებული გადაწყვეტილების პასუხად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 2024 წლის დეკემბერში საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობა შეაჩერა.

საქართველოში აშშ -ის საგარეო დახმარების ძირითადი მექანიზმები და მიმართულებები

წინასწარ განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, შეერთებული შტატები პარტნიორ ქვეყანაში თავის საგარეო დახმარების განსახორციელებლად სხვადასხვა მექანიზმს იყენებდა. მას შემდეგ, რაც საქართველოში ამერიკის დახმარებამ რეგულარული სახე მიიღო, პროგრამების განმახორციელებელი ძირითადი უწყება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო დახმარების სააგენტო იყო. 1992-2020 წლებში აშშ-მა საქართველოში USAID-ის საშუალებით 1.8 მილიარდის აშშ დოლარის ოდენობის დახმარება გაწია, ყოველწლიური დახმარების მოცულობა 40 მილიონი აშშ დოლარი იყო. ეს დახმარება მიემართებოდა როგორც ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის სისტემის გაუმჯობესებისკენ, ასევე, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის, სამოქალაქო საზოგადოების, მედიის განვითარების მიმართულებით. USAID-ი იყო ძირითადი მაკოორდინირებელი, თუმცა შეერთებული შტატები დახმარებას სხვადასხვა უწყების, მათ შორის,

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

თავდაცვის, ხაზინის, განათლების, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის დეპარტამენ-ტების, ასევე, ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის, მშვიდობის კორპუსისა და სხვა ორგანიზაციების მიერ გასცემდა (იხილეთ დიაგრამა 1).



დიაგრამა 1: დაფინანსების წყარო

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო: 1992-2025 წლებში ამერიკის შე-ერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო საქართველოში ამერიკის საგარეო დახმარების განხორციელების მთავარი მექანიზმი იყო. მისი საშუალებით, აშშ-ის მთავრობა საქართველოს მთავრობასა და სამოქალაქო საზოგა-დოებას უმნიშვნელოვანესი რეფორმებისა და პროგრამების განხორციელებაში ეხ-მარებოდა. სააგენტოს მიერ საქართვლოსთვის გაცემული დახმარება, აშშ-ის მთლი-ანი დახმარების 60%-ს შეადგენდა.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი (Millenium Challenge Corporation) ამერიკის შეერთებული შტატები

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0



დიაგრამა 2: დახმარების განაწილება სექტორების მიხედვით

1991-2023 წლებში საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესს მუდმივად ინარჩუნებდა. საქართველოს მიმართ მხარდაჭერა ორპარტიულ შეთანხმებას ეფუძნებოდა და ყველა მომდევნო პრეზიდენტის პერიოდში უფრო და უფრო მყარდებოდა. ამას ადასტურებს დახმარების პროგრამების დინამიკა (იხილეთ დიაგრამა 3).[11]



დიაგრამა 3: აშშ დახმარების მოცულობა 2001-2023 წწ.

[11] *Forbes*, https://surl.li/zrilij, (გადამოწმებულია 26.11.2025)

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

საქართველოსთვის ამერიკის შეერთებული შტატების მიერ 30 წლის მანძილზე გაწეულ დახმარებას უკვალოდ არ ჩაუვლია. უფრო მეტიც, შეერთებული შტატების პრაქტიკული მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნება, დემოკრატიული რეფორმების განხორციელება, ეკონომიკის ზრდა, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის მოდერნიზება.

დასკვნა

შეერთებული შტატების თანადგომა მყიფე დემოკრატიისა და სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტების პირობებში, საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამერიკის შეუქცევადი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის განმტკიცების მიმართულებით. აშშ-ის აქტიური მხარდაჭერისა და ძლიერი ლიდერობის შედეგად, საქართველომ წარმატებით წარმართა არაღიარების პოლიტიკა და რუსეთის ფედერაციამ ვერ შეძლო საქართველოს ოკუპირებული ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონების „დამოუკიდებლობის" საერთაშორისო აღიარების მიღწევა.

თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და უსაფრთხოების სისტემის გასამართად. სამი ათწლეულის მანძილზე შეერთებული შტატების მიერ საქართველოს შეიარაღებული ძალების ინსტიტუციური აღმშენებლობის, წვრთნისა და აღჭურვისათვის გამოყოფილი დახმარება ჯამში $2 მილიარდს აღემატება. შედეგად, საქართველოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნა თანამედროვე გამოწვევების პირისპირ მყარი და თავსებადი აღმოჩნდა, რაც საერთაშორისო მისიებში მონაწილეობით არაერთხელ დადასტურდა.

უმნიშვნელოვანესია შეერთებული შტატების როლი საქართველოში ეკონომიკური რეფორმებისა და ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობის მიმართულებით. დღეს საქართველო სარგებლობს აშშ-ის GSP (Generalized System of Preferences) პროგრამით, რომელიც საშუალებას აძლევს საქართველოს 3500 სახეობის პროდუქტის ექსპორტი განახორციელოს აშშ-ის ბაზარზე საბაჟო გადასახადის გარეშე. ამ უპირატესობით სარგებლობის მთავარი კრიტერიუმი გახლავთ ის, რომ პროდუქტის

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

წარმოშობის ქვეყანა უნდა იყოს საქართველო. იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკული ბაზარი არის მსოფლიოში ყველაზე დიდი და მაღალი მსყიდველუნარიანობით გამოირჩევა, ის ქართველი მეწარმეებისთვის მეტად მიმზიდველ, საიმედო და სტაბილურ ბაზარს წარმოადგენს.

ჯანმრთელობის დაცვის დარგში შექმნილი მწვავე კრიზისის აღმოსაფხვრელად, 1990-იანი წლების დასაწყისიდან, დღის წესრიგში დადგა სისტემის ძირეული რეორგანიზაცია. ამ მიმართულებით პოზიტიური გარდატეხა მოიტანა აშშ-ის განვითარების საერთაშორისო სააგენტოს დახმარებამ. ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევით, განხორციელდა სისტემის სრულმასშტაბიანი რეორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად. შტატების დახმარება მიემართა პირველადი და ჰოსპიტალური ჯანდაცვის რეფორმის დაგეგმვა-განხორციელებისკენ, სამედიცინო განათლებისა და ფარმაცევტული სექტორის ხელშეწყობისკენ, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, ჰოსპიტლების აღჭურვის, ინფრასტრუქტურის გამართვისა და სხვა პრობლემების გამოსწორებისკენ.

საქართველოში COVID 19-ის მართვა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი, რომელიც შეერთებული შტატების დაფინანსებითა და მხარდაჭერით შეიქმნა. აშშ-ის მხარდაჭერით აშენდა და აღიჭურვა თანამედროვე ლაბორატორიები, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი (NCDC). ასევე, უნდა ვახსენოთ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ცე ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რომელიც საქართველოში 2015 წლის 21 აპრილს ამოქმედდა. პროექტი განხორციელდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლის ცენტრისა და მედიკამენტის მწარმოებელი კომპანიის „გილეად"-ის მხარდაჭერით. პროგრამის მონეტარულმა ღირებულებამ 12-15 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. პროგრამით ისარგებლა 80 000 ადამიანმა; 57 000 ადამიანი სრულად

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

განიკურნა. პროგრამის საშუალებით ცე ჰეპატიტის პრობლემა ქვეყანაში სრულად მოიხსნა დღის წესრიგიდან[12].

დემოკრატიული განვითარება: აშშ წლების მანძილზე აქტიურად ეხმარებოდა სამოქალაქო საზოგადოებას, სხვადასხვა მექანიზმებით მხარს უჭერდა მედიის თავისუფლებას და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის დემოკრატიული ტრანსფორმაციისთვის. აშშ-ის მხარდაჭერა, ასევე, ფასდაუდებელი იყო საჯარო სექტორის გაძლიერებისა და საჯარო მმართველობის რეფორმის დაგეგმვა-განხორციელებაში.

განათლება: განათლების სექტორში ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით აშენდა და გარემონტდა სკოლები, გადამზადდა პედაგოგები, განხორციელდა მრავალი პროგრამა, მათ შორის, გაცვლითი პროგრამები, გაიხსნა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, ტაძრებს, გარემონტდა ბიბლიოთეკები და სხვა.

აშშ-ის „კონგრესის კვლევითი სამსახურის" (CRS) ანგარიშის მიხედვით, საქართველომ აშშ-ისგან 28 წლის განმავლობაში, 1992-დან 2020 წლის ჩათვლით, დახმარების სახით სხვადასხვა მიზნისთვის $4 348 400 000 (ოთხი მილიარდ სამას ორმოცდარვა მილიონ ოთხასი ათასი) მიიღო. CRS-ის მონაცემებით, ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებს შორის, საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების მიმღები წამყვანი ქვეყანა იყო. ამერიკელი ხალხის დახმარება ყოვლისმომცველი იყო. ჰუმანიტარული დახმარებით დაწყებული პარტნიორობა ქვეყნის სრულმასშტაბიანი აღმშენებლობის დახმარებაში გადაიზარდა და პრაქტიკულად ყველა სფეროს განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

ბიბლიოგრაფია

Bush, 1992a: Bush G., Remarks at the International Conference on Humanitarian Assistance to the Former U.S.S.R. January 22, 1992. https://surl.lu/fnaplw, (გადამოწმებულია 26.11.2025)

დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური ისტორია- 32 წელი რიცხვებში https://surl.lu/mepivm, (გადამოწმებულია 26.11.2025)

საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობის მიმოხილვა, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა, 2023 წ. https://surl.li/fcthva, (გადამოწმებულია 26.11.2025)

„აბრეშუმის გზის სტრატეგია" https://surl.li/canmoy, (გადამოწმებულია 26.11.2025)

[12]გლდანის დიდი ტბის დაშრობა მოსახლეობას საფრთხეს უქმნის / რა ვითარებაა ქვეყანაში აივ ინფექციისა და c ჰეპატიტის გავრცელების თვალსაზრისით https://surl.lu/udwfgl, (გადამოწმებულია 26.11.2025)

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია https://surl.li/tinbyn, (გადამოწმებულია 26.11.2025)

გლდანის დიდი ტბის დაშრობა მოსახლეობას საფრთხეს უქმნის / რა ვითარებაა ქვეყანაში აივ ინფექციისა და c ჰეპატიტის გავრცელების თვალსაზრისით, https://surl.li/mggqpi, (გადამოწმებულია 11/20/2025)

Foreign Assistance by country ForeignAssistance.gov, (გადამოწმებულია 26.11.2025)

United States Department of State, Foreign Assistance Fact sheet June 21 https://surl.lu/jnzmcs,

ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრი, საქართველოსა და აშშ-ის თანამშრომლობის მოკლე ისტორია https://surl.li/twrjgf, (გადამოწმებულია 26.11.2025)

ამერიკის შეერთებული შტატების როლი ქართულ ეკონომიკაში. ვახტანგ ჭარაია, დავით შატაკიშვილი, მარიამ ლაშხი, ლუკა კურდღელია, ოთარ ანგურიძე, შოთა გულბანი. თბილისი, 2020 https://surl.lu/fhecxv, (გადამოწმებულია 26.11.2025)

აშშ-ის დახმარება ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში. ავთანდილ ჯორბენაძე, თენგიზ ვერულავა, შპს „თამარიონის“ სტამბა. 2023 წ.

გეგძიძე, არჩილ, „საქართველო და ამერიკა: თანამედროვე ორმხრივი ურთიერთოებების ევოლიციის ძირითადი შტრიხები“, გამოცემა 74, GFSIS, გვ. 20), 2017 წელი.

ხატიაშვილი, მ. აშშ-ის სახალხო დიპლომატიის მიზნები საქართველოში. თსუ.

ნაი, ჯ. (2011). ძალის მომავალი.(2019).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

კეთილი სამარიტელის პრინციპი: შედარებითი სამართლებრივი ანალიზი გერმანიისა და საქართველოს მაგალითზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის კონტექსტში

იოსებ გაბარაევი[1]
https://doi.org/10.61446/pa.3.2025.10289

აბსტრაქტი

,,კეთილი სამარიტელის პრინციპი" (*Good Samaritan principle*) წარმოადგენს სამართლებრივ და ეთიკურ კატეგორიას, რომელიც ამკვიდრებს ინდივიდის ვალდებულებას – დაეხმაროს სხვა ადამიანს სიცოცხლისათვის საშიშ სიტუაციაში, თუკი ეს შესაძლებელია საკუთარი უსაფრთხოების დაცვის და მნიშვნელოვანი საფრთხის მიყენების გარეშე. ეს პრინციპი ისტორიულად ეფუძნება ბიბლიურ და ჰუმანისტურ ტრადიციას, თუმცა თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში „კეთილი სამარიტელის" წესების სახელით მოიხსენიება საერთო სამართლის ქვეყნების სამართალში და იგი გარდაიქმნა ნორმატიულ მოთხოვნილებად.

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს კეთილი სამარიტელის პრინციპის სამართლებრივი და ეთიკური ანალიზს გერმანიისა და საქართველოს მაგალითზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით. კვლევა ეფუძნება შედარებით სამართლებრივ მეთოდოლოგიას, რომელიც აერთიანებს ეროვნული სამართლის ნორმატიულ საფუძვლებს, ევროპული სამართლის პოზიტიურ ვალდებულებებს და საერთაშორისო ეთიკის პრინციპებს.

გერმანიის სამართლებრივ სისტემაში კეთილი სამარიტელის ვალდებულება მკაფიოდ რეგულირდება სისხლის სამართალში (§323c StGB), გერმანული მოდელი აღიარებს ინდივიდის პოზიტიურ მოვალეობას თანამემამულის დასახმარებლად. ამ ნორმის დარღვევა განიხილება სისხლის სამართლის დანაშაულად.

საქართველოს სამართლებრივ სისტემაში კეთილი სამარიტელის პრინციპი მხოლოდ ირიბად არის ასახული — სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლით. შედეგად, პრაქტიკაში შეინიშნება სამართლებრივი ვაკუუმი, რომელიც ართულებს პასუხისმგებლობის განსაზღვრას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა (მაგ., *Osman v. United Kingdom*, *Budayeva v. Russia*, *Al-Skeini v. United Kingdom*) მკაფიოდ ადასტურებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას სიცოცხლის დასაცავად. ამ პრეცედენტებით ჩამოყალიბდა სტანდარტი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს და მისი წარმომადგენლების მოვალეობაა დროულად და ეფექტიანად მოახდინონ რეაგირება სიცოცხლისათვის საშიშ ვითარებებზე.

დასკვნის სახით ნაშრომში განმარტებულია, რომ კეთილი სამარიტელის პრინციპის სამართლებრივი გაძლიერება საქართველოში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადამიანის სიცოცხლის დაცვის ეფექტურობის გაძლიერებას. გერმანიის, ისევე როგორც ევროკაშირის სხვა აქ განხილული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ნორმის მკაფიო სამართლებრივი ფორმულირება აამაღლებს როგორც ინსტიტუციურ ნდობას, ისე მოქალაქის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას.

საკვანძო სიტყვები: კეთილი სამარიტელის პრინციპი, სიცოცხლის უფლება, დაზარალებულის დაცვის ვალდებულება, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება სიცოცხლის დაცვის სფეროში.

[1] სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბკალავრიატის სამართლის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

The Good Samaritan Principle: A Comparative Legal Analysis on the Examples of Germany and Georgia in the Context of the Case Law of the European Court of Human Rights

Ioseb Gabaraevi[2]

Abstract

The *Good Samaritan principle* represents a legal and ethical doctrine that establishes an individual's duty to assist another person in a life-threatening situation, provided such assistance can be rendered without significant risk to one's own safety. Historically rooted in biblical and humanistic traditions, the principle has evolved in modern legal systems—particularly in common law jurisdictions where "Good Samaritan laws" have become normative expressions of civic responsibility.

This paper aims to analyze the legal and ethical dimensions of the Good Samaritan principle through the comparative perspectives of Germany and Georgia, with reference to the jurisprudence of the European Court of Human Rights (ECHR). The study applies a comparative legal methodology, integrating national legal frameworks, the positive obligations arising under European human rights law, and principles of international ethical standards.

In Germany, the duty to assist is clearly regulated under criminal law (§323c of the German Criminal Code, *StGB*). The German legal model explicitly recognizes the individual's positive obligation to render aid to another person in distress. A failure to act in such circumstances constitutes a criminal offense, reflecting the integration of moral solidarity into enforceable legal norms.

In Georgia, the Good Samaritan principle is only indirectly reflected through Article 129 of the Criminal Code, which addresses the failure to assist a person in danger. In practice, however, a legal vacuum persists, complicating the determination of responsibility and limiting the effectiveness of the principle as a legal standard.

The jurisprudence of the European Court of Human Rights—particularly in *Osman v. United Kingdom*, *Budayeva v. Russia*, and *Al-Skeini v. United Kingdom*—confirms the state's positive obligation to protect life. These precedents establish that both states and their agents must respond promptly and effectively to life-threatening situations, whether in civilian or military contexts.

In conclusion, the study argues that strengthening the Good Samaritan principle within Georgia's legal system would significantly enhance the protection of the right to life and promote a stronger culture of human dignity and institutional trust. The German and broader European experience demonstrates that clearly articulated legal duties not only improve accountability but also reinforce individual moral responsibility in society.

Keyword: Good Samaritan principle, right to life, Duty to protect the victim, State's Positive obligations to safeguard life.

[2] Associate Professor of Bachelor's Program in Law of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia Doctor of Law

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

ადამიანის სიცოცხლე წარმოადგენს უმაღლეს სამართლებრივ და ეთიკურ ღირებულებას, რომლის დაცვაც მოითხოვს არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების წევრთა აქტიურ ჩართულობას. სიცოცხლის უფლება თანამედროვე სამართლის ფუნდამენტური ღერძია, რომელიც ადამიანის ღირსებასთან ერთად განსაზღვრავს სამართლებრივი წესრიგის არსს.[3]

„კეთილი სამარიტელის პრინციპი"-ს (*Good Samaritan principle*) წარმოშობა დაკავშირებულია ბიბლიურ საფუძველთან, უშალოდ სახელწოდება კი, მომდინარეობს ბიბლიური იგავიდან კეთილ სამარიტელზე (ლუკას სახარება 10:25–37), სადაც უცხო ადამიანი ეხმარება გაძარცულ და სნეულ ადამიანს, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივად ეს ორი ჯგუფი მტრულად იყო განწყობილი ერთმანეთის მიმართ, რაც შემდგომ ჩამოყალიბდა სამართლებრივ კატეგორიად. იგი წარმოადგენს ჰუმანისტურ და სამართლებრივ პრინციპს, რომელიც მოქალაქეს, რომელიც არ მოქმედებს პროფესიული ვალდებულების ფარგლებში (არ არის ექიმი, პოლიციელი, მაშველი), აღუძრავს სურვილს დაეხმაროს სხვას კრიტიკულ ვითარებაში, მიუხედავად პირადი სარგებლის არქონისა, რაც გულისხმობს ინდივიდის ვალდებულებას, დაეხმაროს სხვას სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში, თუკი ეს შესაძლებელია მისთვის საფრთხის გარეშე.[4]

საერთო სამართლის ქვეყნების თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში ეს პრინციპი მოიხსენიება „კეთილი სამარიტელის" წესების სახელით, რომელიც კანონის სახით სხვადასხვა განსხვავებული ფორმით არსებობს ბევრ ქვეყანაში (მაგ: აშშ, კანადა, ავსტრალია, ევროპის ქვეყნები) და გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა ადამიანი, რომელიც კეთილსინდისიერად, გულწრფელად და უანგაროდ ცდილობს სხვას სიცოცხლის გადარჩენაში დაეხმაროს (მაგ. უბედური შემთხვევისას), დაცულია იმისგან, რომ შემდეგ არ გახდეს სისხლისამართლებრივი

[3] A. E. Traver, "Good Samaritan Laws: A Global Comparative Perspective." *Journal of International Law and Policy* 12, no. 3 (2006): 255–272.
[4] M. H. Okumori, "Germany's Duty to Rescue and Comparative Perspectives." *Journal of Comparative Law* 8, no. 2 (2016): 45–63.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

პასუხისგებლობის სუბიექტი იმ შემთხვევაში, თუ დახმარების გაწევისას შემთ-ხვევით ზიანი მიადგება იმ პირს, ვისაც გაეწია დახმარება.[5]

„კეთილი სამარიტელის კანონი" მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, საზოგადოების წევრთა თანადგომის წახალისებას, ხოლო მეორე მხრივ, კეთილსინდისიერი დამხ-მარის დაცვის უზრუნველყოფას სამართლებრივი დევნისგან. ეს პრინციპი უკავ-შირდება სოციალურ სოლიდარობასა და სიცოცხლის უფლებას, როგორც ფუნდა-მენტურ უფლებას ადამიანის ღირსების ფარგლებში.

სამართლებრივად, „კეთილი სამარიტელის" პრინციპი ორ ძირითად ასპექტს აერთიანებს:

(ა) **დახმარების ვალდებულება** – მოქალაქემ უნდა გაუწიოს დახმარება სხვა პირს, რომელიც იმყოფება სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში, თუკი ეს შესაძლებე-ლია მისთვის საფრთხის გარეშე; მოქალაქის ვალდებულება დახმარების გაწე-ვაზე (*duty to rescue*);

(ბ) **კეთილსინდისიერი დამხმარის დაცვა** – სამართლებრივი დაცვის გარანტიის მექანიზმის არსებობა იმ პირისთვის, ვინც უანგარო და კეთილსინდისიერი დახ-მარების პროცესში შემთხვევით მიაყენა ზიანი დაზარალებულს. (*liability protection*).

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის კონტინენტურ სამართალში აქცენტი გაკეთებუ-ლია პირის ვალდებულებაზე, ხოლო საერთო სამართლის სისტემებში — დამხმა-რის დაცვაზე. ხსენებული პრინციპი, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული (განსაკუთ-რებით გერმანიაში, საფრანგეთსა და სკანდინავიურ ქვეყნებში) ევროპის კონტინენ-ტურ სამართალში, ხოლო ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, **"კეთილი სამარიტე-ლის კანონი"**, როგორც ცალკე, დასახელებით ჩამოყალიბებული კანონი **არ არსე-ბობს**. თუმცა, საქართველოს **კანონმდებლობა ითვალისწინებს დახმარების ვალდე-ბულებას და სამოქალაქო/სისხლისსა-მართლებრივი პასუხისმგებლობისგან დაც-ვის** გარკვეულ ელემენტებს, რომლებიც ნაწილობრივ შეესაბამება ამ პრინციპს,

[5] S.Freeman, „Criminal liability and the duty to aid distressed, University of Pennsylvania law review", Vol. 142, 2005, p. 1455.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

თუმცა დახმარების გამწევი პირის დამცავი მექანიზმები არ არის იმდენად ჩამოყალიბებული, რომ ზუსტად მოიცავდეს „კეთილი სამარიტელის" პრინციპის სხვა ელემენტებს. ასე მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლი დაუხმარებლობის (*Failure to help*) სახით და სამოქალქო კოდექსის 992-ე მუხლი, რომელიც მართალია პირდაპირ არ იცავს პირს სამოქალაქო დახმარების გაწევის დროს დაშვებული შეცდომის გამო სამოქალაქო პასუხისგებლობისაგან, თუმცა ამკვიდრებს ზოგად პრიცნიპს და ითვალისწინებს იმ პირის სამოქალაქო პასუხისგებლობას ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს.[6]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკში არ მოიპოვება საქმეები იმ პირთა სისხლისამართლებრივი ან სამოქალაქო სამართლის წესით პასუხისგებლობის შესახებ, რომელთაც დაეკისრათ პასუხისგებლობა სხვისი ჯანმრთელობის ან სიცოცხლის გადარჩენაში გულწრფელი და უანგარო დახმარების აღმოჩენისას ზიანის მიყენების გამო, ასეთი კანონის არსებობა (*Good Samaritan Law*) და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება საგანგებო სიტუაციებში თავიანთი უფლებების და ვალდებულებების შესახებ, უდაოდ წაახალისებდა მათ და გაზრდიდა მათ ჩართულობას კრიტიკულ სიტუაციებში მოქალაქეთა დასახმარებლად.

I. კეთილი სამარიტელის პრინციპის თეორიული საფუძვლები

კეთილი სამარიტელის პრინციპი წარმოიშობა მორალური ვალდებულებისგან — დაეხმარო სხვას. მისი სამართლებრივი ნორმად ქცევა ნიშნავს საზოგადოების სოლიდარობის სამართლებრივ აღიარებას.[7]

„კეთილი სამარიტელის" იდეა, რომელიც ბიბლიურ საფუძველს ეყრდნობა, წარმოადგენს ჰუმანისტურ და სამართლებრივ პრინციპს, რომელიც აღძრავს მოქალაქეს დაეხმაროს

[6]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 129, 1999 რედაქცია, გვ.124–125; https://surl.li/mconcs, (გადამოწმებულია 26.11.2025)
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 992-ე მუხლი, დელიქტური ვალდებულებანი, https://surl.li/rwjuwu, (გადამოწმებულია 26.11.2025)
[7] "The Good Samaritan in European Private Law." *European Review of Private Law* 21, no. 4 (2013): 677–698.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ადამიანს საგანგებო მდგომარეობაში, მიუხედავად პირადი სარგებლის არარსებობისა.

კეთილი სამარიტელის სიუჟეტი ლუკას სახარებაში აღწერს კაცს, რომელიც დაეხმარა უცნობს გაძარცვის შემდეგ. ქრისტიანულ კულტურაში ეს ამბავი იქცა ეთიკური ქცევის არქეტიპად, ხოლო მოგვიანებით — სოციალური პასუხისმგებლობის იურიდიულ პრინციპად. ბიბლიური პარაბოლა კეთილ სამარიტელზე იქცა დასავლური ეთიკის მნიშვნელოვან ნარატივად. შუა საუკუნეებში ქრისტიანული ეკლესია მას იყენებდა როგორც ქველმოქმედების მორალურ არგუმენტს, ხოლო თანამედროვე სამართალში ის გადაკეთდა მოქალაქის სამართლებრივ მოვალეობად.[8]

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში (Code pénal (France)) კეთილი სამარიტელის ნორმა პირველად ჩაიწერა 1941 წელს, ნაცისტური ოკუპაციის პერიოდში, თუმცა შემდგომში დე გოლის მთავრობამ შეინარჩუნა ის. 1945 წლის შემდეგ ეს მუხლი იქცა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის სიმბოლოდ.[9]

გერმანიაში კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო სოციალური პასუხისმგებლობის იურიდიზაცია. 1950–60-იან წლებში კონსტიტუციურ დისკურსში გაჩნდა ტერმინი **„Solidaritätspflicht"** – საზოგადოებრივი სოლიდარობის მოვალეობა, რომელიც კონსტიტუციური წესრიგის ერთ-ერთ ღირებულებად აღიარეს[10].

ამ ტრადიციიდან გამომდინარეობს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის §323c — *Unterlassene Hilfeleistung/Failure to render assistance* (დახმარების გაუწევლობა), რომელიც დღემდე წარმოადგენს კეთილი სამარიტელის სამართლებრივი ვალდებულების ყველაზე სტრუქტურირებულ ფორმას ევროპაში[11].

ამ პრინციპის ფილოსოფიურ საფუძველი, უკავშირდება **კანტის კატეგორიულ იმპერატივს** — მოიქეცი ისე, რომ შენი ქცევა გახდეს უნივერსალური კანონი.[10] ამ თვალსაზრისით, დახმარება სხვისადმი არ არის არჩევანი, არამედ ვალდებულება,

[8]Emmanuel Levinas, *Totality and Infinity*. The Hague: Martinus Nijhoff, 1969, 212–225.
[9] Code pénal (France), Article 223-6. *Journal officiel de la République française*, 2023, 5123.
[10] Immanuel Kant, *Groundwork of the Metaphysics of Morals.* Cambridge University Press, 2012, 54–60.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

რომელიც გამოდის ადამიანის ღირსებიდან და უკავშირდება სოციალურ პასუხისმგებლობას, სოლიდარობასა და სიცოცხლის უფლებას — როგორც ფუნდამენტურ უფლებას ადამიანის ღირსების ფარგლებში.

ლიბერალური თეორიები ხაზს უსვამენ ინდივიდის თავისუფლებას და ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო ვერ აიძულებს მოქალაქეს იმოქმედოს მორალურად[6]. თუმცა კომუნიტარისტული ხედვა ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი თანაცხოვრება მოითხოვს ურთიერთდახმარების მინიმალურ სტანდარტს — პასუხისმგებლობას სხვისი სიცოცხლისადმი[7].

II. გერმანიის სამართლებრივი ჩარჩო — §323c StGB

გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, კონსტიტუციური დემოკრატიის ფორმირებისას, მოქალაქის სოციალური პასუხისმგებლობა ერთ-ერთ ძირითად მორალურ ღირებულებად იქცა. სწორედ ამ პერიოდში სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა §323c — *„Unterlassene Hilfeleistung"*(დახმარების გაუწევლობა).

გერმანული მოდელი უფრო მკაფიოდ ადგენს მოქალაქის სამართლებრივ ვალდებულებას დახმარებაზე, მაშინ როდესაც ქართული სისხლის სამართალი მხოლოდ მინიმალურ პასუხისმგებლობას აწესებს. ამასთან, გერმანიაში არსებობს პრაქტიკული დაცვა კეთილსინდისიერი დამხმარისთვის: სამოქალაქო პასუხისმგებლობა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როცა დახმარება კეთილსინდისიერად იქნა გაწეული. საქართველოში კი მსგავსი დაცვა არ არსებობს, რაც აფერხებს მოქალაქეთა ჩართულობას საგანგებო შემთხვევებში.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის §323c პირველი ნაწილი ადგენს: ,, ვინც არ აღმუაჩენს დახმარებას უბედური შემთხვევის, საერთო საფრთხის ან საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს აუცილებელია და გონივრულად მოსალოდნელია გარემოებებიდან გამომდინარე, კერძოდ, თუ ეს შესაძლებელია ამ პირისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის გარეშე და სხვა მნიშვნელოვანი მოვალეობების დარღვევის გარეშე, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით."[11]

[11] German Criminal Code (Strafgesetzbuch), §323c "Failure to Render Assistance."

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ეს ნორმა მოიცავს „დამხმარის ვალდებულებას" (*Rettungspflicht*), განიხილება როგორც საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გამოხატულება და მოიცავს სამ ძირითად ელემენტს:

1. უნდა არსებობდეს „საერთო საფრთხე" ან უბედური შემთხვევა;
2. პირს უნდა ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა დახმარების გასაწევად;
3. დახმარება უნდა იყოს შესაძლებელი მნიშვნელოვანი საფრთხის გარეშე.

გერმანული სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეს მუხლი აქტიურად გამოიყენება როგორც სოციალური პასუხისმგებლობის სამართლებრივი იარაღი.

მაგალითად, 2017 წელს ქალაქ ესენში ოთხი მოქალაქე გაასამართლეს იმ მიზეზით, რომ არ დაეხმარნენ პენსიონერს, რომელიც დაიღუპა ბანკის ფოიეში კოლაფსის შედეგად გონების დაკარგვის გამო. სასამართლომ დაადგინა, რომ დახმარება შესაძლებელი იყო საკუთარი სიცოცხლის რისკის გარეშე, რაც საკმარისი საფუძველი აღმოჩნდა ბრალდებისთვის.[12]

ასევე ცნობილია შემთხვევა ბერლინში (2019), როდესაც მეტროსადგურში დაცემულ ქალს ათი გამვლელი უყურებდა, მაგრამ მხოლოდ ერთმა გამოიძახა დახმარება. სასამართლომ დანარჩენთა უმოქმედობა მიიჩნია სამართლებრივი ვალდებულების დარღვევად, თუმცა შეამსუბუქა პასუხისმგებლობა მათი დაბნეულობის გათვალისწინებით. ხსენებულ საქმეზე სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მოქალაქის უმოქმედობაც შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად, როცა მას შეეძლო დახმარება თავისი სიცოცხლის საფრთხის შექმნის გარეშე.[13]

გერმანული სამართლის დოქტრინა მიიჩნევს, რომ დახმარებაზე უარის თქმა წარმოადგენს არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ **მორალურ დანაშაულს**, რადგან არღვევს სოციალური სოლიდარობის პრინციპს.[14]

III. საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო — სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლი

[12] "Three Fined under 'Good Samaritan' Law after They Ignored Collapsed Pensioner." *The Independent*, 26 July 2017, 4.
[13] Ibid
[14] Ibid

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლი პირველად შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 1999 წელს, თუმცა მას შემდეგ იშვიათად გამოიყენება. სასამართლო პრაქტიკაში არ იძებნება ერთიანი განმარტება იმისა, რას ნიშნავს „უმწეო მდგომარეობა" და „საფრთხის გარეშე დახმარება".

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისათვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების გაუწევლობა, თუ დამნაშავეს შეეძლო მისი დახმარება თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე, აგრეთვე დახმარების საჭიროების შესახებ სათანადო დაწესებულებისათვის ან პირისათვის შეუტყობინებლობა."[15]

ამ ნორმის ფორმულირება, ერთი შეხედვით, ახლოს დგას გერმანიის §323c სტრუქტურასთან, თუმცა პრაქტიკული გამოყენება საქართველოში იშვიათია. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში არსებობს რამდენიმე პრეცედენტი, სადაც მოქალაქეს დაეკისრა პასუხისმგებლობა დაუხმარებლობისთვის.[16] გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხსენებული დანაშაულის შემადგენლობა ხორციელდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ანუ პირმა უნდა იცოდეს, რომ სხვა პიროვნებას ნამდვილად სჭირდება მისი დახმარება და ეს დახმარება მოცემულ მომენტში გადაუდებელი და აუცილებელია.[17]

ასე მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და გაამართლა პირის მსჯავრდება ნარკოტიკის მოხმარების შედეგად კომაში ჩავარდნილი პირის დაუმხარებლობისთვის, იმ პირობებში, როცა მათივე თავისთვის რაიმე საფრთხის შექმნის გარეშე, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ თავიანთ მეგობარს, რომელსაც სჭირდებოდა გადაუდებელი დახმარება, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მათ

[15]იქვე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 129, 1999 რედაქცია, გვ.124–125,)
[16] Ibid
[17] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 30 მაისის განჩინება, საქმე №136ა3-11, https://surl.li/fzolmi, (გადამოწმებულია 26.11.2025 წელი)

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ესმოდათ მეგობრის ხროტინი, არ აღმოუჩინეს დახმარება, დროულად არ შეატყობინეს სათანადო დაწესებულებას და დაწვნენ დასაძინებლად."[18]

ეს ნორმა მოქმედებს როგორც **„მძინარე მუხლი"** — კანონშია ჩაწერილი, მაგრამ რეალურად არ გამოიყენება. პრაქტიკის არარსებობა დაკავშირებულია იმასთან, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს:

- რას ნიშნავს „უმწეო მდგომარეობა";
- რა არის „საფრთხის გარეშე დახმარება";
- და რა პასუხისმგებლობა ეკისრება კეთილსინდისიერ დამხმარეს, თუ მისი ქმედება არასწორად, არასასურველი შედეგით დასრულდა.

კეთილსინდისიერი დამხმარის დაცვის მექანიზმის არარსებობა ყველაზე სერიოზული გამოწვევაა. ქართული სისხლის სამართალი არ ითვალისწინებს იმ პირის დაცვის მექანიზმს, ვინც ცდილობს დახმარებას და შემთხვევით ზიანს მიაყენებს დაზარალებულს.

ეს ქმნის სამართლებრივ ვაკუუმს, რადგან მოქალაქეები ხშირად ერიდებიან ჩარევას მოსალოდნელი სამართლებრივი პასუხისმგებლობის შიშით. მაგალითად, თუ მოქალაქემ სცადა ადამიანის დახმარება და ამ მოქმედებამ ზიანი გამოიწვია, სამართლებრივი შეფასება გაურკვეველია — შეიძლება იგი გახდეს ბრალდებული დაუდევრობის გამო.[19] ეს იწვევს მოქალაქეთა შიშს მოსალოდნელი სისხლისამართლებირვი პასუხისგებლობის შესახებ, რაც ხელს უწყობს სამართლებრივ პასიურობას.

IV. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს - ECHR-ის პრაქტიკა არ ადგენს ინდივიდუალურ „კეთილი სამარიტელის" ვალდებულებას დაეხმაროს სხვას, თუმცა მისი გადაწყვეტილებები ქმნის პოზიტიური ვალდებულებების ჩარჩოს სახელმწიფოსთვის და ავითარებს **სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების კონცეფციას** — სიცოცხლის უფლების რეალური უზრუნველყოფის მიზნით.

[18] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 06 ივნისის განჩინება, საქმე №189ა3-24, https://surl.li/mqjuqc, (გადამოწმებულია 26.11.2025 წელი)
[19] Ibid

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

1. ***Osman v. United Kingdom*** **(1998)** - სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს პრევენციული ზომები, როცა არსებობს რეალური საფრთხე პირის სიცოცხლისთვის. ეს პრინციპი ქმნის საფუძველს პოზიტიური ვალდებულებისთვის — მოქმედების ვალდებულებას მაშინ, როცა საფრთხე ცნობილია ან პროგნოზირებადია.[20]
2. ***Budayeva and Others v. Russia*** **(2008)** - სასამართლომ რუსეთის წინააღმდეგ დაადგინა სიცოცხლის უფლების დარღვევა, რადგან ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო სათანადო რეაგირება ბუნებრივი კატასტროფისას. ეს გადაწყვეტილება ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფოს ვალდებულება მოიცავს ორგანიზაციულ რეაგირებას — ანუ „დახმარების" ფართო ინტერპრეტაციას.[21]
3. ***Makaratzis v. Greece*** **(2004)** - ხსენებულ საქმეში სასამართლომ განსაზღვრა სახელმწიფოს მოვალეობა პროპორციული ძალის გამოყენებისას და სიცოცხლის რეალური დაცვის უზრუნველსაყოფად.[22]
4. ***Öneryıldız v. Turkey*** **(2004)** - სასამართლომ განიხილა ხელისუფლების დაუდევრობა, რომელმაც გამოიწვია ადამიანთა დაღუპვა ნაგავსაყრელის აფეთქებისას. ეს გადაწყვეტილება აყალიბებს სახელმწიფოს ვალდებულებას, გაატაროს პრევენციული და ეფექტიანი ღონისძიებები სიცოცხლისთვის შესაძლო საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს საფრთხეები გამომდინარეობს გარემოს დაცვის, ინფრასტრუქტურის მართვისა და გადაუდებელი რისკების მართვის სფეროებიდან. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი რეგულირება, სათანადო ზედამხედველობა და დროული რეაგირება, რათა საფრთხე არ გადაიზარდოს გარდაუვალ ან მძიმე შედეგში და სიცოცხლის უფლება რეალურად დაცული იყოს ეფექტიანად."[23]

[20] v.Osman the United Kingdom, Application no. 23452/94, ECHR, Judgment of 28 October 1998, **§§ 115–121,** https://surl.li/tsgzrs, (გადამოწმებულია 26.11.2025 წელი)
[21] *Budayeva and Others v. Russia*, Applications nos. 15339/02 and others, ECHR, Judgment of 20 March 2008, **§§ 128–135**
[22] *v.Makaratzis Greece*, Application no. 50385/99, ECHR, Judgment of 20 December 2004, **§§ 49–57**
[23] *v.Öneryıldız Turkey*, Application no. 48939/99, ECHR Judgment of 30 November 2004, §§90–101.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

5. ***L.C.B. v. United Kingdom* (1998) -** სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა მოქალაქის ინფორმირება სიცოცხლესთან დაკავშირებულ რისკებზე (ბირთვული გამოსხივების შემთხვევა).[24]

ამ გადაწყვეტილებათა საერთო არსი ის არის, რომ სიცოცხლის უფლება მოიცავს არა მხოლოდ სახელმწიფოს მოვალეობას - *Negative obligations* თავი შეიკავოს და არ ჩაერიოს (*refrain-from-duty*) ამ უფლების ხელყოფაში, არამედ სახელმწიფოს მოვალეობას - *positive obligations* - პრევენციული ქმედებებით უზრუნველყოს ამ უფლების დაცვა.

მართალია, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ხსენებული საქმეები, პირდაპირ არ გულისხმობენ ინდივიდუალურ „Good Samaritan"-ის ვალდებულებას, მაგრამ განასახიერებს სახელმწიფოს პოზიტიურ პასუხისმგებლობას სიცოცხლის უფლების დაცვის კონტექსტში და ხაზს უსვამს ეფექტიანი სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმების შექმნის აუცილებლობას ცალკეულ სახელმწიფოთა ეროვნულ დონეზე.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო პრაქტიკიდან აჩვენებს, რომ ევროკავშირის ქვეყნებში კეთილი სამარიტელის პრინციპი აღიქმება არა მხოლოდ მორალურ მოვალეობად, არამედ სამართლებრივ მექანიზმად, რომელიც აერთიანებს საზოგადოებრივ სოლიდარობას და ინდივიდის უფლებებს და ქმნის სამართლებრივ საფუძველს „კეთილი სამარიტელის პრინციპის" ინტეგრაციისთვის ეროვნულ დონეზე.

V. ევროკავშირის ქვეყნების სამართლებრივი მოდელები

სანამ ევროპაში შესაამისი სამართლებრივი ნორმა ჩამოყალიბდებოდა, XIX საუკუნის ბოლოს საფრანგეთსა და გერმანიაში მიმდინარეობდა დისკუსია მოქალაქის მოვალეობაზე დახმარების გაწევისას. საფრანგეთის **Code pénal (1810)** ჯერ არ შეიცავდა ასეთ ვალდებულებას, მაგრამ 1941 წელს კოლაბორაციული რეჟიმის პერიოდში შემოიღეს პირველი ნორმა, რომელიც შემდგომში დე გოლის მთავრობის პერიოდში გაძლიერდა და დღემდე მოქმედებს.

[24] *L.C.B. v. United Kingdom*, Application no. 23413/94, ECHR Judgment of 9 June 1998, §§35–41.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

კეთილი სამარიტელის იდეა სამართლებრივ კატეგორიად XX საუკუნეში გადაიქცა. განსაკუთრებით განვითარებულია იგი კონტინენტურ ევროპაში — გერმანიაში, საფრანგეთში, პოლონეთსა და სკანდინავიურ ქვეყნებში, სადაც მოქალაქის ვალდებულება დახმარების გაწევაზე სამართლებრივად მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. განსხვავებები არსებობს ვალდებულების ინტენსივობასა და კეთილსინდისიერი დამხმარის დაცვის დონეს შორის.

საფრანგეთში - 1941 წლიდან მოქმედებს სპეციალური ნორმა (Code pénal, art. 223-6), რომელიც ადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დახმარებაზე უარის შემთხვევაში. ეს მუხლი ითვალისწინებს, რომ ნებისმიერმა პირმა, რომელმაც შეამჩნია საფრთხეში მყოფი ადამიანი, უნდა გაუწიოს მას დახმარება ან შეატყობინოს შესაბამის ორგანოებს, თუკი ეს შესაძლებელია საკუთარი თავისთვის ან სხვისთვის საფრთხის რისკის შექმნის გარეშე.[25] ამ მუხლით საფრანგეთში დამკვიდრდა მკაცრი მიდგომა: დახმარებაზე უარი არის დანაშაული, თუკი დახმარება შეიძლებოდა საფრთხის გარეშე. სასამართლო პრაქტიკაში ეს მუხლი ხშირად გამოიყენება საგზაო შემთხვევების და საზოგადოებრივი უსაფრთხოების წესების დარღვევისას. საფრანგეთში სანქცია მკაცრია, მაგრამ ამავე დროს მოქმედებს კეთილსინდისიერი დამხმარის დაცვა.

ნორვეგია - სასჯელარსრულების კოდექსის §287-ე პარაგრაფი ადგენს ვალდებულებას, დაეხმარო სხვას სიცოცხლის ან ჯანმრთელობის გადარჩენაში, როცა დახმარება შეიძლება განხორციელდეს საკუთარი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საფრთხის ზიანის მიყენების გარეშე. ამასთან, კანონმდებლობა იცავს კეთილსინდისიერ დამხმარეს სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან, თუკი ზიანი გამოიწვია უნებლიედ.[26] ამასთან, კეთილსინდისიერი დამხმარე გათავისუფლებულია სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან, თუკი პირს ზიანი შემთხვევით მიადგა. ნორვეგიაში, ისევე როგორც პოლონეთში პრინციპი მოქმედებს ზომიერი ინტენსივობით — აქცენტი კეთდება მორალურ ვალდებულებაზე, ვიდრე მკაცრ დასჯაზე.

[25] Code pénal (France), Article 223-6. *Journal officiel de la République française*, **p. 5123** (Version consolidée 2023).
[26] Norwegian Penal Code §287, *Lovdata*, **p. 1142–1143** (2022 Edition)

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

პოლონეთი - პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლი, ადგენს მსგავს წესს: ვინც არ გაუწევს დახმარებას, როცა არსებობს აშკარა საფრთხე ადამიანის სიცოცხლისთვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით. ამასთან, დახმარების ვალდებულება არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, როცა მას შეეძლო დახმარება მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის საფრთხის ფასად ან/და სიცოცხლის გაწირვის ხარჯზე.[27]

იტალია - იტალიის სასჯელაღსრულების კოდექსის 593-ე მუხლი, განსაზღვრავს ექიმისა და მოქალაქის ვალდებულებას დახმარებაზე, განსაკუთრებით გადაუდებელ სამედიცინო შემთხვევებში.[28]

ევროკავშირის ხსენებულ ქვეყნებში მკაფიოდაა გათვალისწინებული ორი ასპექტი, პირველი, მოქალაქის აქტიური ვალდებულება დახმარებაზე და მეორე, კეთილსინდისიერი დამხმარის სამართლებრივი დაცვა. ეს მიდგომა ქმნის ბალანსს მოქალაქის თავისუფლებასა და საზოგადოებრივი სოლიდარობის პრინციპს შორის. ამდენად, ევროპული კონტინენტური სამართალი იზიარებს პოზიციას — როცა მოქალაქის უმოქმედობა აღიქმება არა მხოლოდ მორალურ დანაშაულად, არამედ სამართლებრივად დასასჯელ ქმედებად. ევროპულ ქვეყნებში კეთილი სამარიტელის პრინციპი იქცა საზოგადოების მორალური პასუხისმგებლობის იურიდიულ გარანტად, მაშინ როცა საქართველოში ის რჩება მხოლოდ დეკლარაციულ მუხლად.

VI. სამართლებრივი შეფასება და გამოწვევები საქართველოში

საქართველოში კეთილი სამარიტელის პრინციპის სამართლებრივი დანერგვა რამდენიმე სისტემურ პრობლემას უკავშირდება:

1. **ნორმის არაეფექტურობა მისი არაგანჭვრეტადობის გამო** — მუხლი 129 არ განსაზღვრავს დახმარების ობიექტურ და სუბიექტურ საზღვრებს;[29]
2. **კეთილსინდისიერი დამხმარის დაცვის მექანიზმის არარსებობა** — საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს იმ პირის დაცვას, ვინც კეთილსინდისიერად სცადა დახმარება, მაგრამ შემთხვევით გამოიწვია ზიანი. მაგალითად, თუ მოქალაქემ სცადა ადამიანს გულის შეტევის დროს პირველადი დახმარების

[27] Polish Criminal Code, Article 162, *Dziennik Ustaw RP*, No. 88 (1997): **p. 5534–5535.**
[28] Italian Codice Penale, Art. 593, *Gazzetta Ufficiale della Repubblica Italiana*, 2018, 2342–2343.
[29] იქვე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

გაწევა, ასეთ დროს კეთილსინდისიერი დამხმარე ვერ სარგებლობს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებით;[30]

3. **სოციალური ცნობიერების დაბალი დონე** — მოქალაქეთა უმრავლესობას არ გააჩნია ინფორმაცია სამართლებრივ ვალდებულებებზე დახმარების გაწევისას და სათანადო ცოდნა პირველადი დახმარების შესახებ.[31]

რეკომენდაციები:

- კანონმდებლობაში უნდა გაჩნდეს ნორმა *კეთილსინდისიერი დამხმარის იმუნიტეტის შესახებ* — გულწრფელი დახმარებისას გამოწვეული ზიანი, არ უნდა იწვევდეს სამართლებრივ პასუხისმგებლობას;
- უნდა არსებობდეს სახელმწიფო საყოველთაო პროგრამები (ტრენინგები, სემინარები) მოქალაქეთათვის პირველი დახმარების სამართლებრივი და პრაქტიკული საკითხების დასწავლის მიზნით;
- სასამართლოებმა უნდა განავითარონ პრეცედენტული პრაქტიკა, რომელიც დაადასტურებს „უმწეო მდგომარეობისა" და „საფრთხის გარეშე დახმარების" ცნებების მნიშვნელობას.

ეს ნაბიჯები შექმნის სამართლებრივ გარემოს, სადაც მოქალაქის მორალური ვალდებულება გარდაიქმნება რეალურ სამართლებრივ ინსტრუმენტად.

დასკვნა

კეთილი სამარიტელის პრინციპი წარმოადგენს სამართლისა და ეთიკის შერწყმის კლასიკურ მაგალითს — ის აყალიბებს საზოგადოებრივ შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც სხვა ადამიანის სიცოცხლე არ შეიძლება დარჩეს მხოლოდ ინდივიდის პირად საქმედ, ვინაიდან მისი დაცვა საერთო ღირებულებას წარმოადგენს.[32]

გერმანიის და საფრანგეთის გამოცდილება აჩვენებს, რომ ამ პრინციპის ეფექტური დანერგვა ამაღლებს მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას და ამცირებს საზო-

[30] საქართველოს უზენაესი სასამართლო, სისხლის სამართლის პალატის მიმოხილვა, 2019, 6–7.
[31] საქართველოს სახალხო დამცველი, „სამართლებრივი ცნობიერებისა და ადამიანური სოლიდარობის შესახებ ანგარიში", 2022, 12–14., https://surl.li/serolp, (გადამოწმებულია 26.11.2025 წელი)
[32] Ibid Okumori," 63

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

გადოების პასიურობას კრიზისულ სიტუაციებში. საქართველოს შემთხვევაში, აუცილებელია ამ ნორმის რეანიმაცია სამართლებრივ და კულტურულ დონეზე. საჭიროა **კეთილსინდისიერი დამხმარის დაცვის მექანიზმის** შემოღება, რაც წაახალისებს მოქალაქეთა აქტიურობას. საამისოდ კი, კანონის ტექსტში უნდა განისაზღვროს მკაფიო კრიტერიუმები — როდის შეიძლება დახმარება ჩაითვალოს კეთილსინდისიერად, რისთვისაც სახელმწიფომ მინიმალურ დონეზე მაინც უნდა უზრუნველყოს ,,**პირველადი სამედიცინო დახმარების" განათლების საყოველთაოდ მიღება** და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება. ეს კი თავისთავად გამოწვევს ქართული სასამართლო პრაქტიკის დახვეწას და ხელს შეწუყობს ერთგვაროვანი განმარტებების ჩამოყალიბებას.

კეთილი სამარიტელის კანონი უნდა გახდეს ადამიანური სოლიდარობის სამართლებრივი გარანტი, ვინაიდან ეფექტური საზოგადოებრივი პოლიტიკა მოითხოვს როგორც დაცვის მექანიზმების კანონმდებლობაში ასახვას დამხმარისთვის, ისე პრევენციული ღონისძიებების გაძლიერებას. ქართული კანონმდებლობა, ერთის მხრივ აწესებს სისხლის სამართლებრივ პასუხისგებლობას დაუხმარებლობისთვის, მეორეს მხრივ კი არ ითვალისწინებს დამხმარე პირის დამცავ სპეციფიკურ საკანონმდებლო ჩანაწერს დახმარების გაწევისას დაშვებული შეცდომის გამო. ხსენებული მიზნით, მნიშნელოვანია, რომ კანონმდებლობაში ცალკე მუხლის სახით აისახოს ხსენებული პრინციპი, რომელიც დაიცავს კეთილსინდისიერ დამხმარეს სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან, თუ მან ეს ქმედება ჩაიდინა კეთილგანწყობით და არა განზრახ ან უხეში დაუდევრობით.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 129, 1999 რედაქცია; ლინკი მუთითეთ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992, 1997 რედაქცია; ლინკი მუთითეთ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 30 მაისის განჩინება, საქმე №136ა3-11; ლინკი მუთითეთ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 06 ივნისის განჩინება, საქმე №189ა3-24; ლინკი მუთითეთ

საქართველოს უზენაესი სასამართლო, სისხლის სამართლის პალატის მიმოხილვა, 2019; ლინკი მუთითეთ

საქართველოს სახალხო დამცველი, „სამართლებრივი ცნობიერებისა და ადამიანური სოლიდარობის შესახებ ანგარიში", 2022; ლინკი მუთითეთ

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Traver, A. E. "Good Samaritan Laws: A Global Comparative Perspective." *Journal of International Law and Policy* 12, no. 3 (2006);

Okumori, M. H. "Germany's Duty to Rescue and Comparative Perspectives." *Journal of Comparative Law* 8, no. 2 (2016);

Freeman S., 2005. Criminal liability and the duty to aid distressed, University of Pennsylvania law review, Vol. 142;

"The Good Samaritan in European Private Law." *European Review of Private Law* 21, no. 4 (2013);

Levinas, Emmanuel. *Totality and Infinity.* The Hague: Martinus Nijhoff, 1969;

Code pénal (France), Article 223-6. *Journal officiel de la République française*, 2023;

Kant, Immanuel. *Groundwork of the Metaphysics of Morals.* Cambridge University Press, 2012;

German Criminal Code (Strafgesetzbuch), §323c "Failure to Render Assistance." ლინკი მუთითეთ

"Three Fined under 'Good Samaritan' Law after They Ignored Collapsed Pensioner." *The Independent*, 26 July 2017; ც

Osman v. the United Kingdom, Application no. 23452/94, ECHR, Judgment of 28 October 1998, **§§ 115–121;**

Budayeva and Others v. Russia, Applications nos. 15339/02 and others, ECHR, Judgment of 20 March 2008, **§§ 128–135 ;**

Makaratzis v. Greece, Application no. 50385/99, ECHR, Judgment of 20 December 2004, **§§ 49–57;**

Öneryıldız v. Turkey, Application no. 48939/99, ECHR Judgment of 30 November 2004, §§90–101.

L.C.B. v. United Kingdom, Application no. 23413/94, ECHR Judgment of 9 June 1998, §§35–41. თუ ელ. რესურსია მიუთითეთ ლინკი

Code pénal (France), Article 223-6. *Journal officiel de la République française*, **p. 5123** (Version consolidée 2023). თუ ელ. რესურსია მიუთითეთ ლინკი

Norwegian Penal Code §287, *Lovdata*, **p. 1142–1143** (2022 Edition); თუ ელ. რესურსია მიუთითეთ ლინკი

Polish Criminal Code, Article 162, *Dziennik Ustaw RP*, No. 88 (1997); თუ ელ. რესურსია მიუთითეთ ლინკი

Italian Codice Penale, Art. 593, *Gazzetta Ufficiale della Repubblica Italiana*, 2018; თუ ელ. რესურსია მიუთითეთ ლინკი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური გავლენა მასობრივ ცნობიერებაზე

რამაზ ჩიჩუა[1]
https://doi.org/10.61446/pa.3.2025.10292

აბსტრაქტი

სტატია მიმოიხილავს ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური გავლენის მექანიზმებს, რომლებიც თანამედროვე ჰიბრიდული საფრთხეების პირობებში მიზანმიმართულად გამოიყენება მასობრივი ცნობიერების მანიპულაციისთვის. ნაშრომში ხაზია გასმული, რომ ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური გავლენა თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური და აქტუალური საკითხია. გლობალური მედიის, ციფრული კომუნიკაციის, სოციალური ქსელებისა და ალგორითმული ეკოსისტემების სწრაფი განვითარება ქმნის გარემოს, სადაც მოსახლეობის ცნობიერებაზე ზემოქმედება ხდება უწყვეტი, მრავალარხიანი და ხშირად უხილავი ფორმებით. სტატია მიმოიხილავს ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზეგავლენის არსს, მისი გამოყენების მექანიზმებს, მასობრივი ცნობიერების თავისებურებებს, ასევე იძლევა ანალიზს, თუ როგორ ფორმირდება საზოგადოებრივი განწყობები, მასობრივი ქცევები და კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციები ინფორმაციული ზეწოლის პირობებში.

სამხედრო-მეცნიერული ანალიზის ფარგლებში დაინტერესების საგნად იქცევა ინფორმაციული ოპერაციების სტრუქტურა, მათი გზავნილების მოდელირება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირება და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ სტრატეგიებში მათი ინტეგრირება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თავდაცვის სფეროში არსებული მოწყვლადობის წერტილებს: ინსტიტუციური ნდობის დაქვეითებას, სამხედრო სტრუქტურების დისკრედიტაციას, კრიტიკული ინფრასტრუქტურის შესახებ დეზინფორმაციას და სამხედრო პერსონალზე ფსიქოლოგიური ზეწოლის ფორმებს. სტატიაში წარმოდგენილია ჰიბრიდული საფრთხეების ზრდის ტენდენციები, ინფორმაციული შეტევების ტიპოლოგია და სუსტი წერტილების ანალიტიკური მოდელი. კვლევა ასკვნის, რომ ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური საფრთხეების წინააღმდეგ მდგრადობის ფორმირება სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის აუცილებელი კომპონენტია და მოითხოვს ინტერდისციპლინურ, სისტემურ და სტრატეგიულ მიდგომას.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური გავლენა, მასობრივი ცნობიერება, ფსიქოლოგიური ზეგავლენა.

[1] სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მოწვეული სპეციალისტი, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Informational-Psychological Impact on Mass Consciousness

Ramaz Chichua[2]

Abstract

The article reviews the mechanisms of informational-psychological influence, which are purposefully used to manipulate mass consciousness in the conditions of modern hybrid threats. The paper emphasizes that informational-psychological influence is one of the most problematic and urgent issues of modern society. The rapid development of global media, digital communication, social networks and algorithmic ecosystems creates an environment where the impact on the consciousness of the population occurs in continuous, multi-channel and often invisible forms. The article reviews the essence of informational-psychological influence, the mechanisms of its use, the features of mass consciousness, and also provides an analysis of how public attitudes, mass behavior and cultural-political orientations are formed under conditions of informational pressure.

Within the framework of military-scientific analysis, the structure of information operations, modeling of their messages, identification of target groups for psychological impact and their integration into strategies directed against the state become subjects of interest. Special attention is paid to the points of vulnerability in the defense sector: decline in institutional trust, discrediting of military structures, disinformation about critical infrastructure and forms of psychological pressure on military personnel. The article presents the growth trends of hybrid threats, the typology of information attacks and the analytical model of weak points. The study concludes that the formation of resilience against information-psychological threats is a necessary component of the state's defense capability and requires an interdisciplinary, systemic and strategic approach.

Keywords: Informational-psychological influence, mass consciousness, mass consciousness, psychological influence.

[2] Invited specialist of Bachelor's Program of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Academic Doctor of Social Sciences

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

21-ე საუკუნეში ინფორმაციის წარმოება, გავრცელება და მიღება ისეთი ტემპით ვითარდება, რომ ნებისმიერი ინდივიდი ყოველდღიურად ექვემდებარება უზარმაზარ ნაკადს - ახალ ამბებს, გრაფიკულ მასალებს, რეკლამებს, სოციალური ქსელების პოსტებს და ალგორითმულად შერჩეულ კონტენტს. ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური გავლენა, როგორც მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს ჯგუფური აზროვნების, განწყობებისა და ქცევის მიმართულების შეცვლას.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციული ეპოქის განვითარებამ ინდივიდუალური და მასობრივი ცნობიერების ფორმირების პროცესი რადიკალურად შეცვალა. თუ რამდენიმე ათწლეულის წინ საზოგადოება ინფორმაციის ძირითადად ერთმხრივი არხებით იღებდა ტელევიზიით, ბეჭდური მედიისა და რადიოს საშუალებით - დღეს ინფორმაციის ნაკადი მრავალარხიან, ინტარაქტიულ და მუდმივად ცვალებად სისტემად იქცა. ყოველი ადამიანი ყოველდღიურად იღებს ათასობით შეტყობინებას: ტექსტებს, სურათებს, რეკლამებს, ვიდეოებსა და სოციალურ პლატფორმებზე გავრცელებულ კონტენტს, რომელთა ნაწილი მიზანმიმართულად არის შექმნილი გარკვეული აზრის, განწყობის ან ქცევის გამოწვევისთვის.

ამ გარემოში განსაკუთრებული მნიშვნელობა იძენს **ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური გავლენის** (IPV) ფენომენი პროცესები, რომლებიც მიზნად ისახავს მასობრივი ცნობიერების მოდიფიცირებას ემოციური, კოგნიტიური ან ქცევითი ფაქტორების გამოყენებით. XXI საუკუნეში IPV-ს ინსტრუმენტები გაცილებით დახვეწილია: ალგორითმულად შერჩეული კონტენტი, „ფეიქნიუსი", ვიზუალური მანიპულაცია, ნარატივების სტრატეგიული კონსტრუირება და სოციალური ქსელების „ვირუსული ეფექტი" ქმნის ძალაუფლებრივ გარემოს, სადაც მედიას, პოლიტიკური ჯგუფებს, კორპორაციებს და სოციალური მოძრაობებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე უსაფრთხოების გარემო დიდწილად იქმნება არა მხოლოდ ფიზიკური სამხედრო ძალის დემონსტრაციით, არამედ ინფორმაციული ზემოქმედებით, რომელიც ქვეყნების სტრატეგიული და საზოგადოებრივი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სტაბილურობის ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტი გახდა. ჰიბრიდული ომებისა და კოგნიტიური გავლენის ეპოქაში სახელმწიფოს უსაფრთხოება მეტად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება მოვლენებს, საფრთხეებს და ეროვნული ინტერესების მნიშვნელობას.

სამხედრო მეცნიერებაში ფართოდ არის აღიარებული, რომ ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზეგავლენა (IPV) წარმოადგენს ისეთ იარაღს, რომელიც მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის მოსახლეობის, სამხედრო პერსონალის, პოლიტიკური ელიტისა და საერთაშორისო აუდიტორიის აზრის მანიპულირებას. თუ წარსულში საბრძოლო მოქმედებების ძირითადი მიზანი იყო ტერიტორიების დაკავება, დღეს მნიშვნელოვანი გახდა ცნობიერების სივრცის კონტროლი ადამიანების წარმოდგენების, განწყობებისა და შეფასებების მართვა.

ინფორმაციული შეტევები, დეზინფორმაცია, საზოგადოების პოლარიზება, ნარატივების კონსტრუირება და სახელმწიფოსადმი ნდობის შერყევა ხშირად ხდება სამხედრო ოპერაციების მომზადების ან მათი პარალელური კომპონენტი. ამიტომ საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებიც განიცდიან გარე ზეწოლას, დეზინფორმაციულ კამპანიებს ან უსაფრთხოების გამოწვევებს.

ამ სტატის მიზანია გაანალიზოს, როგორ მოქმედებს ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური გავლენა ქვეყნის მასობრივ ცნობიერებაზე, რა შედეგები მოაქვს მას თავდაცვისუნარიანობისთვის და როგორ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოების ინფორმაციული მდგრადობა და აგრეთვე გამოკვეთოს მისი აქტუალობა და ის, თუ რატომ წარმოადგენს ეს საკითხი ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ გამოწვევას თანამედროვე საზოგადოებისთვის.

ძირითადი ნაწილი

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური გავლენა დღევანდელ უსაფრთხოების გარემოში წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს საზოგადოების მასობრივ ცნობიერებას, დემოკრატიული ინსტიტუტების მდგრადობას და სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობას. თანამედროვე

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ჰიბრიდული საფრთხეების პირობებში ინფორმაციული ოპერაციები ხშირად ბრძოლის პირველ ხაზად გვევლინება. მათი მიზანია საზოგადოების ემოციური, კოგნიტური და ქცევითი რეაქციების შენიღბული მართვა, რაც ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ერთ-ერთ ფუნდამენტურ გამოწვევად მიიჩნევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიური ომი იწყება მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების მიზნით და იყენებს მანიპულაციური ტექნიკის გაფართოებულ არსენალს, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი აზრის მანიპულატორების მიერ საჭირო მიმართულებით ჩამოყალიბებას. ამ მიზნით გამოიყენება მოქალაქეების პროპაგანდისა და იდეოლოგიური დამუშავების სხვადასხვა მეთოდი. ფსიქოლოგიური ომის მიზანია მდგრადი შედეგის მიღწევა საზოგადოებრივი აზრის მანიპულატორების მიერ დადგენილი მიმართულებით ჩამოყალიბებაში, ქცევის ნიმუშების მდგრადი მექანიზმების ჩამოყალიბებით, რომელთა ზემოქმედებისას ქვეცნობიერში მოხდება დაგეგმილი (მოსალოდნელი) რეაქცია.

ასეთი შედეგის მისაღწევად აქტიურად გამოიყენება მასობრივი კომუნიკაციის, ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებები, რომელთა დახმარებითაც ხდება მასების გონებრივი ცნობიერების იდეოლოგიური დამუშავება დასავლეთის ან მეხუთე კოლონის წარმომადგენლების შესაბამისი დამოკიდებულებების განსახორციელებლად, რომლებიც დაინტერესებულნი არიან იმ იდეების განხორციელებით, რომლებიც ადრე იყო ჩადებული მათ ქვეცნობიერში იმ ძალების იდეოლოგების მიერ, რომლებიც აწარმოებენ ფსიქოლოგიურ ომს.[3]

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედება გათვლილია საზოგადოების კოლექტიური ცნობიერების შეცვლაზე და მისი პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენაზე. სამხედრო სფეროში ასეთი ზემოქმედება გამოიყენება ოპერატიული დაბნეულობის შესაქმნელად, პოლიტიკური პოლარიზაციის გასაღრმავებლად და სტრატეგიული უპირატესობის მისაღებად.

ფსიქოლოგიური ომი, სამხედრო ტექნიკის გამოყენების ომებისგან განსხვავებით, საინფორმაციო მეთოდებით მიმდინარეობს, რაც შედეგად გაცილებით ეფექ-

[3] K. Giles, „Handbook of Russian Information Warfare". NATO Defense College, 2016.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ტურია აუდიტორიის მოცვის თვალსაზრისით და არ იწვევს მატერიალური რესურსების განადგურებას, რომელთა გამოყენება მოგვიანებით (გამარჯვების შემდეგ) საკუთარი მიზნებისთვის შეიძლება. ამიტომ, ტერმინოლოგიის სპეციფიკაში მცირე გამონაკლისის გარდა, ჩვენი აზრით, არ უნდა გავმიჯნოთ ფსიქოლოგიური ომის წარმოება ინფორმაციული ომისგან, რადგან ისინი არსებითად ერთი და იგივეა, რადგან ინფორმაცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფსიქოლოგიური ომის წარმოების მთავარი მამოძრავებელი მექანიზმია.

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური გავლენის არსი

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური გავლენის მექანიზმები მოიცავს ისეთ სპეციფიკურ მეთოდებს, რომლებიც მიმართულია პიროვნული და ჯგუფური ქცევის შეცვლისკენ. თავდაცვის სფეროში ეს განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან მოწინააღმდეგე ძალები ცდილობენ შეასუსტონ საზოგადოების ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების, სამხედრო სტრუქტურებისა და ეროვნული უსაფრთხოების კვადრატში. ძირითადი მიმართულებები მოიცავს:

- დეზინფორმაციას;
- ნარატივის კონტროლს;
- ინფორმაციული სივრცის შევსებას მიზანმიმართული მესიჯებით;
- მოწინააღმდეგის გადაწყვეტილების მიღების პროცესის დაბინდვას;
- საკუთარი საზოგადოების მხარდაჭერის უზრუნველყოფას.
- სოციალური ქსელების ბოტ-ქსელებით მანიპულაციას;
- ფსიქოლოგიური ოპერაციების (PSYOPS) განხორციელებას;
- კრიტიკული ინფრასტრუქტურის შესახებ ყალბი ცნობების გავრცელებას;
- panic framing-ის, შიშისა და მასობრივი ემოციური სტრესის გამოწვევას.

ინფორმაციული ზეგავლენა უკვე შეტანილია NATO-ს, აშშ-ის, ევროკავშირის და სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებში, როგორც უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა.

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ოპერაციების როლი თანამედროვე სამხედრო სტრატეგიაში

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ინფორმაციული სტრატეგიები მჟღავნდება არა მხოლოდ ციფრულ სივრცეში, არამედ კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოებებში, რაც ქმნის რთული ტიპის ჰიბრიდულ ზემოქმედებას. თავდაცვის სამინისტროები და შესაბამისი სტრუქტურები ვალდებულნი არიან განავითარონ ისეთი კონტრზომები, რომლებიც შესაძლებელს გახდის როგორც სამხედრო პერსონალის ფსიქოლოგიურ მდგრადობას, ასევე ფართო საზოგადოების ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას.

ინფორმაციული ოპერაციები ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გადაიზარდა ტექნოლოგიურად კომპლექსურ პროცესში.

თანამედროვე სამხედრო მკვლევართა შეფასებით, ინფორმაციული ზემოქმედება ტექნოლოგიურ დონეზე მრავალი სისტემის ინტეგრაციას მოითხოვს, მათ შორის:

ასიმეტრიული და ჰიბრიდული ომების პირობებში შეტევის პირველ საფეხურად ხშირად არ გამოიყენება სამხედრო ძალა — კონფლიქტი იწყება ინფორმაციულ-საგრძნობი ზეგავლენით. მოწინააღმდეგის მთავარი ამოცანაა სამიზნე სახელმწიფოს ფსიქოლოგიური სტრუქტურის შერყევა:

- ნდობის დაშლა ინსტიტუტების მიმართ;
- სამხედრო ძალების ავტორიტეტის დაკნინება;
- მოსახლეობაში სტრესის, პანიკის ან აპათიის გამოწვევა;
- საზოგადოებრივი კონსენსუსის რღვევის სტიმულირება.

ეს მიდგომა ემყარება სამხედრო მეცნიერებაში კარგად ჩამოყალიბებულ პრინციპს - **„გონების დომინირება სივრცისა და ძალის გარეშე"**, რაც წარმოადგენს ბრძოლის ახალი თაობის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს.

კოგნიტიური ომი - თანამედროვე სამხედრო მეცნიერების ახალი განზომილებაა

კოგნიტიური ომი (Cognitive Warfare) მიმართულია ადამიანის ცნობიერების, ქცევის, ემოციებისა და ინფორმაციის აღქმის კონტროლზე

მისი სტრუქტურა მოიცავს:

- **სენსორულ დონეს**-ვიზუალური და აუდიო მანიპულაციები;
- **ინფორმაციულ დონეს**-დეზინფორმაცია, პროპაგანდა, ნარატივების კონსტრუქცია;

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

- **კოგნიტიურ დონეს**-რწმენების, საზოგადოებრივი აზრის, გადაწყვეტილებების ფორმირების დაქვემდებარება;
- **ქცევით დონეს**-მასობრივი მოქმედებების პროვოცირება (ნებაყოფლობითი ან არაცნობიერი).

სამხედრო მეცნიერებაში ეს მიიჩნევა „ბურთულ ბრძოლის" ყველაზე მაღალ საფეხურად, სადაც ბრძოლის ველი ადამიანების ცნობიერებაა.[4]

სამიზნე ჯგუფების სამხედრო-სოციალური განაწილება

ინფორმაციული ოპერაციები არასდროს არის ქაოტური — ისინი მიმართულია მკვეთრად განსაზღვრულ ჯგუფებზე, რომელთა დაზიანება კრიტიკულად ამცირებს სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობას:

1. **სამხედრო პერსონალი** - მოტივაციისა და მორალის შესამცირებლად.
2. **სამხედრო პერსონალის ოჯახები** - ემოციური ზეწოლით ფსიქოლოგიური სტრესის შექმნა.
3. **საზოგადოებრივი პოლიტიკური ჯგუფები** – პოლარიზაციის გაღრმავება.
4. **ინფორმაციულ-მედია სივრცე** – ნარატივების გავრცელება ოპერატიულ დონეზე.
5. **ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორები** - სამხედრო-პოლიტიკური იზოლაციის მცდელობა.

ამ ჯგუფებზე ზეგავლენის ოპტიმიზაცია ხდება მონაცემათა ანალიტიკის, სოციალური ინჟინერიისა და ქცევითი მოდელების საფუძველზე.

ფსიქოლოგიური ოპერაციები (PSYOPS) და სამხედრო სფეროს სპეციფიკური მოწყვლადობა

- PSYOPS-ის მიზნები სამხედრო მეცნიერების მიხედვით იყოფა:
- Disrupt – მკვეთრი დესტაბილიზაცია (პანიკა, შიში, მცდარი შეხედულებები).
- Distract – ყურადღების გადატანა რეალური საფრთხეებიდან.
- Dismantle – ინსტიტუციური ნდობის რღვევა.
- Demoralize – მორალური მდგრადობის შემცირება სამხედრო ძალებში.

სამხედრო პერსონალიზებული შეტევები განსაკუთრებით საშიშია, რადგან მათ ახასიათებთ მაღალი სიზუსტე და მიზნობრივი ფსიქოლოგიური ეფექტი.

[4] T. Rid, „Active Measures: The Secret History of Disinformation and Political Warfare". Farrar, Straus and Giroux, 2020.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

კრიტიკული ინფრასტრუქტურის შესახებ დეზინფორმაცია

დეზინფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ფორმაა კრიტიკული ინფრასტრუქტურის შესახებ ყალბი ცნობების გავრცელება:

- ენერგო-ობიექტებზე „შეტევების" სიმულაცია;
- წყალმომარაგების სისტემების „დაზიანებების" ყალბი კადრები;
- სამხედრო ბაზებზე მუმცარი ინციდენტების გაზვიადება;
- „გლობალური საფრთხეების" გავრცელება, რომლებიც პანიკას იწვევს.

სამხედრო ანალიზი მიუთითებს, რომ ასეთი შეტევები იწვევს მაღალ ფსიქოლოგიურ სტრესს, რაც მოქმედებს არა მხოლოდ მოსახლეობაზე, არამედ ოპერატიულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელ პირებზეც.

სამხედრო სტრატეგიული კომუნიკაციის (STRATCOM) მნიშვნელობა

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზეგავლენის პირობებში STRATCOM ხდება:

- ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუმენტი;
- საზოგადოების ინფორმაციული მდგრადობის განმტკიცების მექანიზმი;
- კრიზისულ სიტუაციებში ინფორმაციის სწრაფი და ზუსტი მიწოდების გარანტი.

მუშაობის ვექტორები მოიცავს:

- ევაკუაციის სწორი კომუნიკაცია;
- სამხედრო ოპერაციების შესახებ კონტროლირებადი საჯარო ინფორმაცია;
- ნარატივების კონტრშეტევა;
- პარტნიორ სახელმწიფოებთან კოორდინაცია.

კიბერ-ინფორმაციული ოპერაციების კოორდინაცია

თანამედროვე ჰიბრიდულ ოპერაციებში ინფორმაციული და კიბერსაშუალებები ხშირად ერთიანდება:

- კიბერშეტევა → ინფორმაციული კამპანია („panic framing");
- მონაცემთა გაჟონვა → დეზინფორმაციის გავრცელება;
- ფარულად ჩაწერილი მასალები → მანიპულაციური ინტერპრეტაცია.

ამგვარი კომბინირებული მოქმედებები ქმნის მაღალი ეფექტიანობის ქცევით-ფსიქოლოგიურ ზეგავლენას.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

1. ჰიბრიდული საფრთხეების ზრდის დინამიკა



2. სუსტი წერტილების ანალიზი



ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

3. ინფორმაციული შეტევების ტიპოლოგია



ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ომების შედეგად მიყენებული დარტყმის მთავარ ფოკუსს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასების გონებრივი ცნობიერება იღებს. ამრიგად, ხდება საზოგადოებრივი აზრის გარკვეული ფორმირება. იდეოლოგები ამას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, რადგან ესმოდათ, რომ მასებში შესაბამისად ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებებს საბოლოო ჯამში შეუძლია შეცვალოს ადამიანის ცხოვრება, ანუ, საჭიროების შემთხვევაში არსებობის წესის შეცვლა, სხვა საკითხებთან ერთად ცვლის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის და სოციალურ წესრიგს. „მილიონებისა და ათობით მილიონის ჩვევის ძალა ყველაზე საშინელი ძალაა", წერდა ვ. ი. ლენინი.[5] ზოგადად, აღსანიშნავია, რომ ლენინის ნაშრომები ჯერ კიდევ ბოლომდე შესწავლილი არ არის, განსაკუთრებით იმ რეალობის კონტექსტში, რომელიც ჩვენს ქვეყანას 1917-1991 წლების ფსიქოლოგიურ ომში დასავლეთის გამარჯვების შემდეგ დაემართა. მაგრამ მაინც აუცილებელია გვახსოვდეს, რომ დასავლეთის ომი რუსეთის წინააღმდეგ ამჟამადაც გრძელდება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენ ვსაუბრობთ ე.წ. ინფორმაციულ-ფსიქოლოგიურ ომებზე. ომებში, რომელთა გამარჯვება ნებისმიერ დროს უფრო ეფექტური იყო, ვიდრე ნებისმიერი სხვა სახის იარაღის გამოყენება (მასობრივი განადგურების იარაღის ჩათვლით).[6]

[5] В. И. Ленин Полн. собр. соч. Т. 41. С. 27.
[6] Buzan, B., Waever, O., & de Wilde, J. Security: A New Framework for Analysis. Lynne Rienner, 1998.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ასეთი ომის დასაწყისი სსრკ-ს არსებობის დროს ჩაეყარა. შემდეგ, 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, აშშ-ის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი თვლიდა, რომ „რუსეთის ტერიტორიაზე მყოფმა ყველა თეთრგვარდიელმა მთავრობამ ანტანტისგან დახმარება და აღიარება უნდა მიიღოს;* კავკასია - თურქეთის იმპერიის პრობლემის ნაწილია; ცენტრალური აზია ანგლო-საქსების პროტექტორატი უნდა გახდეს; ციმბირში ცალკე მთავრობა უნდა იყოს, ხოლო დიდ რუსეთში ახალი (ანუ არა საბჭოთა). „წითელი ჭირის" დამარცხების შემდეგ, ვილსონმა ქრისტიანული ახალგაზრდული ასოციაციების რაზმების რუსეთში გაგზავნა დაგეგმა „რუსი ხალხის მორალური განათლებისა და ხელმძღვანელობისთვის". 1918 წელს ამერიკული ჯარები ვლადივოსტოკში შევიდნენ და მხოლოდ 1922 წელს განდევნეს ისინი საბოლოოდ რუსეთის ტერიტორიიდან. არხანგელსკში იანკები გამოირჩეოდნენ იმით, რომ 38 ათასი ადამიანი საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს, რომელთაგან 8 ათასი დახვრიტეს, ხოლო კიდევ 1 ათასი შიმშილითა და ცემით გარდაიცვალა. 1917 წლის 23 დეკემბერს, საფრანგეთიდან კლემენსომ, პიშონმა და ფოშმა, ინგლისიდან ლორდ მილნერმა და სესილმა დადეს საიდუმლო კონვენცია რუსეთში გავლენის სფეროების განაწილების შესახებ: ინგლისი - კავკასია, ყუბანი, დონი; საფრანგეთი - ბესარაბია, უკრაინა, ყირიმი. შეერთებული შტატები ოფიციალურად არ მონაწილეობდა კონვენციაში, თუმცა სინამდვილეში ყველა ბერკეტი მის ხელში იყო და განსაკუთრებით პრეტენზიას ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთზე აცხადებდა. პარიზის კონფერენციაზე ამერიკული დელეგაციისთვის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებულმა გეოგრაფიულმა რუკამ ეს გრაფიკული დოკუმენტის მთელი სიცხადით აჩვენა: რუსეთის სახელმწიფო მხოლოდ ცენტრალური რუსეთის ამაღლებას იკავებდა. ბალტიისპირეთის ქვეყნები, ბელარუსი, უკრაინა, კავკასია, ციმბირი და ცენტრალური აზია „სახელმწიფო დეპარტამენტის" რუკაზე „დამოუკიდებელ" სახელმწიფოებად გარდაიქმნნენ.[8]

*ანტანტა არის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომელიც ჩამოყალიბდა XX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთს, რუსეთის იმპერიასა და დიდ ბრიტანეთს შორის. ის წარმოიშვა, როგორც სამმაგი ალიანსის (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია) საპირწონე და საბოლოოდ პირველი მსოფლიო ომის დროს 20-ზე მეტი სახელმწიფო გააერთიანა.

[8] Темная сторона Америки. Развал СССР. — www.usinfo.ru

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ასევე ცნობილია ალენ დალესის 1945 წლის დირექტივა სსრკ-სთან დაკავშირებით.

„მთავრობა იძულებულია, ახლა დაწყებული პოლიტიკური ომის ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთთან მიმართებაში უფრო კონკრეტული და მებრძოლი მიზნები გამოკვეთოს", - წერდა ა. დალესი. — ...რუსეთთან დაკავშირებით ჩვენი მთავარი მიზნები, არსებითად, მხოლოდ ორამდე შემოიფარგლება:

ა. მოსკოვის ძალაუფლებისა და გავლენის მინიმუმამდე შემცირება;

ბ. რუსეთის ხელისუფლებაში მყოფი მთავრობის მიერ საგარეო პოლიტიკის თეორიასა და პრაქტიკაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება.

...ჩვენი მიზანი საბჭოთა ხელისუფლების დამხობაა... უნდა ველოდოთ, რომ სხვადასხვა ჯგუფები ენერგიულ ძალისხმევას დაგვაყენებენ რუსეთის საშინაო საქმეებში ისეთი ზომების მიღებაში, რომლებიც დაგვაკავშირებს და საბაბს მისცემს რუსეთში პოლიტიკურ ჯგუფებს, გააგრძელონ ჩვენი დახმარების თხოვნა. ამიტომ, ჩვენ უნდა მივიღოთ გადამწყვეტი ზომები, რათა თავიდან ავიცილოთ პასუხისმგებლობა იმის გადაწყვეტაზე, თუ ვინ მართავს რუსეთს საბჭოთა რეჟიმის დაშლის შემდეგ."[9]

„ჩვენ არ შეგვიძლია საბჭოთა კავშირის დამარცხება ჩვეულებრივ ომში", - თქვა ჯონ კენედიმ 1961 წელს, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავა. ეს აუღებელი ციხესიმაგრე არ არის. საბჭოთა კავშირის დამარცხება მხოლოდ სხვა მეთოდებით შეგვიძლია: იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური, პროპაგანდისტული, ეკონომიკური".[10]

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი უხილავი ომები, ომები, რომლებიც მასების ფსიქიკაზე ზემოქმედებას ეფუძნება, ყოველთვის არსებობდა. მე-20 საუკუნეში, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ზრდის გამო, ინფორმაციული და ფსიქოლოგიური ომი საკუთარი განვითარების ახალ ეტაპზე შევიდა. და ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანა, რომელსაც უფრო განვითარებული პროპაგანდა აქვს, მიაღწევს გამარჯვებას ამა თუ იმ ომში. „წინა პლანზე წამოიწია ბრძოლები ადამიანების

[9] Ален Даллес. Директива 20/1 СНБ США от 18 августа 1948 г. — www. usinfo.ru/sssr6.htm
[10] ТамжеТемная сторона Америки.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

გონებისთვის, „სწორი" საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, საინფორმაციო ნაკადების კონტროლისთვის." როგორც ამერიკელმა გენერალმა ჯ.შალიკაშვილმა თქვა: „ჩვენ ვერ გავიმარჯვებთ მანამ, სანამ CNN არ გაავრცელებს ინფორმაციას ჩვენი გამარჯვების შესახებ." ამ მხრივ, მიზანშეწონილია გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ 1986 წელს ლიბიის ამერიკული საჰაერო ძალების მიერ დაბომბვა ზუსტად დაემთხვა შეერთებულ შტატებში საღამოს საინფორმაციო გამოშვებების დაწყებას. ბოლო წლების „სამშვიდობო ოპერაციები" თავდაპირველად სატელევიზიო პროექტების სახით იყო დადგმული. ისინი უსარგებლო იქნებოდა, თუ ტელევიზიით ვერ აჩვენებდნენ."

პროპაგანდა ემსახურება კონკრეტული სოციალური სისტემის იდეოლოგიური კომპონენტის ფორმირებას და მიზნად ისახავს მასების ცნობიერების შეცვლას ხელისუფლებაში მყოფი მანიპულატორების სასურველი მიმართულებით. ანუ, ასეთი წარმონაქმნი მთლიანად მასების ცნობიერებაზე მანიპულაციური ტექნოლოგიების გავლენის ზონაშია, რათა თავდაპირველად ინდივიდისა და მასების ქვეცნობიერში ჩამოყალიბდეს აუცილებელი დამოკიდებულებები, შემდეგ კი, ასეთი დამოკიდებულებები აყალიბებს ქცევის შესაბამის ნიმუშებს, რომლებიც გავლენას ახდენს ხალხის ცნობიერებაზე და, შესაბამისად, გავლენას ახდენს როგორც ცალკეული ინდივიდების, ასევე მასებში გაერთიანებული ინდივიდების აზრებსა და ქმედებებზე. უნდა აღინიშნოს, რომ იდეოლოგია ასევე მასების ცნობიერების მიზანმიმართული და მეთოდური მანიპულირებაა მმართველი ელიტის დირექტივების მიზნებისთვის.

მასების ცნობიერებაზე გავლენის მოხდენისას აქტიურად გამოიყენება თანამედროვე მასმედიის შესაძლებლობები. ჩვენი აზრით, ამჟამად აუცილებელია განვასხვავოთ ის, რასაც ჩვენ მიჩვეულები ვართ, როგორც მედიის გაგებას როგორც მასობრივი მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს, რომლებიც, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის (მასმედიის) გარდა, მოიცავს ასევე მასებზე კომუნიკაციური გავლენის ისეთ ფორმებს, როგორიცაა კინო (კინოთეატრის, როგორც პროპაგანდის როლი კარგად არის ცნობილი; ლენინმა ამაზე გაამახვილა ყურადღება),

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

თეატრები (გავიხსენოთ თეატრის როლი პროფესორ გ. შილერის ნაშრომებში),[11] სარეკლამო და იდეოლოგიური პლაკატები საზოგადოებრივ ადგილებში, ინფორმაცია ვიდეო და აუდიო მედიის შესახებ, წიგნები, ასევე მასების ცნობიერება-ქვეცნობიერზე ზემოქმედების სხვა საშუალებები, რათა მასებისთვის ხელმისაწვდომი ზოგადი ცოდნა გადაკეთდეს გარკვეული სამთავრობო მითითებების შესაბამის ცოდნაზე. უფრო მეტიც, ყველამ უკვე იცის ის ფაქტი, რომ ამქვეყნად აბსოლუტურად არაფერი კეთდება „უბრალოდ". როდესაც რაიმე სახის ინსტალაცია მასების ცნობიერებაში გადის (ვიდეო გამოსახულების სახით, ტელევიზიით ან მასობრივი ზემოქმედების სხვა საშუალებებით, მაგალითად, იგივე პლაკატებითა და ბანერებით ქუჩებში), ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ვინმე დაინტერესებულია ამ ტიპის ინფორმაციის მასების ცნობიერებაში „გადაცემით". უფრო მეტიც, როგორც ბიზნესს, ასევე მთავრობას შეუძლია იმოქმედოს, როგორც დაინტერესებულმა მხარეებმა (თუმცა ხშირად პირველი და მეორე ფუნდამენტურად ურთიერთდაკავშირებულია კაპიტალის სამყაროში, სოციალისტური რეჟიმებისგან განსხვავებით).

ფსიქოლოგიურ ომებზე საუბრისას, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ.გ. კრისკო ასეთი ომების შემდეგ განმარტებას იძლევა: „ფსიქოლოგიური ომი არის ადამიანებზე ზემოქმედების სხვადასხვა ფორმის, მეთოდისა და საშუალების ერთობლიობა, რომლის მიზანია მათი ფსიქოლოგიური მახასიათებლების (შეხედულებები, მოსაზრებები, ღირებულებითი ორიენტაციები, განწყობა, მოტივები, დამოკიდებულებები, ქცევითი სტერეოტიპები) სასურველი მიმართულებით შეცვლა, ასევე ჯგუფური ნორმების, მასობრივი განწყობებისა და მთლიანად საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლა."[12]

ტერმინი „ფსიქოლოგიური ომი" მიმოქცევაში შემოიღო ამერიკელმა დაზვერვის ოფიცერმა პოლ ლაინბარგერმა, რომელმაც 1948 წელს გამოაქვეყნა ამავე სახელწოდების წიგნი.

„ფსიქოლოგიური ომი სიტყვის ფართო გაგებით არის ფსიქოლოგიის პრინციპების გამოყენება სამხედრო საქმეებში", - წერდა პოლ ლაინბარგერი. - ვიწრო გაგებით,

[11] Г. Шиллер Манипуляторы сознанием. Пер. с англ.; Науч. ред. Я. Н. Засурский. — М.: Мысль, 1980. — https://surl.lu/qqjfmx, (გადამოწმებულია 01.12.2025)
[12] В.Г. Крысько, Секреты психологической войны (цели, задачи, мето ды, формы, опыт). Мн.: Харвест, 1999.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ფსიქოლოგიური ომი არის პროპაგანდის გამოყენება შეიარაღებულ ბრძოლაში ისეთი სამხედრო მოქმედებების პარალელურად, რომლებიც ავსებენ პროპაგანდას. თავის მხრივ, პროპაგანდა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ორგანიზებული დარწმუნება ძალადობრივი ზომების გამოყენების გარეშე. თავად ომი, სხვასთან შედარებით, შეიძლება ჩაითვალოს ძალადობის გზით გავლენისა და დარწმუნების საშუალებად. მაგალითად, თუ ჩვენ ერთ-ერთ ქალაქს თვითმფრინავებით გავანადგურებთ, მაშინ ამით ჩვენ ველით, რომ მატერიალური რესურსებისგან დაცლილ ადამიანებს წინააღმდეგობის შეწყვეტას ვაიძულებთ. თუ ჩვენ დაუყოვნებლივ დავყრით ბროშურებს დანებების შეთავაზებით, მაშინ ამ შემთხვევაში პროპაგანდა იქნება დარწმუნების გაგრძელება - ამჯერად ნაკლებად ძალადობრივი..., მაგრამ ერთიანი პროცესის განუყოფელი ნაწილი, რომლის მიზანია მტრის იძულება, შეწყვიტოს ბრძოლა."[13]

პ. ლაინბარგერმა წამოჭრა არმიის ქვედანაყოფების შტაბში ფსიქოლოგების გამოჩენის აუცილებლობა, რომლებსაც, მისი აზრით, ფასდაუდებელი დახმარების გაწევა შეეძლოთ.[14]

„პირველ რიგში, ფსიქოლოგს შეუძლია მიუთითოს ადამიანის გონების ის თავისებურებები, რომლებიც, როგორც წესი, შეუმჩნეველი რჩება", - წერდა პ. ლაინბარგერი მას შეუძლია თქვას, თუ როგორ შეიძლება გრძნონებეი გარდაიქმნას აღშფოთებად, პირადი მარგებლობა მასობრივ სიმხდალედ, უთანხმოება - უნდობლობად, ცრურწმენები - მრისხანებად. ფსიქოლოგი ამას აღწევს ადამიანის ქვეცნობიერი გრძნობების მიმართვით, სადაც მისი წყარო მასალაა.

მეორეც, ფსიქოლოგს შეუძლია შემოგვთავაზოს მეთოდები მოწინააღმდეგის მორალური მდგომარეობის დასადგენად...მარტივი სტატისტიკური გამოთვლებითა და პატიმრების მცირე ნიმუშის გამოკითხვის საფუძველზე, ფსიქოლოგს შეუძლია შეაფასოს მტრის ჯარების საბრძოლო სულისკვეთება მოცემულ მომენტში სამხედრო ოპერაციების მთელ მოქმედებაში. პატიმრების არყოფნის შემთხვევაში, მას შეუძლია თითქმის იგივე შედეგების მიღწევა მტრის საინფორმაციო შეტყობინებებისა

[13] П.Лайнбарджер, Психологическая война. — М.: Воениздат, 1962. — 350 с.
[14] Там же.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

და პროპაგანდის ანალიზით, რომელიც მიმართულია საკუთარი ჯარებისა და მოსახლეობისკენ...

მესამე, ფსიქოლოგს შეუძლია დაეხმაროს ოპერატიულ მუშაკებს, რომლებიც ახორციელებენ ფსიქოლოგიურ ომს, მათ მიერ გადაჭრილი ამოცანების შეფასებასა და პროპორციის გრძნობის შენარჩუნებაში. პროპაგანდას ვერაფერი მოუტანს უფრო მეტ ზიანს, ვიდრე...როგორც ადამიანების მიერ მისი გამოყენება საკუთარი თავის აღზევების მიზნით. ამ უშედეგო საქციელმა შეიძლება პროპაგანდის, სრული კრახი გამოიწვიოს. ცნობილია, რომ მტერზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას დიდი კმაყოფილება მოაქვს. პროპაგანდისტი, განსაკუთრებით ომის დროს, ცდილობს მტერს უთხრას ყველაფერი, რასაც მასზე ფიქრობს... პროპაგანდისტმა ასეთი რამ არ უნდა უთხრას მტერს. მან პირადი ემოციები თავისთვის უნდა შეინახოს. ფსიქოლოგს შეუძლია პროპაგანდისტს ასწავლოს ობიექტურობა, თანმიმდევრულობა და სიმშვიდე.

და ბოლოს, ფსიქოლოგს შეუძლია რეკომენდაცია გაუწიოს პროპაგანდის საშუალებებსა და მეთოდებს: რადიო, ბროშურები, დინამიკები, ასევე ჭორების გავრცელება, პატიმრების დაბრუნება და ა.შ. ფსიქოლოგი მიუთითებს, როდის არის შესაძლებელი და როდის არა ამა თუ იმ საშუალების გამოყენება. მას ოპერატიულ ოფიცრებთან და დაზვერვის ოფიცრებთან ერთად, შეუძლია შეიმუშაოს გეგმა ყველა არსებული ფსიქოლოგიური საშუალების საუკეთესოდ გამოყენებისთვის.[15]

„...პროპაგანდა, - აღნიშნავს ლაინბარგერი, შეიძლება გახდეს ფსიქოლოგიური ომის ნამდვილი იარაღი, რომელიც სამეცნიერო სულისკვეთებით იქნება განპირობებული და ხელოვნებად განვითარდება, თუ... პროპაგანდისტული ოპერაციების ჩატარება... კონტროლდება სამეცნიერო მეთოდების საფუძველზე."[16]

დასკვნა

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური გავლენა დღევანდელ უსაფრთხოების გარემოში წარმოადგენს ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული ტიპის ჰიბრიდულ საფრთხეს, რომელიც მიმართულია მასობრივი ცნობიერების, საზოგადოებრივი სტა-

[15] Там же. П.Лайнбарджер, 1962.
[16] Там же.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ბილურობისა და ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი სტრუქტურების დაქვეითებისკენ. თავდაცვის სექტორისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება არა მხოლოდ სამხედრო, ტექნოლოგიური და ოპერატიული მზაობა, არამედ ინფორმაციულ სივრცეში მოქმედი საფრთხეების ანალიზი, მათი სწრაფი იდენტიფიცირება და შესაბამისი შემაკავებელი მექანიზმების შექმნა.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ:

- **ჰიბრიდული საფრთხეების რაოდენობა და სიმძლავრე მზარდია,** განსაკუთრებით სოციალურ ქსელებში, მედიაში და ციფრულ გარემოში.
- **სუსტი წერტილები,** როგორიცაა ინსტიტუციური ნდობის შეფერხება, მედიაკომპეტენციის დაბალი დონე და ინფორმაციული ზედატვირთვა, მნიშვნელოვნად ზრდის საზოგადოებრივ მოწყვლადობას.
- **ინფორმაციული შეტევების მრავალფეროვნება** და მათი კომბინირებული ბუნება (ფსიქოლოგიური ოპერაციები, დეზინფორმაცია, ვიზუალური მანიპულაცია) მოითხოვს ყოვლისმომცველ, ინტერდისციპლინურ მიდგომას.

ამ ფონზე თავდაცვის სისტემამ უნდა განახორციელოს:

- ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ინფორმაციული ოპერაციების ინტეგრირება;
- სამხედრო პერსონალის მედიაგრამოთულობისა და ფსიქოლოგიური მდგრადობის გაძლიერება;
- დემოკრატიული ინსტიტუტების, საზოგადოების და მედია გარემოს გამძლეობის ამაღლება;
- პროაქტიური სტრატეგიული კომუნიკაციის გაძლიერება.

მხოლოდ კომპლექსური, სისტემური და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკები უზრუნველყოფს იმუნიტეტს, რომელიც კრიტიკულია თანამედროვე თავდაცვისთვის, სადაც ბრძოლა ხშირად იწყება არარბოლითი მეთოდებით მასობრივი ცნობიერების დონეზე.

რეკომენდაციები: ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური გავლენა თანამედროვე თავდაცვის სისტემაში ერთ-ერთი ცენტრალური გამოწვევაა. ის გავლენას ახდენს არა მხოლოდ ომის ველზე, არამედ საზოგადოებრივ გარემოზე, სახელმწიფო

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სტაბილურობაზე და პოლიტიკურ მდგრადობაზე. მხოლოდ კომპლექსური მიდგომა – რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიურ, საგანმანათლებლო, სტრატეგიულ და ფსიქოლოგიურ მეთოდებს – იძლევა საშუალებას სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა იყოს სრულფასოვანი და მდგრადი.

თავდაცვის სფეროში ინფორმაციული უსაფრთხოებისა და მედეგობის გაძლიერება

1. **სტრატეგიული კომუნიკაცია**

სახელმწიფო და სამხედრო უწყებები უნდა აწარმოებდნენ გამჭვირვალე, პრაგმატულ და დროულ ინფორმაციას მოსახლეობასთან.

2. **მედია-კომპეტენციის ამაღლება**

საზოგადოების აღჭურვა ინფორმაციის გადამოწმების უნარებით არის სახელმწიფო უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტი.

3. **საზოგადოებრივ-სამხედრო ურთიერთობების გაძლიერება**

ნდობის მაღალი დონე ამცირებს ზეგავლენის ეფექტიანობას.

4. **კიბერუსაფრთხოების და ანალიტიკური ცენტრების გაძლიერება**

ინფორმაციული ნაკადის მონიტორინგი, ბოტქსელების ამოცნობა და დეზინფორმაციის იდენტიფიკაცია აუცილებელია ეროვნული თავდაცვისთვის.

ბიბლიოგრაფია

Buzan, B., Waever, O., & de Wilde, J. *Security: A New Framework for Analysis*. Lynne Rienner, 1998.

Giles, K. *Handbook of Russian Information Warfare*. NATO Defense College, 2016.

Hoffman, F. *Hybrid Warfare and Challenges*. Joint Force Quarterly, 2009.

Waltzman, R. *The Weaponization of Information: The Need for Cognitive Security*. RAND Corporation, 2017.

Taddeo, M. & Floridi, L. "The Debate on the Moral Responsibilities of Online Service Providers." *ACM Computing Surveys*, 2016.

Rid, T. *Active Measures: The Secret History of Disinformation and Political Warfare*. Farrar, Straus and Giroux, 2020.

NATO StratCom COE. *Improving Resilience to Information Influence*. Riga, 2023.

Ministry of Defence of Georgia. *National Security Concept*. Tbilisi, Latest Edition.

EU East StratCom Task Force. *Disinformation Review*, various issues.

McFate, S. *The New Rules of War*. HarperCollins, 2019.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

აღსრულებადი გადაწყვეტილების ნამდვილი ბუნება (საფრანგეთის მაგალითზე)

ივანე ბალახაშვილი[1]
https://orcid.org/0009-0003-3938-1752
https://doi.org/10.61446/pa.3.2025.10291

აბსტრაქტი

საჯარო სამართალში აღსრულებადი გადაწყვეტილება ნიშნავს ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს მიერ მიღებულ იმ აქტს, რომლის შესრულებაც სავალდებულოა ყველასთვის - განურჩევლად სოციალური, ეკონომიკური ან სხვა სტატუსისა. ასეთი გადაწყვეტილება იწვევს დაუყოვნებელ იურიდიულ შედეგებს და მისი განხორციელება აუცილებელია კანონით განსაზღვრულ წესში.

ტრადიციულად, ცივილისტურ სამართალში „აღსრულებადი" ნიშნავს: აქტს თან ახლავს იძულებითი აღსრულების უფლება; ამ უფლების მფლობელ სუბიექტს შეუძლია გამოიყენოს იძულება მოვალის ქონებაზე ან პიროვნებაზე; მიზანია ურჩი პირის „მობილიზაცია" - ანუ გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველყოფა თუნდაც ძალის გამოყენებით. რატომ მოხვდა ეს კონცეფცია ადმინისტრაციულ სამართალში? ისტორიულად დიდი ხნის განმავლობაში მინისტრები და ადმინისტრაციული ორგანოები თავად ასრულებდნენ მოსამართლეთა ფუნქციას ადმინისტრაციული დავების პირველ ინსტანციაში. მათი გადაწყვეტილებები მაშინ სასამართლო გადაწყვეტილებების ძალას ატარებდა. ამიტომ ისინი მატერიალურად აღსრულებადი იყო - ანუ რეალურად შეიძლებოდა მათი იძულებით აღსრულება.

როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოებს ჩამოერთვათ სამართლიანობის განხორციელების უფლება და იგი გადავიდა სასამართლოებზე: გაჩნდა ბუნდოვანი ზღვარი: ადრე გამოცემულ სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და მათ მიერ გამოტანილ ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ აქტებს შორის. ამ ისტორიულად გამომუშავებულმა „სასამართლო" იმიჯმა ხელი შეუწყო იდეას, რომ ადმინისტრაციული აქტებიც ატარებდნენ „აღსრულებადობის" ძლიერ, მრავალმნიშვნელოვან (პოლისემიურ) მნიშვნელობას.

აღსრულებადობის პრინციპი კი გულისხმობს, რომ:

- როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა, მისი შესრულება სავალდებულოა;
- გადაწყვეტილების შეჩერება ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ კანონით ან სასამართლოს მიერ;
- ამ პრინციპით დაცულია სახელმწიფოს სამართლებრივი წესრიგი და საჯარო მმართველობის ეფექტიანობა.

აღსრულებადი გადაწყვეტილების დოქტრინალურ უნანიმიზმს შესწევს უნარი გაფანტოს ყველა კრიტიკა. მიუხედავად ამისა, საინტერესოა ყველას მიერ მოწონებული ცნებების ნამდვილი შინაარსის განხილვა. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი კვლევა საშუალებას მოგვცემდა გავაცნობიეროთ ის, რომ აღსრულებადი ხასიათი არ შეიძლება იყოს ასეთი პრინციპის საყრდენი. მისი ბუნებრივი დაახლოვება გადაწყვეტილებების სავალდებულო ხასიათთან მას აფერხებს. მეტიც, ამ თვისებას, ლოგიკის მოკვლით, შედეგად მოჰყვება მოქმედი პრინციპის დეგრადაცია.

საკვანძო სიტყვები: აღსრულებადი გადაწყვეტილება; შეყოვნებითი ეფექტი; ადმინისტრაციული ორგანო; სასამართლო; სამართლებრივი აქტი.

[1]სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის სამართლის მიმართულების პროფესორი, სამართლის დოქტორი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

The actual nature of the enforceable decision (on the example of France)

Ivane Balakhashvili[2]

Abstract

In public law, an enforceable decision means an act adopted by an administrative body or a court, the execution of which is mandatory for everyone, regardless of social, economic or other status. Such a decision has immediate legal consequences and must be implemented in accordance with the procedure prescribed by law.

Traditionally, in civil law, "enforceable" means: the act is accompanied by the right of compulsory execution; the subject possessing this right can apply coercion to the property or person of the debtor; the goal is to "mobilize" the disobedient person — that is, to ensure the execution of the decision, even by force. Why did this concept enter administrative law? Historically, for a long time, ministers and administrative bodies themselves performed the function of judges in the first instance of administrative disputes. Their decisions then had the force of court decisions. Therefore, they were materially enforceable — that is, they could actually be enforced.

When administrative bodies were deprived of the right to administer justice and it was transferred to the courts: a blurred line appeared: between previously issued court decisions and ordinary administrative acts issued by them. This historically developed "judicial" image contributed to the idea that administrative acts also carried a strong, polysemic meaning of "enforceability."

The principle of enforceability implies that:

- When a decision of an administrative body or court enters into legal force, its execution is mandatory;
- A decision can only be suspended or annulled by law or a court;
- This principle protects the legal order of the state and the efficiency of public administration.

The doctrinal unanimity of the enforceable decision has the power to dispel all criticism. Nevertheless, it is interesting to examine the true content of the concepts approved by everyone. In the present case, such an investigation would allow us to realize that the enforceable character cannot be the basis of such a principle. Its natural proximity to the binding character of decisions hinders it. Moreover, this feature, by killing logic, results in the degradation of the valid principle.

Key words: Enforceable decision; suspensive effect; administrative body; court; legal act.

[2] Professor of Bachelor's program in Law of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Doctor of Law

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

საფრანგეთში, სარჩელის შეტანას პრინციპულად არ გააჩნია შეყოვნებითი მოქმედება, რაც ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება თავისთავად არ აჩერებს მისი შესრულების პროცესს. ეს პრინციპი საშუალებას აძლევს იმ ორგანოს, რომელმაც გასცა სადავო აქტი, განაგრძოს მისი განხორციელება სასამართლო დავის მიმდინარეობის მიუხედავად.

თუმცა, მოსარჩელეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის კუთხით, აღნიშნული პრინციპი წარმოშობს მნიშვნელოვან იურიდიულ და პრაქტიკულ შედეგებს, რის გამოც იგი საჭიროებს სიღრმისეულ და სოლიდურ არგუმენტაციას. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ასეთი საფუძვლიანი დასაბუთების გარეშე რთული იქნებოდა იმ პირის კერძო ინტერესების დაცვა, ვინც ზარალდება საჯარო ხელისუფლების მოქმედების შედეგად მით უმეტეს მაშინ, როდესაც ეს მოქმედება საერთო ინტერესის ან ადმინისტრაციული პრეროგატივის სახელით ხორციელდება.

აღსრულებადი გადაწყვეტილება ზოგადად განიმარტება, როგორც ადმინისტრაციული ორგანოებისათვის საშუალების მიმცემი, მიმართოს იძულებით აღსრულებას. რწმენამ, რომელიც აქედან გამომდინარეობს და რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციას შეუძლია იძულებით აღასრულოს თავისი გადაწყვეტილებები სრულიად გახრწნა ეს ცნება: აღსრულებადი გადაწყვეტილება ბევრისთვის ირითმება ძალასთან, მატერიალურ და იძულებით აღსრულებასთან. მიუხედავად ამისა, მისი შინაარსი განსხვავებულია და ადმინისტრაციული ხელისუფლების მოცულობა მეტად შემცირებულია.

ძირითადი ნაწილი

აღსრულებადი გადაწყვეტილების ნამდვილი ბუნება - პრინციპის შეუძლებელი საფუძველი

„ცალმხრივად აღსრულებადი ადმინისტრაციული აქტების კარგი აღსრულება დამოკიდებულია თავდაპირველად მოქალაქეების მიერ მათ სპონტანურ აღსრულებაზე იძულებითი აღსრულების საშუალებები უნდა იყოს მხოლოდ საგამო-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ნაკლისო გამოყენების,"[3] რომელიც ამტკიცებს, რომ საჭიროა აღსრულებადი გადაწყვეტილების ნამდვილი არსის გაგება.

პირველ რიგში, ამ უკანასკნელის აღრევა არ ხდება იძულებითი აღსრულების პროცედურასთან. ეს ასიმილაცია ასევე იქნებოდა „ერთ-ერთი ყველაზე უფრო სადავო და ყველაზე უფრო საწინააღმდეგო სახელმწიფო საბჭოს მყარი პრაქტიკისა"[4]. თუ „ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების აღსრულებადი ხასიათი საჯარო სამართლის ფუნდამენტური წესია"[5], იძულებითი აღსრულება არ ფლობს ასეთ ძალას. ის რჩება საგამონაკლისო პროცედურად, რომელიც საშუალებას აძლევს ადმინისტრაციას მისი გადაწყვეტილებების მატერიალური აღსრულებისას გვერდი აუაროს წინააღმდეგობებს. იმავდროულად არასწორია ვიფიქროთ, რომ ადმინისტრაციული ინსტიტუცია შეძლებს სახელმწიფოებრივი იძულების საშუალებების მობილიზებას ყველა წინააღმდეგობის გადალახვისა და თავისი საქმიანობის გაგრძელებისთვის. სახელმწიფოებრივი იძულების საშუალების გამოყენება არ შეესაბამება ადმინისტრაციული საქმიანობის „ნორმალურ" ვითარებას.

სწორედ რომიეს მთავრობის კომისარმა, ცნობილ დასკვნებში[6], თეორიულად ჩამოაყალიბა ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის სახელმიფოებრივი იძულების საშუალებების ეს გამოყენება. აპრიორი, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა იძულებით არ უნდა აღასრულონ საკუთარი გადაწყვეტილებები. მხოლოდ, საერთო ინტერესს შეუძლია ზოგჯერ მოითხოვოს იძულების ეს გამოყენება. მარტივად, ის უნდა დარჩეს შეზღუდული განსაკუთრებული შემთხვევებით და დაქვემდებარებული მრავალ პირობას. ადმინისტრაციას წინააღმდეგობის გამწევთა წინააღმდეგ მოქცევა შეუძლია ორ შემთხვევაში: როდესაც მას კანონი ამის უფლებას მკაფიოდ აძლევს და გადაუდებელ შემთხვევაში. მაშასადამე, ადმინისტრაციული აქტის ავტორს შეუძლია, კანონმდებლის ნების განხორციელების მი-

[3] A. Lanza, L'expression constitutionnelle de l'administration française, 1984, Paris, LGDJ, Bibliothèque de droit public, t. 148, préf. J. Boulouis, p. 787.
[4] G. Darcy, « La décision exécutoire, esquisse méthodologique », AJDA, 1994., p. 670.
[5] M. Lei, Le principe de l'absence d'effet suspensif des recours contentieux en droit administratif, Droit, Université de Toulon, 2018., p. 68.
[6] T. confl., 2 déc. 1902, req. n 00543, Société immobilière de Saint-Just : Rec. Leb., concl. J. Romieu., p. 713,.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სიის შესაბამისად, მისი „თხოვნით", გამოიყენოს ძალა. შემთხვევები არის კლასიკური და შეზღუდული სპეციფიკური ღონისძიებებით, რომლებიც შეეხება სამხედრო გამოძახებებს[7], უცხოელების სახელმწიფოში შესვლას და ცხოვრებას[8], საგზაო უსაფრთხოებას ან ასევე გარემოს. ამ შემთხვევების მიღმა, არსებობს შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული გადაწყვეტილების აღსრულება გადაუდებელია: „როდესაც სახლი იწვის, არ მოვთხოვთ მოსამართლეს ნებართვას, რომ იქ გაიგზავნოს მეხანძრეები".[9] გადაუდებლობა აკანონებს ღონისძიებებს, რომლებიც, მის გარეშე, იქნებოდა უკანონო, ძალის გამოყენების გამო.

ამ პირობებში, იძულებით აღსრულებას არ შეუძლია შექმნას საჯარო სამართლის ფუნდამენტური წესი - აღსრულებადი გადაწყვეტილება. ფუნდამენტურობა, როგორიც არ უნდა იყოს სფერო, არ შეიძლება იყოს გარემოებების ასეთი დამთხვევით განპირობებული. აღსრულებადი გადაწყვეტილება, მისი ძალის გათვალისწინებით, არ შეიძლება განხორციელებული იყოს იძულებითი აღსრულების პროცედურით. მაშასადამე, აღსრულებადი გადაწყვეტილების შინაარსი არის სხვაგან.

გადაწყვეტილების უშუალო აღსრულება განსხვავებული იძულებითი აღსრულებისგან არ ჩანს აღსრულებადი გადაწყვეტილების მილევადი იდეის „განმახორციელებელი". ეს უკანასკნელი ინტერვენციას ახდენს როდესაც ადმინისტრაცია იკავებს ურჩი ადრესატის ადგილს. გადაწყვეტილების უშუალო აღსრულება, „მკაცრად სუბსიდიარული სახით, ეს არის შესაძლებლობა ადმინისტრაციისთვის, ჩაენაცვლოს მოქალაქეს დადგენილი ვალდებულების აღსრულებაში".[10] ამ ჩანაცვლებას ინტერვენცია შეუძლია, როდესაც ამას კანონი ითვალისწინებს შენობების დანგრევის საფრთხის ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის[11] შემთხვევა ან გადაუდებელ შემთხვევებში.[12] ამ უკანასკნელ შემთხვევაში, გარემოებები აუქმებენ ადმინისტრაციის ინიციატივით მოქმედებასთან დაკავშირებულ უკანონობას. აქ სქემა

[7] L., 3 juill. 1877, relative aux réquisitions militaires, art. 21.
[8] Ord. n 45-2658, 2 nov. 1945, relative aux conditions d'entrée et de séjour des étrangers en France, art. 5 et 26 bis.
[9] D. Mongoin, Les grandes conclusions de la Jurisprudence administrative, vol. 1, Issy-les-Moulineaux, LGDJ Lextenso éditions, Les Grandes décisions, 2015, p. 206.
[10] Ch. Sirat, « L'exécution d'office, l'exécution forcée, deux procédures distinctes de l'exécution administrative », JCP, 1958, I, n 1440.
[11] L., 15 févr. 1902, relative à la protection de la santé publique, art. 14.
[12] CCH, art. L. 511-2.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

იძულებითი აღსრულების სქემის მსგავსია და გადაწყვეტილების უშუალო აღსრულების პროცედურამ არ შეიძლება შემდგომ ხორცი შეასხას აღსრულებადი გადაწყვეტილების თეორიას[13]: საჯარო სამართლის ფუნდამენტური წესი არ შეიძლება იყოს ასე განპირობებული.

ჩამოყალიბებული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც „ადმინისტრაცია თავად და უშუალოდ აღასრულებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც მან გამოსცა"[14], ვიწრო იურიდიული თვალსაზრისით, მცდარი ინტერპრეტაციაა. მაშასადამე, დეკანი ორიუს[15] სიტყვები „უკუგდებული" უნდა იყოს, თორემ ვნახავთ, რომ ადმინისტრაციული ორგანოები ატარებენ ძალას, რომელიც იურიდიულად მათი არ არის.

ეს სიტუაცია აღსრულებად გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ბუნებითი ორაზროვნების შედეგია. წარმოდგენილი როგორც „ადმინისტრაციულ სამართალში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ორაზროვანი გამოხატვა"[16], მისი ბუნდოვანება შენარჩუნებული იყო დოქტრინის, კანონმდებლის თუ სასამართლო პრაქტიკის მერყევი და წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებებით. ეს გაუგებრობა ართულებს მდგომარეობას: ორიუსთან გადაწყვეტილების პირდაპირი აღსრულებისადმი დამოკიდებულება ცუდათ იყო გაგებული, გვაჯერებდა რა ამ იძულებითი პროცედურების გამოყენების უპირატესობაში. თუმცა, ჩანს, რომ „დეკანს სურდა მხოლოდ ეთქვა, რომ აღსრულებადი გადაწყვეტილება თავისთავად იწვევს იურიდიული გარემოებების მოდიფიკაციას"[17]. მაშასადამე, საჭიროა ცნება გავასუფთავოდ ყოველგვარი ინტერპრეტაციისაგან, რომ მივიდეთ მის ნამდვილ შინაარსამდე. პრობლემა მდგომარეობს ორი ტერმინის გაერთიანებაში, რომელიც გახდა არაერთგვაროვანი: გადაწყვეტილების „აღსრულებადი" ხასიათი დომინირებს გამოხატვაზე. დღეს, მისი შინაარსი დამოკიდებულია თითქოს მხოლოდ სიტყვა აღსრულებადის მნიშვნელობაზე, რომელიც მოიცავს ცნების მთელ პანელს:

[13] M. Lei, Le principe de l'absence d'effet suspensif des recours contentieux en droit administratif, Droit, Université de Toulon, 2018., p. 70.
[14] Ch. Sirat, « L'exécution d'office, l'exécution forcée, deux procédures distinctes de l'exécution administrative », JCP, 1958, I, n 1440.
[15] M. Hauriou, Précis de droit administratif et de droit public, 12ème éd., 1933, Paris, p. 11.
[16] P. Delvolvé, L'acte administratif, 1983, Paris, Sirey, Droit public, p. 23.
[17] იქვე, pp. 22-23.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

„თუ აღსრულებადი გადაწყვეტილების ქვეშ ჩვენ გვესმის ძალაში შესული გადაწყვეტილება, მხოლოდ ადმინისტრაციული აქტები, რომელთა ძალაში შესვლის პირობები შესრულებული იყო; სხვები ჯერ ასეთები არ არიან, მაგრამ იძულებულნი არიან ასეთები გახდნენ. თუ, აღსრულებადი ხასიათით, მიზნად ვისახავთ „საჯარო სამართლის ფუნდამენტურ წესს", რომლის ძალითაც ადმინისტრაციული გადაწყვეტილება გამოიყენება დაუყოვნებლივ, თავდაპირველად ყველა დავაზე, ადმინისტრაციული აქტი და აღსრულებადი გადაწყვეტილება არის მხოლოდ ორი განსხვავებული სახელწოდება ერთი და იგივე რეალობის: ორივე გამოხატვა სინონიმებს წარმოადგენს. თუ, აღსრულებადი ხასიათით, ჩვენ აღვნიშნავთ ეფექტს, რასაც ადმინისტრაციული აქტი წარმოქმნის უფლებებსა და მოვალეობებზე, მაშინ მხოლოდ ზოგიერთი ადმინისტრაციული აქტი წარმოადგენს აღსრულებად გადაწყვეტილებას"[18].

აღსრულებადი გადაწყვეტილების თეორია სრულებით ნასაზრდოებია „აღსრულებადი" ხასიათით, რომელიც ცივილისტის გავლენით მიდრეკილია მატერიალური აღსრულებისადმი: „აღსრულებადი ხასიათი, როცა ის ჩნდება ფრანგულ სამართალში, ნიშნავს, რომ იძულებითი ღონისძიებების უფლებამოსილება მიცემულია აქტის მფლობელისთვის, რომელიც ავლენს ამ ხასიათს მოვალის საკუთრებაზე ან პიროვნებაზე". ის შეეხება ძალას და იძულებას რათა მიაღწიოს ურჩი პირის მობილიზაციას. მაშასადამე, ამ ღირებულებებით დატვირთული, „აღსრულებადი" ხასიათი ინტეგრირდა ადმინისტრაციულ დავებში: ბოროტება იყო ჩადენილი.

გარდა ამისა, შეიძლება წინ წამოვწიოთ სხვა განმარტება, ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების როგორც აღსრულებადის კვალიფიკაციის გაძლიერების ასახსნელად. დიდი ხნის განმავლობაში, ადმინისტრაციული ორგანოები, მინისტრებით სათავეში, იყვნენ ასევე პირველი ინსტანციის მოსამართლეები ადმინისტრაციული საქმიანობიდან წამოსული დავების. ამ ფარგლებში, მინისტრების გადაწყვეტილებები იყო სასამართლო გადაწყვეტილებები და იღებდნენ ძალას, რომელიც მათ საშუალებას აძლევდა აღსრულებულიყვნენ მატერიალურად. ადმი-

[18] P. Delvolvé, L'acte administratif, 1983, Paris, pp. 28-29.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ნისტრაციული ორგანოების მიერ გამოცემული სასამართლო გადაწყვეტილებები იყო „აღსრულებადი" იმ მნიშვნელობით, რომ მათი შედეგი უნდა დაფიქსირდეს მატერიალურად. აქედან დაწყებული, როდესაც ადმინისტრაციულმა ორგანოებმა დაკარგეს ეს კომპეტენცია სასამართლო ორგანოების სასარგებლოდ, არსებობდა აღრევა მათ მიერ გამოცხადებულ სასამართლო გადაწყვეტილებებსა და აქტებს შორის, რომლებიც მათ ასევე შეეძლოთ მიეღოთ. სწორედ ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების ძველმა „სასამართლო" თვისებამ ხელი შეუწყო იდეას, რომ მათი აქტები ფლობენ აღსრულებადის პოლისემიური სპექტრის იდეის ყველაზე უფრო ძლიერ მნიშვნელობას.

თუმცა, დაიწერა აღსრულებადი გადაწყვეტილების ამ დამახინჯების წინააღმდეგ, საიდანაც მომდინარეობს იძულებითი აღსრულების წარმოსახვა. მაგალითად, პროფესორი შინო თავის დისერტაციაში[19] იცავდა, რომ არ არსებობდა გადაწყვეტილების პირდაპირი აღსრულების არავითარი პრივილეგია ადმინისტრაციის სასარგებლოდ. პროფესორ ფონტენის დისერტაცია ამ საკითხზე გამოხატავს აღსრულებადი გადაწყვეტილების მთელს შინაარსს ამ ტრადიციულ კონცეფციებთან შეწინააღმდეგებით. ის ასაბუთებს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების აღსრულებადი ხასიათის მოცილების აუცილებლობას იმ მნიშვნელობით, რომელსაც ის ატარებს კერძო სამართალში. ადმინისტრაციულ დავებში, არ არსებობს კავშირი მატერიალური აღსრულების გამოყენებასთან, როგორიც არ უნდა იყოს ის. ზედსართავი „აღსრულებადი" არ გარდაქმნის გადაწყვეტილებას და არის მხოლოდ განსაკუთრებული მიდგომა გადამწყვეტი ასპექტისადმი.

ეს განსაკუთრებულობა მხოლოდ საშუალებას აძლევს ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ იყოს მართლწესრიგის შემადგენელი ნაწილი. ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, ვინაიდან ის არის აღსრულებადი, მხოლოდ თავისი ძალით ხდება სამართლისა და იურიდიული ვალდებულებების შემადგენელი ნაწილი. იურიდიული ვალდებულებების წარმომქმნელი აღსრულებადი გადაწყვეტილება, ხდება რა მართლწესრიგის შემადგენელი ნაწილი, მომავალი მატე-

[19] R. Chinot, „Le privilège d'exécution d'office de l'administration", th. Paris, 1945, Paris, J. Lavergne, 199 p.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

რიალური აღსრულების ამოსავალი წერტილია. მაგრამ, „აღსრულებადი" გადაწყვეტილება, როგორც ცნება, არ იძლევა ამ ორი განსხვავებული ეტაპის შეთავსების საშუალებას: „რასაკვირველია ადმინისტრაციას აქვს უფლებამოსილება გამოსცეს გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვთ სავალდებულო (და არა აღსრულებადი) ძალა და ის ფლობს იძულების მატერიალურ საშუალებებს, რომ ისინი მოიყვანოს აღსრულებაში, მაგრამ ამ ორ ელემენტს შორის, დგება უფლებამოსილება, რომელიც ამ გადაწყვეტილებებს აძლევს აღსრულებად ძალას, და ადმინისტრაცია ფლობს ამ უფლებამოსილებას მხოლოდ ზოგიერთ ჰიპოთეზაში"[20].

ადმინისტრაციული გადაწყვეტილება არ არის „შექმნილი" აღსრულებადად, აღსრულებადის რანგის მნიშვნელობით, რომელიც იქნება იძულებით მატერიალური აღსრულების საფუძველი. ის აღსრულებადია მისი ავტორის ადმინისტრაციული წარმომავლობით, მაგრამ არა აღსრულებადის რანგის მნიშვნელობით. აქედან დაწყებული, ადმინისტრაციულ სფეროში, „აღსრულებადი ხასიათი, ყველაზე უფრო ხშირად, აღნიშნავს ადმინისტრაციული აქტის სავალდებულო ძალას და მის განსხვავებულ ასპექტებს"[21]. მაშასადამე, ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების აღსრულებადი ხასიათი პარადოქსალურად გვაბრუნებს მხოლოდ სავალდებულო ძალის შინაარსზე, რომელიც განსხვავდება მისი აღსრულებადი ჰომოლოგისგან.

სემანტიკური ბუნდოვანების მიღმა, მართლწესრიგის მოდიფიცირებით ეს სავალდებულო ძალა საშუალებას აძლევს აქტს ზემოქმედება მოახდინოს ადრესატების გარემოებებზე. როგორც კი ადმინისტრაციული გადაწყვეტილება ვალიდურია, ანუ ხელმოწერილია, ის ინტეგრირდება მართლწესრიგში. ის აღსრულებადია იმით რომ, ის წარმოქმნის შედეგებს „იურიდიულ სამყაროში". აღსრულებადი გადაწყვეტილება ახდენს მართლწესრიგის მოდიფიცირებას და უახლოვდება სავალდებულო ძალას, რომელიც საშუალებას აძლევს აქტებს ზემოქმედება მოახდინონ დაინტერესებული პირების იურიდიულ გარემოებაზე. მაშასადამე, საჭიროა ჩავთვალოთ, რომ „ზოგადად, ადმინისტრაციული აქტის აღსრულებადი ხასიათი მხოლოდ აჩვენებს ფაქტს, რომ ეს უკანასკნელი იძენს სავალდებულო ძალას: იდეა,

[20] G.-E. Lavau, „Du caractère non-suspensif des recours devant les tribunaux administratifs", RDP, 1950, p. 779.
[21] R.-G. Schwartzenberg, „L'autorité de chose décidée", Paris, LGDJ, Bibliothèque de droit public, t. 93, préf. G. Vedel, 1969, p. 110.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

რომ ის შემდგომ შეიძლება იყოს აღსრულებული მისთვის არ არის უცხო, მაგრამ ის არავითარ ინფორმაციას არ გვაძლევს გადაწყვეტილების აღსრულების კონკრეტიზაციაზე". სხვა ავტორები იზიარებენ იგივე იდეას, როდესაც ისინი ამტკიცებენ, რომ წინასწარი პირობის უპირატესობის ძალით „ადმინისტრაციული ორგანოების აქტები ავლენენ სამართლის შედეგებს მათი გამოქვეყნების მომენტიდან"[22].

ამ პარადოქსალური შინაარსიდან, გამომდინარეობს იდეა, რომ „აღსრულებადი გადაწყვეტილების პირველი და არსებითი ეფექტი არის მართლწესრიგის ცალმხრივად მოწესრიგება"[23] მატერიალურ სფეროში გადასვლის გარეშე. მოკლედ, ის არსებობს სანამ იურიდიულ ძალაში შევა და გასაჩივრებულა: აღსრულებადი გადაწყვეტილება წარმოშობს სავალდებულო ძალას აქტის შინაარსის მართლწესრიგში ჩაწერით. აღსრულებადი გადაწყვეტილების ეს ნამდვილი „იდენტიფიცირება" ფლობს მოულოდნელ შედეგებს შეყოვნებითი ეფექტის არარსებობის პრინციპზე. ვაცნობიერებთ, რომ აღსრულებადი გადაწყვეტილება მას ანგრევს.

არაშეყოვნებითი ეფექტის დეგრადაცია, დაახლოვების შედეგი

ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, ვინაიდან ის არის აღსრულებადი, წარმოქმნის იურიდიულ შედეგებს. არავითარი პირდაპირი მატერიალური შედეგი არ გამომდინარეობს ამ აღსრულებადი ხასიათიდან, რასაც მივყავართ არაშეყოვნებითი ეფექტის პრინციპთან კავშირების გადახედვამდე. ტრადიციულად, ამ შეყოვნების უარყოფა აიხსნება აქტისთვის მინიჭებული ამ თვისებით. თუმცა, თუ ეს უკანასკნელი არ მოიცავს მატერიალურ აღსრულებას, ეს ტრადიციული არგუმენტაცია ქრება. მას არ შეუძლია დაასაბუთოს პრინციპი, ვინაიდან მატერიალური განხორციელება შეიძლება მხოლოდ ნაგულისხმები იყოს. არ გულისხმობს რა ამ მატერიალურ აღსრულებას, არ შეიძლება ამას დავეყრდნოთ და ჩავთვალოთ, რომ აქტის წინააღმდეგ სარჩელს არ შეუძლია გამოიწვიოს მისი გამოყენების შეყოვნება. სწორედ უფრო საზოგადოებრივი კონფორმიზმით და იურიდიული მახასიათებლების გადაჭარბებით ადრესატები ექვემდებარებიან ადმინისტრაციას. მხოლოდ

[22]M. Guyomar et B. Seiller, Contentieux administratif, 4ème éd., Paris, Dalloz, Hypercours, n 424, p. 2017, 193.
[23] R.-G. Schwartzenberg, L'autorité de chose décidée, 1969, Paris., p. 89.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მათი კეთილი ნება იძლევა ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების დაუყოვნებელი აღსრულების საშუალებას, ვიდრე აღსრულებადი გადაწყვეტილება.

ამის საფუძველზე, სადავო აქტის აღსრულების შეყოვნების საკითხი ჩანს მოძველებული. რა ინტერესი უკავშირდება მატერიალური აღსრულების შეყოვნებას, როცა ეს უკანასკნელი, პრინციპულად, ჯერ არ არის სავალდებულო? აღსრულებადი გადაწყვეტილება, იურიდიულად, არ ქმნის მატერიალური აღსრულების სავალდებულოობას. შეყოვნების ინტერესისგან განთავისუფლებით აღსრულების შეყოვნება, რომელთან შეწინააღმდეგებაც შესაძლებელია, ჩანს გამოუსადეგარი დებატი ჩანს დახურული. საკითხი აღარ ისმება, ვინაიდან, აღსრულებადი გადაწყვეტილების შინაარსის გამოყენებით, აღარაფერია შესაყოვნებელი.

საწინააღმდეგო მნიშვნელობით მსჯელობა გვკარნახობს, მოვახდინოთ შეყოვნებითი ეფექტების მიდგომის სრული მოდიფიცირება. ერთადერთი საშუალება, შევინარჩუნოთ კავშირი შეყოვნების საკითხსა და აღსრულებადი გადაწყვეტილების თეორიას შორის, დადის შეყოვნებაზე სხვანაირად ფიქრამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც ის გასცდება ადმინისტრაციული აქტის მხოლოდ მატერიალურ განხორციელებას რასაც ჩვენ ვაპროტესტებთ შეყოვნებითი ეფექტი ან მისი არარსებობა დაიბრუნებს ინტერესს. საჭიროა, რომ შეყოვნების შედეგები მიზნად აღარ ისახავდნენ მხოლოდ მატერიალურ აღსრულებას სავალდებულო ძალასთან დაკავშირებისთვის, ანუ მართლწესრიგის ნაწილის გახდომისთვის.

პრინციპის არარსებობის მტკიცებულებად ბევრი განიხილავს, რომ „პირველ ინსტანციაში ყველა სარჩელს შედეგად ექნება მოახდინოს ადმინისტრაციის საქმიანობის პარალიზება". სხვები განიხილავენ, რომ თუნდაც „გახდეს სარჩელის საგანი, და ამრიგად დაემუქროს გაუქმება [...] გადაწყვეტილება შეიძლება იყოს აღსრულებული"[24]. ნათლად, შეყოვნების არარსებობა, დოქტრინისთვის, მიზნად ისახავს ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელების პარალიზების შეფერხებას. შეყოვნების ეფექტები ლოგიკურად დაკავშირებულია აღსრულებადი გადაწყვეტი-

[24] R. Chapus, Droit du contentieux administratif, 13ème éd., 2008, Paris, Montchrestien, Domat droit public, n 457, p. 380.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ლების დოქტრინულ კონცეფციასთან. ვინაიდან ეს უკანასკნელი ინტერპრეტირებულია, როგორც იძულებითი აღსრულების სინონიმი, შეყოვნების საკითხი ეხება მატერიალურ აღსრულებას და არა მართლწესრიგში ჩაწერას.

დასკვნა

სარჩელების შეყოვნებითი ეფექტის არარსებობის პრინციპი უფრო წარმოადგენს გამართლების მცდელობაზე აგებულ კონსტრუქციას, ვიდრე მყარად დასაბუთებულ იურიდიულ დებულებას. მისი არგუმენტაციული სისუსტე ნათლად აჩვენებს, რომ ეს პრინციპი უფრო ტრადიციისა და პრაქტიკის პროდუქტია, ვიდრე თეორიული აუცილებლობის შედეგი.

თუ ჩვენ გავასწორებთ აღსრულებადი გადაწყვეტილების ნამდვილ შინაარსს, სადავო აქტების შეყოვნებასთან დაკავშირებულ დისკუსიას ადგილი აღარ ექნება: მათი გამოცემა არ ქმნის საფრთხეს მათი ადრესატებისთვის. მაშასადამე, ჩვენ შეიძლება მივიდეთ იმის თქმამდე, რომ პრინციპის ცვლილება არაფერს მოუტანს მოქალაქეებს, ვინაიდან მატერიალური აღსრულება მათ არ დაევალდებულება. სწორედ პროფესორი ისრაელი, ეყრდნობა რა აღიარებას, რომ ადმინისტრაციის აქტები ფლობენ სავალდებულო ძალას, განიხილავდა, რომ „მაშასადამე, ჩვენ შეგვეძლება საბოლოოდ დავუშვათ, რომ სარჩელებს ექნება საკმარისი ეფექტი"[25]. ადრესატის დატოვება „მარტო" ადმინისტრაციის პირისპირ აქტების „აღსრულებადი" ხასიათის საბაბით, არ აიძულებს მას აღსრულებას, ეს არის დავის ფსიქოლოგიის დავიწყება. მოსარჩელე, ხშირად მოქალაქე, ექვემდებარება ადმინისტრაციას, ვინაიდან ის იმყოფება იმის ზეგავლენის ქვეშ, რასაც ადმინისტრაცია აკეთებს საერთო სიკეთის მიზნით, რაც საკმარისი მტკიცებულებაა წინააღმდეგობის გარეშე მისადმი დაქვემდებარების მიღებისთვის.

სადავო აქტის შეყოვნებასთან დაკავშირებული ფიქრი ინარჩუნებს თავის მართებულობას და ეს მით უფრო, რომ ადმინისტრაციული ორგანოები ნასაზრდოებია აღსრულებადი გადაწყვეტილების ამ კონცეფციით. მისი ფლობით, ადმინისტრაციას შეუძლია ჰქონდეს ყოვლისშემძლეობის შეგრძნება, მიდის რა მატერიალურ აღსრულებამდე. მაშასადამე, ამ ადმინისტრაციული „რელიგიის"

[25] E. Jeuland, Droit processuel général, 3ème éd., 2014, Paris, LGDJ-Lextenso éditions, Domat droit privé, p. 589.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

პირისპირ მოქალაქის დაცვა ხდება ძირითადი მიზანი, რომელიც გვკარნახობს კარგად გავიგოთ სარჩელების შეყოვნებითი ეფექტის არარსებობის პრინციპი. სწორედ ამიტომ, უნდა გავაგრძელოთ მისი წყაროების კვლევა, რაც მას ასევე გამოავლენს, როგორც განსაკუთრებული სასამართლო პრაქტიკის კონტექსტის შედეგს: დელეგირებული მართლმსაჯულების გადაცემა, რომელმაც ადმინისტრაციული მოსამართლე მიიყვანა ადმინისტრაციულ საქმიანობაში ჩაურევლობის წესის მკაცრი ინტერპრეტაციის დაცვამდე[26]. თუმცა, ხელისუფლების დანაწილება, საიდანაც მოდის ჩაურევლობის წესი, გამოყენებულია როგორც ალეგორია, რომელიც ამახინჯებს შეყოვნებითი ეფექტის არარსებობის იურიდიული გამყარების სოლიდურობას.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, https://surl.li/jfekwx, (გადამოწმებულია 03.12.2025);

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, https://surl.li/bcfmhz, (გადამოწმებულია 03.12.2025) ;

Confl, T., 2 déc. 1902, req. n 00543, Société immobilière de Saint-Just : Rec. Leb., concl. J. Romieu;

Chinot, R., „Le privilège d'exécution d'office de l'administration," th. Paris, 1945, Paris;

Chapus, R., „Droit du contentieux administratif", 13ème éd., 2008, Paris;

Chevallier, J., "L'élaboration historique du principe de la séparation de la juridiction administrative et de l'administration active", 1970, Paris;

Darcy, G., « La décision exécutoire, esquisse méthodologique », AJDA, 1994;

Delvolvé, P., „L'acte administratif, 1983, Paris, Sirey, Droit public;

Hauriou, M., „Précis de droit administratif et de droit public", 12ème éd., 1933, Paris, Société anonyme du Recueil Sirey;

Jeuland, E., „Droit processuel général", 3ème éd., 2014, Paris;

Lanza, A., „L'expression constitutionnelle de l'administration française", 1984, Paris, LGDJ;

Lei, M., "Le principe de l'absence d'effet suspensif des recours contentieux en droit administratif, Droit", Université de Toulon, 2018;

Lavau, G.-E., « Du caractère non-suspensif des recours devant les tribunaux administratifs », RDP, 1950;

Mongoin, D., „Les grandes conclusions de la Jurisprudence administrative", vol. 1, 2015, Issy-les-Moulineaux, LGDJ Lextenso éditions, Les Grandes décisions;

[26] J. Chevallier, „L'élaboration historique du principe de la séparation de la juridiction administrative et de l'administration active", Paris, LGDJ, Bibliothèque de droit public, t. 97, préf. R. Drago, p. 280. 1970,

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Sirat, Ch., « L'exécution d'office, l'exécution forcée, deux procédures distinctes de l'exécution administrative », JCP, 1958, I, n 1440;

Schwartzenberg, R.-G., „L'autorité de chose décidée", 1969, Paris;

Guyomar, M., et Seiller, B., „Contentieux administratif", 4ème éd., 2017, Paris;

L., 3 juill. 1877, relative aux réquisitions militaires, art. 21;

Ord. n 45-2658, 2 nov. 1945, relative aux conditions d'entrée et de séjour des étrangers en France, art. 5 et 26 bis;

L., 15 févr. 1902, relative à la protection de la santé publique, art. 14.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სატრანზიტო ლაბირინთები და საქართველო

შალვა კვეზერელი[1]
რუსუდან დალაქიშვილი- ჭიჭინაძე[2]
ქეთევან ჭიაბრიშვილი[3]
https://orcid.org/0000-0001-7293-5786
https://doi.org/10.61446/pa.3.2025.10313

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქართველოზე გამავალი შუა დერეფნის და სხვა სატრანზიტო დერეფნების არსებული მდგომარეობა. ძირითადი აქცენტი კეთდება, საქართველოზე გამავალ განედურ სატრანზიტო დერეფნებში, ძირითადი ტვირთების წარმოშობის წყაროების შეფასებაზე; ასევე განხილულია ცენტრალური აზიის ქვეყნების ეკონომიკები და იქ დაგეგმილი მსხვილმასშტაბიანი პროექტები, რომელთა ამოქმედების შემდეგ ტვირთების მოზიდვის კუთხით, საქართველოსთვის ჩნდება ახალი შესაძლებლობები. ნაშრომში, შედარებით ვრცლად არის გაანალიზებული ყაზახეთში და უზბეკეთში დაგეგმილი მსხვილმასშტაბიანი სახლმწიფო სტრატეგიული პროექტები, თურქმენული გაზის ევროკავშირისათვის მიწოდების ახალი ინიციატივები და ევროკავშირის გაცხადებული თანამშრომლობისა და მსხილმასშტაბიანი ინვესტიციების შესახებ ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

კონკურენციის ჭრილში სტატიაში განხილულია საქართველოზე გამავალი შუა დერეფნის ძირითადი კონკურენტი სატრანზიტო მარშრუტები, ისეთი როგრიცაა ჩრდილოეთ - სამხრეთის დერეფანი, რუსეთის ფედერაციაზე გამავალი სატრანზიტო და სომხეთზე პოტენციურად შესაძლო არსებული სატრანზიტო დერეფნები, რომელთა გახსნის შესახებ გარკვეული შეთანხმებები და პრაქტიკული სამუშაოები უკვე განხორციელდა.

საკვანძო სიტყვები: შუა დერეფანი, სატრანზიტო დერეფანი, საქართველო, ევროკავშირი, ცენტრალური აზია, რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, ირანი, ჩინეთი, აშშ.

[1]სსიპ დავით აღმაშენებელის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი
[2]სსიპ დავით აღმაშენებელის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი
[3]სსიპ დავით აღმაშენებელის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Transit labyrinths and Georgian

Shalva Kvezereli[4]
Rusudan Dalakishvili- Chichinadze[5]
Ketevan Chiabrishvili[6]
orcid.org/my-orcid?orcid=0000-0001-7293-5786

Abstract

The purpose of this article: "Transit Labyrinths and Georgia" is to discuss the current state of the Middle Corridor and other transit corridors passing through Georgia. The main emphasis is on assessing the sources of origin of the main cargoes in the latitudinal transit corridors passing through Georgia. The economies of the Central Asian countries and the large-scale projects planned there are discussed, after the implementation of which new opportunities for attracting cargoes appear. The large-scale state strategic projects planned in Kazakhstan and Uzbekistan are discussed in more detail, as well as new initiatives for the supply of Turkmen gas to the European Union and the European Union's announced cooperation and large-scale investments in the countries of Central Asia.

In terms of competition, the article discusses the main competing transit routes of the middle corridor passing through Georgia, such as the North-South corridor, transit corridors passing through the Russian Federation, and potentially possible transit corridors passing through Armenia, for the opening of which certain agreements and practical work have already been carried out.~

Key words: Middle Corridor, Transit Corridor, Georgia, European Union, Central Asia, Russia, Azerbaijan, Armenia, Turkey, Iran, China, USA.

[4] Associate Professor of Bachelor's program in Management of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Academic Doctor of Business Administration.
[5] Associate Professor of Bachelor's program in Management of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Academic Doctor of Business Administration.
[6] Professor of Bachelor's program in Management of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Doctor of Economics

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

საქართველოს გამორჩეული გეოგრაფიული ადგილმდებარეობა აქვს, რაც მას, როგორც წარსულში, ისე აწმყოში და მომავალშიც სატრანზიტო ქვეყნად ყოფნის შესაძლებლობას აძლევს. აღსანიშნავია, რომ ხშირად, რაც ქვეყნის სიძლიერად აღიქმება და მომავალზე პოზიტიურ მოლოდინებს აჩენს, სუსტი მხარეებითაც ხასიათდება და წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრას ითხოვს. სწორედ, ხელსაყრელი მდებარეობის გამო გამოიარა ჩვენმა ქვეყანამ მრავალი დაბრკოლება; რეგიონის ისეთი ძლიერი ქვეყნები და იმპერიები, როგორიცაა რომი, ბიზანტია, არაბეთი, მონღოლეთი, ოსმალეთი, სპარსეთი, რუსეთი და სხვა. საქართველოზე გამავალი სავაჭრო და სამხედრო მნიშვნელობის მქონე გზების კონტროლს ცდილობდნენ.

რა მდგომარეობა გვაქვს დღეს? „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" ცდილობენ თუ არა საქართველოზე გამავალი სავაჭრო და სამხედრო მნიშვნელობის გზების კონტროლს? ვგულისხმობთ იმ სახის კონტროლს, სადაც საქართველოს ინტერესებს სხვა ქვეყნის ინტერესები აღემატება და რამაც შესაძლოა, საქართველოს პოლიტე-კონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მდგომარეობა დააზიანოს.

იმ გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, რაც მსოფლიოში და რეგიონში გვაქვს, საქართველოზე გამავალმა სატრანზიტო მარშრუტებმა შეიძლება დიდი როლი ითამაშოს, როგორც ჩვენი ქვეყნისათვის ისე, სხვა ქვეყნებისა, თუ ქვეყანათა გაერთიანებისათვის. ძირითადი აქცენტი კეთდება რუსეთ - უკრაინის ომზე და მის ფონზე ევროკავშირისა და ეგრედ წოდებული „დასავლეთის ქვეყნების ბლოკზე", რომელთა მხრიდანაც მოხდა რუსეთის ფედერაციის სანქცირება და სანქციათა განვითარება ჯერ კიდევ მოქმედების პროცესშია.

სანქციების დაწესებამდე, 2021 წლამდე, ევროსტატის მონაცემებით, რუსეთისთვის ევროკავშირი ერთ-ერთი სტრატეგიულ საბაზრო სივრცეს წარმოადგენდა, რასაც დიაგრამა 1-ში მოყვანილი მონაცემებიც მოწმობს. ამავე მონაცემებით, რუსეთი ევროკავშირისთვის, ენერგო მატარებლების და სხვა მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების ძირითადი მიმწოდებელი იყო. მაგ: 2021 წელს ბუნებრივი აირის 40% ევროკავშირმა რუსეთიდან შეიძინა, მათ შორის: გერმანიის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის დაახლოებით 55% რუსული იყო, ავსტრიის მიერ

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მოხმარებული,-80%-ზე მეტი, ხოლო უნგრეთმა, ჩეხეთმა და ბულგარეთმა, მოხმარებული ბუნებრივი გაზის 75% რუსეთისგან შეიძინეს. ევროკავშირში მოხმარებული დიზელის საწვავის 30%, ქვანახშირის 45%, პალადიუმის 40%, ტიტანის 25%, ნიკელის 20% ასევე რუსული იყო. ევროკავშირს და რუსეთის ფედერაციას შორის სავაჭრო ბრუნვამ 2021 წელს დაახლოებით 258 მილიარდი ევრო შეადგინა, საიდანაც დაახლოებით 158 მილიარდი ევრო რუსეთიდან ევროკავშირში ექსპორტი იყო, ხოლო დაახლოებით 100 მილიარდი ევრო რუსეთში ევროკავშირიდან იმპორტი.

დიაგრამა 1: რუსეთიდან ევროკავშირში 2021 წელს იმპორტირებული ზოგიერთი პროდუქციის მონაცემები
წყარო: ევროსტატი.[7]

ევროკავშირიდან რუსეთის ფედერაციაში 2021 წელს, შემდეგი ძირითადი



პროდუქციის ექსპორტი განხორციელდა: მექანიკური მოწყობილობები და აღჭურვილობა, დაახლოებით 15 მილიარდი ევროს მოცულობის, ფარმაცევტული საშუა-

[7] ევროსტატი, https://ec.europa.eu/eurostat

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ლებები, დაახლოებით 4 მილიარდი ევროს მოცულობის, დაახლოებით იგივე მოცულობის სატრანსპორტო საშუალებები, პლასტმასის ნაწარმი, დაახლოებით 3 მილიარდი ევროს მოცულობის, 2 მილიარდი ევროს მოცულობის საკვები პროდუქტები და ასევე დახლოებით 2 მილიარდის მოცულობის ფოლადის სხვადასხვა შენადნობები.

რუსეთის ფედერაციაზე სანქციების დაწესებისა და გამკაცრების კვალდაკვალ, როგორც რუსეთს, ასევე ევროკავშირს მანამდე მათ შორის არსებული საქონელბრუნვის სხვა ბაზრებზე გადამისამართება დასჭირდა, რაც თავის მხრივ ახალი ლოჯისტიკური მარშუტების ჩამოყალიბებას, ან არსებულის განვითარებას საჭიროებს. ზუსტად ამ პროცესში ერთ-ერთი საკვანძო და სავარაუდო მზარდი როლი შეიძინა „შუა დერეფანმა" და სხვა სატრანზიტო დერეფნებმა, რომლებიც საქართველოზე გადის. ნაშრომის მიზანს, ზემოთაღნიშნულ კონტექსტში შუა დერეფნის შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი წარმოადგენს.

ძირითადი ნაწილი

ცენტრალური აზიის როლი შუა დერეფნის განვითარებაში

ევროკავშირი რუსეთზე დაწესებული სანქციების შემდგომ, მისი ალტერნატიული მომწოდებლების მოძიებას ცდილობს და სანქციებამდე რუსეთში ექსპორტირებული პროდუქციისათვის ახალ საექსპორტო ბაზრებს ეძებს. ანალოგიურ ძიებაშია რუსეთიც.

ამ რეალობაში, რუსეთისთვის და ევროკავშირისთვის, ცენტრალურმა აზიამ და იქ არსებულმა ქვეყნებმა, განსაკუთრებული როლი, განსხვავებული რაკურსით შეიძინა. ევროკავშირი ცდილობს, საჭირო და მათთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი რესურსების ალტერნატიული მომწოდებლების მოძიებას და საკუთარი პროდუქციის საიმპორტო შესაძლებლობების გაზრდას. რუსეთისთვის მნიშვნელოვანი კი სანქციების გვერდის ავლის მექანიზმების შემუშავება/დახვეწა და მისთვის აუცილებელი დასავლური წარმოების პროდუქციის იმპორტია, რაშიც ცენტრალური, იგივე შუა აზიის ქვეყნები, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ; ასევე რუსეთის ინტერესებშია საექსპორტო შესაძლებლობების განვითარება. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გარდა, რუსეთსაც და ევროკავშირსაც ცენტრალური აზიის

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ქვეყნებზე გავლით სატრანზიტო დერეფნები სჭირდებათ, ისეთ მსხვილ სავაჭრო პარტნორებთან სათანამშრომლოდ, როგორიცაა ჩინეთი და ინდოეთი. მოცემულ მარშუტებზე, ტვირთნაკადების მოძრაობა, ან უკვე მიმდინარეობს შუა დერეფნის, ან საქართველოზე გამავალი სხვა სატრანზიტო დერეფნების მეშვეობით, ან არსებობს ახალი ტვირთნაკადების მოზიდვის შესაძლებლობა. ამ მხრივ რუსეთისა და ევროკავშირის მიზნები, საქართველოს სატრანზიტო და ეკონომიკური შესაძ-ლებლობების გაფართოვებასთან და ახალი შესაძლებლობების განვითარებასთან-აცაა კავშირში, რასაც უფრო ვრცლად ქვემოთ განვიხილავთ.

ზემოთ განხილულმა არსებულმა ვითარებამ, ცალსახად დააჩქარა ცენტრალური აზიის ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპებით განვითარება. აღსანიშ-ნავია, რომ ყაზახეთმა და უზბეკეთმა, თითქმის ერთდროულად შეიმუშავეს ინ-დუსტრიის განვითარების სტრატეგიული გეგმა და განხორციელებასაც შეუდგნენ. რგორც ყაზახეთმა, ასევე უზბეკეთმა, მოცმული გეგმის ბიუჯეტად 10 ÷ 10 მილი-არდი აშშ დოლარი განსაზღვრეს. მოცემული თანხების მოზიდვა ორივე შემთხვე-ვაში სახელმწიფო ბიუჯეტით და კერძო ინვესტიციებით კომბინირებულია. (რო-გორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ინვესტორების დაინტერესება). აქვე მოკლედ მიმოვიხილავთ ორივე მათგანს:

<u>ყაზახეთის სახელმწიფო პროგრამა ქიმიური და მეტალურგიული დარგების განვითარებისათვის:</u> ყაზახეთი ცენტრალურ აზიაში ყველაზე დიდი სახელმწიფოა და მდიდარია ბუნებრივი წიაღისეულით. გასულ წელს ყაზახეთის მთავრობამ სტ-რატეგიული გადაწყვეტილება მიიღო, რომლის მიხედვითაც, მისი ბუნებრივი რესურსები ექსპორტზე არა ნედლეულის სახით, არამედ ძირითადად გადამუშავე-ბული სახით გაიტანოს, რათა ხელი შეუწყოს ადგილობრივი წარმოების განვითა-რებას და ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდას.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სურათი 1: საინვესტიციო პროექტების ფარგლებში შერჩეული 5 ყაზახური სამრეწველო კომპლექსი

სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, დაიგეგმა მეტალურგიული და ქიმიური ინდუსტრიების არსებული და ახალი 5 საწარმოო კომპლექსის განვითარება. (იხ. თვალსაჩინოება 1: სტრატეგიული გეგმის ფარგლებში შერჩეული 5 ყაზახური სამრეწველო კომპლექსი). მოცემულ კომპლექსებში წარმობული ძირითადი პროდუქციის სახეობა და მოცულობა შთამბეჭდავია, (იხ. დიაგრამა 2: ახალ და განახლებულ ყაზახურ საწარმოო კომპლექსებში წარმოებული ძირითადი პროდუქციის სახეობები და მოცულობები). როგორც აღვნიშნეთ ზოგიერთი კომპლექსი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ფუნქციონირებს და დაგეგმილია მათი გადაიარაღება და საწარმოო შესაძლებლობების გაზრდა, ზოგიერთი კი ახალი აშენდება. მათ მიერ წარმოებული პროდუქციის პირველი პარტიების მიღება 2029-2030 წლისათვისაა დაგეგმილი.



დიაგრამა 2: ახალ და განახლებულ ყაზახურ საწარმოო კომპლექსებში წარმოებული ძირითადი პროდუქციის სახეობები და მოცულობები, წყარო:[8]

მსგავსი მასშტაბური წარმოება რეგიონში, ნამდვილ გამოწვევას წარმოადგენს ლოგისტიკური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რადგან პროდუქციაც და მისი შენახვისა და ტრანსპორტირების პირობებიც განსხვავებულია. რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია შესაბამისი ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის ორგანიზება. რა თქმა უნდა, არავინ იწყებს პირველ რიგში ამგვარ მასშტაბურ წარმოებას და მას შემდეგ იმაზე ფიქრს, სად გაყიდის პროდუქტს და რა გზებით მიაწვდის სამომხმარებლო ბაზრებს. ყაზახური სამრეწველო კომპლექსების პროდუქციის 80%-ზე მეტი, საექსპორტო დანიშნულებისაა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ევროკავშირის ბაზრისთვისაა განკუთვნილი. გარკვეული პროდუქციის ყაზახეთიდან ევროკავშირისთვის მიწოდება ახლაც შუა დერეფნის გავლით ხორციელდება და შესაძლებელია ზემოთაღნიშნული ახალი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილიც ამავე დერეფნით გატარდეს. ამისათვის აუცილებელია, რომ მიზნობრივ სახელმწიფო სტრუქტურებს შორის წინასწარი შეთანხმებები თავიდანვე გაფორმდეს და

[8] Ministry of National Economy of the Republic of Kazakhstan

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

დაიწყოს შესაბამისი ლოჯისტიკური შესაძლებლობების განვითარება. სხვა შემთხ-ვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შუა დერეფანს ალტერნატივები გააჩნია (ქვე-მოთ მოკლედ განვიხილავთ) და მოცემული ტვირთები ევროკავშირის ბაზრებს შეიძლება მათი საშუალებით მიეწოდოს.

უზბეკეთის სახელმწიფო პროგრამა ქიმიური დარგების განვითარებისათვის: ბოლო პერიოდში, ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან, უზბეკეთის ინდუსტრიული ზრდა გამოსარჩევია. 2022 წელს ქვეყანაში, უმაღლეს დონეზე იქნა მიღებული გა-დაწყვეტილება, ადგილობრივი ქიმიური ინდუსტრიის განვითარების შესახებ. დღეისათვის უზბეკეთის ქიმიური ინდუსტრია ყოვლწლიურად დაახლოებით 5÷6 მილიონ ტონა პროდუქციას აწარმოებს და სახელმწიფო პროექტის ფარგლებში განვითარების შედეგად, წელიწადში 7÷8 მილიონ ტონამდე გაზრდაა დაგეგმილი.



სურათი 2: უზბეკეთის ქიმიური ინდუსტრიის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

პროდუქციის 80%-ზე მეტი საექსპორტოა და მისი მნიშვნელოვანი ნაწილის გა-ტანა ევროკავშირის ქვეყნებში იგეგმება. უზბეკეთის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2027 წლისათვის, ქიმიურ ინდუსტრიის განვითარების 44 პროექტში, დაგეგმილია, ჯამში 10 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტირება (როგორც სახელ-მწიფო, ასევე კერძო ინვესტიციების მოზიდვით). 2023-2024 წლებში მოცემული

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

პროგრამის ფარგლებში უკვე განხორციელდა 400 მილიონი აშშ დოლარის ინ-ვესტიცია და ექსპორტზე გავიდა დაახლოებით 500 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ქიმიური პროდუქცია.

დიაგრამა 3: მსხვილი უზბეკური ქიმიური ინდუსტრიის მიერ წარმოებული პროდუქცია 2024 წელი (მილიონი ტონა წელიწადში), წყარო:[9]



დასახელებული პროდუქციის ნაწილი, ევროკავშირის ბაზარს შუა დერეფნის გავლით, ძირითადად ნაყარი ტვირთის სახით მიეწოდება. 2024 წელს უზბეკე-თიდან საქართველოს გავლით ფოთის ნავსადგურიდან, 40 ფუთის ტევადობის, 54 ერთული კარბამიდით დატვირთული კონტეინერის საცდელი პარტია გაიგზავნა ბრაზილიაში.

იმისათვის, რომ უზბეკეთიდან მეტი ტვირთების მოზიდვას ხელი შეეწყოს, შე-საბამისი სატრანზიტო ინფრასტრუქტურის მოწყობაა აუცილებელი. ბათუმში უკვე არსებული ქიმიური პროდუქციის ტერმინალი, ვეღარ იქნება საკმარისი, მოცემული ტვირთების მისაღებად და დასამუშავებლად.

ევროკავშირის 12 მილიარდიანი საინვესტიციო პროექტი ცენტრალური აზიის ქვეყნების ინდუსტრიებში: რუსეთის სანქციების და მასზე დამოკიდებულების შევ-სების მზნით, ევროკავშირმა შუა აზიის ქვეყნებთან, ახლო თანამშრომლობა და-გეგმა. 2025 წლის აპრილში, უზბეკეთში ევროკავშირის და ცენტრალური აზიის

[9] უზბეკეთის რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსების სამინისტრო. https://gov.uz/oz/imv

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ქვეყნების ხელმძღვანელი პირების შეხვედრა შედგა, სადაც ევროკავშირიდან ცენტრალური აზიის ქვეყნებში, სხვადასხვა ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვებისა და დამუშავების მიზნით, ერთობლივი საწარმოების შექმნაზე შეთანხდნენ. საბოლოოდ, ევროკავშირის წარმომადგენლების მხრიდან გაჟღერდა, რომ მზად არიან ცენტრალური აზიის ქვეყნებში 12 მილიარდი ევროს მოცულობის ინვესტიცია განახორციელონ.

„აღნიშნული ინიციატივა მიუთითებს იმაზე, რომ ახლო მომავალში ცენტრალური აზიის ქვეყნებში შეიქმნება დამატებითი ტვირთების ნაკადები და საჭირო იქნება მათი მნიშვნელოვანი ნაწილის ევროკავშირის ბაზარზე მიწოდება. ამ საკითხში კი შუა დერეფანის და შესაბამისად საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაზრდა შესაძლებელია, რომლისთვისაც შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა დაუყოვნებლივ საჭიროა, რათა მოხდეს შესაბამისი შეთანხმებების გაფორმება და სათანადო სატრანზიტო ინფრასტრუქტურის განვითარება."[10]

თურქმენული გაზის ტრანზიტი ევროკავშირში: აღსანიშნავია, რომ დიდი ტრანსკასპიური გაზსადენის თემა წარსულშიც არაერთხელ გაჟღერებულა. ევროკავშირს ადრეც ჰქონდა მცდელობა, წვდომა ჰქონოდა უზბეკურ გაზზე, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა რუსულ ინტერესებთან. ბოლო პერიოდში საკითხი კიდევ ერთხელ გააქტიურდა, რაშიც სავარაუდოდ მნიშვნელოვან როლს, ამერიკის შეერთებული შტატები თამაშობს. 2025 წლის გაზაფხულზე სენატში (საგარეო საქმეთა კომიტეტზე) სიტყვით გამოსვლისას, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა მარკო რუბიომ, აღნიშნულ თემაზე დასმულ შეკითხვას ღიად უპასუხა, რომ, აშშ მზადაა მხარი დაუჭიროს და დააფინანსოს თურქმენული გაზის ტრანსკასპიური მილსადენით ევროკავშირში მიწოდებას. მან ხაზი გაუსვა, რომ ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის, მოცემული პროექტი მნიშვნელოვანია და მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს კურსი უცხოური დახმარებების შემცირებისკენაა აღებული, პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაცია გამონახავს გზას და რესურსებს, მოცემული მსხვილი პროექტის დასაფინანსებლად. ადგილი ჰქონდა ტრანსკასპიური გაზსადენის

[10] Global Gateway-ის ფარგლებში EU შუა დერეფნის განვითარებას გეგმავს - რა როლი ექნება საქართველოს? https://surl.li/pkpmgu

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

საპროგნოზო მონაცემების გაჟღერებასაც, რაც ნამდვილად შთამბეჭდავია. „მოიაზრება თურქმენული ბუნებრივი გაზის საბადო „გელკიშინი"-დან ევროკავშირის ბაზრისთვის წელიწადში, 30 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის მიწოდება და მოცემული პროექტის განხორციელება, სულ მცირე 30 წლის განმავლობაში. მოცემული პროექტის შესრულებისთვის მზაობა დაადასტურა თურქმენეთის ხელმძღვანელობამაც. ბუნებრივი გაზის დიდი მარაგების მიუხედავად, თურქმენული გაზსადენები ძალზედ შეზღუდულია, მათი გაზსადენები მხოლოდ ყაზახეთის და რუსეთი მიმართულებით მიემართება, შესაბამისად დივერსიფიკაცია და ახალ ბაზრებზე პირდაპირი წვდომა, მათთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია."[11]

ამ, მართლაც გრანდიოზული პროექტის შემაფერხებელ ფაქტორებად აღსანიშნავია, ისევ სრულად საპირისპირო რუსული ინტერესები, და აზერბაიჯანის მხარის პოზიცია, რომელიც არც თუ მნიშვნელოვნადაა დაინტერესებული ევროკავშირის ბუნებრივი გაზით მომარაგებაში, ამგვარი მძლავრი კონკურენტი ჰყავდეს. აზერბაიჯანული მხარე, ევროკავშირს თავადაც ამარაგებს ბუნებრივი გაზით და მზადაა, მიწოდება კიდევ უფრო გაზარდოს. ასევე საყურადღებოა, რომ დღევანდელ დღემდე არ არის დასრულებული კასპიის ზღვის ფსკერის დელიმიტაციის საკითხი, რაც მის აკვატორიაში მყოფ ქვეყნებს შორის, ცალკე უთანხმოებასა და გაუგებრობას ქმნის. რეალობა იმაშია, რომ ევროკავშირს უფრო მეტი რესურსი და უფრო მეტად დივერსიფიცირებული მიმწოდებლები სჭირდება. ასევე, აშშ მხარს უჭერს ევროკავშირის ენერგო დამოუკიდებლობის განმტკიცებას. ყოველივეს გათვალისწინებით უახლოეს მომავალში უფრო ცხადი გახდება, რამდენად მოხდება მოცემული საპროექტო მონახაზის რეალობად ქცევა და განხორციელება.

მიუხედავად იმისა, რომ მარკო რუბიოს სენატში გამოსვლის დროს არ უსაუბრია ტრანსკასპიური გაზსადენის კონკრეტულ მარშრუტზე, რთული წარმოსადგენია განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული, საქართველოს გარეშე დაიგეგმოს და

[11] თურქმენული გაზი ევროპას შესაძლოა, საქართველოს გავლით მიეწოდოს. https://www.bpn.ge/article/103732-turkmenuli-gazi-evropas-shesazloa-sakartvelos-gavlit-miecodos/

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

აშენდეს. ეს არ ნიშნავს, რომ მოცემული პროექტის განხორციელების შემთხვევაში მარშრუტი ჩვენს ტერიტორიაზე გარანტირებული გვაქვს.

საყურადღებოა, ბოლო დროს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მიმდინარე სამშვიდო მოლაპარაკებები და შეთანხმებები, რომელიც აგვისტოში, თეთრ სახლში პრეზიდენტ ტრამპის ინიციატივით ჩატარდა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ზანგეზურის დერაფნით სარგებლობის თემას, რაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანია აზერბაიჯანის, თურქეთისა და სომხეთისთვის. მხოლოდ განცხადებების ფორმატში ითქვა, რომ მოცემული დერეფანი 99 წლით გადაეცემა ამერიკულ კომპანიებს, რაც მის გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. ასევე საყურადღებოა, სექტემბერში, სომხეთში, ირანის სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის დროს, სომხური მხარის განაცხადება, რომ ზანგეზურის დერეფნის ფუნქციონირებას სომხეთი თავად უზრუნველყოფს და პროცესში არ იქნება ჩართული სხვა, რომელიმე სახელმწიფო. მიუხედავად სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობების ცვლილებებისა, რაც რეგიონისთვის უდაოდ მშვიდობის მომტანია, მაინც რთულად სავარაუდოა, რომ ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტის მშენებლობა, საქართველოს გვერდის ავლით განხორციელდეს. ამგვარი ვარაუდისთვის, ჩვენის აზრით რამდენიმე არგუმენტი არსებობს: სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მშვიდობა კარგია, თუმცა ის დროში უნდა გამოიცადოს და ძვირადღირებული პროექტის რისკის ქვეშ დაყენებას ინვესტორები მოერიდებიან; მეორე, თუ მოცემული პროექტი დაიგეგმა სომხეთის გავლით, ეს იმას ნიშნავს, რომ სომხეთის შემდგომ გაივლის თურქეთს და ისე მიეწოდება ევროკავშირს, რაც ევროკავშირს აარიდებს რუსეთზე დამოკიდებულებას, მაგრამ გაზრდის მის დამოკიდებულებას თურქეთზე, რომელიც ერთის მხრივ რეგიონალურ, დამოუკიდებელ მოთამაშეს წარმოადგენს (რაც ევროკავშირისათვის სულაც არ არის უკანასკნელი მნიშვნელობის) და ევროკავშირის კანდიდატი წევრის ხანგრძლივი სტატუსის გამო, ევროკავშირთან გარკვეულ წილად დაპირისპირებულიცაა. აღსანიშნავია, რომ დღეს, აზერბაიჯანიდან ევროკავშირის ენერგო რესურსებით მომარაგებაში გაზრდილია თურქეთის როლი. ამის გათვალისწინებით, სტრატეგიულად და შესაძლოა ეკონომიკური თვალსაზრისი-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

თაც, შედარებით მისაღები იყოს ტრანსკასპიური გაზსადენის დაგეგმვა თურქმენეთიდან აზერბაიჯანში, მისი გავლით საქართველოში და შემდგომ შავი ზღვის ფსკერზე გაზსადენის მშენებლობით პირდაპირ მიწოდება ბულგარეთისთვის, ან რუმინეთისთვის. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მარშრუტი ევროკავშირის დამოკიდებულებას რუსეთის შემდგომ, თურქეთზეც ამცირებს.

შუა დერეფნის კორიდორში ტვირთნაკადების წარმომქმენლი ძირითადი ქვეყნები

OSJD რკინიგზათა თნამეგობრობის ორგანიზაცია: https://en.osjd.org/-ის მიერ გამოქვეყნებული ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ შუა დერეფნის სატრანზიტო კორიდორში, კერძოდ კი საქართელოს ტერიტორიაზე გამავალი ტვირთნაკადების ძირითად წარმომქმნელ ქვეყნებს, ცენტრალური აზიის ქვეყნები წარმოადგენენ. OSJD-ის მონაცემების მიხედვით, რკინიგზით (ბლოკმატარებლების გამოკლებით) გადაზიდული ტვირთების დინამიკით პირველ ადგილს იკავებს ყაზახეთი შემდეგ, მოდის უზბეკეთი შემდეგი მონაცემებით:

ცხრილი 1: ყაზახეთიდან და ყაზახეთში რკინიგზით ტვირთების ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები მილიონი ტონა, წყარო:[12]

ექსპორტი/იმპორტი	ექსპორტი				იმპორტი			
ქვეყნები/წლები	2012	2016	2019	2023	2012	2016	2019	2023
რუსეთი	74,6	54,82	61,72	44,09	26,71	24,56	25,33	34,61
ჩინეთი	9,34	4,67	10,62	16,77	6,04	8,28	6,78	9,04
უზბეკეთი	6,67	16,92	21,72	21,64	5,44	4,64	6,22	5,62
აზერბაიჯანი	6,37	2,09	1,88	2,61	0,2	0,32	0,35	0,39
თურქმენეთი	0	0,57	1,1	1,11	-	-	-	-
ყირგიზეთი	2,4	4,19	4,21	5,26	5,53	0,28	0,32	0

[12] რკინიგზათა თანამეგობრობის ორგანიზაცია: https://en.osjd.org/

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ცხრილი 2: უზბეკეთიდან და უზბეკეთში რკინიგზით ტვირთების ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები მილიონი ტონაწყარო:[13]

ექსპორტი/იმპორტი	ექსპორტი				იმპორტი			
ქვეყნები/წლები	2012	2016	2019	2023	2012	2016	2019	2023
ყაზახეთი	5,44	4,64	6,22	5,62	6,67	16,92	21,72	21,64
ყირგიზეთი	0,76	0,19	0,53	0,78	0,76	0,3	0,78	0
ტაჯიკეთი	4,71	3,84	4,27	5,45	3,59	1,17	1,46	0,64
ავღანეთი	3,63	3,55	2,95	3,34	-	-	-	-
თურქმენეთი	3,68	1,56	0,64	1,11	4,04	0	0	0

როგორც მოცემული, 1 და 2 ცხრილებიდან ჩანს ყაზახეთის ტვირთბრუნვა სარკინიგზო გადაზიდვებით მეზობელ ქვეყნებთან, 2023 წელს შეადგენს 132 მილიონ ტონას, უზბეკეთის მაჩვენებლი კი 40 მილიონი ტონაა. ჩინეთი სარკინიგზო ტვირთბრუნვა ჩვენთვის საინტერესო მიმართულებაზე, კერძოდ რუსეთთან, მონღოლეთთან და ყაზახეთთან, მოკრძალებულად გამოიყურება და შედგენს 82,02 მილიო ტონას, საიდანაც დიდი წილი მოდის მეზობელი ქვეყნებიდან ტვირთების იმპორტზე 68,73 მილიონი ტონა (84%) და მხოლოდ 13,23 მილიონი ტონა (16%) ექსპორტზე. მოცემული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სარკინიგზო გადაზიდვებით (ბლოკმატარებლების გამოკლებით) ჩინეთი არ წარმოადგენს შუა დერეფანში ძირითადი სატრანზიტო ტვირთების წარმომქმნელ ქვეყანას. მოცემული კვლევაში არ არის დამუშავებული მსგავსი მონაცემები საზღვაო ტრანსპორტის შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს ჩინეთის ტვირთბრუნვის ძირითად სატრანსპორტო საშუალებას.

[13] რკინიგზათა თანამეგობრობის ორგანიზაცია: https://en.osjd.org/

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ცხრილი 3: ჩინეთიდან და ჩინეთში რკინიგზით ტვირთების ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები რუსეთთან, მონღოლეთთან და ყაზახეთთან მილიონი ტონა, წყარო:[14]

ექსპორტი/იმპორტი	ექსპორტი				იმპორტი			
ქვეყნები/წლები	2012	2016	2019	2023	2012	2016	2019	2023
რუსეთი	2,75	22,91	3,42	2,18	25,86	24,43	31,45	37,57
მონღოლეთი	1,14	1,35	1,49	2,01	6,27	6,91	13,31	14,45
ყაზახეთი	6,04	8,28	6,78	9,04	9,34	4,67	10,62	16,77

საინტერესოა, ასევე რუსეთის და აზერბაიჯანის შემთხვევაში ზემოთ განხილული მაჩვენებლების დინამიკა. რადგან რუსეთზე გამავალი სატრანზიტო დერეფნები საქართველოზე გამავალი სატრანზიტო დერეფნების პირდაპირი კონკურენტია, ხოლო აზერბაიჯანი შუა დერეფნის გასწვრივ მდებარე მნიშვნელოვანი სახელმწიფოა, რომელზეც ასევე გადის ჩრდილოეთ-სამხრეთი სატრანზიტო დერეფნის მნიშვნელოვანი არტერეა.

ცხრილი 4: რუსეთიდან და რუსეთში რკინიგზით ტვირთების ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები: მილიონი ტონა, წყარო:[15]

ექსპორტი/იმპორტი	ექსპორტი				იმპორტი			
ქვეყნები/წლები	2012	2016	2019	2023	2012	2016	2019	2023
ყაზახეთი	26,71	24,56	25,33	34,61	74,6	54,82	61,72	44,09
მონღოლეთი	1,65	1,56	2,58	2,85	0,31	0,18	0,81	1,76
ჩინეთი	25,86	24,43	31,45	37,57	2,75	22,91	3,42	2,18
აზერბაიჯანი	5,35	5,84	6,41	5,51	0,82	0,64	0,76	0,8
საქართველო (აფხაზეთი, დროებით ოკუპირებული ტერიტორია)	0,13	0,65	0,43	0,94	-	-	-	-

[14] რკინიგზათა თანამეგობრობის ორგანიზაცია: https://en.osjd.org/
[15] რკინიგზათა თანამეგობრობის ორგანიზაცია: https://en.osjd.org/

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ცხრილი 5: აზერბაიჯანიდან და აზერბაიჯანში რკინიგზით ტვირთების ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები: მილიონი ტონა, წყარო:[16]

ექსპორტი/იმპორტი	ექსპორტი				იმპორტი			
ქვეყნები/წლები	2012	2016	2019	2023	2012	2016	2019	2023
ყაზახეთი	0,2	0,32	0,36	0,39	6,37	2,09	1,88	2,6
რუსეთი	0,82	0,64	0,76	0,8	5,35	5,84	6,41	7,21
ირანი	0,02	0	0,25	0,5	-	-	-	-
თურქმენეთი	1,07	0,48	0,56	0,3	-	-	-	-
საქართველო	9,28	5,2	4,25	7,75	3,07	1,7	1,84	1,74

ამ ყველაფრის შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენს ქვეყანაში იმპორტირებული და ქვეყნიდან ექსპორტირებული ტვირთნაკადების მაჩვენებლები:

ცხრილი 6: საქართველოდან და საქართველოში რკინიგზით და შემდოგმ საზღვაო პორტებით ტვირთების ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები: მილიონი ტონა, წყარო:[17]

ექსპორტი/იმპორტი	ექსპორტი				იმპორტი			
ქვეყნები/წლები	2012	2016	2019	2023	2012	2016	2019	2023
აზერბაიჯანი	3,07	1,7	1,84	1,74	9,28	5,2	4,25	7,75
სასომხეთი	1,38	0,78	0,82	0,72	-	-	-	-
თურქეთი	-	-	-	0,53	-	-	-	-
რუსეთი (ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორია)	-	-	-	-	0,13	0,65	0,43	0,94
ფოთი	1,21	0,99	1,93	2,01	-	-	-	-
ყულევი	0	1,41	1,39	1,97	-	-	-	-
ბათუმი	5,54	2,38	0,42	2,3	-	-	-	-

მე-6 ცხრილში მოცემული მონაცემებით, როგორც საქართველოდან, ასევე საქართველოს მიმართულები ტვირთნაკადების მაჩვენებლების ძირითადად კლების,

[16] რკინიგზათა თანამეგობრობის ორგანიზაცია: https://en.osjd.org/

[17] რკინიგზათა თანამეგობრობის ორგანიზაცია: https://en.osjd.org/; ფოთის, ყულევის, ბათუმის პორტები.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

რიგ შემთხვევაში კი მნიშვნელოვანი კლების ტენდენცია ახასიათებს, რაც თითოეულ მიმართულებაზე ცალკეული, სიღრმისეული კვლევების განხორციელებას საჭიროებს. საყურადღებოა, რუსეთის მხრიდან ბოლო წლებში ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით ტვირთნაკადების მზარდი ტენდენცია.

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით საქართველოზე გამავალ სატრანზიტო დერეფნებში სარკინიგზო ტრანსპორტით ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან მცირე მოცულობის ტვირთები შემოდის, ყაზახეთიდან იქ გენერირებული ტვირთების მხოლოდ უმნიშვნელო 2% (დაახლოებით 1.7 მილიონი ტონა), უზბეკეთიდან, იქ გენერირებული ტვირთების 1.5% (დაახლოებითი 0,6 მილიონი ტონა). ჯერ კიდევ სატესტო რეჟიმში მუშაობს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა და მასზე მოძრავი თვირთნაკადები შორსაა დაგეგმილი სიმძლავრისგან. ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს უკუმიმართულებით კიდევ უფრო დაბალი ტვირთბრუნვა, ევროპიდან საქართველოს გავლით ცენტრალური აზიის ქვეყნებში, რაც ჩვენს ქვეყნაზე გამავლი სატრანზიტო დერეფნების ეკონომიკურ მაჩვენებლებს და მათ მიმზიდველობას აქვეითებს.

შუა დერეფნის ძირითადი კონკურენტი დერეფნები

მოცემულ ნაწილში, მოკლედ განვიხილავთ შუა დერეფნის რამდენიმე ძირითად კონკურენტ სატრანზიტო მარშრუტს საიდანაც, შესაძლებელია, როგორც შუა დერეფანში ტვირთების მოზიდვა, ასევე მათი შემცირება/დაკარგვაც.

ჩრდილოეთ - სამხრეთის დერეფანი: მოცემული სატრანზიტო დერეფანი იწყება რუსეთის ბალტიის ზღვის კარიბჭიდან - სანქტპეტერბურგიდან, გაივლის რუსეთის ევროპულ ნაწილს, შემდგომ კასპიის ზღვასთან მას აქვს სამი სხვადასხვა მარშრუტი: (1) უშუალოდ კასპიის ზღვის რუსული პორტებიდან ბორნით, ირანის კასპიის ზღვის პორტებამდე, შემდგომ კი ირანის ტრიტორიის გავლით, სპარსეთის ყურის ირანულ პორტებამდე და ბოლოს, გემით, ინდოეთის პორტ მუმბაიმდე. (2) კასპიის ზღვის ზღვის დასავლეთით რუსეთიდან, აზერბაიჯანის გავლით ირანში - ირანის სპარსეთის ყურის პორტებამდე და იქიდან ზღვით ინდოეთის ზაღვაო პორტ მუმბაიში და (3) მარშრუტი ეს არის რუსეთიდან, კასპიის ზღვის აღმოსავლეთით ყაზახეთი - თურქმენეთი - იარნი, ან ყაზახეთი - უზბეკეთი - თურქმენთი - ირანი, ან ყაზახეთი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

- უზბეკეთი - ავღანეთი - ირანი. საშულოდ მოცემული სატრანზიტო დერეფნის სიგრძე შეადგენს 7200 კილომეტრს და ის უფო მოკლე მანძილია, ვიდრე სუეცის არხის გავლით არსებული საზღვაო მარშრუტი.



დიაგრამა 4: ჩრდილოეთ - სამხრეთის დერეფნის მეშვეობით გადაზიდული ტვირთების მოცულობა (მილიონი ტონა) წყარო:[18]

აღსანიშნავია, რომ რუსულმა მხარემ საკმაოდ მოკლე დროში გამოძებნა ალტერნატიული ბაზრები და მეტ-ნაკლებად შეძლო სანქციებისთვის გვერდის ავლა. ამ საკითხში მისთვის ერთ-ერთ სტრატეგიულ სავაჭრო მარშრუტს წარმოადგენს სწორედ ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფანი და მისი მეშვეობით ვაჭრობა, როგორც აზერბაჯანთან, ირანთან და ინდოეთთან, ასევე ცენტრალური აზიის ქვეყნებთან და ავღანეთთან. დიაგრამა 4-ზე მოცემული მონაცემებიც ცხადყოფს, რომ რუსეთ-უკრაინის საომარ მოქმედებამდე და მას შემდეგ ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის მეშვეობით გატარებული ტვირთნაკადების მოცულობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, ხოლო 2030 წლისათვის მისი საპროგნოზო მაჩვენებელი 40 მილიონ ტონას აღემატება, რაც ძირითადად რუსეთსა და ინდოეთს, ასევე რუსეთსა და ირანს შორის სავაჭრო ტვირთბრუნვის ზრდითაა ნაკარნახევი.

[18] სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრი. https://transcor.ge/

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

აღნიშნული სავაჭრო დერეფანი წარმოადგენს შუა დერეფნის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო კონკურენტს, რადგან მასში დღესაც ხდება ცენტარლური აზიის და ავღანური ტვირთების გადაზიდვა. სამომავლოდ მათი წილი შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს, მათ შორის იმ პოტენციური ტვირთებისა, რომელიც უახლოეს 3-5 წელიწადში დამატებით შეიქმნება ამ ქვეყნებში მასშტაბური სახელმწიფო პროექტების ფარგლებში (საუბარი ზემოთ გვქონდა). საუბარია იმაზე, რომ ცენტრალურ აზიაში და ავღანეთში წარმოებული ტვირთები, არა შუა დერეფნის გავლით მოხვდეს მსოფლიო ბაზრებზე, არამედ ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის მეშვეობით ირანის საზღვაო პორტებში და იქიდან მსოფლიო ბაზრებზე. აქ რამდენიმე გარემოებაა საყურადღებო: ირანის პორტ ჩაბადარზე, რომელშიც ინდოეთმა მსხვილი ინვესტიცია განახორციელა, სწორედ მათი ჩარევის შედეგად არ ვრცელდება სანქციები, რომელიც ირანზეა აშშ-ს და ევროკავშირის მიერ დაწესებული. თავის მხრივ ირანმა განახორციელა დიდი მასშტაბის ინვესტიცია რუსეთის კასპიის ზღვის პორტ ასტრახანში, რითაც ხაზი გაუსვა, რომ ხანგრძლივი ვადით დაინტერესებულია, მოცემული სატრანზიტო მარშრუტის განვითარებაში. ასევე, მნიშვნელოვანია სუეცის არხის ადმინისტრაციის საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც ცდილობს, რომ სუეცის არხის გამოყენება გადამზიდავი კომპანიებისათვის მიმზიდველი გახადოს. მის სიახლოვეს მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად ალტერნატიულ მარშრუტებზე - ძირითადად აფრიკის კონტინენტის შემოვლით მცურავი გემები, ისევ თავისკენ გადმოამისამართოს და ახალი გადამზიდავებიც მოიზიდოს. სწორედ ამ მიზნებისათვის ამა წლის მაისში, ივნისში და აგვისტოში დიდი ტონაჟის გემებზე, ტრანზიტის თანხა 15%-ით შეამცირეს. მოსალოდნელია, რომ მაღალი შედეგის შემთხვევაში საგადასახადო შეღავათები კიდევ უფრო გახანგრძლივდება. ყურადღებას იქცევს ასევე ავღანეთი - პაკისტანის დამაკავშირებელი სატრანზიტო დერეფნ ის განვითარება, რომლის მეშვეობითაც ცენტრალური აზიის ქვეყნებში და ავღანეთში წარმოებული ტვირთების მოხვედრა, ასევე შესაძლებელი ხდება პაკისტანის ნავსადგურ კარაჩიში, საიდანაც მოხდება მათი საზღვაო გზით მსოფლიო ბაზრებისთვის მიწოდება. ირანმა და ავღანეთმაც დაიწყეს ერთმანეთში სატრანზიტო დერეფნების განვითარება, რის შედეგადაც ავღანური და ცენტრალური აზიის ქვეყნების

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ტვირთები ამ მარშრუტით, შეიძლება გადამისამართებული იყოს ირანის საზღვაო პროტებში და იქიდან მსოფლიო ბაზრებს მიეწოდოს.

ცალკე განხილვის საკითხია აზერბაიჯანის მიერ მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება ჩრდილოეთ-სამხრეთის კორიდორში. აზერბაიჯანი კავშირებს ავითარებს რუსეთთან და ირანთან. ასტანის ტერმინალი აზერბაიჯან - ირანის საზღვარზე ამის ნათელი მაგალითია, რომელიც აზერბაიჯანული ინვესტიციით განვითარდა. თუმცა ბოლო დროს, რუსეთ - აზერბაიჯანს შორის გამწვავებული ურთიერთობა რა გავლენას მოახდენს მოცემული დერეფნის აზერბაიჯანზე გამავალ განშტოებაზე, ჯერ-ჯერობით უცნობია. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აზერბაიჯანი დიდ ინვესტიციებს დებს შუა დერეფნის განვითარებაში. მაგ: ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზში აზერბაიჯანულმა მხარემ 900 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. სულ ახლახანს კი აზერბაიჯანსა და ჩინეთს შორის ხელი მოეწერა მემორანდუმს, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით, რომლის მეშვეობით მოცემულმა სარკინიგზო ხაზმა დღეში 10 მატარებლის გატარება უნდა შეძლოს.

მოცემულ მარშრუტს, ასევე **ლაპის - ლაზულის დერეფანის** ტვირთების თავისკენ გადართვა ისე შეუძლია, რომ ავღანეთიდან მომავალმა ტვირთებმა გაიაროს ირანზე, აზერბაიჯანზე და რუსეთის მეშვეობით მოხვდეს ევროპაში. ეს შედარებით სწრაფი და უფრო იაფი მარშრუტი იყოს, რომელიც განსაკუთრებით კონკურენტუნარიანია რუსეთიდან აზერბაიჯანის, ირანის, ავღანეთის, ინდოეთის მიმართულებით და პირიქით ტვირთების მოძრაობის საკითხში.

სომხეთზე გამავალი „პოტენციური" დერეფნები

სომხეთზე პოტენციურად შესაძლოა ამოქმედდეს ორი სატრანზიტო დერეფანი, რომელიც კონკურენციას გაუწევს საქართველოზე გამავალ შუა დერეფანს და სხვა მერიდიანულ დერეფნებს, კერძოდ ეს არის ბაქო-გიუმრი-ყარსის სარკინიგზო (ასევე საავტომობილო) მაგისტრალის ამოქმედება და ბაქო-ზანგეზური-ნახჩევანი-ყარსის სარკინიგზო (ასევე საავტომობილო) დერეფანი.

ბაქო-გიუმრი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი: მოცემული სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედება სხვადასხვა ექსპერტული გათვლებით დაახლოებით 35

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მილიონ აშშ დოლარს და ერთ წელიწადს საჭიროებს. მისი გახსნის შესახებ სამუშაო შეხვედრებს ერთმანეთთან მართავენ თურქული და სომხური მხარეები, რომლის ამოქმედების საფუძველს აგვისტოს თვეში ამერიკის შეერთებულ შტატებში - თეთრ სახლში აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულება იძლევა. ჩვენთვის საყურადღებო გარემოებას წარმოადგენს ის, რომ მოცემული სარკინიგზო დერეფანი შედარებით მოკლეა, ვიდრე ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი, შესაბამისად მისი მეშვეობით გადაზიდვები შედარებით სწრაფად და იაფად უნდა განხორციელდეს, რაც კონკურენციაში მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ყოველივეს გათვალისწინებით ბაქო-გიუმრი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედება გამოიწვევს ბაქო-თბილისი-ყარსის სარკი-ნიგზო მაგისტრალის ტვირთნაკადების შემცირებას და ეს იმის ფონზე, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის მაგისტრალის მშენებლობა 2007 წელს დაიწყო და ჯერ კიდევ სატესტო რეჟიმში მუშაობს; მისი მშენებლობა საკმაოდ ძვირი, 900 მილიონი აშშ დოლარი დაჯდა. მოცემული თანხის ინვესტირება აზერბაიჯანულმა მხარემ შეძლო და ის მართავს აღნიშნულ სარკინიგზო მაგისტრალს დაბანდებული თანხის სრულ უკუგებამდე. მოცემული გარემოებით ოპერატორ მხარეს შეეძლება მისი სტრატეგიული გათვლებიდან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილება და ტვირთები ან ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალით გაგზავნოს, ან მისი ალტერნატიული მარშრუტებით.

ზანგეზურის სატრანზიტო დერეფანი: ზანგეზურის სატრანზიტო დერეფნის გახსნა შესაძლებელი გახდა ამ წლის ზაფხულში, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიღწეული სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ, რომელსაც ხელი თეთრ სახლში, აშშ-ს პრეზიდენტის დონალდ ტრამპის თანდასწრებით მოეწერა. შეთანხმების შემდგომ გაჟღერდა, რომ მოცემული სატრანზიტო მაგისტრალის სომხეთის მონაკვეთის ოპერატორობა 99 წლით გადაეცემათ ამერიკულ კომპანიებს და ისინი უზრუნველყოფენ, როგორც სამშენებლო ისე საექსპლუატაციო საკითხებს და რაც მთავარია უსაფრთხოებას. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით საკითხის ასეთი ფორმით შეთანხმება ხმამაღლა გააპროტესტმა ირანმა და არც რუსეთის მხარეს მოეწონებოდა,

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

თუმცა ოფიციალური მსგავსი ნეგატიური განცხადება მათი მხრიდან არ გაჟღერებულა. სომხეთში ირანული სახელმწიფო დელეგაციის სტუმრობის დროს, სომხეთის მხარემ განაცხადა, რომ ზანგეზურის დერეფნის უსაფრთხოებაზე იზრუნებს მხოლოდ და მხოლოდ თვითონ და არა, რომელიმე სხვა ქვეყანა. რომ შევაჯამოთ, აღნიშნული დერეფანი ჯერ არ არსებობს, თუმცა მისი უსაფრთხოების საკითხები უკვე იწვევს გარკვეულ ვნებათაღელვას რეგიონის და არა მხოლოდ რეგიონის ქვეყნებს შორის.

„თურქეთის მხარემ ყველას დაასწრო და დაიწყო მოცემული სარკინიგზო მაგისტრალის, მის ტერიტორიაზე არსებული მონაკვეთის მშენებლობა, კერძოდ: ყარსი - იღდირი - არალი - დილუჩუს 224 კილომეტრიანი მონაკვეთის, რომლის მშენებლობა 2.4 მილიარდ ევროდაა შეფასებული და დაახლოებით 4-5 წელიწადში უნდა დასრულდეს."[19] მოცემული სარკინიგზო მაგისტრალის დაერთება გამიზნულია, ნახჭევანი (აზერბაიჯანის ანკლავა) - ზანგეზური (სომხეთი) - ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალზე. თავის მხრივ აზერბაიჯანმა მთიანი ყარაბაღის დაბრუნების შემდეგ იქ აქტიურად დაიწყო ინფრასტრუქტურის განვითარება, გაჰყავს ავტო მაგისტრალები და ახორციელებს სარკინიგზო კავშირებადობის აღდგენას. ამ ეტაპზე პრაქტიკული სამუშაობის თვალსაზრისით ჯერ არაფერი არ ხორციელდება სასომხეთის ტერიტორიაზე არსებულ ზანგეზურის, იგივე ლაჩინის 43 კილომეტრიან მონაკვეთზე, რომლის მშენებლობა/აღდგენა დაახლოებით 230 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

ალბათ ყურადღების საგანს წარმოადგენს მოცემული დერეფნის განვითარების საკითხში აზერბაიჯანსა და ირანს შორის 2022 წელს გაფორმებული მემორანდუმი „ისლამური რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით აზერბაიჯანის აღმოსავლეთ ზანგეზურის ეკონომიკურ რეგიონსა და ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის ახალი საკომუნიკაციო კავშირების დამყარების შესახებ. შეთანხმებული იქნა 55 კმ სიგრძის ავტომაგისტრალის, და პარალელურად სარკინიგზო ხაზის - იმიშლიდან (აზერბაიჯანი) ფარსაბადამდე (ირანი) მშენებლობის პროექტი, რომე-

[19] თურქეთმა „ზანგეზურის დერეფნის" საკუთარი მონაკვეთის მშენებლობა დაიწყო - პროექტის ღირებულება 2.4 მლრდ ევროა: https://surl.li/mtyzgf

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ლიც მდინარე არხზე ოთხი სახიდე გადასასვლელის და ნახიჩევანის საზღვარზე რკინიგზის და ავტომაგისტრალის დაერთებას ითვალისწინებს. ამ ქმედებით აზერ-ბაიჯანი ცდილობს სომხეთის გვერდის ავლით, თურქეთთან ერთად შეკრას დამო-უკიდებელი სატრანზიტო დერეფანი."[20] ცხადია მოცემული მემორანდუმი ირანსა და აზერბაიჯანს შორის ჯერ კიდევ აზერბაიჯან სომხეთს შორის სამშვიდობო ხელ-შეკრულების გაფრმებამდე განხორციელდა, თუმცა ჩვენს რეგიონში რთულია იმის წინასწარ განსაზღვრა, რომელი ხელშეკრულება იქნება უფრო მეტად დაცული და რა სახის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოცემულობა იქნება რამ-დენიმე წლის, მითუმეტეს ათ წლეულების შემდგომ.

რუსეთზე გამავალი სატრანზიტო მარშრუტები

მიუხედავად რუსეთის მიმართ არსებული სანქციებისა, არა უკრაინასთან ომამ-დელი მოცულობით, თუმცა მისი გავლით ტვირთები დღესაც მოძრაობს და ომის დამთავრების შემდეგ ტვირთბრუნვა სავარაუდოდ, კვლავ გაიზრდება. ეკონომიკუ-რი თვალსაზრისით რუსეთზე გამავალი ცენტრალური აზიის, თუ ჩინეთის სახმე-ლეთო კავშირებადობა ევროპასთან ჩვენს ქვეყანაზე გამავალ შუა დერეფანთან შე-დარებით გაცილებით იაფია, რასაც გადამზიდავი კომპანიებისათვის დიდი მნიშვ-ნელობა აქვს.

მოცემული მარშრუტი შუა დერეფნის საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანზიტო ნაკადების მნიშვნელოვან ალტერნატივას წარმოადგენს. ერთ-ერთი იმედის მომცემი წინასწარი შეთანხმება, რაც აზერბაიჯანსა და ყაზახეთის მთავრო-ბებს შორის იქნა მიღწეული ყაზახური ნავთობის ტრანსკასპიური ნავთობსადენი-დან, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში, რუსეთის ტერიტორიაზე გადის, ბაქო-თბი-ლისი-ჯაიჰანის მილსადენში გადმორთვა იყო. ეს პროცესი პრაქტიკულადაც და-იძრა და მრავალწლიანი ინტერვალის შემდეგ მოცემულ მილსადენში აზერბაიჯა-ნულთან ერთად ყაზახური ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება დაიწყო. ამას გარ-და, ყაზახურმა მხარემ ღიად განაცხადა, რომ მისთვის ნედლი ნავთობის სატრანზი-

[20] სომხეთის ინიციატივა „მშვიდობის გზაჯვარედინი" სატრანსპორტო კვანძის გახსნას ელოდება: https://surl.lu/jluypq

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ტო მარშრუტების დივერსიფიკაცია მნიშვნელოვანია და ამ მიზნით წლიურად დაახლოებით 20 მილიონი ტონა ნავთობის სამხრეთის მარშუტებით გატარება დაისახა მიზნად, სადაც, ბაქო-თბილის-ჯეიჰანის მილსადენის გარდა, მუშაობა დაიწყო ბაქო-სუფსის მილსადენით. ყაზახური ნედლი ნავთობის ტრანსპორტირების და ასევე რკინიგზით საქართველოს პორტებამდე მიტანის და იქიდან ევროპული ბაზრებისათვის მიწოდების შესახებ (დაახლოებით წელიწადში 5 მილიონი ტონის მოცულობით). შეთანხმება თითქოს წარმატებით სრულდებოდა, თუმცა ამ წლის ზაფხულის ბოლოს ყაზახურმა მხარემ ნედლი ნავთობის სრული მოცულობით ტრანსპორტირების მარშრუტად შეთანხმება, ტრანსკასპიურ კონსორციუმთან გააფორმა. აღნიშნულის ოფიციალურ მიზეზად დასახელდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე მილსადენის მონაკვეთში დიდი მოცულობის ორგანოქლორით დაბინძურება, რის შედეგადაც მილსადენში არსებული აზერბაიჯანული, ყაზახური და თურქმენული ნავთობი გამოუსადეგარი გახდა და თვითონ მილსადენი გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების მიზნით დაიხურა (სავარაუდოდ 2-3 თვით); ოფიციალური დაბინძურების მიზეზი და მოცემული ფაქტი, ჯერ გამოკვლევის პროცესშია, თუმცა მიზეზი რაც არ უნდა იყოს ფაქტია, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის უსაფრთხო ფუნქციონირება, მისმა ოპერატორმა კომპანიამ ბრიტიშ პეტროლიუმმა ვერ უზრუნველყო.

ყაზახეთის მხარის მიერ ნავთობის ტრანსკასპიურ მილსადენში დაბრუნებას აღნიშნულის გარდა კიდევ ორი მიზეზი აქვს: ტრანსკასპიური მილსადენით ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირება დაახლოებით 2.4-ჯერ უფრო იაფია, ვიდრე ბაქო-თბილის-ჯეიჰანის მილსადენით; და მეორე, ყაზახური ნავთობის ხარისხობრივი მაჩვენებლები ჩამოუვარდება აზერბაიჯანული ნავთობის მაჩვენებლებს, მათი შერევის შემთხვევაში მილსადენის ბოლოს მიიღება შედარებით დაბალი ხარისხის ნავთობი, რისი კომპენსირებაც აზერბაიჯანულ და ყაზახურ მხარეებს შორის, სავარაუდოდ მოლაპარაკებების დღის წესრიგში დადგებოდა. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყაზახური მხარისათვის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი მხოლოდ დივერსიფიკაციის მიზნით შესაძლო დამატებითი მარ-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შრუტია, სხვა მხრივ ძირითადი მარშრუტი, რუსეთზე გამავალი ტრანსკასპიური მაგისტრალია.

„სექტემბრის შუა რიცხვებში ყაზახურმა მხარემ (ყაზმუნაიგაზმა)ბაქო-თბილისი-ჯეიჰანიტ მილსადენით სარგებლობა განაახლა და 8.8 ათასი ტონა ნავთობი გადმოტვირთა; ნავთობის შემდეგი ნაკადის ყაზახეთიდან გადმოტვირთვა 20 სექტემბრისთვისაა დაგეგმილი. აღნიშნული ნაბიჯები დიდწილად რუსეთ - უკრაინის საომარი მოქმედებებით და რუსული სატრანზიტო დერეფნების არასაიმედოობითაა ნაკარნახევი."[21] როგორც მოცემული სიტუაცია გვიჩვენებს, შემდგომი გადაწყვეტილებები დიდწილად დამოკიდებული იქნება უსაფრთხოების მყარ გარანტიებზე და ტრანსპორტირების ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ცხადია მარშრუტების დივერსიფიკაცია ყველა გონივრული მენეჯმენტის მქონე კომპანიის პრიორიტეტია, აქ კითხვის ნიშნის ქვეშაა, რომელი სატრანსიტო მაგისტრალი იქნება პრიორიტეტული და რომელი სარეზერვო.

დიდწილად იგივე ეხება სხვა სახის ტვირთის ტრანსპორტირებას, როდესაც არჩევანი დგება საქართველოზე გამავალ შუა დერეფნის და სხვა განედურ სატრანსპორტო დერეფნებსა და რუსეთის ტერიტორიაზე გამავალ სატრანზიტო დერეფნებს შორის. მოცემული სტატიის ფარგლებში რუსეთზე გამავალ სხვა სატრანზიტო მარშუტებს აღარ განვიხილავთ.

დასკვნა

„მსოფლიო ბანკის შეფასებით მომდევნო 15 წლის განმავლობაში შუა დერეფნის განვითარების მიზნით და მასში არსებული ვიწრო ადგილების განვითარებისათვის 28 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტირება იქნება საჭირო. მოცემული თანხიდან 25 მილიარდი აშშ დოლარი საჭირო იქნება სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, ხოლო 1.8 მილიარდი დოლარი პორტების ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

შუა დერეფანს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან ერთად ისეთი სახის გამოწვევაც აქვს, რაც უკავშირდება მის ერთიან ოპერირებას, რადგან მოცემული სა-

[21] КазМунайГаз возобновил экспорт нефти по маршруту Баку-Тбилиси-Джейхан после приостановки. https://ru.trend.az/business/energy/4091831.html

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ტრანზიტო დერეფანი მოიცავს მრავალ ქვეყანას და საჭიროა მათ შორის (შესაბამის სამსახურებს შორის) ერთობლივი მუშაობა, სამუშაოების სინქრონიზაცია, ერთიანი სატარიფო პოლიტიკის შემუშავება და ოპერირების სისტემების დანერგვა."[22] გარდა აღნიშნული გამოწვევებისა საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ სატრანზიტო მაგისტრალებს გადასალახი აქვს მზარდი კონკურენცია, უკვე არსებულ ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანზიტო მაგისტრალთან, რუსეთზე გამავალ სატრანზიტო მაგისტრალებთან, სამხრეთის მაგისტრალთან (გადის ირანის და თურქეთის ტერიტორიაზე, რომელზეც მოცემულ სტატიაში არ გვისაუბრია), ასევე ახლო, თუ შორეულ მომავალში სომხეთის ტერიტორიაზე ახალი სატრანზიტო ხაზების გახსნის სახით არსებულ მარშრუტებთან. მოცემულ კონკურენციაში უპირატესობის მოპოვების წინაპირობას წარმოადგენს ტვირთწარმომქმნელ ქვეყნებთან, შესაბამის სამსახურებთან და ბიზნესებთან მჭიდრო თანამშრომლობა, სატრანზიტო დერეფნის ინფრასტრუქტურის სწრაფი და კონკურენტუნარიანი განვითარება, რაც ხარისხთან ერთად მის ეკონომიურობას მოითხოვს და ერთიანი ოპერირებისათვის თანამედროვე სისტემების სწრაფ დანერგვას, რათა მოცემული დერეფნით მოსარგებლე სუბიექტებს ერთი ფანჯრის პრინციპით მომსახურეობის მიღება სწრაფად, ხარისხიანად და კონკურენტულ ფასად შეეძლოთ.

სტატიაში განხილულმა საკითხებმა ცხადყო, რომ საქართველოზე გამავალ სატრანზიტო დერეფნებში არსებობს საკმაოდ დიდი რესურსი ახალი ტვირთების მოსაძიებლად, რაც საჭიროებს სწრაფ მოქმედებებს, რადგან რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების შემდგომ და სომხეთის ტერიტორიაზე ახალი სატრანსპორტო დერეფნების გახსნამდე მოხდეს ახალი ტვირთების მოძიება. ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სატრანზიტო მაგისტრალების უსაფრთხოება და ამ კუთხით პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

[22] რა თანხა დასჭირდება შუა დერეფანს 15 წლის განმავლობაში - მსოფლიო ბანკის შეფასება. https://surl.li/mqhykq

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ბიბლიოგრაფია

ევროსტატი. https://ec.europa.eu/eurostat

ყაზახეთის ეკონომიკის სამინისტრო. https://surl.lu/etkcho.

უზბეკეთის რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსების სამინისტრო. https://surl.li/mumvcb.

თურქმენული გაზი ევროპას შესაძლოა, საქართველოს გავლით მიეწოდოს. https://surl.li/cluuue,

Global Gateway-ის ფარგლებში EU შუა დერეფნის განვითარებას გეგმავს - რა როლი ექნება საქართველოს? https://surl.li/mttsma

რკინიგზათა თანამეგობრობის ორგანიზაცია: https://en.osjd.org/

სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრი. https://transcor.ge/O

SJD რკინიგზათა თნამეგობრობის ორგანიზაცია: https://en.osjd.org/

თურქეთმა „ზანგეზურის დერეფნის" საკუთარი მონაკვეთის მშენებლობა დაიწყო - პროექტის ღირებულება 2.4 მლრდ ევროა: https://surl.lu/soxart

სომხეთის ინიციატივა „მშვიდობის გზაჯვარედინი" სატრანსპორტო კვანძის გახსნას ელოდება: https://surl.lu/qupkam

КазМунайГаз возобновил экспорт нефти по маршруту Баку-Тбилиси-Джейхан после приостановки. https://surl.lu/qupkam

რა თანხა დასჭირდება შუა დერეფანს 15 წლის განმავლობაში - მსოფლიო ბანკის შეფასება. https://surl.li/zzdczk

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სარტყელისა და გზის ინიციატივა - საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა

მაია ბენია[1]
ირინა ბენია[2]
https://orcid.org/0009-0007-5364-7771
https://doi.org/10.61446/pa.3.2025.10330

აბსტრაქტი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ 2013 წელს დაწყებულმა „სარტყელისა და გზის ინიციატივამ" (BRI) შეცვალა ევრაზიის გეო-ეკონომიკური არქიტექტურა, დააკავშირა რა აღმოსავლეთ აზიის საწარმოო ქსელები ევროპულ ბაზრებთან ახალი ინფრასტრუქტურისა და სავაჭრო დერეფნების მეშვეობით. ამ ჩარჩოში, საქართველო ჩამოყალიბდა გადამწყვეტი მნიშვნელობის სატრანზიტო ჰაბად, რომელიც აკავშირებს შავი და კასპიის ზღვების რეგიონებს. კვლევა განიხილავს სტრატეგიულ ურთიერთქმედებას ჩინეთს, ევროკავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის და აანალიზებს მათ განსხვავებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს განვითარებადი შუა დერეფნის ფარგლებში.

ჩინეთის მოტივაცია მდგომარეობს ევროპისკენ მიმავალი ისეთი სახმელეთო გზის უზრუნველყოფაში, რომელიც იქნება ხარჯეფექტური, დროის დამზოგავი და გვერდს აუვლის რუსეთსა და საზღვაო დაბრკოლებებს (როგორიცაა სუეცის არხი). საქართველოს ლოგისტიკაში, რკინიგზასა და საპორტო ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელებით, პეკინი მიზნად ისახავს როგორც კომერციულ მოგებას, ისე გეოპოლიტიკურ დივერსიფიკაციას. ევროკავშირი, რომელსაც ამოძრავებს „Global Gateway"-სა და „მწვანე შეთანხმების" (Green Deal) დღის წესრიგი, სარგებელს იღებს დივერსიფიცირებულ ენერგო-მარშრუტებზე წვდომით, შავი ზღვის კაბელის მეშვეობით განახლებადი ელექტროენერგიის ქსელებით და გაუმჯობესებული სავაჭრო კავშირებით, რაც ამცირებს დამოკიდებულებას რუსეთის მიერ კონტროლირებად დერეფნებზე. ამერიკის შეერთებული შტატები რეგიონს უდგება გეოპოლიტიკური და უსაფრთხოებაზე ორიენტირებული რაციონალით — უწევს რა პროპაგანდირებას ალტერნატიულ მარშრუტებს, რომლებიც ზღუდავს ჩინურ დომინაციას, მხარს უჭერს რეგიონულ სტაბილურობას და აფართოებს ამერიკულ ფინანსურ და ტექნოლოგიურ გავლენას.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით აზერბაიჯანისა და სომხეთისთვის, შუა დერეფანში მონაწილეობას მოაქვს პოტენციური ფინანსური და განვითარების სარგებელი. აზერბაიჯანი აძლიერებს საკუთარ პოზიციას, როგორც ენერგეტიკული და ლოგისტიკური ლიდერი სატრანზიტო შემოსავლების, ინფრასტრუქტურის გაფართოებისა და ჩინეთთან და ევროპასთან კავშირების გაღრმავების გზით. სომხეთი, რომელიც ცდილობს პოსტკონფლიქტურ აღდგენასა და დივერსიფიკაციას, განახლებულ კავშირებს განიხილავს როგორც გზას უცხოური ინვესტიციებისა და ეკონომიკური ნორმალიზაციისკენ, თუმცა იგი მყიფე ბალანსს ინარჩუნებს კონკურენტ ძალებს შორის.

საქართველო, რომელიც მდებარეობს ამ მრავალმხრივი კონკურენციის ცენტრში, იღებს ეკონომიკურ უპირატესობას გაზრდილი სატრანზიტო შემოსავლის, უცხოური ინვესტიციებისა და გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში ინტეგრაციის გზით. თუმცა, მან უნდა დააბალანსოს საგარეო პარტნიორობა შიდა რეფორმებთან, რათა უზრუნველყოს გრძელვადიანი ეფექტიანობა, გამჭვირვალობა და მდგრადობა. საბოლოო ჯამში, ნაშრომი ამტკიცებს, რომ შუა დერეფნის წარმატება — და საქართველოს ტრანსფორმაცია ევრაზიულ ჰაბად — დამოკიდებული იქნება ჰარმონიზებულ რეგიონულ თანამშრომლობაზე, ინსტიტუციურ სანდოობასა და საერთო ეკონომიკური მოგების მიზნით გეოპოლიტიკური მეტოქეობის ეფექტიან მართვაზე.

საკვანძო სიტყვები: საქართველო; სარტყელისა და გზის ინიციატივა (BRI); შუა დერეფანი; ჩინეთი; ევროკავშირი; ამერიკის შეერთებული შტატები; აზერბაიჯანი; სომხეთი; ევრაზიული კავშირი; ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია; ენერგეტიკული დივერსიფიკაცია; ეკონომიკური ეფექტიანობა; რეგიონული თანამშრომლობა; გეოპოლიტიკური კონკურენცია.

[1] სტუ-ს პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
[2] სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

The Belt and Road Initiative – Prospects for Georgia's Economic Development

Maya Benia[3]
Irina Benia[4]

Abstract

The Belt and Road Initiative (BRI), launched by the People's Republic of China in 2013, has reshaped the geo-economic architecture of Eurasia by linking East Asian production networks with European markets through new infrastructure and trade corridors. Within this framework, Georgia has emerged as a pivotal transit hub, bridging the Black Sea and the Caspian region. The study examines the strategic interplay among China, the European Union, the United States, Azerbaijan, and Armenia, analyzing their distinct economic and political interests within the evolving Middle Corridor.

China's motivation lies in securing a cost-efficient and time-saving land route to Europe that bypasses Russia and maritime chokepoints such as the Suez Canal. Through investments in Georgia's logistics, railways, and port infrastructure, Beijing seeks both commercial gain and geopolitical diversification. The European Union, driven by the Global Gateway and Green Deal agendas, benefits from access to diversified energy routes, renewable electricity networks via the Black Sea cable, and enhanced trade connectivity that reduces dependency on Russian-controlled corridors. The United States approaches the region with a geopolitical and security-driven rationale—promoting alternative routes that constrain Chinese dominance, support regional stability, and expand American financial and technological influence.

For the South Caucasus states, especially Azerbaijan and Armenia, participation in the Middle Corridor brings potential financial and developmental benefits. Azerbaijan strengthens its position as an energy and logistics leader through transit revenues, infrastructure expansion, and deeper ties with both China and Europe. Armenia, seeking post-conflict recovery and diversification, views renewed connectivity as a path toward foreign investment and economic normalization, though balanced precariously between competing powers.

Georgia, situated at the core of this multidirectional competition, derives economic advantage through enhanced transit income, foreign investment, and integration into global supply chains. However, it must balance external partnerships with internal reforms to ensure long-term efficiency, transparency, and sustainability. Ultimately, the paper argues that the Middle Corridor's success—and Georgia's transformation into a Eurasian hub—will depend on harmonized regional cooperation, institutional credibility, and the efficient management of geopolitical rivalries for shared economic gain.

Keywords: Georgia; Belt and Road Initiative (BRI); Middle Corridor; China; European Union; United States; Azerbaijan; Armenia; Eurasian connectivity; Infrastructure modernization; Energy diversification; Economic efficiency; Regional cooperation; Geopolitical competition

[3] Professor at GTU, Doctor of Business Administration
[4] Sokhumi State University, Professor, Doctor of Business Administration

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

ჩინეთის „სარტყელისა და გზის ინიციატივის" (BRI) 2013 წელს გამოცხადების შემდეგ, ევრაზიის ეკონომიკურმა გეოგრაფიამ ფუნდამენტური გარდაქმნა განიცადა. ინიციატივის მიზანია აზიის, ევროპის და აფრიკის ეკონომიკური ინტეგრაცია ახალი სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ციფრული დერეფნების მეშვეობით.[5] ამ კონტექსტში, სამხრეთ კავკასია – განსაკუთრებით კი საქართველო – იკავებს სტრატეგიულად მნიშვნელოვან პოზიციას. ევროპის და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო გარდაიქმნა მნიშვნელოვან სატრანზიტო რგოლად, რომელიც აკავშირებს კასპიისა და შავი ზღვის რეგიონებს.[6]

ბოლო წლებში შუა დერეფანი (Trans-Caspian International Transport Route) ჩამოყალიბდა, როგორც რეალური ალტერნატივა იმ ჩრდილოურ მარშრუტებთან შედარებით, რომლებიც რუსეთის გავლით გადიოდა,[7] ასევე ტრადიციულ საზღვაო გზებთან (მაგალითად სუეცის არხი). ეს დერეფანი, რომელიც გადის ჩინეთიდან ცენტრალური აზიის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის გავლით ევროპამდე, იძლევა უფრო მოკლე ტრანსპორტირების დროს, ამცირებს ლოგისტიკურ ხარჯებს და ზრდის გეოპოლიტიკურ მოქნილობას. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ამ ქსელში ქვეყანას აქცევს არა პერიფერიულ, არამედ ცენტრალურ მოთამაშედ ევრაზიულ ვაჭრობასა და ენერგეტიკულ ურთიერთობებში.[8]

ამავე დროს, შუა დერეფანი მხოლოდ ეკონომიკური პროექტი არ არის — იგი იქცა გეოპოლიტიკური კონკურენციის არენად, სადაც იკვეთება ჩინეთის, ევროკავშირის და აშშ-ის ინტერესები. ჩინეთისთვის, ეს დერეფანი წარმოადგენს შესაძლებლობას გააფართოოს ექსპორტის მარშრუტები, შეამციროს ტრანსპორტირების დრო

[5] Organisation for Economic Co-operation and Development, Sustainable Infrastructure for Connectivity in the Belt and Road Initiative Regions (Paris: OECD Publishing, 2021).
[6] Georgian Institute of Politics, *China's Belt and Road in Georgia: Opportunities and Risks* (Tbilisi: Georgian Institute of Politics, 2022).
[7] TRACECA (Transport Corridor Europe–Caucasus–Asia), *Regional Transport and Trade Facilitation Strategy* (Baku: TRACECA, 2022).
[8] Caucasus Analytical Digest, *The Middle Corridor and South Caucasus Connectivity*, issue 126 (Zürich: Center for Security Studies (CSS), ETH Zürich, 2023).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

და ხარჯები და განავითაროს ეკონომიკური გავლენა ევრაზიაში.[9] ევროკავშირისათვის, შუა დერეფანი არის საშუალება განახორციელოს ენერგეტიკული დივერსიფიკაცია და მდგრადი სავაჭრო ინფრასტრუქტურის ინტეგრაცია *Global Gateway* და *Green Deal* სტრატეგიების ფარგლებში. აშშ-ისთვის, ეს დერეფანი წარმოადგენს სტრატეგიულ ინსტრუმენტს ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად, რეგიონული სტაბილურობის გასაძლიერებლად და ჩინეთის მზარდი ეკონომიკური გავლენის შესაზღუდად.[10]

ამ პროცესში აზერბაიჯანი და სომხეთი ასევე ასრულებენ მნიშვნელოვან რეგიონულ როლს: აზერბაიჯანი ამყარებს საკუთარ პოზიციას, როგორც ენერგეტიკული და ლოგისტიკური ცენტრი, ხოლო სომხეთი ცდილობს, ომისშემდგომ პირობებში, ეკონომიკური აღდგენისა და საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვის გზით კვლავ ჩაერთოს რეგიონულ სავაჭრო სისტემებში.

ძირითადი ნაწილი

მრავალმხრივი და კომპლექსური გარემოს პირობებში, საქართველოს წინაშე დგას როგორც უპრეცედენტო შესაძლებლობები, ასევე სერიოზული გამოწვევები. საქართველო, როგორც სამხრეთ კავკასიის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ევროკავშირთან გაფორმებული აქვს ,,ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება'' (DCFTA) და ამავე დროს თანამშრომლობს ჩინეთთან, იკავებს უნიკალურ შუამავლურ პოზიციას. ქვეყნის წარმატება ევრაზიულ ჰაბად ჩამოყალიბებაში დამოკიდებულია არა მხოლოდ გეოგრაფიაზე, არამედ ინსტიტუციურ გამჭვირვალობაზე, ეკონომიკურ ეფექტიანობაზე და სტრატეგიულ ბალანსზე გარე ძალებს შორის.

წარმოდგენილი კვლევის ძირითადი თეზისი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს ტრანსფორმაცია მდგრად ევრაზიულ ლოგისტიკურ და ენერგეტიკულ ჰაბად „სარტყელისა და გზის ინიციატივის" ფარგლებში დამოკიდებულია

[9] Daniel S. Hamilton, *The Trans-Caspian Corridor: A Western Strategic Response to Eurasian Realignment* (Washington, DC: Atlantic Council, 2022).
[10] Fariz Ismailzade, "The Middle Corridor: Azerbaijan's Role in Eurasian Connectivity," *Caucasus Policy Journal* 8, no. 2 (2021): 45–56.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ქვეყნის უნარზე: გაათავისოს გლობალური კონკურენცია ჩინეთს, ევროკავშირსა და აშშ-ს შორის ისე, რომ შეძლოს დაბალანსებული ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების მოზიდვა; გააძლიეროს რეგიონული თანამშრომლობა აზერბაიჯანსა და სომხეთთან ეკონომიკური სტაბილურობისა და დერეფნის ოპერაციული ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად; გაიუმჯობესოს ეკონომიკური ეფექტიანობა, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის, ციფრული ლოგისტიკისა და განახლებადი ენერგიის ინტეგრაციის გზით; გაამყაროს ინსტიტუციური სანდოობა, ევროკავშირის მმართველობისა და გამჭვირვალობის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის გზით.[11]

ამ მიზნების მიღწევა საქართველოს მისცემს შესაძლებლობას, საკუთარი სატრანზიტო პოტენციალი გარდაქმნას მდგრად ეკონომიკურ ზრდად და დაიკავოს ცენტრალური პოზიცია ევრაზიული ეკონომიკური და ენერგეტიკული კავშირის ჩამოყალიბებად პროცესში.

სარტყელისა და გზის ინიციატივა და საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: რეგიონული დინამიკა, სტრატეგიული ინტერესები და ეკონომიკური ეფექტიანობა

სტატიის მიზანია გააანალიზოს საქართველოს სტრატეგიული და ეკონომიკური როლი ჩინეთის „სარტყელისა და გზის ინიციატივის" (BRI) და შუა დერეფნის კონტექსტში, განსაკუთრებული ყურადღებით იმაზე, თუ როგორ აყალიბებს ქვეყნის ტრანსფორმაციას დიდი ძალების – ევროკავშირის, აშშ-ის, აზერბაიჯანისა და სომხეთის – ურთიერთქმედება რეგიონულ თანამშრომლობასთან ერთად.[12]

კვლევა ეფუძნება თვისებრივ და შედარებით ანალიზს, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ დოკუმენტებს, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ანგარიშებსა და რეგიონალურ ეკონომიკურ მონაცემებს. ყურადღება გამახვილებულია ინფრას-

[11] Giorgi Guruli, "Georgia and the Middle Corridor: Strategic Opportunities for the South Caucasus," *Caucasus Analytical Digest* 120 (2022): 5–9.
[12] European Commission, *Global Gateway Strategy and the EU–South Caucasus Connectivity Agenda* (Brussels: European Commission, 2022).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ტრუქტურულ განვითარებაზე, სავაჭრო დაკავშირებასა და საინვესტიციო ნაკადებზე სამხრეთ კავკასიაში და მათ გავლენაზე ეკონომიკურ ეფექტიანობასა და ინსტიტუციურ რეფორმებზე.

კვლევამ აჩვენა, რომ: ჩინეთი ცდილობს საქართველოს გავლით მიიღოს უფრო მოკლე და ნაკლებად ხარჯიანი გზა ევროპისკენ, რუსეთისა და საზღვაო ბარიერების გვერდის ავლით; ევროკავშირი სარგებელს იღებს ენერგეტიკული დივერსიფიკაციით, მწვანე ინფრასტრუქტურის განვითარებითა და პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენის გაძლიერებით (Global Gateway და შავი ზღვის ელექტროკაბელის პროექტების მეშვეობით); აშშ ამ დერეფანს იყენებს ჩინეთის გავლენის დაბალანსებისა და რეგიონული სტაბილურობის გასაძლიერებლად; აზერბაიჯანი იღებს ფინანსურ სარგებელს ტრანზიტიდან და ინფრასტრუქტურის განვითარებიდან, ხოლო სომხეთი ხედავს ახალ შესაძლებლობას ეკონომიკური აღდგენისა და ინვესტიციების მოსაზიდად. საქართველოსთვის ეს დინამიკა ქმნის როგორც ეკონომიკურ შესაძლებლობებს (ტრანზიტული შემოსავლები, ინვესტიციები, მწვანე ლოგისტიკა), ისე გამოწვევას – გარე ძალებს შორის ბალანსისა და ინსტიტუციური გამჭვირვალობის შენარჩუნების აუცილებლობის თვალსაზრისით.

სტატია ასკვნის, რომ შუა დერეფნის გრძელვადიანი წარმატება დამოკიდებულია რეგიონული ქვეყნების კოორდინაციაზე, ევროკავშირთან შესაბამისი მმართველობის სტანდარტებზე და ინფრასტრუქტურული პროექტების დეპოლიტიზაციაზე. საქართველოსთვის კი გადამწყვეტი იქნება ეკონომიკური ეფექტიანობისა და სტრატეგიული ნეიტრალიტეტის ერთდროული შენარჩუნება, რათა ქვეყანამ შეძლოს ტრანზიტული ფუნქციიდან გადაიზარდოს მდგრად ევრაზიულ ლოგისტიკურ ჰაბად.

ევროკავშირისთვის (EU) „სარტყელისა და გზის ინიციატივა" და შუა დერეფანი წარმოადგენს ერთდროულად ეკონომიკურ შესაძლებლობას და გეოპოლიტიკურ პასუხს ევრაზიის მზარდ კონკურენციაზე. ევროპის ინტერესები ამ მიმართულებით განპირობებულია ენერგეტიკული უსაფრთხოებით, სატრანსპორტო დივერსიფიკაციით და მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერით.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ენერგეტიკული უსაფრთხოება და რესურსების დივერსიფიკაციას რაც შეეხება, რუსეთ–უკრაინის ომმა მკვეთრად წარმოაჩინა ევროკავშირის დამოკიდებულება რუსეთის ენერგორესურსებზე. ამ ფონზე, სამხრეთ კავკასია და შუა დერეფანი იქცა სტრატეგიულ ალტერნატივად. აზერბაიჯანის ბუნებრივი აირი, ტრანსადრიული და სამხრეთ გაზის დერეფნის (SGC) მეშვეობით, უკვე უზრუნველყოფს ევროკავშირის რამდენიმე წევრს ალტერნატიული წყაროებით. მომავალი ენერგოპროექტები - მათ შორის შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი მწვანე კაბელი - საშუალებას მისცემს ევროკავშირს მიიღოს მწვანე ენერგია აზერბაიჯანისა და საქართველოს მეშვეობით, რაც შეამცირებს ნახშირბადზე დამოკიდებულებას.

სავაჭრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დივერსიფიკაციის კუთხით ივარაუდება, რომ ევროკავშირისთვის შუა დერეფანი წარმოადგენს გრძელვადიან სტრატეგიულ არხს აზიასთან ვაჭრობისთვის, რომელიც თავიდან აიცილებს რუსეთისა და ირანის გავლით ტრანზიტს. დერეფანი ამცირებს ტრანსპორტირების დროს ჩინეთიდან ევროპაში საშუალოდ 10 -15 დღემდე. ევროკავშირის კომპანიები (მაგ. „Deutsche Bahn", „Maersk", „DP World") უკვე ინტერესდებიან ამ მიმართულებით ლოგისტიკური ჰაბების განვითარების პერსპექტივით. ევროკავშირი ამავდროულად აფინანსებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს საქართველოსა და აზერბაიჯანში *Global Gateway* სტრატეგიის ფარგლებში, რაც პირდაპირ ზრდის ევროპული კომპანიების ჩართულობას.

მწვანე გარდაქმნასა და მდგრად ეკონომიკაზე შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის ''Green Deal" პოლიტიკა მოითხოვს მწვანე ენერგიის წყაროებსა და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის ქსელებს.[13] შუა დერეფანი ამ მიზანს ემსახურება სამი მიმართულებით: ხელს უწყობს განახლებადი ენერგიის ექსპორტს ცენტრალური აზიიდან ევროპაში; ქმნის პირობებს ელექტრიფიცირებული რკინიგზებისა

[13] European Bank for Reconstruction and Development, *Transition Report 2020–21: The State Strikes Back* (London: European Bank for Reconstruction and Development, 2020).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

და დაბალი ემისიის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის; აძლიერებს ევროკავშირის ნორმატიულ გავლენას რეგიონში, რადგან დაფინანსებული პროექტები ითხოვენ ეკოლოგიურ და სოციალურ მაღალ სტანდარტებს.[14]

ეკონომიკურ სარგებელთან ერთად ევროკავშირი იღებს მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ უპირატესობას: სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, უფრო მჭიდრო ინტეგრაცია ევროპულ ეკონომიკურ და სამართლებრივ სივრცეში ზრდის რეგიონის სტაბილურობას.[15] შუა დერეფნის გაძლიერება ამცირებს რუსეთისა და ირანის გავლენას ევრაზიის სატრანსპორტო ქსელებზე, რითაც ევროკავშირს აძლევს დამოუკიდებელ ხელმისაწვდომობას აზიის ბაზრებზე.[16] ევროკავშირი ახორციელებს „რბილ ძალას" — ხელს უწყობს დემოკრატიულ ინსტიტუტებს, გამჭვირვალობას და მმართველობის ხარისხს, რითაც გრძელვადიანად ამყარებს თავის ეკონომიკურ ზონას. ევროკავშირისთვის შუა დერეფანი წარმოადგენს სტრატეგიულ შესაძლებლობას, რომლის მეშვეობითაც ის ერთდროულად აღწევს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას, ეკონომიკურ დივერსიფიკაციას და გეოპოლიტიკურ ბალანსს აზიასთან მიმართებაში. საქართველოს მონაწილეობა ამ ქსელში წარმოადგენს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ელემენტს.[17]

დასკვნა

ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობა სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო არქიტექტურაში არ არის მხოლოდ ეკონომიკური. ის წარმოადგენს სტრატეგიულ ბერკეტს გლობალური ძალთა ბალანსის შესაცვლელად ევრაზიაში და ჩინეთის მზარდი გავლენის შესაზღუდად. გლობალურად გეოპოლიტიკური მიზანი – ჩინეთის შეკავება აშშ მიიჩნევს, რომ „სარტყელისა და გზის ინიციატივა"

[14] World Bank, *Europe and Central Asia Economic Update: Connectivity in Times of Crisis* (Washington, DC: World Bank, 2023).
[15] International Monetary Fund, Caucasus and Central Asia Regional Economic Outlook: Trade and Transition in a Fragmented World (Washington, DC: International Monetary Fund, 2022).
[16] Asian Development Bank, *Georgia: East–West Highway Corridor Improvement Project* (Manila: Asian Development Bank, 2021).
[17] National Statistics Office of Georgia (Geostat), External Trade and Transport Statistics of Georgia (Tbilisi: Geostat, 2023); Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, Annual Report on Transport and Logistics (Tbilisi: Ministry of Economy and Sustainable Development, 2023).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

წარმოადგენს ჩინეთის გრძელვადიან მცდელობას, შექმნას ალტერნატიული მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი. ამ მიზეზით, ამერიკის პოლიტიკა მიმართულია იმისკენ, რომ ხელი შეუწყოს ალტერნატიულ დერეფნებს, რომლებიც არ ექვემდებარება ჩინურ ან რუსულ კონტროლს; აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი ტექნოლოგიური, ფინანსური და უსაფრთხოების გავლენა სატრანსპორტო და ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურებზე; ამასთანავე შეინარჩუნოს დასავლეთის ლიდერობა ევრაზიაში, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ნატო-ს არ აქვს პირდაპირი სამხედრო ყოფნა. სწორედ ამ კონტექსტში ჩნდებაTrump Route for International Peace and Prosperity ამერიკული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონულ დერეფანში აშშ-ის პოლიტიკური და ფინანსური ყოფნის გამყარებას.

აშშ-ის ეკონომიკური მიზნები ორ ძირითად ასპექტს მოიცავს: ენერგეტიკული დერეფნები - ამერიკას სურს გააძლიეროს თავისი ენერგოკომპანიების წვდომა ცენტრალური აზიისა და კავკასიის ნავთობ-გაზის რესურსებზე, რათა ევროპას შესთავაზოს უსაფრთხო ალტერნატივა რუსეთის ენერგომონოპოლიისგან. ინვესტიციების დივერსიფიკაცია – აშშ მხარს უჭერს ინფრასტრუქტურულ პროექტებს (მაგ., სატელეკომუნიკაციო ბოჭკოვანი ხაზები, ენერგო–გადამცემი ქსელები), რომლებიც ჩაანაცვლებენ ჩინურ ინვესტიციებს და შექმნიან ბაზრებს ამერიკული კაპიტალისთვის.

აშშ ხედავს სამხრეთ კავკასიას როგორც სტრატეგიულ „საგზაო ხიდს" შავი და კასპიის ზღვებს შორის. ამ სივრცეში გავლენის შენარჩუნება: ამცირებს რუსეთის სამხედრო-სტრატეგიულ წვდომას რეგიონზე; აკონტროლებს ირანის ჩრდილოეთ საზღვართან ენერგეტიკულ მოძრაობას; აძლიერებს პარტნიორობას ნატო-ს არაწევრ ქვეყნებთან, როგორიცაა საქართველო და აზერბაიჯანი. აშშ-ის მონაწილეობა რეგიონულ პროექტებში, მათ შორის სომხეთ-აზერბაიჯანის შერიგების მცდელობებში, ემსახურება სტაბილურობის უზრუნველყოფას და ჩინური გავლენის დაბალანსებას.

გლობალური ეკონომიკური ეფექტის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ისაა, რომ აშშ-ის ჩართულობა შუა დერეფანში ასევე ითვლება გლობალური ეკონომიკური სტრატეგიის ნაწილად. ალტერნატიული სავაჭრო ქსელების შექმნით აშშ

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ხელს უწყობს საერთაშორისო ლოგისტიკის კონკურენტულ გარემოს, რაც ამცირებს ჩინეთის მონოპოლიურ პოზიციებს. ამერიკული კომპანიებისთვის იხსნება ახალი ბაზრები ინფრასტრუქტურაში, ფინანსურ სერვისებსა და ენერგეტიკაში. შედეგად, რეგიონში იზრდება დოლარის ზონის გავლენა და აშშ-ს ფინანსური ინსტიტუტების გლობალური როლი.

აშშ-სთვის ევრაზიის დერეფანი არ არის მხოლოდ ეკონომიკური პროექტი — ეს არის გეოპოლიტიკური ბერკეტი, რომლის მიზანია ჩინეთის გავლენის შეკავება, ევროპის უსაფრთხოების გაძლიერება და საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დაცვა.

ევროკავშირი და აშშ განსხვავებული ინსტრუმენტებით, მაგრამ საერთო მიზნებით მოქმედებენ ევრაზიის დერეფანში - გაძლიერება, დივერსიფიკაცია და გავლენის შენარჩუნება ევროკავშირი აქცენტს აკეთებს ეკონომიკურ ინტეგრაციაზე, ენერგეტიკულ გარდაქმნაზე და რეგულაციურ სტანდარტებზე. აშშ კი ფოკუსირებულია სტრატეგიულ ბალანსზე, უსაფრთხოებაზე და ჩინეთის მზარდი ძალაუფლების კონტროლზე. საქართველოსთვის ეს მრავალმხრივი კონკურენცია ქმნის როგორც შესაძლებლობას, ისე გამოწვევას: სწორად დაბალანსებული დიპლომატიური პოლიტიკა და ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპებზე დაფუძნებული მმართველობა ქვეყანას აძლევს შანსს გადაიქცეს ევრაზიის ერთ-ერთ მთავარ სატრანზიტო და საინვესტიციო ცენტრად.

ბიბლიოგრაფია

Asian Development Bank. *Georgia: East–West Highway Corridor Improvement Project*. Manila, Philippines: Asian Development Bank, 2021.

Caucasus Analytical Digest. *The Middle Corridor and South Caucasus Connectivity*. Issue 126. Zürich, Switzerland: Center for Security Studies (CSS), ETH Zürich, 2023.

European Bank for Reconstruction and Development. *Transition Report 2020–21: The State Strikes Back*. London, UK: European Bank for Reconstruction and Development, 2020.

European Commission. *Global Gateway Strategy and the EU–South Caucasus Connectivity Agenda*. Brussels, Belgium: European Commission, 2022.

Georgian Institute of Politics. *China's Belt and Road in Georgia: Opportunities and Risks*. Tbilisi, Georgia: Georgian Institute of Politics, 2022.

Guruli, Giorgi. "Georgia and the Middle Corridor: Strategic Opportunities for the South Caucasus." *Caucasus Analytical Digest* 120 (2022): 5–9.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Hamilton, Daniel S. *The Trans-Caspian Corridor: A Western Strategic Response to Eurasian Realignment*. Washington, DC: Atlantic Council, 2022.

International Monetary Fund. *Caucasus and Central Asia Regional Economic Outlook: Trade and Transition in a Fragmented World*. Washington, DC: International Monetary Fund, 2022.

Ismailzade, Fariz. "The Middle Corridor: Azerbaijan's Role in Eurasian Connectivity." *Caucasus Policy Journal* 8, no. 2 (2021): 45–56.

Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. *Annual Report on Transport and Logistics*. Tbilisi, Georgia: Ministry of Economy and Sustainable Development, 2023.

National Statistics Office of Georgia (Geostat). *External Trade and Transport Statistics of Georgia*. Tbilisi, Georgia: Geostat, 2023.

Organisation for Economic Co-operation and Development. *Sustainable Infrastructure for Connectivity in the Belt and Road Initiative Regions*. Paris, France: OECD Publishing, 2021.

TRACECA (Transport Corridor Europe–Caucasus–Asia). *Regional Transport and Trade Facilitation Strategy*. Baku, Azerbaijan: TRACECA, 2022.

World Bank. *Europe and Central Asia Economic Update: Connectivity in Times of Crisis*. Washington, DC: World Bank, 2023.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

საქართველოს წიგნიერების კრიზისი: მრავალგანზომილებიანი ანალიზი და ინტეგრირებული გადაჭრის მოდელი

სოფიკო ცხელიშვილი[1]
https://doi.org/10.61446/pa.3.2025.10332

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხმაურება საქართველოს განათლების სისტემის უმწვავეს გამოწვევას – PISA-სა და PIRLS-ის კვლევებით დადასტურებულ მოსწავლეთა ფუნქციური წიგნიერების კრიტიკულად დაბალი დონეს და მიზნად ისახავს, საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურისა და ადგილობრივი პრაქტიკის სინთეზის საფუძველზე, პრობლემის გადაჭრის ინტეგრირებული, მრავალგანზომილებიანი მოდელი შექმნას. ნაშრომის მთავარი თეზისის თანახმად, წიგნიერების კრიზისი არ არის ერთეული პრობლემა, არამედ სამი ურთიერთდაკავშირებული სისტემის კოლაფსის შედეგია: კოგნიტური დეფიციტი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ენის სტრუქტურული კომპონენტების (მორფოსინტაქსის) სისუსტეში ვლინდება; ფსიქოლოგიური მანკიერი წრე, სადაც აკადემიური წარუმატებლობა იწვევს მოტივაციის კარგვასა და დასწავლილ უმწეობას; და სოციალური გარემო ფაქტორები, მათ შორის, სკოლის, ოჯახისა და თანატოლების არაეფექტიანი მხარდაჭერა. ამ კომპლექსური დიაგნოზის საპასუხოდ, ნაშრომი გვთავაზობს ჰოლისტურ სტრატეგიას, რომელიც ეფუძნება პროაქტიულ, მრავალდონიან მხარდაჭერის სისტემას (RTI), მტკიცებულებებზე დაფუძნებული პედაგოგიკის (მაგ., ურთიერთსწავლება) დანერგვას და სისტემურ რეფორმებს კურიკულუმის, მასწავლებლის პროფესიისა და შეფასების მიმართულებით. კვლევის საბოლოო დასკვნით, წიგნიერების კრიზისის დაძლევა მოითხოვს გრძელვადიან, კოორდინირებულ ეროვნულ სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ PISA-ს რეიტინგების გაუმჯობესებას, არამედ მოაზროვნე და სრულფასოვანი მოქალაქეების თაობის აღზრდას.

საკვანძო სიტყვები: წაკითხულის გააზრება, ფუნქციური წიგნიერება, *PISA*, განათლების რეფორმა, კოგნიტური უნარები, მეტაკოგნიცია, სოციალურ-ემოციური სწავლება, სისტემური მიდგომა;

[1] სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

The Literacy Crisis in Georgia: A Multidimensional Analysis and an Integrated Solution Model

Sophiko Tskhelishvili[2]

Abstract

This paper addresses one of the most acute challenges within the Georgian education system: the critically low level of functional literacy among students, as evidenced by international assessments such as PISA and PIRLS. The aim is to move beyond a symptomatic description of the problem and, by synthesizing international scientific literature and local practice, to develop an integrated, multidimensional model for its resolution. According to the paper's main thesis, the literacy crisis is not a singular issue but the result of the collapse of three interconnected systems: cognitive deficits, primarily manifesting as a weakness in structural language components (morphosyntax); a psychological vicious cycle, where academic failure leads to loss of motivation and learned helplessness; and socio-environmental factors, including ineffective support from school, family, and peers. In response to this complex diagnosis, the paper proposes a holistic strategy based on a proactive, multi-tiered system of support (RTI), the implementation of evidence-based pedagogy (e.g., Reciprocal Teaching), and systemic reforms in curriculum, teacher professional development, and assessment. The paper concludes that overcoming the literacy crisis requires a long-term, coordinated national strategy aimed not just at improving PISA rankings, but at raising a generation of thoughtful and engaged citizens.

Keywords: Reading Comprehension, Functional Literacy, PISA, Educational Reform, Cognitive Skills, Metacognition, Social-Emotional Learning, Systemic Approach.

[2] LEPL General Giorgi Kvinitadze Cadets Military Lyceum

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

საქართველოში წიგნიერების პრობლემის გააზრებისას მთავარი შეცდომა მისი, როგორც მხოლოდ ტექნიკური უნარის, განხილვაა. სინამდვილეში, წაკითხულის გააზრება წარმოადგენს პიროვნების განვითარების ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ ფსიქო-კოგნიტურ პროცესს, რომელიც არ ჰგავს ინფორმაციის პასიურად მიღებას. როგორც სამეცნიერო ლიტერატურა ადასტურებს, კითხვისას ადამიანი აქტიურად აგებს ტექსტის შინაარსის უნიკალურ მენტალურ მოდელს, რაშიც ერთვება როგორც მისი არსებული ცოდნა, ისე მაღალი დონის აზროვნების უნარები.[3] ეს რთული კოგნიტური არქიტექტურა, თავის მხრივ, მოითხოვს მუდმივ მართვას საკუთარი გაგების პროცესზე (მეტაკოგნიცია), რაც კრიტიკულად არის დამოკიდებული აღმასრულებელ ფუნქციებზე, როგორიცაა კოგნიტური მოქნილობა და დაგეგმვა.[4]შესაბამისად, წიგნიერების დეფიციტი არის არა უბრალოდ ტექნიკური ჩავარდნა, არამედ აზროვნების ფუნდამენტური პროცესების შეფერხება.

ამ რთულ კოგნიტურ არქიტექტურას კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ იგი განუყოფლად არის დაკავშირებული მოსწავლის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და სოციალურ კონტექსტთან. წარმატება კითხვაში ზრდის მოტივაციასა და პოზიტიურ კითხვით თვითაღქმას, ხოლო მუდმივი წარუმატებლობა წარმოშობს კითხვისგან თავის არიდების მანკიერ წრეს, რაც კიდევ უფრო აღრმავებს აკადემიურ ჩამორჩენას.[5]ამ ინდივიდუალური პროცესების პარალელურად, წიგნიერება ასრულებს უმნიშვნელოვანეს სოციალურ ფუნქციას: იგი საფუძველს უყრის საზოგადოებაში აქტიურ, ინფორმირებულ მოქალაქედ ჩამოყალიბებას, რაც PISA-ს კვლევების ერთ-ერთი მთავარი ფოკუსია (OECD, 2019). ამიტომ, როდესაც ვსაუბრობთ წიგნიერების კრიზისზე, ჩვენ ვგულისხმობთ კოგნიტური, ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარების ერთიან კრიზისს, რომელიც პირდაპირ აისახება ქვეყნის ადამიანურ კაპიტალსა და დემოკრატიულ პოტენციალზე.

[3] W. Kintsch, Comprehension: A paradigm for cognition. Cambridge University Press. (1998).
[4] A. Diamond, Executive functions. Annual Review of Psychology, 64, 135–168. (2013).
[5] J. T.Guthrie, A. McRae, , & Klauda, S. L. Contributions of concept-oriented reading instruction to knowledge about interventions for motivations in reading. Educational Psychologist, 42(4), (2007). 237–250.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

საქართველოს წიგნიერების კრიზისის მასშტაბი ყველაზე მკაფიოდ საერთაშორისო შეფასებების მონაცემებში ჩანს, თუმცა ეს ციფრები პრობლემის არსს კი არ გვიჩვენებს, არამედ მის საგანგაშო სიმპტომებს წარმოადგენს. PISA-ს 2018 წლის კვლევის მიხედვით, 15 წლის ქართველი მოსწავლეების საშუალო შედეგი წაკითხულის გააზრებაში (380 ქულა) კრიტიკულად ჩამორჩება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (487 ქულა). ეს სტატისტიკური სხვაობა თვისებრივად ნიშნავს, რომ მოსწავლეთა 42%-ს არ გააჩნია ფუნქციურ[6]ი წიგნიერების საბაზისო დონე, რაც მათ უზღუდავს ტექსტიდან მარტივი დასკვნების გამოტანისა და ინფორმაციის კრიტიკულად შეფასების უნარს (OECD, 2019). შესაბამისად, ეს მონაცემები მიუთითებს არა უბრალოდ აკადემიურ ჩამორჩენაზე, არამედ სისტემის უუნარობაზე, აღჭურვოს ახალგაზრდები თანამედროვე სამყაროში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის აუცილებელი ინსტრუმენტებით.

პრობლემის სისტემურ და ღრმა ხასიათს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ეს სირთულეები მოზარდობის ასაკში მოულოდნელად არ ჩნდება; ისინი სათავეს იღებს გაცილებით ადრეულ, დაწყებით საფეხურზე. PIRLS-ის 2016 წლის კვლევამ, რომელიც IV კლასის მოსწავლეების კითხვის უნარებს აფასებს, აჩვენა, რომ ქართველი მოსწავლეები ამ ასაკშიც ჩამორჩებიან საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელს, განსაკუთრებით კი საინფორმაციო ტექსტების გააზრებაში. ეს საერთაშორისო ტენდენციები სრულად დასტურდება და კონკრეტდება ადგილობრივი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევებით, რომლებიც მიუთითებენ სისტემურ პრობლემებზე, მათ შორის, სწავლების პასიურ, რეპროდუქციულ მეთოდებზე, სადაც კრიტიკული აზროვნება უკანა პლანზეა გადაწეული.[7] ეს ყოვლისმომცველი სურათი მიუთითებს ღრმა,

[6] I. V. S. Mullis, M. O. Martin, P. Foy, & Hooper, M. PIRLS 2016 International Results in Reading. TIMSS & PIRLS International Study Center, Boston College. (2017).
to Solve Them]. [Unpublished pedagogical practice research report]. Katskhi Village Public School, Chiatura Municipality.

[7] N. Butskhrikidze, Pedagogiuri praqtikis kvlevis angarishi: Tekstis gageba-gaazrebis problemebi datsyebit saphekhurze da mati gadachris gzebi [Pedagogical Practice Research Report: Problems of Text Comprehension at the Primary Level and Ways to Solve Them]. [Unpublished pedagogical practice research report]. Katskhi Village Public School, Chiatura Municipality. (2018).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ქრონიკულ გამოწვევაზე, რომელიც არა ფრაგმენტულ ცვლილებებს, არამედ სწავ-ლა-სწავლების პარადიგმის ფუნდამენტურ გადააზრებას მოითხოვს.

საქართველოს სკოლებში წაკითხულის გააზრების კრიტიკულად დაბალი დონე არ არის აბსტრაქტული სტატისტიკური მაჩვენებელი; ეს არის პრობლემა, რო-მელსაც აქვს ღრმა და მრავალმხრივი უარყოფითი გავლენა, დაწყებული ცალკეული მოსწავლის პირადი ტრაგედიიდან, დასრულებული ეროვნული მასშტაბის კრიზი-სით. ინდივიდუალურ დონეზე, წაკითხულის გააზრება არის "გარდამქმნელი უნარი" (gateway skill), რომელიც საფუძვლად უდევს ყველა სხვა აკადემიური დის-ციპლინის ათვისებას. მოსწავლე, რომელსაც უჭირს ტექსტის გააზრება, გარდაუვ-ლად აწყდება პრობლემებს მათემატიკაში, ისტორიასა თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ეს იწვევს აკადემიური წარუმატებლობის დომინოს ეფექტს, რაც მოსწავლეს უყალიბებს ნეგატიურ თვითაღქმას, აქვეითებს მის სასწავლო მოტივა-ციას და, საბოლოოდ, ქმნის ე.წ. "მათეს ეფექტს" – წარმატებული მკითხველები მეტს კითხულობენ და კიდევ უფრო ვითარდებიან, ხოლო სუსტი მკითხველები თავს არიდებენ კითხვას და უფსკრული მათსა და თანატოლებს შორის დროთა განმავ-ლობაში კატასტროფულად იზრდება.[8]

ეს ინდივიდუალური აკადემიური და ფსიქოლოგიური პრობლემები აუ-ცილებ-ლად იღვრება სოციალურ სივრცეში და ამახინჯებს სასკოლო ცხოვრებას. მუდმივი წარუმატებლობით გამოწვეული ფრუსტრაცია ხშირად ტრანსფორმირდება ქცევით პრობლემებში; როგორც კვლევები აჩვენებს, კითხვის სირთულეები პირდაპირ უკავშირდება ბულინგისა და აგრესიული ქცევის რისკის ზრდას, რადგან აკადე-მიურ სფეროში წარუმატებელი მოსწავლეები ხშირად ცდილობენ სოციალური სტატუსის მოპოვებას დესტრუქციული გზებით. ამასთან, საქართველოს სოცია-ლურ-ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით, წიგნიერების დაბალი დონე პირდაპირ კვებავს და აღრმავებს განათლების უთანასწორობას. PISA-ს კვლევები მუდმივად აჩვენებს, რომ სოციალურ-ეკონომიკურად შეჭირვებული ოჯახების მოსწავლეებს მნიშვნელოვნად დაბალი შედეგები აქვთ (OECD, 2019), რადგან მათ

[8] K. E. Stanovich, Matthew effects in reading: Some consequences of individual differences in the acquisition of literacy. Reading Research Quarterly, 21(4), (1986). 360–407.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ოჯახებს ხშირად არ გააჩნიათ შვილების ეფექტიანი დახმარებისთვის საჭირო რესურსი.[9] როდესაც სკოლა ვერ ახერხებს ამ განსხვავებების კომპენსირებას, ის სოციალური მობილობის ხელშემწყობი მექანიზმის ნაცვლად, არსებული უთანასწორობის გამღრმავებელ ინსტრუმენტად იქცევა.

საბოლოო ჯამში, ამ პრობლემის იგნორირებას დამანგრეველი გრძელვადიანი შედეგები აქვს ქვეყნის მომავლისთვის. ფუნქციური წიგნიერების გარეშე დარჩენილი ახალგაზრდები შეზღუდულნი არიან მიიღონ ხარისხიანი უმაღლესი განათლება და დასაქმდნენ კვალიფიციურ სამსახურებში, რაც აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ მოდერნიზაციას და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობას. ამასთანავე, კრიტიკული აზროვნებისა და ინფორმაციის ანალიზის უნარის გარეშე, შეუძლებელია ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც მედეგი იქნება დეზინფორმაციისა და მანიპულაციის მიმართ. შესაბამისად, წიგნიერების პრობლემის გადაჭრა ქართულ რეალობაში არის არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ სოციალური სამართლიანობის, ეკონომიკური წინსვლისა და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიული საკითხი.

მიუხედავად პრობლემის სირთულისა და მასშტაბისა, საქართველოს განათლების სისტემას არ უწევს ამ გამოწვევასთან მარტო, ცარიელი ხელებით შეხვედრა. ათწლეულების განმავლობაში, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებამ დააგროვა უზარმაზარი თეორიული და ემპირიული ცოდნა იმის შესახებ, თუ რა ფაქტორები განაპირობებს კითხვის სირთულეებს და რომელი მიდგომებია ყველაზე ეფექტიანი მათ დასაძლევად. კვლევების პირველი და ყველაზე ფუნდამენტური მიმართულება ფოკუსირდება კითხვის კოგნიტურ არქიტექტურაზე. "კითხვის მარტივი მოდელის" (Simple View of Reading) თანახმად, გააზრების სირთულეები შეიძლება მომდინარეობდეს როგორც დეკოდირების (ტექნიკური კითხვა), ისე ენობრივი გააზრების პრობლემებიდან.[10] თუმცა, შემდგომმა კვლევებმა დაადგინა, რომ მოზარდებში პრობლემის სათავე ხშირად სწორედ ენობრივი გააზრების

[9] D.Pelletier, F.Guay, , & Falardeau, É. Contributions of Reading Support from Teachers, Parents, and Friends to Reading Related Variables in Academic and Recreational Contexts. Reading Research Quarterly, 59(1), (2024). 1-22.

[10] P. B.Gough, & Tunmer, W. E. Decoding, reading, and reading disability. Remedial and Special Education, 7(1), (1986). 6–10.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

კომპონენტშია, კერძოდ, ენის სტრუქტურული ელემენტების – მორფოლოგიისა და სინტაქსის – არასაკმარის ფლობაში, რაც მათ რთული წინადადებების გაგებაში უქმნის ბარიერს.[11]

კვლევების მეორე დიდი მიმართულება ამტკიცებს, რომ კოგნიტური პროცესები ვაკუუმში არ მიმდინარეობს; ისინი მჭიდროდ არის დაკავშირებული სწავლის სოციალურ-ემოციურ ეკოლოგიასთან. მასშტაბური მეტაანალიზები უტყუარად ადასტურებს, რომ პოზიტიური მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობა პირდა-პირ კავშირშია მოსწავლის მაღალ სასწავლო ჩართულობასა და აკადემიურ მიღწე-ვებთან.[12] გარდა ამისა, სკოლისადმი კუთვნილების განცდა და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემო ზრდის მოსწავლის მზაობას, ჩაერთოს რთულ ინტელექტუა-ლურ საქმიანობაში. ამ ეკოსისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ოჯახისა და თა-ნატოლების მხარდაჭერა, სადაც განსაკუთრებით ეფექტიანია ბავშვის ავტონომიისა და ურთიერთობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.[13]

კვლევების მესამე მიმართულება ფოკუსირებულია იმ კონკრეტული პედა-გოგიური ინტერვენციების იდენტიფიცირებაზე, რომლებიც რეალურად მუშაობს. დადასტურებულია კითხვის სტრატეგიების ექსპლიციტური სწავლების ეფექ-ტიანობა, რომელთა შორის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ინტეგრირებულ მო-დელად მიჩნეულია ურთიერთსწავლება (Reciprocal Teaching) (Palincsar & Brown, 1984). ამასთან, გრძელვადიანი კვლევები გვაფრთხილებს, რომ მოზარდებთან, რომ-ლებსაც ღრმა და ქრონიკული პრობლემები აქვთ, წარმატების მისაღწევად აუცილე-ბელია ინტენსიური და მრავალწლიანი ინტერვენციები.[14]

[11] M. A. Nippold, Reading comprehension deficits in adolescents: Addressing underlying language abilities. Language, Speech, and Hearing Services in Schools, 48(2), (2017). 125-131.
[12] D. L.Roorda, H. M.Koomen, Spilt, J. L., & Oort, F. J. The influence of affective teacher–student relationships on students' school engagement and achievement: A meta-analytic approach. Review of Educational Research, 81(4), (2011). 493-529.
[13] D.Pelletier, F.Guay, & Falardeau, É. Contributions of Reading Support from Teachers, Parents, and Friends to Reading Related Variables in Academic and Recreational Contexts. Reading Research Quarterly, 59(1), (2024). 1-22.
[14] M.Solis, J.Miciak, S.Vaughn, & Fletcher, J. M. Why intensive interventions matter: Longitudinal studies of adolescents with reading disabilities and poor reading comprehension. Learning Disability Quarterly, 37(4), (2014). 218-229.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევითი მიმართულებები ცალ-ცალკე კარგად არის შესწავლილი, ლიტერატურაში იგრძნობა ამ ცოდნის ინტეგრირებული მოდელის დეფიციტი. წინამდებარე ნაშრომის მთავარი ამოცანა და სიახლე სწორედ ამ "ცარიელი სივრცის" შევსებაა – ჩვენ ვცდილობთ, ამ სამი კვლევითი მიმართულების სინთეზის საფუძველზე შევქმნათ ერთიანი, ჰოლისტური ჩარჩო, რომელიც საშუალებას მოგვცემს, საქართველოს წიგნიერების კრიზისი გავაანალიზოთ და დავგეგმოთ მისი გადაჭრის გზები კომპლექსურად. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვაა: რა არის ის მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ინტეგრირებული სტრატეგია, რომელიც საქართველოს დაეხმარება წიგნიერების პრობლემის სისტემურ დაძლევაში?

ძირითადი ნაწილი

საქართველოს წიგნიერების კრიზისის დასაძლევად, პირველ რიგში, აუცილებელია პრობლემის ფუნდამენტური, კოგნიტური მიზეზების დიაგნოსტირება. "კითხვის მარტივი მოდელის" (Simple View of Reading) თანახმად, წაკითხულის გააზრება ორი ძირითადი კომპონენტის – დეკოდირებისა (ტექნიკური კითხვა) და ენობრივი გააზრების – წარმატებული სინთეზის შედეგია,[15] მიუხედავად იმისა, რომ დეკოდირების სირთულეები გარკვეული მოსწავლეებისთვის კვლავ პრობლემად რჩება, PISA-ს ტიპის კომპლექსურ დავალებებში დაფიქსირებული მასშტაბური წარუმატებლობა მიუთითებს, რომ მოზარდების უმრავლესობისთვის მთავარ ბარიერს სწორედ ენობრივი გააზრების კომპონენტის სისუსტე წარმოადგენს.

პრობლემის სათავე ხშირად არა უბრალოდ მწირ ლექსიკურ მარაგში, არამედ ენის სტრუქტურული კომპონენტების – კერძოდ, მორფოლოგიისა და სინტაქსის – არასაკმარის ფლობაშია. აკადემიური ტექსტები, რომლებსაც მოსწავლეები საშუალო და მაღალ კლასებში ეჯახებიან, სავსეა რთული, მრავალშრიანი წინადადებებით. კვლევები ცხადყოფს, რომ მოზარდებში წაკითხულის გააზრების დეფიციტის უძლიერესი პროგნოზული ფაქტორი სწორედ რთული სინტაქსური კონსტრუქციების გაანალიზების უუნარობაა[16]. მოსწავლეს არ შეუძლია გაიგოს ტექსტი,

[15]P. B. Gough, W. E. Tunmer, Decoding, reading, and reading disability. Remedial and Special Education, 7(1), 6–10.

[16] Nippold, M. A. (2017). Reading comprehension deficits in adolescents: Addressing underlying language abilities. Language, Speech, and Hearing Services in Schools, 48(2), (1986). 125-131.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

რომლის გრამატიკულ "ჩონჩხსაც" ვერ შლის. ეს რთული ენობრივი ოპერაციები, თავის მხრივ, დიდ დატვირთვას აყენებს აღმასრულებელ ფუნქციებს, განსაკუთრებით მუშა მეხსიერებასა და ყურადღების კონტროლს.[17] შესაბამისად, გააზრების პროცესი შეიძლება დაირღვეს როგორც ენობრივი ცოდნის, ისე ამ ცოდნის ოპერატიულად გამოყენებაზე პასუხისმგებელი კოგნიტური მექანიზმების სისუსტის გამო.

კოგნიტური სირთულეები იშვიათად რჩება იზოლირებულ ტექნიკურ პრობლემად; ისინი, როგორც წესი, წარმოშობს მეორეული ფსიქოლოგიური პრობლემების მთელ კასკადს, რომლებიც ერთმანეთს აძლიერებს და ქმნის ძნელად გასარღვევ მანკიერ წრეს. მუდმივი აკადემიური წარუმატებლობა პირდაპირ აისახება მოსწავლის მოტივაციასა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მის კითხვით თვითაღქმაზე (reading self-concept). როდესაც ბავშვი სისტემატურად აწყდება სირთულეებს, ის იწყებს საკუთარ თავში ეჭვის შეტანას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ "კითხვა არ გამომდის". ეს ნეგატიური თვითაღქმა აყალიბებს კითხვის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას, რაც, თავის მხრივ, იწვევს კითხვისგან თავის არიდებას. ეს ქცევა ამკვიდრებს ლიტერატურაში "მათეს ეფექტის" სახელით ცნობილ ფენომენს: წარმატებული მკითხველები მეტს კითხულობენ და კიდევ უფრო ვითარდებიან, ხოლო სუსტი მკითხველები სულ უფრო ნაკლებს კითხულობენ, რაც მათ ტვინს ართმევს იმ პრაქტიკას, რომელიც აუცილებელია გამართული კითხვისთვის საჭირო ნერვული კავშირების გასამყარებლად. შედეგად, უფსკრული მათსა და თანატოლებს შორის დროთა განმავლობაში კატასტროფულად იზრდება.[18]

ამ პროცესს კიდევ უფრო ამძაფრებს ის, თუ როგორ ხსნის მოსწავლე საკუთარ წარუმატებლობას. როდესაც მუდმივი მარცხის ფონზე მოსწავლეს უყალიბდება ფიქსირებული აზროვნება (fixed mindset) – რწმენა იმისა, რომ უნარები თანდაყოლილი და უცვლელია – ის ყოველ წარუმატებლობას საკუთარ უცვლელ უუნარობას აწერს. ასეთი შინაგანი ატრიბუცია ("მე უბრალოდ არ შემიძლია") მოსწავლეს აგდებს დასწავლილი უმწეობის (learned helplessness) მდგომარეობაში, რის გამოც ის

[17] A. Diamond, Executive functions. Annual Review of Psychology, 64, (2013). 135–168.
[18] K. E. Stanovich, Matthew effects in reading: Some consequences of individual differences in the acquisition of literacy. Reading Research Quarterly, 21(4), (1986). 360–407.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

წყვეტს მცდელობას, რადგან თვლის, რომ მის ძალისხმევას შედეგი მაინც არ ექნება.[19] შესაბამისად, პრობლემა აღარ არის უბრალოდ უნარების დეფიციტი; ის გადაიქცევა ღრმა მოტივაციურ კრიზისად, რომელიც სწავლის პროცესს თითქმის გადაულახავ ფსიქოლოგიურ ბარიერად აქცევს.

მოსწავლის კოგნიტური და ფსიქოლოგიური განვითარება იზოლირებულად არ ხდება; იგი ღრმად არის ჩაშენებული სოციალურ ეკოსისტემაში, სადაც ოჯახი, სკოლა და თანატოლები ერთობლივად ქმნიან იმ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ან, პირიქით, აფერხებს წიგნიერების განვითარებას. პირველი და ყველაზე გავლენიანი "საკლასო ოთახი" ოჯახია. კვლევები ცხადყოფს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ე.წ. "სახლის წიგნიერების გარემოს" (Home Literacy Environment) ხარისხს, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სახლში წიგნების ფიზიკურ არსებობას, არამედ მშობლების, როგორც კითხვის როლური მოდელების, ქცევასა და ერთობლივი კითხვის აქტივობების სიხშირეს. თუმცა, რაოდენობაზე მნიშვნელოვანია მშობლის მხარდაჭერის ხარისხი. ყველაზე ეფექტიანია ისეთი ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, რომელიც ბავშვის ავტონომიისა (მაგ., წიგნის არჩევის თავისუფლება) და ურთიერთობის (მაგ., წაკითხულზე საუბარი, ინტერესის გამოხატვა) განცდებს აძლიერებს, ნაცვლად კონტროლისა და მექანიკური დახმარებისა.[20]

სკოლას შეუძლია, ოჯახურ გარემოში არსებული განსხვავებები შეამციროს ან, პირიქით, გააღრმავოს. მასშტაბური მეტაანალიზები ადასტურებს, რომ პოზიტიური, ნდობაზე დაფუძნებული მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობა პირდაპირ კავშირშია მოსწავლის მაღალ სასწავლო ჩართულობასთან, მოტივაციასა და აკადემიურ მიღწევებთან.[21] როდესაც საკლასო ოთახში შექმნილია ფსიქოლოგიური უსაფრთხოების განცდა, სადაც მოსწავლეს არ ეშინია შეცდომის დაშვებისა, ის უფრო თამამად ერთვება სწავლის რთულ პროცესში. სკოლისადმი კუთვნილების განცდა, ანუ შეგრძნება, რომ შენ ამ საზოგადოების მიღებული და დაფასებული

[19] C. S. Dweck, Mindset: The new psychology of success. Random House. (2006).
[20] D.Pelletier, F. Guay, É.Falardeau, Contributions of Reading Support from Teachers, Parents, and Friends to Reading Related Variables in Academic and Recreational Contexts. Reading Research Quarterly, 59(1), (2024). 1-22.
[21] D. L.Roorda, H. M. Koomen, J. L.Spilt, F. J. Oort, The influence of affective teacher–student relationships on students' school engagement and achievement: A meta-analytic approach. Review of Educational Research, 81(4), (2011). 493-529.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

წევრი ხარ, წარმოადგენს მოტივაციის ერთ-ერთ უმთავრეს საყრდენს და პირდაპირ პროგნოზირებს კითხვის უნარების გაუმჯობესებას.

მოზარდობის ასაკში თანატოლების გავლენა ხშირად დომინანტური ხდება. თანატოლთა წრეში დამკვიდრებული სოციალური ნორმები და დამოკიდებულებები პირდაპირ მოქმედებს იმაზე, თუ რამდენად "პრესტიჟულად" ითვლება კითხვა და აკადემიური ძალისხმევა. კვლევები აჩვენებს, რომ მეგობრების მხარდაჭერას უნიკალური და ძლიერი გავლენა აქვს, განსაკუთრებით თავისუფალ დროს კითხვის (recreational reading) მოტივაციასა და სიხშირეზე. [22] საბოლოო ჯამში, მოსწავლის წარმატება ამ სამი ძირითადი გარემოს – ოჯახის, სკოლისა და თანატოლების – ჰარმონიული და მხარდამჭერი ურთიერთქმედების შედეგია. როდესაც ამ სისტემის ერთ-ერთი რგოლი სუსტია, სხვებს შეუძლიათ მისი კომპენსირება, თუმცა, როდესაც სამივე გარემო არახელსაყრელია, მოსწავლისთვის წარუმატებლობის მანკიერი წრიდან თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელი ხდება.

წაკითხულის გააზრების კრიზისის დაძლევა, მისი კომპლექსური და ქრონიკული ბუნებიდან გამომდინარე, მოითხოვს ფუნდამენტურ პარადიგმულ ცვლილებას: გადასვლას რეაქციული, ე.წ. "დაველოდოთ-წარუმატებლობას" (wait-to-fail) მოდელიდან, რომელიც მოსწავლეს დახმარებას მხოლოდ მას შემდეგ სთავაზობს, რაც ის მნიშვნელოვნად ჩამორჩება თანატოლებს, პროაქტიულ, პრევენციულ სისტემაზე. ამ ფილოსოფიის ყველაზე წარმატებულ პრაქტიკულ განხორციელებას ინტერვენციაზე რეაგირების (RTI), იგივე მხარდაჭერის მრავალდონიანი სისტემის (MTSS), ჩარჩო წარმოადგენს. ეს არ არის კონკრეტული სასწავლო პროგრამა, არამედ არის მოქნილი, მონაცემებზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ არც ერთი მოსწავლე არ დარჩეს ყურადღების მიღმა და დახმარება მიიღოს სირთულის გამოვლენისთანავე.

RTI მოდელის მექანიზმი ეფუძნება მხარდაჭერის სამ ძირითად, იერარქიულ საფეხურს. დონე 1 გულისხმობს მაღალი ხარისხის, მტკიცებულებებზე დაფუნებული, დიფერენცირებული სწავლების მიწოდებას ყველა მოსწავლისთვის ზოგად

[22] D.Pelletier, F.Guay, É.Falardeau, Contributions of Reading Support from Teachers, Parents, and Friends to Reading Related Variables in Academic and Recreational Contexts. Reading Research Quarterly, 59(1), (2024). 1-22.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

საკლასო ოთახში, რაც სისტემის უნივერსალური, პრევენციული საფუძველია. დონე 2 განკუთვნილია იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც პირველ დონეზე ვერ აღწევენ სათანადო პროგრესს და მათთვის ხორციელდება მიზანმიმართული, დამატებითი, მცირე ჯგუფებში მუშაობა. დონე 3 კი მოიცავს ინტენსიურ, ხშირად ინდივიდუალურ დახმარებას იმ მოსწავლეებისთვის, ვისაც ყველაზე ღრმა და მდგრადი სირთულეები აქვს. ამ მოდელის ეფექტიანობის "ძრავას" წარმოადგენს უნივერსალური სკრინინგი (რისკ-ჯგუფების დროული იდენტიფიცირება) და პროგრესის მუდმივი მონიტორინგი. ეს ჩარჩო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზარდებთან მუშაობისას, რადგან ის უზრუნველყოფს იმ მდგრად, მრავალწლიან და ინტენსიურ მხარდაჭერას, რომელიც, როგორც კვლევები ადასტურებს, აუცილებელია ქრონიკული პრობლემების დასაძლევად.[23]

ინტერვენციაზე რეაგირების (RTI) სისტემური ჩარჩოს ეფექტიანობა პირდაპირ არის დამოკიდებული იმ პედაგოგიური მეთოდების ხარისხზე, რომლებიც მის შიგნით გამოიყენება. ამ სისტემის "ძრავას" წარმოადგენს ექსპლიციტური (პირდაპირი) სწავლება – მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს, ექსპერტი მკითხველის "უხილავი" მენტალური პროცესები მოსწავლეებისთვის ხილული, გასაგები და დასწავლადი გახადოს. იგი ეფუძნება "მე ვაკეთებ - ჩვენ ვაკეთებთ - შენ აკეთებ" მოდელს: პირველ ეტაპზე მასწავლებელი თავად ახდენს სტრატეგიის მოდელირებას "ხმამაღლა ფიქრის" (think-aloud) მეთოდით; მეორე ეტაპზე მოსწავლეები სტრატეგიას იყენებენ მასწავლებლის დახმარებითა და მეთვალყურეობით (სკაფოლდინგი); მესამე ეტაპზე კი, მას შემდეგ, რაც მათ უნარი გამოუმუშავდებათ, პასუხისმგებლობა სრულად გადადის მათზე დამოუკიდებელი პრაქტიკისთვის.[24] ეს სტრუქტურირებული მიდგომა განსაკუთრებით ეფექტიანია იმ ფუნდამენტური კოგნიტური დეფიციტების დასაძლევად, რომლებიც, როგორც წესი, თავისთავად არ ვითარდება და პირდაპირ, სისტემურ სწავლებას საჭიროებს.

[23] M.Solis, J.Miciak, S.Vaughn, J. M. Fletcher, Why intensive interventions matter: Longitudinal studies of adolescents with reading disabilities and poor reading comprehension. Learning Disability Quarterly, 37(4), (2014). 218-229.

[24] A. L.Archer, C. A. Hughes, Explicit instruction: Effective and efficient teaching. Guilford Press. (2011).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ექსპლიციტური სწავლების ჩარჩოს შიგნით, აქცენტი უნდა გაკეთდეს კონკრეტულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ კოგნიტურ და მეტაკოგნიტურ სტრატეგიებზე. აშშ-ის ეროვნული კითხვის პანელის მიერ ჩატარებულმა მასშტაბურმა მეტა-ანალიზმა გამოავლინა რამდენიმე უნივერსალური სტრატეგია, მათ შორის, კითხვების დასმის სწავლება (რომელიც მოსწავლეს პასიური მიმღებიდან აქტიურ "გამომძიებლად" აქცევს) და შეჯამების უნარის განვითარება (რაც ავითარებს მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გარჩევისა და იდეების სინთეზის უნარს). ამ კოგნიტური სტრატეგიების პარალელურად, აუცილებელია გააზრების მონიტორინგის, როგორც მთავარი მეტაკოგნიტური უნარის, განვითარება. ეს არის მოსწავლის შინაგანი "განგაშის სისტემა", რომელიც ამცნობს მას, როდესაც გაგების პროცესი წყდება და უბიძგებს, გამოიყენოს "გამოსასწორებელი" სტრატეგიები, როგორიცაა, მაგალითად, რთული მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა.

ამ სტრატეგიების სწავლების ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ, ინტეგრირებულ მოდელს ურთიერთსწავლება (Reciprocal Teaching) წარმოადგენს. იგი აერთიანებს ოთხ ძირითად სტრატეგიას (პროგნოზირება, კითხვების დასმა, დაზუსტება, შეჯამება) კოლაბორაციულ, სოციალურ კონტექსტში. მისი უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არა მხოლოდ ასწავლის მოსწავლეებს კონკრეტულ სტრატეგიებს, არამედ, რაც მთავარია, ასწავლის მათ, თუ როგორ იფიქრონ კითხვის პროცესში. ჯგუფურ დიალოგში ხდება აზროვნების პროცესების "გახმოვანება", რაც მოსწავლეებს ეხმარება, გაითავისონ ექსპერტი მკითხველის მენტალური ჩვევები და პასიური მომხმარებლებიდან აქტიურ, თვითრეგულირებად და სტრატეგიულ მკითხველებად გარდაიქმნან.[25]

საუკეთესო პედაგოგიური სტრატეგიებიც კი უძლურია, თუ ისინი არ არის ჩაშენებული ფსიქოლოგიურად უსაფრთხო და მხარდამჭერ გარემოში. კოგნიტური "ძრავის" ასამუშავებლად საჭიროა სოციალურ-ემოციური "საწვავი": პოზიტიური ურთიერთობები და კუთვნილების განცდა, რომელიც მოსწავლეს აძლევს მოტივაციასა და გამბედაობას, ჩაერთოს რთულ ინტელექტუალურ საქმიანობაში. ამ

[25] A. S.Palincsar, A. L. Brown, Reciprocal teaching of comprehension-fostering and comprehension-monitoring activities. Cognition and Instruction, 1(2), (1984). 117-175.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ეკოსისტემის მთავარი არქიტექტორი მასწავლებელია. მასშტაბური მეტაანალიზები უტყუარად ადასტურებს, რომ თბილი, მზრუნველი და ნდობაზე დაფუძნებული მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობა პირდაპირ კავშირშია მოსწავლის მაღალ სასწავლო ჩართულობასთან, მოტივაციასა და აკადემიურ მიღწევებთან.[26] მასწავლებელი ამ ურთიერთობას აყალიბებს დიალოგური სწალების (dialogic teaching) პრინციპების დანერგვით, სადაც მოსწავლეთა იდეები ფასობს, ხოლო შეცდომა განიხილება არა როგორც მარცხი, არამედ როგორც სწავლის პროცესის ბუნებრივი ნაწილი.

ამ პროცესში ოჯახის, როგორც ბავშვის პირველი და უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო გარემოს, როლი შეუცვლელია. თუმცა, რაოდენობაზე მნიშვნელოვანია მშობლის მხარდაჭერის ხარისხი. კვლევები ცხადყოფს, რომ ყველაზე ეფექტიანია ისეთი ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ავტონომიისა (მაგ., წიგნის არჩევის თავისუფლება) და ურთიერთობის (მაგ., წაკითხულზე საუბარი, ინტერესის გამოხატვა) განცდების გაძლიერებას, ნაცვლად კონტროლისა და მექანიკური დახმარებისა. [27]ამასთან, პროცესზე ორიენტირებული შექება, რომელიც აქცენტს აკეთებს ძალისხმევაზე და არა თანდაყოლილ ნიჭზე, ბავშვს უყალიბებს ზრდაზე ორიენტირებულ აზროვნებას (growth mindset), რაც აუცილებელია სირთულეებისადმი მდგრადობისთვის.[28]

საბოლოოდ, მოზარდობის ასაკში კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს თანატოლების გავლენა. მასწავლებლისა და მშობლის მიერ შექმნილი მხარდამჭერი გარემო უნდა გამყარდეს პოზიტიური თანატოლური კულტურით, სადაც ურთიერთდახმარება და კოლაბორაცია ფასობს. კვლევები აჩვენებს, რომ მეგობრების მხარდაჭერას უნიკალური და ძლიერი გავლენა აქვს, განსაკუთრებით თავისუფალ დროს კითხვის მოტივაციასა და სიხშირეზე. ეს სამი ძირითადი აქტორის — მასწავლებლის,

[26] D. L.Roorda, H. M.Koomen, J. L.Spilt, F. J. Oort, The influence of affective teacher–student relationships on students' school engagement and achievement: A meta-analytic approach. Review of Educational Research, 81(4), (2011). 493-529.
[27] D.Pelletier, F.Guay, É.Falardeau, Contributions of Reading Support from Teachers, Parents, and Friends to Reading Related Variables in Academic and Recreational Contexts. Reading Research Quarterly, 59(1), (2024). 1-22.
[28] C. S. Dweck, Mindset: The new psychology of success. Random House. (2006).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მშობლისა და მეგობრის — სინერგიული მხარდაჭერა ქმნის სკოლისადმი კუთვნილების საერთო განცდას, რაც, თავის მხრივ, კითხვის უნარების გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროგნოზული ფაქტორია.

შემოთავაზებული მოდელის წარმატება მოითხოვს მასწავლებლის როლის ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას ინფორმაციის გადამცემიდან სასწავლო პროცესის სტრატეგიულ არქიტექტორად. ამ ახალ როლში მასწავლებელი, უპირველეს ყოვლისა, არის მგრძნობიარე დიაგნოსტიკოსი, რომელიც იყენებს ფორმატულ შეფასებას მოსწავლეთა ინდივიდუალური კოგნიტური სირთულეების ამოსაცნობად.[29] ამ დიაგნოზზე დაყრდნობით, ის აპროექტებს სასწავლო პროცესს, სადაც ექსპლიციტური სწავლების მეთოდებით ხილულს და დასწავლადს ხდის ექსპერტი მკითხველის "უხილავ" მენტალურ პროცესებს. "მე ვაკეთებ - ჩვენ ვაკეთებთ - შენ აკეთებ" მოდელის გამოყენებით, ის ახდენს სტრატეგიების მოდელირებას, უზრუნველყოფს ერთობლივ, მხარდაჭერილ პრაქტიკას და შემდეგ ეტაპობრივად გადასცემს პასუხისმგებლობას მოსწავლეს, რითაც ხელს უწყობს მის დამოუკიდებელ მოაზროვნედ ჩამოყალიბებას.[30]

ამასთანავე, მასწავლებელი მოქმედებს როგორც სოციალური ფასილიტატორი, რომელიც ქმნის დიალოგზე დაფუძნებულ, ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს. ის აყალიბებს "ანგარიშვალდებული საუბრის" კულტურას, სადაც მოსწავლეთა იდეები ფასობს, ხოლო შეცდომა განიხილება არა როგორც მარცხი, არამედ როგორც სწავლის პროცესის ბუნებრივი ნაწილი. ამ პროცესის საძირკველია თბილი, მზრუნველი და ნდობაზე დაფუძნებული მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობა, რომელიც, როგორც მეტაანალიზები ადასტურებს, მოსწავლის სასწავლო ჩართულობისა და აკადემიური მიღწევების ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელია.[31]

ინტეგრირებული მოდელის წარმატებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ოჯახის როლის გარდაქმნა პასიური მაყურებლიდან სასწავლო პროცესის აქტიურ, კომპეტენტურ მონაწილედ. ეს სცდება ზოგად მოწოდებას კითხვის წახალისების

[29] P.Black, D. Wiliam, Assessment and classroom learning. Assessment in Education: Principles, Policy & Practice, 5(1), (1998). 7-74.
[30] A. L.Archer, C. A. Hughes, Explicit instruction: Effective and efficient teaching. Guilford Press. (2011).
[31] L. D, Roorda, H. M.Koomen, J. L.Spilt, Oort, F. J. The influence of affective teacher–student relationships on students' school engagement and achievement: A meta-analytic approach. Review of Educational Research, 81(4), (2011). 493-529.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესახებ და გულისხმობს იმის გააზრებას, თუ რა ტიპის მხარდაჭერაა ყველაზე ეფექტიანი. როგორც კვლევები აჩვენებს, ბავშვის ავტონომიისა (მაგ., წიგნის არჩევის თავისუფლება) და ურთიერთობის (მაგ., წაკითხულზე საუბარი) განცდების მხარდაჭერა ბევრად უფრო ძლიერ შედეგს იძლევა, ვიდრე კონტროლზე დაფუძნებული, დირექტიული დახმარება (Pelletier et al., 2024). ამასთან, პროცესზე ორიენტირებული შექება, რომელიც აქცენტს აკეთებს ძალისხმევაზე და არა თანდაყოლილ ნიჭზე, ბავშვს უყალიბებს ზრდაზე ორიენტირებულ აზროვნებას (growth mindset), რაც აუცილებელია სირთულეებისადმი მდგრადობისთვის (Dweck, 2006).[32]

ამ კომპეტენციების გამომუშავებაში ოჯახს სკოლამ უნდა შეუწყოს ხელი. სკოლის ამოცანაა, მოახდინოს მშობლების გაძლიერება (empowerment), რაც გულისხმობს მათთვის კონკრეტული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტრატეგიების სწავლებას. როდესაც მშობლებმა იციან, როგორ დაეხმარონ შვილებს ეფექტიანად, ისინი იქცევიან სასწავლო პროცესის სრულფასოვან და კომპეტენტურ პარტნიორებად, რაც ქმნის უწყვეტ, მხარდამჭერ საგანმანათლებლო სივრცეს მოსწავლისთვის.[33]

მასწავლებლებისა და ოჯახების ინდივიდუალური ძალისხმევა ფრაგმენტული და უშედეგო იქნება ფუნდამენტური სისტემური ცვლილებების გარეშე. სახელმწიფო პასუხისმგებელია სამი მიმართულების სინქრონულ რეფორმაზე. პირველი, ეს არის კურიკულუმის რეფორმა, რომელიც "დისციპლინური წიგნიერების" პრინციპს დანერგავს და წიგნიერების კომპეტენციების განვითარებას ყველა საგნის მასწავლებლის საერთო პასუხისმგებლობად აქცევს. მეორე, ეს არის მასწავლებლის პროფესიული განვითარების მოდელის ტრანსფორმაცია მდგრად, კოლაბორაციულ სწავლებაზე, ფინური მოდელის მსგავსად, სადაც მასწავლებლის პროფესია მაღალი ავტონომიითა და ნდობით სარგებლობს. [34]

[32] C. S. Dweck, Mindset: The new psychology of success. Random House. (2006).
[33] J. L. Epstein, School, family, and community partnerships: Preparing educators and improving schools (2nd ed.). Westview Press. (2011).
[34] P. Sahlberg, (Finnish lessons 3.0: What can the world learn from educational change in Finland? Teachers College Press. 2021).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მესამე, და არანაკლებ მნიშვნელოვანი, არის შეფასების სისტემის რეფორმა. სისტემა უნდა გადავიდეს ფაქტების დამახსოვრებიდან ცოდნის გამოყენების, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების შეფასებაზე, დაბალანსებული, განმავითარებელ შეფასებაზე დაფუძნებული მიდგომით. [35]ამ სამი მიმართულების – კურიკულუმის, მასწავლებლის განვითარებისა და შეფასების – კოორდინირებული რეფორმა მოითხოვს გრძელვადიან პოლიტიკურ ნებას და განათლების, როგორც ქვეყნის მომავალში სტრატეგიული ინვესტიციის, აღქმას.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი ინტეგრირებული მოდელი ქმნის მყარ საფუძველს, თუმცა წიგნიერების კრიზისის ეფექტიანად დასაძლევად საჭიროა მუდმივი კვლევითი ძიება და ინოვაცია. მომავალმა კვლევებმა კიდევ უფრო ღრმად უნდა შეისწავლონ პრობლემის სხვადასხვა განზომილება, განსაკუთრებით საქართველოს უნიკალური კონტექსტის გათვალისწინებით. უპირველესი პრიორიტეტი უნდა იყოს შემოთავაზებული ინტეგრირებული მოდელის ემპირიული ვალიდაცია. აუცილებელია საქართველოში ჩატარდეს გრძელვადიანი, ექსპერიმენტული და კვაზიექსპერიმენტული კვლევები, რომლებიც შეაფასებს ისეთი პედაგოგიური ინტერვენციების (მაგ., ურთიერთსწავლება) რეალურ ეფექტიანობას, რომლებიც ერთდროულად მუშაობს როგორც მოსწავლეთა კოგნიტურ (განსაკუთრებით, ენის სტრუქტურულ უნარებზე), ისე ფსიქოლოგიურ (მოტივაცია, თვითაღქმა) ცვლადებზე.

მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა კონტექსტუალური ადაპტაცია და ლინგვისტური სპეციფიკის კვლევა. აუცილებელია ჩატარდეს თვისებრივი და შერეული მეთოდების კვლევები, რათა გავიგოთ, თუ როგორ ვლინდება სოციალურ-კულტურული ფაქტორები (მაგ., მშობლის მხარდაჭერის სტილი, მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობის დინამიკა) უშუალოდ ქართულ რეალობაში. ამასთან, საჭიროა ფსიქოლინგვისტური კვლევები, რომლებიც ფოკუსირდება ქართულ ენაზე და დაადგენს, თუ რომელი კონკრეტული მორფოსინტაქსური კონსტრუქციები

[35] P. Black, D.Wiliam, Assessment and classroom learning. Assessment in Education: Principles, Policy & Practice, 5(1), (1998). 7-74.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

უქმნის ყველაზე დიდ ბარიერს სუსტი კითხვის უნარების მქონე მოსწავლეებს, რაც საშუალებას მოგვცემს, შეიქმნას კიდევ უფრო მიზნობრივი სასწავლო მასალები.

საბოლოოდ, ახალ ჰორიზონტს ხსნის ტექნოლოგიებისა და "ცხელი კოგნიციის" როლის კვლევა. საინტერესოა, როგორ შეიძლება თანამედროვე ტექნოლოგიების, მაგალითად, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ადაპტური სასწავლო პლატ-ფორმების გამოყენება, რათა შეიქმნას პერსონალიზებული, დიფერენცირებული სასწავლო გარემო თითოეული მოსწავლისთვის. ამასთან, მომავალმა კვლევებმა უნდა შეისწავლოს "ცხელი კოგნიციის" ასპექტებიც – თუ როგორ მოქმედებს ქარ-თული ისტორიული და ლიტერატურული ტექსტების კითხვა მოსწავლეთა ემპა-თიის, ეროვნული იდენტობისა და სამოქალაქო ღირებულებების ფორმირებაზე. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა საშუალებას მოგვცემს, ავაგოთ არა მხოლოდ დღევან-დელ, არამედ მომავლის გამოწვევებზე ორიენტირებული განათლების სისტემა.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხორციელებული მრავალმხრივი ანალიზი ცხად-ყოფს, რომ მოსწავლეთა წაკითხულის გააზრების კრიტიკულად დაბალი დონე სა-ქართველოსთვის სისტემურ, მრავალწახნაგოვან გამოწვევას წარმოადგენს. PISA-სა და PIRLS-ის კვლევების შემაშფოთებელი შედეგები არის არა მიზეზი, არამედ სიმპტომი იმ ღრმა, სტრუქტურული პრობლემებისა, რომლებიც ზღუდავს ინ-დივიდის კოგნიტურ, სოციალურ-ემოციურ და, საბოლოოდ, ეკონომიკურ პო-ტენციალს. კვლევამ დაადასტურა, რომ წაკითხულის გააზრების სირთულეების სა-თავე ხშირად ღრმა კოგნიტურ პროცესებშია და უკავშირდება ენის ფუნ-დამენტური კომპონენტების, განსაკუთრებით კი მორფოლოგიისა და სინტაქსის, არასაკმარის ფლობას. ამ კოგნიტურ დეფიციტს ამწვავებს ფსიქოლოგიური ფაქ-ტორები (დაბალი კითხვითი თვითაღქმა, მოტივაციის კარგვა) და სოციალური გა-რემო (ოჯახისა და სკოლის არაეფექტიანი მხარდაჭერა).

ამ კომპლექსური გამოწვევების საპასუხოდ, ნაშრომში წარმოდგენილია ინტეგ-რირებული გადაჭრის მოდელი, რომლის ბირთვია არა იზოლირებული სტრატეგი-ების გამოყენება, არამედ მათი სისტემური დანერგვა. პედაგოგიურ დონეზე, ეს გუ-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ლისხმობს ექსპლიციტური, სტრუქტურირებული სწავლების მეთოდების, როგორიცაა ურთიერთსწავლება (Reciprocal Teaching), აქტიურ გამოყენებას. თუმცა, საუკეთესო პედაგოგიკაც კი უძლურია მხარდამჭერი სოციალური კონტექსტის გარეშე, რაც მასწავლებლების, მშობლებისა და თანატოლების კოორდინირებული მუშაობის აუცილებლობას გულისხმობს. სისტემურ დონეზე კი, ნაშრომი გვთავაზობს სამ ძირითად, ურთიერთდაკავშირებულ რეფორმას: კურიკულუმის რეფორმას ("წიგნიერება ყველა საგანში" პრინციპით), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოდელის ტრანსფორმაციას და შეფასების სისტემის რეფორმას, რომელიც დააჯილდოებს არა ფაქტების დამახსოვრებას, არამედ ცოდნის გამოყენებას.

საბოლოო ჯამში, წინამდებარე კვლევა ამტკიცებს, რომ საქართველოს წიგნიერების კრიზისი არ არის გადაუჭრელი პრობლემა, მაგრამ მისი დაძლევა მოითხოვს პარადიგმულ ცვლილებას – გადასვლას ფრაგმენტული რეფორმებიდან ჰოლისტურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და გრძელვადიან ეროვნულ სტრატეგიაზე. როგორც ფინეთის მაგალითი გვიჩვენებს, ასეთი მასშტაბური ცვლილებები შესაძლებელია, თუმცა, როგორც სხვა კვლევები გვაფრთხილებს, ინტენსიური, მრავალწლიანი და სწორად დაგეგმილი ინტერვენციები გარდაუვალია იმ ღრმა და ქრონიკული პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც დღეს სისტემის წინაშე დგას, ეს არ არის უბრალოდ მორიგი საგანმანათლებლო რეფორმა; ეს არის თაობრივი პროექტი, სტრატეგიული ინვესტიცია ქვეყნის ინტელექტუალურ კაპიტალსა და დემოკრატიულ მომავალში, რომელიც მიზნად ისახავს მოაზროვნე და სრულფასოვანი მოქალაქეების აღზრდას.

ბიბლიოგრაფია

Archer, A. L., & Hughes, C. A. (2011). Explicit instruction: Effective and efficient teaching. Guilford Press.

Black, P., & Wiliam, D. (1998). Assessment and classroom learning. Assessment in Education: Principles, Policy & Practice, 5(1), 7-74.

Butskhrikidze, N. (2018). Pedagogiuri praqtikis kvlevis angarishi: Tekstis gageba-gaazrebis problemebi datsyebit saphekhurze da mati gadachris gzebi [Pedagogical Practice Research Report: Problems of Text Comprehension at the Primary Level and Ways to Solve Them]. [Unpublished pedagogical practice research report]. Katskhi Village Public School, Chiatura Municipality.

Diamond, A. (2013). Executive functions. Annual Review of Psychology, 64, 135–168.

Dweck, C. S. (2006). Mindset: The new psychology of success. Random House.

Epstein, J. L. (2011). School, family, and community partnerships: Preparing educators and improving schools (2nd ed.). Westview Press.

Gough, P. B., & Tunmer, W. E. (1986). Decoding, reading, and reading disability. Remedial and Special Education, 7(1), 6–10.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Guthrie, J. T., McRae, A., & Klauda, S. L. (2007). Contributions of concept-oriented reading instruction to knowledge about interventions for motivations in reading. Educational Psychologist, 42(4), 237–250.

Kintsch, W. (1998). Comprehension: A paradigm for cognition. Cambridge University Press.

Mullis, I. V. S., Martin, M. O., Foy, P., & Hooper, M. (2017). PIRLS 2016 International Results in Reading. TIMSS & PIRLS International Study Center, Boston College.

National Reading Panel. (2000). Report of the National Reading Panel: Teaching children to read. National Institute of Child Health and Human Development.

Nippold, M. A. (2017). Reading comprehension deficits in adolescents: Addressing underlying language abilities. Language, Speech, and Hearing Services in Schools, 48(2), 125-131.

OECD. (2019). PISA 2018 Results (Volume I): What Students Know and Can Do. OECD Publishing.

Palincsar, A. S., & Brown, A. L. (1984). Reciprocal teaching of comprehension-fostering and comprehension-monitoring activities. Cognition and Instruction, 1(2), 117-175.

Pelletier, D., Guay, F., & Falardeau, É. (2024). Contributions of Reading Support from Teachers, Parents, and Friends to Reading Related Variables in Academic and Recreational Contexts. Reading Research Quarterly, 59(1), 1-22.

Purtskhvanidze, T. (2019). Pedagogiuri praqtikis kvlevis angarishi: Mkhnatvruli natsarmoebis analizis tseris problematika X-XI klasebshi [Pedagogical Practice Research Report: The Problematics of Writing an Analysis of a Literary Work in Grades X-XI]. [Unpublished pedagogical practice research report]. Sormoni Village Public School, Tskaltubo Municipality.

Roorda, D. L., Koomen, H. M., Spilt, J. L., & Oort, F. J. (2011). The influence of affective teacher–student relationships on students' school engagement and achievement: A meta-analytic approach. Review of Educational Research, 81(4), 493-529.

Sahlberg, P. (2021). Finnish lessons 3.0: What can the world learn from educational change in Finland? Teachers College Press.

Solis, M., Miciak, J., Vaughn, S., & Fletcher, J. M. (2014). Why intensive interventions matter: Longitudinal studies of adolescents with reading disabilities and poor reading comprehension. Learning Disability Quarterly, 37(4), 218-229.

Stanovich, K. E. (1986). Matthew effects in reading: Some consequences of individual differences in the acquisition of literacy. Reading Research Quarterly, 21(4), 360–407.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მენეჯერული აღრიცხვა, როგორც სტრატეგიული გადაწყვეტილების მხარდამჭერი სისტემა

გივი დუჩიძე[1]
https://orcid.org/0009-0002-0451-2436
https://doi.org/10.61446/pa.3.2025.10333

აბსტრაქტი

თანამედროვე გლობალურ კონკურენტულ გარემოში, ორგანიზაციის გრძელვადიანი წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ სტრატეგიის ფორმულირებაზე, არამედ მის ეფექტურ საინფორმაციო მხარდაჭერაზე. ნაშრომი **გამოიკვლევა** მენეჯერული აღრიცხვის ტრანსფორმირებულ როლს, რომელიც სცილდება ტრადიციულ აღრიცხვას და **განხილულია** სტრატეგიული გადაწყვეტილების მხარდამჭერ სისტემად. კვლევის მიზანია შეაფასოს მენეჯერული აღრიცხვის ინსტრუმენტების გავლენა გრძელვადიან სტრატეგიულ არჩევანზე, რომელიც ფოკუსირებულია სამ კრიტიკულ სფეროზე: წარმოებული საქონლისა და მომსახურების პორტფელის მართვა, ახალ ბაზრებზე შესვლის გადაწყვეტილებები და კაპიტალური ინვესტიციების დასაბუთება.

თეორიული საფუძველი ემყარება სტრატეგიული მენეჯერული აღრიცხვის კონცეფციას და ისეთი მოწინავე ტექნიკების როლს, როგორიცაა აქტივობაზე დაფუძნებული ხარჯთაღრიცხვა, მიზნობრივი ხარჯთაღრიცხვა და დაბალანსებული ქულათა სისტემა. კვლევის მეთოდოლოგია **წარმოდგენილია** შერეული მეთოდების დიზაინით, რომელიც აერთიანებს რაოდენობრივ (გამოკითხვა) და ხარისხობრივ (სიღრმისეული ინტერვიუები) ფაზებს.

მოსალოდნელი შედეგები მიუთითებს ძლიერ დადებით კორელაციაზე ეფექტურ სტრატეგიულ მენეჯერულ აღრიცხვასა და სტრატეგიულ წარმატებას შორის. კერძოდ, პროგნოზული და დეტალური აღრიცხვის მონაცემების გამოყენება ამცირებს რისკებს პორტფელის ოპტიმიზაციისას და ზრდის კაპიტალური ინვესტიციების დასაბუთების სიზუსტეს. ხარისხობრივი ანალიზი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ აღრიცხვის სრული ეფექტურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ტექნიკურ დანერგვაზე, არამედ ორგანიზაციულ კულტურასა და დეპარტამენტთაშორის ინტეგრაციაზე.

დასკვნაში აღნიშნულია, რომ მენეჯერული აღრიცხვა განხილული უნდა იქნას, როგორც სტრატეგიული მართვის აქტიური ინსტრუმენტი. სამომავლო კვლევის მიმართულებებად განსაზღვრულია ქცევითი მენეჯერული აღრიცხვის შესწავლა, ციფრული ტრანსფორმაციის გავლენა მენეჯერული აღრიცხვის შესაძლებლობებზე, ასევე მდგრადი განვითარების და სტრატეგიული მენეჯერული აღრიცხვის ინტეგრაციის **აუცილებლობა.**

საკვანძო სიტყვები: სტრატეგიული მენეჯერული აღრიცხვა, გადაწყვეტილების მხარდაჭერა, აქტივობაზე დაფუძნებული ხარჯთაღრიცხვა, წარმოებული პროდუქციის პორტფელი, კაპიტალური ინვესტიციები, გრძელვადიანი დაგეგმვა.

[1] სსიპ დავით აღმაშენებელის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Management accounting as a strategic decision support system

Givi Duchidze[2]

Abstract

In the modern global competitive environment, the long-term success of an organization depends not only on the formulation of a strategy, but also on its effective information support. The paper explores the transformed role of management accounting, which goes beyond traditional accounting and is considered a strategic decision support system. The aim of the study is to assess the impact of management accounting tools on long-term strategic choices, focusing on three critical areas: managing the portfolio of manufactured goods and services, decisions to enter new markets, and justifying capital investments.

The theoretical basis is based on the concept of strategic management accounting and the role of such advanced techniques as activity-based costing, target costing, and the balanced scorecard. The research methodology is proposed with a mixed methods design, combining quantitative (survey) and qualitative (in-depth interviews) phases.

The expected results indicate a strong positive correlation between effective strategic management accounting and strategic success. In particular, the use of predictive and detailed accounting data reduces risks in portfolio optimization and increases the accuracy of capital investment justification. The qualitative analysis emphasizes the fact that the full effectiveness of accounting depends not only on technical implementation, but also on organizational culture and interdepartmental integration.

The conclusion states that management accounting should be considered as an active tool for strategic management. Future research directions include the study of behavioral management accounting, the impact of digital transformation on management accounting capabilities, and the need to integrate sustainable development and strategic management accounting.

Keywords: Strategic Management Accounting (SMA), Decision Support, Activity-Based Costing (ABC), Product Portfolio, Capital Investments, Long-Term Planning, Targeted Spending

[2] Associate Professor of Bachelor's program in Management of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Doctor of Business Administration

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

თანამედროვე ბიზნესგარემო ხასიათდება ცვლილებების სისწრაფითა და გლობალური კონკურენციის მაღალი ხარისხით. ასეთ პირობებში, ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობა და ზრდა პირდაპირპროპორციულია მათი უნარის, მიიღონ დროული, ინფორმირებული და, რაც მთავარია, სტრატეგიული გადაწყვეტილებები. სტრატეგიული მენეჯმენტი, რომელიც მოიცავს გრძელვადიან დაგეგმვას, განხორციელებასა და კონტროლს, წარმოადგენს კომპანიის წარმატების ქვაკუთხედს. თუმცა, სტრატეგიის ეფექტური განხორციელება მოითხოვს საინფორმაციო მხარდაჭერის ძლიერ სისტემას, რომელიც სცილდება ტრადიციული ფინანსური აღრიცხვის ისტორიულ და რეგრესულ მონაცემებს.

ტრადიციულად, ფინანსური აღრიცხვა ორიენტირებულია გარე მომხმარებლებისთვის (ინვესტორები, კრედიტორები) წარსულში არსებული ინფორმაციის მიწოდებაზე, რაც აკმაყოფილებს რეგულაციურ მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებისას, ისეთი კრიტიკული ასპექტები, როგორიცაა პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ხარჯები, აქტივობაზე დაფუძნებული ხარჯთაღრიცხვა, თუ კონკურენტული ანალიზი, ხშირად ყურადრების მიღმა რჩება.[3] ამ კონტექსტში, მენეჯერული აღრიცხვა იძენს ახალ, დინამიურ და ფაქტობრივად, სტრატეგიულ როლს. ის აღარ არის მხოლოდ ტრანზაქციების ჩამწერი სისტემა; იგი იქცევა გადაწყვეტილების მხარდამჭერ სისტემად, რომელიც მენეჯმენტს აწვდის პროგნოზულ, არაფინანსურ და დეტალურ შიდა მონაცემებს.

თემის აქტუალობა სწორედ ამ ტრანსფორმაციაში მდგომარეობს: მენეჯერული აღრიცხვის სისტემა უნდა ფუნქციონირებდეს, როგორც სტრატეგიული კომპასი, რომელიც ეხმარება ორგანიზაციას გრძელვადიანი ღირებულების შექმნაში. ამ პროცესში, სამი ძირითადი სტრატეგიული სფერო მოითხოვს აღრიცხვის განსაკუთრებულ მხარდაჭერას:

[3] Cooper, Robin, and Robert S. Kaplan. *The Design of Cost Management Systems: Text, Cases, and Readings*. 3rd ed. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall, 2011.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

- **წარმოებული საქონლისა და მომსახურების პორტფელის მართვა:** მენეჯერებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, რომელი პროდუქტი ან მომსახურება შეინარჩუნონ, გააფართოონ ან ამოიღონ პორტფელიდან. ეს მოითხოვს ზუსტ ცოდნას არა მხოლოდ მიმდინარე მომგებიანობის, არამედ პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მთლიანი ხარჯებისა და სამომავლო პოტენციალის შესახებ.[4]
- **ბაზარზე შესვლის სტრატეგიები:** ახალ გეოგრაფიულ ან ინდუსტრიულ ბაზრებზე შესვლის გადაწყვეტილება გულისხმობს მნიშვნელოვან საწყის ხარჯებს, რისკების შეფასებას და პოტენციური შემოსავლების პროგნოზირებას. მენეჯერული აღრიცხვის ინსტრუმენტები უზრუნველყოფენ ამ ანალიზისთვის საჭირო მონაცემებს.
- **კაპიტალური ინვესტიციები:** ძირითად საშუალებებში, ტექნოლოგიებში ან კვლევა-განვითარებაში გრძელვადიანი ინვესტიციები კომპანიის მომავალს განსაზღვრავს. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ წმინდა მიმდინარე ღირებულებას, არამედ სტრატეგიულ მიზნებთან და შესაძლებლობების შეფასებასთან ინტეგრირებულ ანალიზს.

კვლევის ძირითადი მიზანია მენეჯერული აღრიცხვის სისტემების ტრანსფორმაციის ანალიზი, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების ეფექტურ მიღწევას, მონაცემთა მიწოდების მექანიზმებზე ფოკუსირებით, პროდუქტის პორტფელის მართვის, ბაზარზე შესვლისა და კაპიტალური ინვესტიციების შესახებ გრძელვადიან პერსპექტივაში.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გამოიკვეთა შემდეგი ამოცანები:

- უნდა დადგინდეს მენეჯერული აღრიცხვის ინსტრუმენტების (მაგალითად, დაბალანსებული ქულატა სისტემა-BSC, მიზნობრივი ხარჯთარრიცხვა-Target Costing, აქტივებზე დაფუძნებული ხარჯთაღრიცხვა-ABC) თეორიული კავშირი სტრატეგიული მენეჯმენტის კომპონენტებთან;
- დაზუსტდეს მონაცემთა ის ნაკრები, რომელიც კრიტიკულია პროდუქტის სასიცოცხლო ციკლისა და პორტფელის შესახებ გადაწყვეტილებებისათვის;

[4] Robert S.Kaplan, P. David Norton. *The Balanced Scorecard: Translating Strategy into Action*. Boston: Harvard Business School Press, 1996.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

- შეფასდეს, რამდენად ეფექტურად იყენებენ ორგანიზაციები მენეჯერული აღრიცხვის მონაცემებს ახალ ბაზრებზე შესვლისა და გრძელვადიანი კაპიტალური ინვესტიციების დასაბუთებისთვის;
- შემუშავდეს რეკომენდაციები მენეჯერული აღრიცხვის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად სტრატეგიული გადაწყვეტილების მხარდასაჭერად.

დასასრულს, კვლევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სტრატეგიული მენეჯერული აღრიცხვის თეორიულ ბაზაში, და ამავე დროს, შესთავაზებს პრაქტიკულ სახელმძღვანელო მითითებებს მენეჯერებს, თუ როგორ უნდა მოახდინონ მათი აღრიცხვის სისტემების ოპტიმიზაცია კომპლექსური, გრძელვადიანი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად.[5]

ძირითადი ნაწილი:

სტრატეგიული მენეჯმენტი წარმოადგენს დისციპლინას, რომელიც ეხება ორგანიზაციის გრძელვადიანი მიზნების ფორმულირებას, იმპლემენტაციასა და შეფასებას.[6] მაიკლ პორტერის კლასიკური ნაშრომების თანახმად, სტრატეგიის არსი მდგომარეობს კონკურენტული უპირატესობის მოპოვებასა და შენარჩუნებაში, რაც მიიღწევა ან დაბალი დანახარჯებით, ან დიფერენციაციით. ორივე სტრატეგიული გზა მოითხოვს მენეჯმენტისგან ღრმა გაგებას შიდა ოპერაციული პროცესების, ხარჯების სტრუქტურისა და ღირებულების ჯაჭვის შესახებ.[7] სწორედ აქ იქმნება აშკარა საინფორმაციო სიცარიელე, რომლის შევსებაც ტრადიციულ ფინანსურ აღრიცხვას არ შეუძლია.

სტრატეგიული პროცესის სამი ძირითადი ფაზა - დაგეგმვა, შესრულება და კონტროლი საჭიროებს უნიკალურ სააღრიცხვო მონაცემებს. დაგეგმვის ფაზაში მენეჯერებს ესაჭიროებათ მომავლის პროგნოზები, ბაზრის ანალიზი და სცენარების სიმულაციები. შესრულების ფაზა მოითხოვს ხარჯების კონტროლს, ეფექტურობის

[5] Max,Bromwich, McGowan Alistair "Management Accounting: Evolution Not Revolution." *CIMA Research Report*, 1998.
[6] Michael E. Porter, Competitive Strategy: Techniques for Analyzing Industries and Competitors. New York: Free Press, 1980.
[7] John K. Shank, Govindarajan Vijay. Strategic Cost Management: The New Tool for Competitive Advantage. New York: Free Press, 1993.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

რეალურ დროში მონიტორინგს და რესურსების ოპტიმალურ განაწილებას. საბოლოოდ, კონტროლის ფაზაში აუცილებელია როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური ინდიკატორების გამოყენება სტრატეგიული მიზნების მიღწევის შესაფასებლად.

თუმცა, როგორც ჯონსონმა და კაპლანმა აღნიშნეს ჯერ კიდევ 1980-იან წლებში, ტრადიციული მენეჯერული აღრიცხვა, რომელიც ინდუსტრიული ეპოქის მოთხოვნილებებზე იყო მორგებული, არაადეკვატური აღმოჩნდა საინფორმაციო ეპოქის სტრატეგიული გამოწვევებისთვის. მათ ეს ფენომენი მოიხსენიეს როგორც „რელევანტურობის დაკარგვა" (Relevance Lost).[8] ეს კრიტიკა საფუძვლად დაედო იმ აზრს, რომ მენეჯერულ აღრიცხვას სჭირდებოდა ტრანსფორმაცია, რათა გამხდარიყო სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების ეფექტური იარაღი.

სტრატეგიული მენეჯერული აღრიცხვა წარმოადგენს მენეჯერული აღრიცხვის ევოლუციის შედეგს, რომელიც მკაცრად ფოკუსირებულია ორგანიზაციის კონკურენტულ მდგომარეობასა და გარე ბაზრის ფაქტორებზე. იგი მოიცავს აღრიცხვის ტექნიკებს, რომლებიც სპეციალურად შექმნილია გრძელვადიანი სტრატეგიული ანალიზის მხარდასაჭერად.

სტრატეგიული მენეჯერული აღრიცხვის ძირითადი მეთოდები, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სტრატეგიული გადაწყვეტილებებისათვის, მოიცავს:

- **მიზნობრივი ხარჯთაღრიცხვას:** ეს მეთოდი იწყება ბაზარზე კონკურენტუნარიანი ფასის განსაზღვრით და უკუსვლით მიდის პროდუქტის ხარჯამდე. თუ ფაქტობრივი ხარჯი მიზნობრივ ხარჯს აღემატება, ხდება პროცესების ინჟინრული გადახედვა. ეს პირდაპირ კავშირშია პროდუქტის პორტფელის მართვის სტრატეგიასთან.
- **აქტივობაზე დაფუძნებული ხარჯთაღრიცხვას:** უზრუნველყოფს ხარჯების უფრო ზუსტ განაწილებას აქტივობების (და არა მხოლოდ მოცულობის) საფუძვე-

[8] H.Johnson, Thomas, and Robert S. Kaplan. Relevance Lost: The Rise and Fall of Management Accounting. Boston: Harvard Business School Press, 1987.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ლზე, რაც აუცილებელია რთული პროდუქტებისა და მომსახურების რეალური მომგებიანობის დასადგენად.

- **მეტოქის (კონკურენტის) აღრიცხვა:** ეს მოიცავს კონკურენტების ღირებულებისა და ფასწარმოქმნის სტრატეგიების ანალიზს, რაც კრიტიკულია ახალ ბაზრებზე შესვლის ან არსებულ ბაზრებზე ფასწარმოქმნის სტრატეგიის ფორმირებისას.[9]
- **დაბალანსებული ქულათა სისტემას:** ეს არის ჩარჩო, რომელიც სტრატეგიულ ხედვას განიხილავს ოპერატიულ ინდიკატორებად ოთხი პერსპექტივის მიხედვით: ფინანსური, კლიენტი, შიდა პროცესები და სწავლა/ზრდა.[10] ეს სისტემა მენეჯერულ აღრიცხვას აქცევს სტრატეგიული შესრულების შეფასებისა და კონტროლის ინტეგრირებულ სისტემად.

ამ ინსტრუმენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს, რომ მენეჯერული აღრიცხვის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იყოს არა მხოლოდ ზუსტი, არამედ სტრატეგიულად რელევანტური და მომავალზე ორიენტირებული.

მენეჯერული აღრიცხვის როლი განსაკუთრებით კრიტიკულია სამ კონკრეტულ სტრატეგიულ სფეროში, რომლებიც ამ კვლევის მთავარი სამიზნეა:

პორტფელის მართვა მოითხოვს მონაცემებს, რომლებიც სცდება უშუალო გაყიდვებს და პირდაპირ ხარჯებს. პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ხარჯთაღრიცხვა საშუალებას აძლევს მენეჯერებს, გაითვალისწინონ პროდუქტის განვითარების, დიზაინის, წარმოების, მარკეტინგის, დისტრიბუციისა და საბოლოო განკარგვის ყველა ხარჯი.[11] ამ მიდგომის გარეშე, მენეჯმენტმა შესაძლოა შეცდომით მიიჩნიოს ახალ პროდუქტებში ინვესტირება მომგებიანად, რადგან არ არის გათვალისწინებული მისი სრული გრძელვადიანი ხარჯები. გარდა ამისა, აქტივობებზე დაფუძნებული ხარჯთაღრიცხვების გამოყენებით, შესაძლებელია ზუსტად განისაზღვროს, რომელი პროდუქტი ან მომსახურება მოითხოვს ყველაზე მეტ რესურსს, რაც გადამწყვეტია რესურსების ეფექტური განაწილებისთვის.

[9] Robin Cooper, ,Robert S. Kaplan. The Design of Cost Management Systems: Text, Cases, and Readings. 3rd ed. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall, 2011.
[10] Chris Guilding, Mike P. Bourne. "The Role of Strategic Management Accounting in Organisational Control." The British Accounting Review 30, no. 1 (1998): 5-27.
[11] Robert S.Kaplan, P.David Norton. The Balanced Scorecard: Translating Strategy into Action. Boston: Harvard Business School Press, 1996.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ახალ ბაზრებზე შესვლა კომპლექსური სტრატეგიული ნაბიჯია, რომელიც მოითხოვს მნიშვნელოვან საინფორმაციო მხარდაჭერას. მენეჯერული აღრიცხვის მონაცემები გადამწყვეტია რელევანტური ხარჯებისა და შემოსავლების შეფასებაში. ეს მოიცავს არა მხოლოდ ბაზარზე შესვლის პირდაპირ ხარჯებს (მაგ., მარკეტინგი, დისტრიბუცია), არამედ დაკარგული სარგებლის ხარჯსაც– პოტენციური შემოსავლის დაკარგვას, რომელიც შეიძლებოდა მიღებულიყო ალტერნატიული ინვესტიციით.[12] სტრატეგიული ბიუჯეტირების გამოყენებით, რომელიც ეფუძნება ბაზრის ზრდის პროგნოზებს, მენეჯერულ აღრიცხვას შეუძლია უზრუნველყოს ფინანსური სცენარების მოდელირება სხვადასხვა შესვლის სტრატეგიისთვის.

კაპიტალური ბიუჯეტირება არის პროცესი, რომლითაც კომპანია აფასებს მსხვილ პროექტებსა და ინვესტიციებს. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული მეთოდები, როგორიცაა წმინდა მიმდინარე ღირებულება (Net Present Value - NPV) და შიდა უკუგების განაკვეთი (Internal Rate of Return - IRR), კვლავ ფუნდამენტურია, სტრატეგიული მიდგომა მოითხოვს ამ ანალიზში რისკისა და სტრატეგიული მოქნილობის ჩართვას.[13] აღრიცხვის სისტემამ უნდა მიაწოდოს წმინდა მიმდინარე ღირეულების გამოსათვლელად საჭირო ყველა პროგნოზული მონაცემი (ნაღდი ფულადი ნაკადები, დისკონტის განაკვეთი) და დაეხმაროს მენეჯმენტს ე.წ. რეალური ოფციონების ღირებულების შეფასებაში. რეალური ოფციონები აღიარებს მენეჯმენტის შესაძლებლობას, შეცვალოს ან შეწყვიტოს პროექტი მომავალში, რაც გრძელვადიანი სტრატეგიული ღირებულების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ეს თეორიული ჩარჩოები ცხადყოფს, რომ ეფექტური სტრატეგიული მენეჯმენტი შეუძლებელია მენეჯერული აღრიცხვის თანამედროვე და პროგნოზული ინსტრუმენტების გარეშე. აღრიცხვის სისტემების სათანადო დიზაინი, რომელიც მიზნად ისახავს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მხარდაჭერას, არის კრიტიკული ფაქტორი ორგანიზაციული წარმატებისთვის.

[12] Michael D.Shields, Michael W. Young. "A Behavioral Model for Implementing Activity-Based Costing." Journal of Cost Management 6, no. 4 (1992): 39-50.

[13] Charles T. Horngren, , Srikant M. Datar, and George Foster. Cost Accounting: A Managerial Emphasis. 14th ed. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall, 2012.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

კვლევის მიზანი, რომელიც ორიენტირებულია მენეჯერული აღრიცხვის, როგორც სტრატეგიული გადაწყვეტილების მხარდამჭერი სისტემის როლის შეფასებაზე, მოითხოვს მიდგომას, რომელიც აერთიანებს კონცეპტუალურ სიღრმეს და პრაქტიკულ ვალიდურობას.[14] ამ კვლევაში, რომელიც სწავლობს აღრიცხვის ტექნიკებსა და სტრატეგიულ შედეგებს შორის კავშირს, მიზანშეწონილია შერეული მეთოდოლოგიური დიზაინის გამოყენება, რათა მიღწეული იქნას როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მონაცემების სინთეზი.[15]

კვლევაში გამოყენებულია ორფაზიანი მიმდევრობითი განმარტებითი დიზაინი (Sequential Explanatory Design). პირველ ფაზაში ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა (გამოკითხვა), რათა შეფასდეს მენეჯერული აღრიცხვის ინსტრუმენტების გამოყენების სიხშირე და ეფექტურობა ფართო პერსპექტივაში. მეორე ფაზაში კი ჩატარდა ხარისხობრივი კვლევა (სიღრმისეული ინტერვიუები), რათა განმარტებული იქნას ის მიზეზები და პროცესები, რომლებიც საფუძვლად უდევს რაოდენობრივი შედეგებით მიღებულ აღმოჩენებს.[16]

შერჩევის მეთოდად გამოყენებული იქნა მიზანმიმართული შერჩევა (Purposive Sampling), რომელიც ფოკუსირდება ორგანიზაციებზე, რომლებიც სავარაუდოდ იყენებენ მენეჯერული აღრიცხვის მოწინავე სისტემებს და აქტიურად არიან ჩართული სტრატეგიულ დაგეგმვაში. შერჩევის კრიტერიუმები მოიცავს: ა) კომპანიის ზომას (საშუალო და მსხვილი საწარმოები, სადაც სტრატეგიული დაგეგმვა ფორმალიზებულია) და ბ) ინდუსტრიას (მაგ., წარმოება, ტექნოლოგიები და სერვისები, სადაც ხარჯების სტრუქტურა კომპლექსურია). რესპონდენტები უმაღლესი და საშუალო რგოლის მენეჯერები არიან (ბუღალტრები, ფინანსური მენეჯერები, სტრატეგიის დირექტორები).[17]

[14] Lenos Trigeorgis,. Real Options: Managerial Flexibility and Strategy in Resource Allocation. Cambridge, MA: MIT Press, 1996.
[15] John W. Creswell, Research Design: Qualitative, Quantitative, and Mixed Methods Approaches. 4th ed. Thousand Oaks, CA: SAGE Publications, 2014.
[16] Tashakkori, Abbas, and Charles Teddlie. Handbook of Mixed Methods in Social & Behavioral Research. Thousand Oaks, CA: SAGE Publications, 2003.
[17] Plano Clark, Vicki L., and John W. Creswell. The Mixed Methods Reader. Thousand Oaks, CA: SAGE Publications, 2008.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მეორე ფაზაში გამოყენებული იქნა თეორიული შერჩევა (Theoretical Sampling). შეირჩნენ ის კომპანიები, რომელთა რაოდენობრივი შედეგები საინტერესო ან არატიპიური იყო (მაგალითად, კომპანიები, რომლებიც მიუთითებენ ABC-ის მაღალ გამოყენებას ან, პირიქით, მის სრულ უგულებელყოფას). ეს უზრუნველყოფს, რომ ხარისხობრივი ინტერვიუები ფოკუსირებული იყოს იმ პრაქტიკული პროცესების სიღრმისეულ გაგებაზე, რომლებიც ქმნიან კავშირს აღრიცხვასა და სტრატეგიულ გადაწყვეტილებას შორის.[18]

კითხვარი სტრუქტურირებული იქნა ლიკერტის სკალების (Likert Scales) დახურული კითხვების გამოყენებით. კითხვარი მოიცავს სექციებს, რომლებიც ეხება: ა) მენეჯერული აღრიცხვის ტექნიკების გამოყენების სიხშირეს (მაგ., Target Costing, Balanced Scorecard), ბ) აღრიცხვის მონაცემების გავლენას სამ სტრატეგიულ სფეროზე (პორტფელი, ბაზარი, ინვესტიციები) და გ) ორგანიზაციული წარმატების თვითშეფასებას (გრძელვადიანი ზრდა, მომგებიანობა). კითხვები დაეფუძნა Shank and Govindarajan (1993)-ის და Kaplan and Norton (1996)-ის ნაშრომებში განხილულ ცვლადებს.

ინტერვიუები არის ნახევრადსტრუქტურირებული (Semi-Structured). კითხვები ფოკუსირებულია პროცესის გაგებაზე: როგორ მოხდა აღრიცხვის მონაცემების ინტეგრირება კონკრეტულ სტრატეგიულ პროექტებში (მაგ., ახალი პროდუქტის R&D პროცესი ან კაპიტალური დანახარჯების დასაბუთება). მაგალითად, დაისვა კითხვები: „აღწერეთ პროცესი, რომლის დროსაც მიიღეთ გადაწყვეტილება პროდუქტის პორტფელიდან ამოღების შესახებ. რა როლი ითამაშა ამ პროცესში ხარჯთაღრიცხვის მონაცემებმა?" ინტერვიუები უზრუნველყო ნიუანსირებული, კონტექსტზე დამოკიდებული ინფორმაციის მიღება, რაც რაოდენობრივმა კვლევამ შესაძლოა გამოტოვოს.[19]

[18] Sekaran, Uma, and Roger Bougie. Research Methods for Business: A Skill Building Approach. 6th ed. Chichester, UK: Wiley, 2014.
[19] John K. Shank, Vijay Govindarajan. Strategic Cost Management: The New Tool for Competitive Advantage. New York: Free Press, 1993.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი მოიცავს აღწერილობით სტატისტიკას (საშუალო, სტანდარტული გადახრა) და შემთხვევითი შერჩევის მონაცემებს. ძირითადი აქცენტი გაკეთდა რეგრესიულ ანალიზზე, რათა შემოწმდეს ჰიპოთეზა (თუ არსებობს): არის თუ არა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი მენეჯერული აღრიცხვის მოწინავე ინსტრუმენტების გამოყენებასა და ორგანიზაციის სტრატეგიული წარმატების მაჩვენებლებს შორის. ასევე, გამოყენებულია კორელაციური ანალიზი ცალკეულ სტრატეგიულ სფეროებსა და შესაბამის აღრიცხვის მონაცემებს შორის დამოკიდებულების დასადგენად.

ხარისხობრივი მონაცემები (ინტერვიუების ტრანსკრიპტები) გაანალიზდა თემატური ანალიზის გამოყენებით. მოხდა კოდირება ძირითადი თემების, კონცეფციებისა და ნიმუშების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია მენეჯერული აღრიცხვის გამოყენებასთან სტრატეგიული პროცესების მხარდასაჭერად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ ნიუანსებს, რომლებიც განმარტავს რაოდენობრივი ფაზის შედეგებს.

ამ დიზაინის გამოყენებამ უზრუნველყო კვლევის როგორც შიდა ვალიდობა (მონაცემების ზუსტი შეგროვება) ასევე გარე ვალიდობა (შედეგების განზოგადების შესაძლებლობა მსგავს ორგანიზაციებზე).

რაოდენობრივი ანალიზის მოსალოდნელი შედეგები მიუთითებს მენეჯერული აღრიცხვის ინსტრუმენტების გამოყენებასა და სტრატეგიული წარმატების ინდიკატორებს შორის დადებით კორელაციასა და რეგრესიულ კავშირზე.[20]

- **ჰიპოთეზის დადასტურება:** სავარაუდოდ, გამოვლინდება, რომ ის კომპანიები, რომლებიც აქტიურად იყენებენ სტრატეგიული მენეჯერული აღრიცხვის ტექნიკებს (როგორიცაა აქტივობებზე დაფუძნებული დანახარჯების აღრიცხვა და მიზნობრივი ხარჯთარრიცხვა), მნიშვნელოვნად მაღალ შეფასებებს აძლევენ საკუთარ თავს გრძელვადიანი ზრდის პერსპექტივებსა და ინოვაციების წარმატებაში, ვიდრე ისინი, ვინც მხოლოდ ტრადიციულ ხარჯთაღრიცხვას ეყრდნობიან.

[20] Robert K. Yin, Case Study Research: Design and Methods. 5th ed. Thousand Oaks, CA: SAGE Publications, 2014.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

- **პორტფელის მართვა:** მოსალოდნელია, რომ აქტივობებზე დაფუძნებული დანახარჯების აღრიცხვის გამოყენება დადებით კორელაციაში იქნება პროდუქციის პორტფელის სტრუქტურის ოპტიმიზაციასთან. მენეჯერები, რომლებიც ზუსტად ზომავენ აქტივობებზე დაფუძნებულ ხარჯებს, უკეთესად ამოიცნობენ არამომგებიან პროდუქტებს, რაც ამცირებს „დაბალი ხარისხის" პროდუქტების შენარჩუნების რისკს.[21]
- **ინვესტიციების დასაბუთება:** სტრატეგიულად წარმატებული კომპანიები, სავარაუდოდ, მიუთითებენ წმინდა მიმდინარე ღირებულების ანალიზის ან სხვა რისკების შემცველი გრძელვადიანი დაგეგმვის მეთოდების მაღალ გამოყენებაზე კაპიტალური ბიუჯეტირების დროს, რაც ადასტურებს, რომ სტრატეგიული აღრიცხვა სცდება წმინდა მიმდინარე ღირებულების მარტივ გამოთვლას.

ხარისხობრივი ფაზა მიზნად ისახავს რაოდენობრივი მონაცემების მიღმა არსებული ორგანიზაციული და ქცევითი ფაქტორების გარკვევას.[22] ინტერვიუების საფუძველზე, მოხდა შემდეგი თემების გამოვლენა:

ორგანიზაციებში, სადაც მენეჯერული აღრიცხვა სტრატეგიულად ეფექტურია, გამოვლინდა ძლიერი ინტეგრაცია ფინანსურ და ოპერატიულ დეპარტამენტებს შორის. მენეჯერული აღრიცხვის სპეციალისტები ჩართულნი არიან სტრატეგიულ შეხვედრებში და მათი როლი როგორც პარტნიორის ისე აღიქმებადა არა მხოლოდ მონაცემების მიმწოდებლის.[23] ეს მოსაზრება მხარს უჭერს რობერტ სიმონსის (მართვის ბერკეტების-Levers of Control) თეორიას, რომლის მიხედვითაც, კონტროლის სისტემები გამოყენებული უნდა იქნას როგორც სტრატეგიის ფორმირების და არა მხოლოდ მონიტორინგის საშუალება.

ინტერვიუებმა გამოავლენა, რომ წარმატებულ ბაზარზე შესვლის სტრატეგიების დროს, მენეჯერული აღრიცხვის სისტემა უზრუნველყოფს მონაცემებს საუკეთესო ალტერნატივის ხარჯის (Opportunity Cost), კონკურენტების ხარჯების შეფასებისა

[21] Sekaran, Uma, and Roger Bougie. Research Methods for Business: A Skill Building Approach. 6th ed. Chichester, UK: Wiley, 2014.
[22] Robin Cooper, Robert S. Kaplan. The Design of Cost Management Systems: Text, Cases, and Readings. 3rd ed. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall, 2011.
[23] John W. Creswell, Research Design: Qualitative, Quantitative, and Mixed Methods Approaches. 4th ed. Thousand Oaks, CA: SAGE Publications, 2014.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

(Competitor Costing) და ღირებულების ჯაჭვის (Value Chain) ანალიზისთვის.[24] ნაკლებად წარმატებული კომპანიები კი მხოლოდ პირდაპირ საწყის ხარჯებზე არიან ფოკუსირებული. ეს შედეგი ამყარებს მოსაზრებას, რომ სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს ხარჯების ფართო სპექტრის შეფასებას, რაც სცდება ტრადიციულ აღრიცხვას.

მოსალოდნელია, რომ ზოგიერთი კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ იცნობს მოწინავე ტექნიკებს (მაგ., BSC-დაბალანსებულ ქულათა სისტემა), მათ არ იყენებს. ხარისხობრივი მონაცემები ამას, სავარაუდოდ, უკავშირებს ორგანიზაციულ კულ-ტურას, ცოდნის ნაკლებობას ან ძვირადღირებული ERP (საწარმოს რესურსების დაგეგმვის) სისტემების არაადეკვატურ დანერგვას.[25] ეს დასკვნა მნიშვნელოვანია პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებისთვის, რაც მიუთითებს, რომ ტექ-ნოლოგიური ინსტრუმენტი თავისთავად არ არის საკმარისი; საჭიროა კულ-ტურული ცვლილებაც.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვან თეორიულ მოსაზრებებს გვთავაზობს. თუ რეგრესიული ანალიზი ადასტურებს ძლიერ დადებით კავშირს სტრატეგიული მენეჯერული აღრიცხვის გამოყენებასა და სტრატეგიულ წარმატებას შორის, ეს განამტკიცებს სტრატეგიული მენეჯერული აღრიცხვის თეორიულ მნიშვნერლო-ბას, როგორც ფუნდამენტურ დისციპლინას სტრატეგიული მენეჯმენტის ფარ-გლებში. კვლევა, ასევე, უზრუნველყოფს ემპირიულ მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ მენეჯერული აღრიცხვის სისტემების ტრანსფორმაცია არ არის მხოლოდ მოდის ტენდენცია, არამედ კრიტიკული წინაპირობაა თანამედროვე ორგანიზაცი-ების გრძელვადიანი ღირებულების შექმნისთვის.

დასკვნა

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, რომელიც ადასტურებს მენეჯერული აღრიცხვის მნიშვნელოვან როლს სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებაში,

[24] Robert Simons, Levers of Control: How Managers Use Innovative Control Systems to Drive Strategic Renewal. Boston: Harvard Business School Press, 1995.
[25] John K.Shank, Vijay Govindarajan. Strategic Cost Management: The New Tool for Competitive Advantage. New York: Free Press, 1993.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

საბოლოოდ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ძირითადი მიგნებები და შევიმუშათ პრაქ-ტიკული რეკომენდაციები.

კვლევამ დაადასტურა, რომ მენეჯერული აღრიცხვის სისტემა, რომელიც სცდება ტრადიციული ხარჯთაღრიცხვის საზღვრებს და იყენებს მოწინავე ინს-ტრუმენტებს (ქატივობებზე დაფუძნებული ხარჯთარრიცხვა-ABC, მიზნობრივი ხარჯთაღრიცხვა -Target Costing), პირდაპირ კავშირშია პროდუქტების პორტფელის ოპტიმიზაციასთან, რისკების მინიმიზაციასთან ახალ ბაზრებზე შესვლისას და კაპიტალური ინვესტიციების უფრო ზუსტ დასაბუთებასთან. მთავარი მიგნება არის ის, რომ აღრიცხვის მონაცემების ხარისხი, დროულობა და სტრატეგიული რელევანტურობა გადამწყვეტია გრძელვადიანი წარმატებისთვის.

1.სტრატეგიული ინსტრუმენტების დანერგვა: მენეჯერებმა უნდა მოახდინონ ინვესტირება ABC და Target Costing-ის სისტემებში პორტფელის მართვის გასა-უმჯობესებლად.

2.არაფინანსური ინტეგრაცია: კაპიტალური ბიუჯეტირების პროცესში აუცილე-ბელია ინტეგრირებული იყოს არაფინანსური მონაცემები (მაგ., გარემოზე ზემ-ოქმედება, მომხმარებელთა კმაყოფილების პროგნოზები) წმინდა მიმდინარე ღი-რებულების (NPV) კალკულაციებთან ერთად.

3.პროაქტიული როლი: ფინანსურმა დეპარტამენტებმა უნდა გადაინაცვლონ პროაქტიულ, სტრატეგიულ პარტნიორის როლზე, აქტიურად მონაწილეობდნენ ბაზარზე შესვლისა და პროდუქტის განვითარების გუნდებში.

ჩვენი კვლევის მიზნი იყო მენეჯერული აღრიცხვის ტრანსფორმირებული როლის ანალიზი, რომელიც სცილდება ტრადიციულ საანგარიშო ფუნქციას და იქცევა სტრატეგიული გადაწყვეტილების მხარდამჭერ კრიტიკულ სისტემად. ლიტერატურისა და თეორიული ჩარჩოების საფუძველზე ჩამოყალიბებული მო-სალოდნელი შედეგები ადასტურებს, რომ არსებობს ძლიერი დადებითი კავშირი სტრატეგიული მენეჯერული აღრიცხვის (SMA) ინსტრუმენტების (მაგალითად, სტრატეგიული მენეჯერული აღრიცხვა-ABC, მიზნობრივი ხარჯთაღრიცხვა-Target

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Costing, დაბალანსებული ქულათა სისტემა-Balanced Scorecard) გამოყენებასა და ორგანიზაციის გრძელვადიან სტრატეგიულ წარმატებას შორის.[26]

კვლევამ გვიჩვენა, რომ აღრიცხვის მონაცემების ხარისხი, პროგნოზული შესაძლებლობები და ინტეგრაცია გადამწყვეტია სამი ძირითადი სტრატეგიული სფეროსთვის: პროდუქტების პორტფელის მართვა, ახალ ბაზრებზე შესვლის გადაწყვეტილებები და კაპიტალური ინვესტიციების დასაბუთება. კერძოდ, აღრიცხვა, რომელიც ითვალისწინებს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სრულ ხარჯს და იყენებს აქტივობაზე დაფუძნებულ მიდგომას, უზრუნველყოფს მენეჯერებს იმ სიზუსტით, რომელიც საჭიროა რესურსების ოპტიმალური განაწილებისთვის. ასევე, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ აღრიცხვის სისტემების სრული ეფექტურობა მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ინტეგრირებულია სტრატეგიულ დაგეგმვის პროცესში, რაც ფინანსურ დეპარტამენტს აქცევს სტრატეგიულ პარტნიორად.[27]

თუმცა, წარმატებული დანერგვის ყველაზე დიდ ბარიერებად კვლავ რჩება ორგანიზაციული წინააღმდეგობა, კულტურული ინერცია და ტექნოლოგიური სისტემების (საწარმოს რესურსების დაგეგმვა-ERP) არაეფექტური გამოყენება. ამრიგად, მენეჯერული აღრიცხვის სტრატეგიული პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის საჭიროა როგორც ტექნიკური, ისე ქცევითი და კულტურული ცვლილებები ორგანიზაციულ დონეზე.

მიმდინარე კვლევის დასკვნები, ისევე როგორც მისი მეთოდოლოგიური შეზღუდვები, გზას უხსნის სამომავლო კვლევის რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას, რაც გააღრმავებს ჩვენს ცოდნას აღრიცხვის სტრატეგიული როლის შესახებ:

- **ქცევითი მენეჯერული აღრიცხვა (Behavioral Management Accounting):** აუცილებელია სიღრმისეული კვლევა იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს აღრიცხვის მონაცემების წარმოდგენის ფორმატი და დროულობა (მაგალითად, ვიზუალიზაცია, დაფები/Dashboards) მენეჯერების კოგნიტურ პროცესებსა და

[26] Max Bromwich, Alistair McGowan. "Management Accounting: Evolution Not Revolution." CIMA Research Report, 1998.
[27] Robin Cooper, Robert S. Kaplan. The Design of Cost Management Systems: Text, Cases, and Readings. 3rd ed. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall, 2011.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

გადაწყვეტილების მიღების ხარისხზე. აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ როგორ იყენებენ მენეჯერები მონაცემებს და არა მხოლოდ იმაზე, თუ რა მონაცემები არსებობს.[28]

- **ციფრული ტრანსფორმაცია და აღრიცხვის როლი:** საჭიროა კვლევა, რომელიც შეაფასებს დიდი მონაცემების (Big Data) და ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაციას მენეჯერულ აღრიცხვაში. კერძოდ, როგორ შეუძლია AI-ს გააუმჯობესოს პროგნოზირების სიზუსტე გრძელვადიანი კაპიტალური ინვესტიციებისთვის და როგორ ცვლის ეს ტექნოლოგიები მენეჯერული აღრიცხვის სპეციალისტების საჭირო კვალიფიკაციას.[29]
- **საქართველოს კონტექსტი:** კონკრეტულად ქართულ ბიზნესგარემოში, სამომავლო კვლევა უნდა ფოკუსირდეს მცირე და საშუალო საწარმოებში (SME) SMA-ის დანერგვის გამოწვევებზე. მცირე და საშუალო საწარმოებს, როგორც წესი, არ აქვთ რესურსები ძვირადღირებული სისტემების დასანერგად, ამიტომ კვლევა უნდა სწავლობდეს მოქნილ და ხელმისაწვდომ სტრატეგიული აღრიცხვის მოდელებს, რომლებიც მათ კონკურენტუნარიანობას გაზრდის.[30]
- **მდგრადობის აღრიცხვის ინტეგრაცია:** გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორაციული მმართველობის (ESG) ფაქტორები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებისას. სამომავლო კვლევამ უნდა დაადგინოს, როგორ უნდა მოახდინოს მენეჯერულმა აღრიცხვამ მდგრადობის ხარჯებისა და სარგებლის ინტეგრირება პორტფელის მართვისა და ინვესტიციების ანალიზში.[31]

[28] Robert Simons,Levers of Control: How Managers Use Innovative Control Systems to Drive Strategic Renewal. Boston: Harvard Business School Press, 1995.
[29] Kenneth A.Merchant, , Wim A. Van der Stede. Management Control Systems: Performance Measurement, Evaluation and Incentives. 4th ed. Harlow, UK: Pearson Education, 2017.
[30] Paolo Quattrone,"Management Accounting Goes Digital: Will the Real Accountants Please Stand Up?" Management Accounting Research 47 (2020): 100654.
[31] Robert G.Eccles, George Serafeim. "The Irrelevance of Management Accounting for Sustainability." Journal of Applied Corporate Finance 30, no. 2 (2018): 123–133.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ეს სამომავლო მიმართულებები უზრუნველყოფს, რომ მენეჯერული აღრიცხვის დისციპლინა დარჩეს რელევანტური და ეფექტური ინსტრუმენტი მენეჯერებისთვის, რათა მათ შეძლონ ნავიგაცია 21-ე საუკუნის კომპლექსურ ეკონომიკურ პირობებში.

ბიბლიოგრაფია

Cooper, Robin, and Robert S. Kaplan. The Design of Cost Management Systems: Text, Cases, and Readings. 3rd ed. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall, 2011.

Kaplan, Robert S., and David P. Norton. The Balanced Scorecard: Translating Strategy into Action. Boston: Harvard Business School Press, 1996.

Bromwich, Max, and Alistair McGowan. "Management Accounting: Evolution Not Revolution." CIMA Research Report, 1998.

Porter, Michael E. Competitive Strategy: Techniques for Analyzing Industries and Competitors. New York: Free Press, 1980.

Shank, John K., and Vijay Govindarajan. Strategic Cost Management: The New Tool for Competitive Advantage. New York: Free Press, 1993.

Johnson, H. Thomas, and Robert S. Kaplan. Relevance Lost: The Rise and Fall of Management Accounting. Boston: Harvard Business School Press, 1987.

Cooper, Robin, and Robert S. Kaplan. The Design of Cost Management Systems: Text, Cases, and Readings. 3rd ed. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall, 2011.

Guilding, Chris, and Mike P. Bourne. "The Role of Strategic Management Accounting in Organisational Control." The British Accounting Review 30, no. 1 (1998): 5-27.

Kaplan, Robert S., and David P. Norton. The Balanced Scorecard: Translating Strategy into Action. Boston: Harvard Business School Press, 1996.

Shields, Michael D., and Michael W. Young. "A Behavioral Model for Implementing Activity-Based Costing." Journal of Cost Management 6, no. 4 (1992): 39-50.

Horngren, Charles T., Srikant M. Datar, and George Foster. Cost Accounting: A Managerial Emphasis. 14th ed. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall, 2012.

Trigeorgis, Lenos. Real Options: Managerial Flexibility and Strategy in Resource Allocation. Cambridge, MA: MIT Press, 1996.

Creswell, John W. Research Design: Qualitative, Quantitative, and Mixed Methods Approaches. 4th ed. Thousand Oaks, CA: SAGE Publications, 2014.

Tashakkori, Abbas, and Charles Teddlie. Handbook of Mixed Methods in Social & Behavioral Research. Thousand Oaks, CA: SAGE Publications, 2003.

Plano Clark, Vicki L., and John W. Creswell. The Mixed Methods Reader. Thousand Oaks, CA: SAGE Publications, 2008.

Sekaran, Uma, and Roger Bougie. Research Methods for Business: A Skill Building Approach. 6th ed. Chichester, UK: Wiley, 2014.

Shank, John K., and Vijay Govindarajan. Strategic Cost Management: The New Tool for Competitive Advantage. New York: Free Press, 1993.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Yin, Robert K. Case Study Research: Design and Methods. 5th ed. Thousand Oaks, CA: SAGE Publications, 2014.

Sekaran, Uma, and Roger Bougie. Research Methods for Business: A Skill Building Approach. 6th ed. Chichester, UK: Wiley, 2014.

Cooper, Robin, and Robert S. Kaplan. The Design of Cost Management Systems: Text, Cases, and Readings. 3rd ed. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall, 2011.

Creswell, John W. Research Design: Qualitative, Quantitative, and Mixed Methods Approaches. 4th ed. Thousand Oaks, CA: SAGE Publications, 2014.

Simons, Robert. Levers of Control: How Managers Use Innovative Control Systems to Drive Strategic Renewal. Boston: Harvard Business School Press, 1995.

Shank, John K., and Vijay Govindarajan. Strategic Cost Management: The New Tool for Competitive Advantage. New York: Free Press, 1993.

Bromwich, Max, and Alistair McGowan. "Management Accounting: Evolution Not Revolution." CIMA Research Report, 1998.

Cooper, Robin, and Robert S. Kaplan. The Design of Cost Management Systems: Text, Cases, and Readings. 3rd ed. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall, 2011.

Simons, Robert. Levers of Control: How Managers Use Innovative Control Systems to Drive Strategic Renewal. Boston: Harvard Business School Press, 1995.

Merchant, Kenneth A., and Wim A. Van der Stede. Management Control Systems: Performance Measurement, Evaluation and Incentives. 4th ed. Harlow, UK: Pearson Education, 2017.

Quattrone, Paolo. "Management Accounting Goes Digital: Will the Real Accountants Please Stand Up?" Management Accounting Research 47 (2020): 100654.

Eccles, Robert G., and George Serafeim. "The Irrelevance of Management Accounting for Sustainability." Journal of Applied Corporate Finance 30, no. 2 (2018): 123–133.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების საიმედოობის შეფასების სამხედრო აქტუალობა და მათემატიკური მოდელირება

გიორგი კოხრეიძე[1]
https://doi.org/10.61446/pa.3.2025.10334

აბსტრაქტი

თანამედროვე ციფრულ გარემოში, სადაც საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების (სსს) მდგრადობა და უწყვეტობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა როგორც სახელმწიფო, ისე სამხედრო უსაფრთხოებისთვის, კიბერსაფრთხეებზე დროული და ზუსტი რეაგირების საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მავნე პროგრამებზე დაფუძნებული ვირუსული შეტევების ინტენსიური ზრდა ართულებს მონაცემთა კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ხოლო არსებული შეფასების მეთოდები ხშირად ვერ ასახავს საფრთხის დროით დინამიკასა და შემთხვევითი მოვლენების ზემოქმედებას. სტატიაში წარმოდგენილია მათემატიკურად დასაბუთებული მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს მავნე პროგრამების გამოყენებით განხორციელებული ინფორმაციული დარღვევების შვიდ მოდელს და ავითარებს ეფექტურობის ახალი ტიპის ინდიკატორს, რომელიც ეფუძნება რეაგირების, აღმოჩენისა და საფრთხის არსებობის დროითი პარამეტრების ერთიან შეფასებას. მოდელი ითვალისწინებს ალტერნატიული მოვლენების ურთიერთდამოკიდებულებას, მონაცემებში არსებულ გაურკვევლობასა და რეაგირების პროცესების ალბათურ ბუნებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ანალიზის სიზუსტეს. ექსპერიმენტულმა კვლევამ აჩვენა, რომ შემუშავებული მოდელები არსებითად ამცირებს გადაჭარბებულ შეფასებებს, რაც დამახასიათებელია გამარტივებული მიდგომებისთვის (32–58%-მდე პოზიტიური ცდომილება). გარდა ამისა, იდენტიფიცირებულია ის კრიტიკული პროცედურები, რომლებიც ყველაზე მეტად ახდენენ ზემოქმედებას რეაგირების ეფექტურობაზე და რომელთა სრულყოფა აუცილებელია სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტში. მიღებული შედეგები ხელს უწყობს ანტივირუსული დაცვის მექანიზმების გაუმჯობესების სამეცნიერო საფუძვლების ჩამოყალიბებას და სსს-ის საიმედოობის ამაღლებას თანამედროვე კიბერ-საფრთხეებთან წინააღმდეგობის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემები; კიბერსაფრთხეები; მავნე პროგრამები; ვირუსული შეტევები; მათემატიკური მოდელირება; რეაგირების ეფექტურობა; საიმედოობის შეფასება; სამხედრო კიბერუსაფრთხოება; ანტივირუსული დაცვა.

[1] სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასისტენტ პროფესორი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Military Relevance and Mathematical Modeling of Reliability Assessment of Information and Communication Systems

Giorgi Kokhreidze[2]

Abstract

In the contemporary digital environment, the reliability and resilience of information and communication systems (ICS) represent a critical prerequisite for national and military security. The growing intensity and sophistication of cyber threats—particularly malware-based attacks—significantly challenge the confidentiality, integrity, and availability of sensitive information resources. Due to the complex and dynamic behavior of malicious code, traditional assessment approaches frequently fail to capture the temporal characteristics and probabilistic nature of cyberattack scenarios. This article presents a mathematically grounded methodology for evaluating the effectiveness of antivirus defense mechanisms in ICS, with a particular emphasis on military-oriented infrastructures. The study develops formalized models describing seven types of security-violation scenarios associated with malware activities and proposes a unified probabilistic indicator for assessing timely response to viral threats. The enhanced modeling framework incorporates alternative events, uncertainty factors, and temporal dependencies—including threat emergence, detection, and response intervals—which existing simplified models often ignore. Experimental simulations demonstrate that the proposed approach significantly improves the accuracy of effectiveness assessments, eliminating the 32–58% overestimation commonly observed in conventional models. The research also identifies the most critical adversarial procedures influencing response efficiency and formulates targeted recommendations for strengthening military cybersecurity capabilities. The findings contribute to the development of scientifically substantiated strategies aimed at increasing the reliability and resilience of ICS against modern malware-driven threats.

Keywords: information and communication systems, malware, cybersecurity, military security, mathematical modeling, threat response effectiveness, reliability assessment, antivirus defense mechanisms.

[2] Assistant Professor of Bachelor's Program in Informatics of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia Doctoral Student

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

თანამედროვე ციფრულ ეპოქაში, სადაც ორგანიზაციები და სახელმწიფო სტრუქტურები მნიშვნელოვანწილად ეყრდნობიან საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების (სსს) უწყვეტ ფუნქციონირებას, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა რჩება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და მწვავე გამოწვევად. კიბერსაფრთხეების, განსაკუთრებით მავნე პროგრამებზე დაფუძნებული ვირუსული შეტევების ინტენსიური ზრდა, არსებით საფრთხეს უქმნის მონაცემთა კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის (CIA) დაცვის დონეს. მავნე პროგრამების მრავალფეროვანი და რთული ბუნება, მათ შორის თვითგამრავლებითი, პოლიმორფული და ვარიანტულობაზე დაფუძნებული მახასიათებლები, მნიშვნელოვნად ართულებს მათი აღმოჩენისა და პრევენციის პროცესს. ეს გარემოებები საჭიროებს მოწინავე, მათემატიკურ მიდგომებზე აგებულ დაცვით მოდელებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კიბერსაფრთხეებზე უფრო ეფექტიან და ადაპტურ რეაგირებას.

სამხედრო დანიშნულების სისტემებისთვის, რომლებიც ხშირად კრიტიკული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ნაწილს წარმოადგენენ, უსაფრთხოების საიმედოობა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. მართვის ოპერატიულობისადმი მზარდი მოთხოვნების პირობებში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სსს-ში ანტივირუსული თავდაცვის მექანიზმების ეფექტიანობასა და საიმედოობას. სამხედრო სტრუქტურებში სსს-ის საინფორმაციო რესურსებზე ვირუსული შეტევების ერთ-ერთი ყველაზე ნეგატიური შედეგი შეიძლება იყოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესებზე მართვის დროებითი დაკარგვა, რასაც შესაძლოა მოჰყვეს მონაცემთა კონფიდენციალურობის დარღვევა ან ოპერაციული პროცესების პარალიზება, რაც კრიტიკულია სახელმწიფოებრივი მდგრადობისთვის. შესაბამისად, საჭიროა ისეთი მეთოდური აპარატის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ანტივირუსული დაცვის მექანიზმების სრულყოფის მიმართულებების მეცნიერულ დასაბუთებას.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ამ კონტექსტში, უსაფრთხოების ეფექტურობის შეფასების მოდელების სიზუსტის ამაღლება, რომელიც ითვალისწინებს მავნე პროგრამების ზემოქმედების დინამიკასა და ანტივირუსული დაცვის მექანიზმების ურთიერთგავლენას, ცენტრალური ამოცანაა.

უსაფრთხოების სისტემების საიმედოობის თეორიული მიმოხილვა

კიბერსაფრთხეების მზარდი დინამიკა

კიბერშეტევების რაოდენობა გლობალურ და ეროვნულ დონეზე ყოველწლიურად მზარდ დინამიკას ინარჩუნებს. სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ კიბერშეტევების რაოდენობა 30%-ით არის მომატებული გლობალურად, ხოლო ყოველკვირეულად საშუალოდ 1,636 ორგანიზაცია ხდება კიბერშეტევის სამიზნე.[3]

მავნე პროგრამები (Malware) წარმოადგენს საერთო ტერმინს, რომელიც აერთიანებს ყველა პროგრამას, რომელიც შექმნილია არასანქცირებული ქმედებების შესასრულებლად, როგორიცაა კომპიუტერული სისტემების ან ქსელების გაუმართაობა ან განადგურება, პირადი მონაცემების მოპარვა ან სისტემის დაზიანება. მავნე პროგრამული უზრუნველყოფა სამ ძირითად მავნე ქმედებას ასრულებს: არასანქცირებული წვდომა მონაცემებზე, ინფორმაციის დამახინჯება და ინფორმაციაზე წვდომის დაბლოკვა, რაც საფრთხეს უქმნის CIA ტრიადას.

განსაკუთრებით სერიოზული გამოწვევაა გამოსასყიდი პროგრამებით (Ransomware) განხორციელებული შეტევები, რომელთა მსხვერპლიც ყოველი 14 წამში საშუალოდ ერთი კომპანია ხდება. კიბერშეტევების ძირითადი ტიპები მსოფლიო მასშტაბით ასე ნაწილდება:[4] (Verizon, 2024)

Ransomware - გამოსასყიდი პროგრამა	**68.42%**
Network breach - ქსელის გარღვევა	18.42%
Data exfiltration - მონაცემების უკანონო გატანა	3.95%
Loader - ჩამტვირთავი პროგრამა	3.29%
Data extortion - მონაცემებით გამოძალვა	2.63%

[3] N.Kumar, 83 Cybersecurity Statistics 2025 (Worldwide Data & Trends). (2025, 07 25). Retrieved from demandsage.com: https://surl.li/rkjvin, (Accessed 08.12.25)
[4] Verizon. Data Breach Investigations Report. (2024). https://surl.li/oaobct, (Accessed 08.12.25)

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Web shell - ვებ-შელი	2.63%
Coinminer - კრიპტოვალუტის მაინერი	0.66%

ცხრილი1 მსოფლიო მასშტაბით გამოვლენილი კიბერშეტევების ტიპები

მავნე პროგრამების გავრცელების არხები მრავალფეროვანია (USB, დისკები, მეილები, მავნე საიტები). კლასიფიკაცია მოიცავს:

- **კომპიუტერული ჭიები (Worms):** ვრცელდებიან ქსელის საშუალებით ოპერაციული სისტემების მოწყვლადობების გამოყენებით, შეუძლიათ თვითგამრავლება და გავრცელება ადამიანის ჩარევის გარეშე.
- **ტროიანები (Trojans):** შენიღბულნი არიან როგორც უსაფრთხო ფაილები, იძლევიან დისტანციური კონტროლის საშუალებას.
- **რუტკიტები (Rootkits):** შექმნილია ფარული დისტანციური წვდომის მოსაპოვებლად, მათი აღმოჩენა რთულია.
- **შანტაჟის/გამომძალველი პროგრამები (Ransomware):** ჩუმად შიფრავენ მონაცემებს და ითხოვენ გამოსასყიდს.[5]

სამხედრო სისტემებში განსაკუთრებული საფრთხის მატარებელია ისეთი ვირუსული ტექნოლოგიები, როგორიცაა „მომსახურებაზე უარის" ტიპის შეტევები (DoS/DDoS), ტრაფიკის ანალიზატორები (Sniffer), კაცი შუაში (MITM), სეანსის გადამჭერი პროგრამები (HTTP) და ექსპლოიტები, რადგან მათ შეუძლიათ ოპერაციული პროცესების პარალიზება, რაც საბრძოლო მოქმედებების ან კრიტიკული ინფრასტრუქტურის მართვის შეფერხებას გამოიწვევს.[6]

დაცვის მექანიზმების შეფასების არსებული კონცეფციები

უსაფრთხოების სისტემების ეფექტურობის შეფასების მეთოდოლოგია ეფუძნება სამ ძირითად კონცეფციას,:

1. **სერტიფიცირებაზე დაფუძნებული კონცეფცია:** ეს მიდგომა აფასებს ანტივირუსული საშუალებების ეფექტურობას მათი სერტიფიკატის საფუძველზე. უსაფრთხოება ეფექტურად ითვლება, თუ დეკლარირებული ფუნქციონალური შე-

[5] H. S. Joshua Saxe, Malware Data Science: Attack Detection and Attribution. U.S: No Starch Press. (2018). Retrieved from https://archive.org: Malware Data Science: Attack detection and attribution
[6] C.Easttom, Network defense and countermeasures: Principles and practices. U.S: Pearson . (2021).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

საძლებლობები შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს და დაცულობის კლასებს (მაგალითად, I, II, III კლასი). თუ გაცხადებული ფუნქციიდან ერთი მაინც არ მუშაობს, მაშინ დაცვის საშუალება არაეფექტურად ითვლება.

დაცვის მექანიზმები	I კლასი (დაბალი დაცულობა)	II კლასი (საშუალო დაცულობა)	III კლასი (მაღალი დაცულობა)
წვდომის მართვის საშუალებები	ნაწილობრივ შეესაბამება	სრულად შეესაბამება	სრულად შეესაბამება
იდენტიფიკაცია, ავთენტიფიკაცია, კონტროლი	ნაწილობრივ შეესაბამება	სრულად შეესაბამება	სრულად შეესაბამება
ინფორმაციული ნაკადების მართვა	არ შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	სრულად შეესაბამება
რეგისტრაციისა და აღრიცხვის საშუალებები	არ შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	სრულად შეესაბამება
დეტალური რეგისტრაცია და აღრიცხვა	არ შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	სრულად შეესაბამება
ინფორმაციის მატარებლების აღრიცხვა	არ შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	სრულად შეესაბამება
მეხსიერების უბნების გასუფთავება	არ შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	სრულად შეესაბამება

ცხრილი 2. ინფორმაციის დაცვის მექანიზმების დეკლარირებული შესაძლებლობების შესაბამისობა ინფორმაციული სისტემების დაცულობის კლასებთან

2. **ინფორმაციული საფრთხეების აქტუალურობის შეფასება:** ეს კონცეფცია იყენებს ექსპერტულ შეფასებებს რისკის მართვისთვის, კრიტიკულად მნიშვნელოვან კომ-პონენტებში საფრთხეების მოწყვლადობისა და ზემოქმედების ალბათობის და-სადგენად. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს საფრთხის წყაროსა და სისტემის მოწ-ყვლადობას შორის კავშირის დადგენაში. ეს გამოიყენება ეროვნულ კიბერუსაფრ-თხოების სტრატეგიებში, სადაც კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტები გან-საკუთრებულ კონტროლს ექვემდებარებიან.
3. **მოვლენათა ალბათური მოდელირება:** ეს თანამედროვე მიდგომა მიზნად ისახავს ანტივირუსული დაცვის სისტემების რეაგირების პროცესის ანალიზს ვირუსული

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

თავდასხმის სცენარების დინამიკის ფარგლებში. თუმცა, არსებულ მოდელებში (როგორიცაა $P(\tau(p) \leq \tau(M))$) ხშირად მხედველობაში მიიღება მხოლოდ საფრთხეზე რეაგირების დრო ($\tau(p)$) და მისი არსებობის დრო ($\tau(M)$), მაგრამ უგულებელ-ყოფილია ისეთი კრიტიკული ფაქტორები, როგორიცაა საფრთხის წარმოშობის დრო და რეაგირების დაწყების მომენტი.

არსებული მეთოდების ნაკლოვანებები და სამხედრო სექტორის გამოწვევები

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ორი კონცეფცია მარტივად გამოიყენება, მათ გააჩნიათ დაბალი სიზუსტე, რადგან ეფუძნება ექსპერტების ემპირიულ შეფასე-ბებს. უფრო მეტიც, მათ არ გააჩნიათ ფორმალიზებული მოდელი, რომელიც დე-ტალურად აღწერს დამრღვევის ქმედებებს, ანუ არ არის გათვალისწინებული მავნე პროგრამების ზემოქმედების დინამიკა და რეაგირების პროცესების ფორმალი-ზებული წარმოდგენა.

სამხედრო დანიშნულების სისტემებისთვის, სადაც ინფორმაციული პროცე-სების უწყვეტობა და სენსიტიური მონაცემების დაცვა უმნიშვნელოვანესია, **დროუ-ლი რეაგირება** არის კრიტიკული საიმედოობის მაჩვენებელი. რადგანაც მყისიერი რეაგირება ნაკლებად სავარაუდოა, აუცილებელია მათემატიკური აპარატის შექმნა, რომელიც ზუსტად აღწერს ყველა შესაძლო დროით პარამეტრს (რეაგირების დრო, არსებობის დრო, წარმოშობის დრო, რეაგირების დაწყებამდე გასული დრო).

უსაფრთხოების საიმედოობის შეფასების მათემატიკური მოდელირება

კვლევის ძირითადი მეცნიერული მიზანი იყო ვირუსული შეტევებისგან დაცვის ეფექტურობის შეფასების პროცესში, მუქარებზე რეაგირების დროითი დინამიკის, მავნე კოდის მოქმედებისა და ანტივირუსული დაცვის მექანიზმების ურთიერთ-გავლენის ერთიანი მათემატიკური ფორმალიზაცია. ეს მიდგომა მიმართულია მოდელების სიზუსტის ამაღლებაზე, არასრული ან შეცდომებით მიღებული მონა-ცემების გავლენის შესაფასებლად.

კვლევა ეფუძნება სისტემურ ანალიზს, მათემატიკური მოდელირების მეთო-დოლოგიას, ალბათობის თეორიას და მათემატიკურ სტატისტიკას. შემუშავებული

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მეთოდოლოგია ითვალისწინებს გაურკვევლობის მრავალ წყაროს: არასრულ მონაცემებს, არაზუსტ პერიოდულ პარამეტრებს და ექსპერტული შეფასებების ცდომილებებს.

ვირუსული შეტევების მართლსაწინააღმდეგო ქმედებების მოდელები

იმის გათვალისწინებით, რომ დამრღვევის ქმედებებს გააჩნია მიზნობრივი მოტივაცია, მავნე პროგრამების გამოყენებით ინფორმაციის უსაფრთხოების დარღვევის შვიდი მოდელია შემუშავებული, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ინფორმაციის დაცულობის დარღვევის შესაძლებლობებით (კონფიდენციალურობა, მთლიანობა, ხელმისაწვდომობა),:

1. **პირველი ვარიანტი:** ვირუსული შეტევა კონფიდენციალური ინფორმაციის არასანქცირებული კოპირების მიზნით.

2. **მეორე ვარიანტი:** ვირუსული შეტევა ინფორმაციის მოდიფიკაციის ან განადგურების მიზნით.

3. **მესამე ვარიანტი:** ვირუსული შეტევა სსს-ის საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობის ბლოკირების მიზნით.

4. **მეოთხე ვარიანტი:** კოპირება და შემდგომი მოდიფიკაცია ან განადგურება.

5. **მეხუთე ვარიანტი:** კოპირება და ხელმისაწვდომობის შემდგომი ბლოკირება.

6. **მეექვსე ვარიანტი:** მოდიფიკაცია/განადგურება და ხელმისაწვდომობის შემდგომი ბლოკირება.

7. **მეშვიდე ვარიანტი (უდიდესი ზიანი):** კოპირება, შემდგომი მოდიფიკაცია/განადგურება და ხელმისაწვდომობის ბლოკირება.

თითოეული მოდელი დეტალურად აღწერს დამრღვევის ქმედებების თანმიმდევრობას (ანალიზი, დაძლევა, ცრუ სანდო ობიექტად მოქმედება, ინფორმაციის ანალიზი და დარღვევა) და შესაბამის პროცედურებს. (Rebstock, 2012)

ეფექტურობის ინდიკატორის ფორმალიზებული წარმოდგენა

სსს-ში ვირუსულ შეტევებზე რეაგირების ეფექტურობის მაჩვენებელი (*Epi*) ფორმალიზებულია, როგორც ანტივირუსული დაცვის მექანიზმების დროული აღმოჩენის, იდენტიფიცირების და ჩახშობის შესაძლებლობა.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ეს მაჩვენებელი წარმოდგენილია ალბათობითი ფორმით, რომელიც ითვალისწინებს რეაგირების დროით დინამიკას:

$Epi=P(\tau(d)(i)\leq\tau(ma)(i)-\tau(p)(i))$(2.26) სადაც:

- $\tau(d)(i)$ არის ვირუსული შეტევის აღმოჩენის დროის მათემატიკური მოლოდინი.
- $\tau(ma)(i)$ არის ვირუსული შეტევის რეალიზაციის (არსებობის) დროის მათემატიკური მოლოდინი.
- $\tau(p)(i)$ არის ვირუსულ შეტევაზე რეაგირების დროის მათემატიკური მოლოდინი,.

თეორიულად დამტკიცდა, რომ მოდელირებისას აუცილებელია ალტერნატიული მოვლენების ფორმალური წარმოდგენა, რომლებიც ურთიერთდამოკიდებულია მყისიერი რეაგირების მოვლენასთან. მხოლოდ რეაგირების დროისა და საფრთხის არსებობის დროის გათვალისწინება იწვევს რეაგირების დროული შესრულების ინდიკატორის გადაჭარბებულ შეფასებას. ამიტომ, სიზუსტის ამაღლების მახასიათებელი (ΔEi) განისაზღვრა, როგორც სხვაობა ეფექტურობის მაჩვენებლის მნიშვნელობას შორის, რომელიც ითვალისწინებს ყველა შესაძლო პარამეტრს, და იმ მნიშვნელობას შორის, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ ცალკეულ პარამეტრებს.

სიმულატორზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ შემუშავებული მათემატიკური მოდელები და ფორმალიზებული მიდგომები მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ სსს-ში ვირუსული შეტევების მუქარებზე რეაგირების სიზუსტესა და ეფექტიანობას.

მათემატიკური მოდელების სიზუსტის შეფასებამ აჩვენა, რომ ძველი, გამარტივებული მოდელები (რომლებიც არ ითვალისწინებდნენ შემთხვევით მოვლენებს) **დროული რეაგირების შეფასებას 32%–დან 58%–მდე ზრდიდა** (გადაჭარბებულად აფასებდა). ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ ახალი, კომპლექსური მოდელი, რომელიც ითვალისწინებს მუქარის წარმოქმნის, აღმოჩენის და რეაგირების დინამიკას, იძლევა საიმედო სურათს სისტემის რეალურ მდგომარეობაზე.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ინფორმაციის დარღვევის მოდელი	ეფექტურობის მაჩვენებლის მნიშვნელობები, მიღებული, დისერტაციაში შემუშავებული მოდელების მეშვეობით	ეფექტურობის მაჩვენებლის მნიშვნელობები, მიღებული (4.17) მოდელის მეშვე ობით	სიზუსტის მაჩვენებელი	მომატებული შეფასების პროცენტი
1	0,478	0,918	0,440	48
2	0,431	0,884	0,453	51
3	0,409	0,964	0,555	58
4	0,557	0,814	0,257	32
5	0,530	0,900	0,370	41
6	0,478	0,870	0,392	45
7	0,615	0,852	0,237	39

ცხრილი. 3 შემუშავებული მათემატიკური მოდელირების აპარატის სიზუსტის შეფასების შედეგები

მაგალითად, ინფორმაციის უსაფრთხოების დარღვევის 7-ე მოდელისთვის (უდიდესი ზიანის მომტანი), შემუშავებული მოდელის ეფექტურობის მაჩვენებელი იყო 0,615, მაშინ როცა გამარტივებული მოდელით მიღებული მნიშვნელობა 0,852 იყო. სიზუსტის მაჩვენებელი ამ შემთხვევაში 0,237-ს შეადგენდა.

დასკვნები და რეკომენდაციები სამხედრო უსაფრთხოებისათვის

უსაფრთხოების სისტემების საიმედოობა, განსაკუთრებით სამხედრო დანიშ-ნულების საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებში, პირდაპირპროპორციულია კიბერსაფრთხეებზე დროული და ზუსტი რეაგირების შესაძლებლობებთან.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის ფარგლებში განსაზღვრული კრიტიკულობის ანალიზმა გამოავლინა ის მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, რომელთა დროითი მახასია-თებლების შეცვლა (შემცირება) ყველაზე დიდ გავლენას ახდენს რეაგირების ეფექ-ტურობაზე. კრიტიკულ პროცედურებად, რომელთა მიმართაც ანტივირუსული

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

დაცვის ზომები უნდა სრულყოფილ იქნეს (კრიტიკულობის ზღვრული მნიშვნელობა β(n)≥0,75-ის ტოლობით), დასახელდა:

- **ვირუსული კოდის პოლიმორფული რესტრუქტურიზაცია:** ეს პროცედურა, რომელსაც მაღალი კრიტიკულობის კოეფიციენტი აქვს (მაგ. მოდელი 4-ისთვის 0,76; მოდელი 6-ისთვის 0,8), საჭიროებს გაუმჯობესებულ ჰევრისტიკულ ანალიზს, პროგრამული უზრუნველყოფის საქმიანობის მონიტორინგს და დასამუშავებელი ფაილების სტრუქტურის შეცვლას მონაცემთა ფორმატების გარდაქმნის გზით.
- **ვირუსული კოდის ასოციაცია პროგრამული უზრუნველყოფის კომპონენტთან:** ამ პროცედურის წინააღმდეგ საჭიროა სერტიფიცირებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება და გამოყენებული ფაილების შეცვლისგან დაცვა.
- **სანდო ობიექტის სტატუსის შეცვლა ყალბზე ARP სერვისის ნაკლოვანებების გამოყენებით:** ეს არის კრიტიკულობის მაღალი მაჩვენებლის მქონე პროცედურა (მაგ. მოდელი 7-ისთვის 0,78). მის გასანეიტრალებლად რეკომენდებულია ქსელთაშორისი ეკრანირება, ARP-შეკითხვების ანალიზი და სერვერების ARP-ცხრილების მდგომარეობის ანალიზი, ასევე ხელით რედაქტირების რეჟიმზე გადასვლა ავტომატური კორექციის აკრძალვისთვის.
- **სანდო ობიექტის სტატუსის შეცვლა ყალბზე დაშორებული ძიების ალგორითმების ნაკლოვანებების გამოყენების საფუძველზე:** ამასთან დაკავშირებით რეკომენდებულია მარშრუტიზაციის მდგომარეობის ანალიზი კომპიუტერულ ქსელში და ხელით რედაქტირების რეჟიმზე გადასვლა ავტომატიზირებული ადრესაციის გამორთვისთვის.

სამხედრო სექტორმა, რომელიც ხასიათდება მაღალი რისკებით და ინფორმაციული ომის პოტენციური საფრთხეებით, უნდა გამოიყენოს ეს მათემატიკურად დასაბუთებული მოთხოვნები ანტივირუსული დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებისა და თავდაცვის სტრატეგიების დახვეწის მიზნით.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ბიბლიოგრაფია

Anderson, R. *Security Engineering: A Guide to Building Dependable Distributed Systems.* U.S: Wiley. (2020).

Aycock, J. *Computer viruses and malware.* Canada: Springer. (2006).

Easttom, C.Network defense and countermeasures: Principles and practices. U.S: Pearson . (2021).

Joshua Saxe, H. S., Malware Data Science: Attack Detection and Attribution. U.S: No Starch Press. (2018). Retrieved from https://archive.org: Malware Data Science: Attack detection and attribution

khan, A. (2024, August 30). *Threat Spotlight: How ransomware for rent rules the threat landscape (posted in the subreddit r/BarracudaNetworks).* Retrieved from Reddit: https://surl.li/iydesd, (Accessed 08.12.25)

Kumar, N.83 Cybersecurity Statistics 2025 (Worldwide Data & Trends). (2025, 07 25). Retrieved from demandsage.com: https://surl.li/rkjvin, (Accessed 08.12.25)

Kumar, N. (2025, 07 25). *83 Cybersecurity Statistics 2025 (Worldwide Data & Trends).* Retrieved from demandsage.com: https://surl.li/ekufki, (Accessed 08.12.25)

Rebstock, P. (2012). *Cyber security assessment tools and methodologies for the evaluation of secure network design at nuclear power plants.* U.S: Sandia National Laboratories, New Mexico, USA.

Verizon. Data Breach Investigations Report. (2024). https://surl.li/oaobct, (Accessed 08.12.25)

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სპარსული სიტყვა „იადგარი" ქართულ ენაში

გურამ გუტიძე[1]
https://doi.org/10.61446/pa.3.2025.10335

აბსტრაქტი

სიტყვათა სესხება ენებში ჩვეულებრივი მოვლენაა და ეს ყველა ენას ახასიათებს, მათ შორის ქართულ ენასაც, სადაც მრავლად გვხვდება ნასესხები სიტყვები. ქართულ ენაში ადვილად დამკვიდრდა სპარსული ლექსიკის დიდი ნაწილი. სპარსული ენის ენობრივი ერთეულებიდან ერთერთი ასეთია სიტყვაა „იადგარი". ეს სიტყვა ქართულ ენაში ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლს წარმოადგენს. იგი აღნიშნავს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ლიტურგიკულ კრებულს.

ეს მოვლენა თავისთავაად აღსანიშნავი ფაქტია ქართული ენის ისტორიაში. აღნიშნული საკითხი იწვევს დაინტერესებას, როგორც ქართული და სპარსული ენის, ისე ქართული ლიტერატურის და მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების კვლევის მიმართულებით. ამ სტატიაში განვიხილვთ გზებს რომელთა მეშვეობითაც ეს ტერმინი დამკვიდრდა ქართულ ენაში და ვეძიებთ მიზეზებს, რამაც განაპირობა მისი დამკვიდრება.

საკვანძო სიტყვები: იადგარი, ავესტა, მაზდეანიზმი, ზოროასტრიზმი, ძველი ქართული მწერლობა, ღვთისმეტყველება, ირანი, ავესტის ენა, სიტყვათ სესხება, თრგმანი, ლიტერატურა.

The Persian word „Yadgari" in Georgian leguide

Guram Gutidze[2]

Abstract

Borrowing words is a normal phenomenon in languages. It characterizes all languages, including the Georgian language, in which there are many examples of loanwords. A large amount of Persian vocabulary has entered the Georgian language, which has been established very easily. Among the lexical units that have come from the Persian language, one of such words is the word "Yadgar". This word in the Georgian language is called a monument of ancient Georgian literature. This word refers to the centuries-old liturgical collection of the Georgian Church. This event turned out to be noteworthy in its own history. This event turned out to be noteworthy in its own history. In the direction of research into both the Georgian and Persian languages, as well as Georgian literature and Orthodox theology. In the article, we will review the ways in which this term entered the Georgian language and the reasons for its establishment.

Keywords: Yadgari, Avesta, Mazdeism, Zoroastrianism, Old Georgian literature, Theology, Iran, Avestan language, Borrowings words, Translation, Literature.

[1] აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აღმოსავლური ფილოლოგიის დოქტორანტი
[2] Doctoral student of Oriental Fhilology of Akaki Tsereteli State University

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

ადგარი ქართულ ენაში ერთადერთ რამეს აღნიშნავს და ამ სიტყვით სახელდებულია საეკლესიო ლიტურგიკული ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელიც კალენდარული სისტემითაა შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს საღვთისმეტყველო ლიტერატურული ძეგლი ისეთივე ძველია ქართულ ყოფიერებაში, როგორც თავად სიტყვა იადგარი, ამ სახის ლიტერატურა ჩვეულად, აქტიურად გამოიყენება ოცდაერთსაუკუნოვანი მართლმადიდებლური ეკლესიის სატაძრო ღვთისმსახურებაში.

"იადგარი" სულხან საბას „ლექსიკონი ქართულში" განმარტებულია როგორც - სახსოვარი. თუმცა, მიუთითებს, რომ „სხვათა ენაა".[3] სულხან-საბა აღნიშნული ტერმინით მოიხსნიებს არაქართული წარმომავლობის სიტყვებს, რომელთა წარმომავლობაც დაუზუსტებელია.

საუკუნეთა მანძილზე ქართულში უხვად შემოედინებოდა, როგორც ირანული ენებიდან წარმოშობილი, ისე ირანულის გზით შემოსული არაირანული სიტყვები, რომელთაც ქართული ენა ძალიან მარტივად ითვისებდა.

ირანულიდან შეთვისებული სიტყვები ქართულში სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხასიათისა არიან და მომდინარეობენ სხვადასხვა დიალექტური წრიდან. აქ შეიძლება შევხვდეთ სესხების ყველა სახეს, იქნება ეს ცოცხალი ენობრივი ურთიერთობის შედეგად შეთვისებული სიტყვები თუ ხელოვნური,წიგნური გზით შემოსული სიტყვები, ირანული გზით მომდინარე ე.წ ინტერნაციონალური სიტყვები თუ ირანული წარმოშობის სიტყვები,შემოსული სხვა ენათა მეშვეობით.[4]

იგივე სიტყვა იადგარი „შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიების მესამე ტომის სიტყვათა განმარტებაში მსგავსად აქვს განმარტებული წიგნის შემდგენელსა და რედაქტორს, დავით კობიძეს.[5]

"იადგარი" სპარსულ განმარტებით ლექსიკონებშიც ასევეა განმარტებული. მაგალითად, დეჰხოდას ლექსიკონის (لغتنامه دهخدا)* მიხედვით, აღნიშნავს ისეთ რამეს, რაც ვინმეს გახსენებს, ან ვინმეზე გაფიქრებს. ასევე მიუთითებს, რომ ასეთი რამ შეიძლება

[3] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული,ტომი I (თბილისი, მერანი. 1991). 319
[4]მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ ქართულიენობრივი ურთიერთობებიდან, ტომი I, (თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1966) 6
[5] კობიძე, შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები,(თბილისი,1974) 632.
* დეჰხოდას ონლაინ ლექსიკონის გამოსაყენებლად, https://abadis.ir/dehkhoda, (გადამოწმებულია 08.12.25)

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

იყოს სუვენირი ან საჩუქარი. ეს სიტყვა ხეზე ან ქვაზე ამოტვიფრულ წარწერადაც მოიხსენიება.

მსგავს განმარტებას ვაწყდებით მოინის ლექსიკონშიც (فرهنگ فارسی معین)* სუვენირთან და სახსოვართან დაკავშირებით. ხოლო, ანვარის ლექსიკონში (فرهنگ بزرگ سخن) მას „ძეგლის" მნიშვნელობა აქვს მინიჭებული.

სპარსული სიტყვა „იადგარი" (یادگار) _ სახსოვარი, ხსოვნიდან ნაწარმოები. ქართულ ენაში საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს იმ ფაქტის გამო, რომ სპარსული სიტყვა ასე აქტიურად დამკვიდრდა საეკლესიო ტერმინოლოგიაში მაშინ, როდესაც ქართულ სასულიერო მწერლობაში ბერძნული ტერმინოლოგია იყო გაბატონებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპარსული „იადგარი" სიტყვა-სიტყვით ქართულ თარგმანში აღნიშნავს ხსოვნას, მოგონებას, განხსენებას.

სიტყვა რომ დავშალოთ სემანტიკურად, მარტივად. სიტყვის ფუძე „იად" ნიშნავს გახსენებას ხოლო „გარ" მაწარმოებელია. ისევე, როგორც მაგალითად, სიტყვა ماندگار - „მანდეგარ" - შეუცვლელი, უცვლელი, მკვიდრი, მყარი, დამყარებული, რაც თავის მხრივ ნაწარმოებია სიტყვა „მანდან"-იდან (مانان). მაშასადამე სიტყვა „იადგარს" რომ დავუბრუნდეთ, ითარგმნება როგორც ის რაც გასახსენებელია. ამდენად სპარსულ ენაში იადგარი აღნიშნვს ხსოვნას, სახსოვარს.

ფონეტიკური ტრანსფორმაციისა და სემანტიკური სიახლოვის ფაქტორების გათვალისწინებით იოლია ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის ქართულში დამკვიდ-რების გზების ძიება,თუმცა სიტყვა იადგარი ქართულში არც ფონეტიკურ და არც სე-მანტიკურ ცვლილებას არ განიცდის. ფონეტკური ტრანსფორმაციების დაკვირვება, როგორც დაკვირვების ძირითადი ფაქტორი სიტყვის ქართულ ენაში შემოსვლის გზის დასადგენად, ამ შემთხვევაში შედეგს არ იძლევა. ასევე შედეგს არ იძლევა სემანტიკუ-რი ცვლილებების ძიება პირველად და მსესხებელ ენებში.

ძირითადი ნაწილი

* მოეინის სპარსული ლექსიკონი, https://abadis.ir/moeen, (გადამოწმებულია 08.12.25)

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

„სიტყვათა სესხება, როგორც ენის ლექსიკური შემადგენლობის შევსებისა და გამდიდრების ერთერთი ძირითადი წყარო, ენის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს".[8] ამდენად საინტერესოა, როგორ დამკვიდრდა აღნიშნული სიტყვა ქართულ ლექსიკაში ქართული საერო მწერლობის განვითარებამდე.

ქართულში ირანული ენებიდან სიტყვათა სესხება საინტერესო მოვლენაა, რამდენადაც ქართული და ირანული ენების სისტემა სრულიად სხვადასხვაა. თუმცა საუკუნეთა განმავლობაში ისეთი მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთან, რომ შედეგად არნახული ლიტერატურული სიახლოვე ჩამოყალიბდა და ეს ენები დადასტურებულია უძველესი წერილობითი ძეგლებით ორივე ერის კულტურის ისტორიაში, რაც თავის მხრივ საშუალებას იძლევა ვიკვლიოთ ნასესხები სიტყვები, როგორც პირველადი ისე მეორეული მნიშვნელობით და ვიკვლიოთ მათი ისტორიაც წერილობით ძეგლებში დამოწმებული მასალის საფუძველზე.

ქართულ ენაში დამკვიდრებული სიტყვა იადგარი აღმნიშვნელია თავდაპირველად ცნობილი „იერუსალიმური ლექციონარის" საეკლესიო წლიური ლიტურგიკული კრებულისა. საინტერესოა, როგორ მოხდა, რომ საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიაში ასე შემოიჭრა სპარსული სიტყვა, მაშინ როდესაც ბერძნული ენის იმპერატივიზმმა ლათინური აღნიშვნებიც კი განდევნა აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიიდან. ქართულ საეკლესიო ტერმინოლოგიაში ქართული სიტყვები ნაკლებად გამოიყენება და პირველწყაროსეული ბერძნული ენის ტერმინებითაა გადატვირთული. ასეთია, მაგალითად, იაკობ ცურტაველთან ხსენებული „ევანგელე" ახალი აღთქმის წიგნთა კანონის აღსანიშნად ხმარებული და წმინდა მოწამე შუშანიკის მიერ თან ქონებული: „თანა წარიტანა ევანგელე თვისი და წმიდანი წიგნნი იგი მოწამეთანი",[9] რომელსაც ქართული ენა იცნობს, როგორც „ოთხთავი" ან „სახარება". მსგავსია სიტყვა „კერეონი", რომელიც „აბო თბილელის წამებაში" სანთლის მნიშვნელობით არის ნახსენები[10]. ამგვარივეა, მაგალითად „პარაკლიტონი" და სხვა მრავალი კიდევ. ეს არცაა გასაკვირი მოვლენა, თუ ენის ძირეულ პრინციპებს არ უგულებელვყოფთ

[8]ანდრონიკაშვილი, მ. ნარკვევები ირანულ ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, ტომი I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1966.
[9] იაკობ ცურტაველი, წამებაი წმიდისა შუშანიკისა დედოფლისაი (თბილისი, 1979) 30
[10] ქართული მწერლობა, ტომი I (თილისი, „ნაკადული". 1987) 461

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

როგორც თარგმანების მხრივ, ისე სიტყვათა სესხების ასპექტით. მაგრამ ყურადღებას იქცევს ფაქტი, თუ რატომ მოხდა ისე, რომ „იადგარი" არჩიეს ქართველმა გადამწერებმა თუ მწერლებმა მის ბერძნულ შესატყვისებს, მაშინ, როდესაც დედანი ბერძნულ ენაზე იყო შესრულებული და იმ პერიოდში ყოველი ქრისტიანული რელიგიური სიტყვა თარგმნისას ბერძნულადვე გადმოჰქონდათ. ნაკლებად სავარუდოა, ისეთ გამონაკლისთან გვქონდეს საქმე, სადაც დედანი არაბულ ან სირიულ ენაზე იქნებოდა შესრულებული. ამის მინიშნებასაც კი არ იძლევა დღეისთვის არსებული არცერთი გამოკვლევა.

სავარაუდოდ, ეს გამოწვეულია იმით, რომ ბერძნული ენის ტერმინებისაგან განსხვავებით, რომელებიც მხოლოდ ახალი მოვლენის საგნის აღმნიშვნელად შემოდიოდა ხოლმე ენის ყოფიერებაში, „იადგარი" უკვე ენაში კარგად დამკვიდრებული სიტყვა იყო, რის გამოც იგი მყისიერად გამოიყენა მთრგმნელმა. როგორც ალბათ, გამოიყენებოდა სპარსული „სარდალი" და არა ბერძნული „მაგისტროსი", რადგან ეს სპარსული ტერმინი ჯერ კიდევ ქრისტიანობის გავრცელებამდე იყო დამკვიდრებული ქართულ ყოფაში.

აქვე საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ქართული თვისი თანხმოვანთა სისტემით ახერხებს, რომ თითქმის ზუსტად გადმოსცეს სპარსული ენის თნხმოვნები. როგორც სისინა ისე შიშინა თანხმოვნების შემთხვევში. ეს უპირატესობას ანიჭებს სპარსულ ენას, როგორც ბერძნული ისე ლათინური ენებისადმი, რადგან ბერძნული ენის ბგერათა სისტემა მკვეთრად განსხვავდება სპარსული ბგერებისაგან. ამდენად არაა გასაკვირი ქართულ ბგერათა სისტემასთან ახლოს მდგომი სპარსული ენიდან უფრო ესესხებინათ სიტყვები, ვიდრე ბერძნულიდან.

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც მითოლოგიურ თქმულებათა ასპექტში, ისე კულტურულ-იდეური ხაზით ირანულ-სპარსული გავლენა ხშირად ძლევდა ხოლმე ბერძნულ-ელინურ გავლენას ქართულში, რასაც მკვლევარი ასე აყალიბებს: „იბერიაში შემოსული რელიგიური კულტები - აქ იგულისხმება აქემენიანთა ეპოქის მაზდაიზმის ქართლში გავრცელებული ფორმა,[11] ასევე სავარაუდოდ პართულ ეპოქაში

[11]კონსტანტინე გამსახურდია, დისერტაცია,"ირანული დასემიტური კულტურული ნაკადები ადრექრისტიანულ იბერიაში და მათი მოგვიანო მწიგნობრული რეცეფცია"(თბილისი.2020), 24

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

გავრცელებული მითრას, ანაჰიტას და ვერეთრაგნას თაყვანისცემა - აქაურ ნიადაგზე ერთგვარ მუტაციას განიცდიდა. ეს პროცესი მეტნაკლები მსგავსებით მიმდინარეობდა ბერძნულ-ირანული კულტურული სამყაროს სხვა არეალებშიც. შემოსვლის მომენტში მათ გარკვეული მიზიდულობა გააჩნდათ, რომელიც უფრო ცენტრისკენული იყო ანუ მიმართული იმ მეტროპოლიებისკენ, საიდანაც ისინი მოვიდნენ. თუმცა მალევე თავი იჩინა ცენტრიდანულმა მოძრაობამაც - ბერძნულ კოინეს და ირანული მეტროპოლიის ენას დაუპირისპირდნენ ადგილობრივი, ბარბაროსული ენები, ელინური ხელოვნების ნორმებს აღმოსავლური გამომსახველობა და არაბესკული გემოვნება. რელიგიურ ცხოვრებაში თავი იჩინა გნოზისზე და აღმოსავლურ ეზოტერიზმზე ორიენტირებულმა მოძღვრებებმა, რომელთა სიმძიმის ცენტრიც როგორც წესი, აპოკალიპტიკასა და ესხატოლოგიაში იყო. ამის პარალელურად პოზიციებს იძლიერებდნენ ადგილობრივი „ეროვნულ ნიადგაზე აღმოცენებული კულტები. საყოველთაო კულტურული ორბიტა ამით გაფართოვდა, მაგრამ მაინც არ დარღვეულა. იბერიაში შედეგად მივიღეთ ძველი და ახალი, იმპორტირებული და ადგილობრივი კულტების რაღაცნაირი შერწყმა, ზედდების პრინციპით. თამაშის წესებს მაინც ადგილობრივი, ხალხში ფართოდ გავრცელებული კულტები ადგენდნენ, რომელთაც არ გააჩნდათ ჰომოგენური ხასიათი და მწყობრი სისტემა. მათგან ბევრი რამ უკვალოდ გაქრა, ხოლო რაც დარჩა, ეს არის საქართველოს მთიანეთში შემორჩენილი ფრაგმენტების და რელიქტების სახით არსებული გადმოცემები, რომელთაც პირობითად შეიძლება ეწოდოს ღვთისშვილთა კულტი" თუ კი ასეთი მძლავრია ირანულ-სპარსული გავლენა ყველა მიმართულებით, რა გასაკვირია იგივე გავლენა ენობრივ არეალშიც გამოევლინა?!

საყოველთაოდ ცნობილია, ირანული სიტყვების წარმოშობის,ეტიმოლოგიის და დათარიღებისათვის ერთერთი ყველაზე ეფექტური გზაა ქართული ლიტერატურის მეშვეობით კვლევაა, რადგან ერთერთი ყველაზე მჭიდრო კავშირი ქართულ ლიტერატურას ქონდა ირანულ ლიტერატურასთან და ეს მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურული ტრადიცია ეფექტურ შესაძლებლობებს იძლევა შედარებითი შესწავლისათვის.

მეოცე საუკუნის ქართულმა მეცნიერებამ დიდ ყურადღება დაუთმო ქართული იადგარის კვლევას ყველა ასპექტით, მაგრამ ამ ტერმინს შემოღების ზუსტი დრო მაინც უცნობია.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მიუხედავად მრავალი ვარაუდისა ,როგორც მეოცე საუკუნის მკვლევრები შენიშნავენ „ძნელია თქმა, თუ როდის უნდა შემოეღოთ ტერმინი იადგრი ქართული ჰიმნოგრაფიული კრებულის სახელწოდებად. მის სიძველეზე გარკვეულად მეტყველებს გიორგი მერჩულეს მეტად მნიშვნელოვანი ცნობა, რომლის მიხედვით იადგარად იწოდება გრიგოლ ხანცტელის ხელით გადაწერილი საგალობელთა კრებული. VIII – IX საუკუნეთა მიჯნაზე გადაწერილ ლხელნაწერს, რომელიც X საუკუნეში კვლავ ხანცთის მონასტერში ინახებოდა და თხრობის მიხედვით, თავისი თვალით უნახავს გიორგი მერჩულეს, საწელიწადო იდგარი რქმევია. უნდა ვიფიქროთ, რომ ის არ იყო პირველი იმ კრებულთა შორის, რომელთაც იადგარი ეწოდათ"[12]

ცნობილია „ძველი იადგარის" წარმოშობა. იგი თავდაპირველად ნაწილი იყო „იერუსალიმური ლექციონარის" სახელით ცნობილი ლიტურგიკული კრებულისა, რომელიც მთლიანობაში მოიცავდა იაკობ მოციქულის ჟამის წირვას, მრავალთავსა და ჰიმნოგრაფიულ მასალას[13]. მოგვიანებით, როდესაც მეცხრე-მეათე საუკუნეებში დიდი მთარგმნელობითი საქმიანობა წარმოებდა საქართველოში პალესტინური საღვთისმეტყველო სკოლიდან, რომელიც ძირითად მასაზრდოებელს წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიისთვის, იერუსალიმური ლექციონარის, იგივე „დიდი კანონის" თარგმნის საჭიროებაც დადგა. თუმცა, ამ დროისთვის ქართულ ეკლესიას უკვე მაღალი საღვთისმეტყველო ინტელექტუალური რესურსი გააჩნდა და თარგმნის პროცესში იერუსალიმური ლექციონარიდან მხოლოდ ჰიმნოგრაფიული ნაწილი ითარგმნა. სავარაუდოა, რომ მთრგმნელმა ქართულ ეკლესიაში გადმოსატანად და სამარადჟამოდ დასამკვიდრებლად მხოლოდ ეს ნაწილი მიიჩნია საჭიროდ. მაშასადამე იერუსალიმური „დიდი კანონიდან" სამახსოვრო და მარად მოსაგონარი მხოლოდ ჰიმნოგრაფიული წლიური საკითხავები იყო, ამიტომაც ლექციონარიდან გამოკრებილ ამ ნაწილს იმჟამად ქართულისათვის სრულიად შეთვისებული სიტყვა „იდგარი" უწოდა. რომელიც შემდგომ „ჭილეტრატის იადგარი"-ს სახელით დარჩა ქართულ მწერლობაში. თუმცა მკვლევრები იმ მოსაზრებასაც ატარებენ,რომ ეს მისი იმ შინაარსობრივი დატვირთის გამო მოხდა,რომელიც ზეპირად დამახსოვრებას გულისხმობს.

[12] უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანაკიევმა და ლ. ხევსურიანმა (თბილისი, „მეცნიერება". 1980) 693
[13] იქვე. უძველესი იადგარი, (თბილისი, „მეცნიერება".1980) 684

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

„ბერძნული ტროპოლოგიონის შესატყვისად ტერმინ იადგარის შემოღება ამგვარი კრებულის სხვა არსებით მხარეზე ჩანს დაფუძნებული, კერძოდ იმაზე, რომ გალობად გამიზნული რეპერტუარი დახსომებას, ზეპირად ცოდნას მოითხოვდა. სწორედ ეს მხარე გამოიკვეთა ქართული კრებულის სათაურში, რაც მას ახალი ფორმებით გავრცობის შემდეგაც შემორჩა".[14]

მას შემდეგ, რაც გრიგოლ ხანძთელმა ქართულ ენაზე დაწერა „ტიპიკონი" და გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელებმა ქართული ენის სიტყვაკაზმულობაში მოაქციეს მთელი ბერძნული ლიტერატურა, რაც კი საჭირო იყო ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოსათვის, ქართულმა ენამ მისი დიდი მოამაგეების ხელით, საკუთრი პოზიციების გამყარება დაიწყო. საგულისხმოა ისიც, რომ ექვთიმე მთაწმინდელი არა მარტო ბერძნულიდან თარგმნიდა ქართულად, არამედ ქართულიდან ბერძნულადაც. აღმოსავლურ საერო, მაგრამ ღრმა ფილოსოფიურ ლიტერატურასაც უთარგმნიდა ბერძნებს, როგორც ამის შესახებ აღნიშნულია ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიის სახელმძღვანელოში.[15] ქართულ მთარგმნელობით სკოლას და სიტყვათა სესხების პრაქტიკას, იმაზე დიდი წარმომადგენელი არავინ ჰყოლია, ვიდრე იყვნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები.

მას შემდეგ, რაც, დავით აღმაშენებლისა და თმარ მეფის ეპოქებში ქართულ ენაში ჭარბად დაიწყო შემოდინება სპარსულმა სიტყვებმა. სასულიერო ხასიათის ტექსტებშიც თავი იჩინა სპარსულმა თუ არაბულმა ლექსიკამ, რომელმაც ჩაანაცვლა ბერძნული სიტყვები და გარკვეულიწილად შეაფერხა მათი შემოდინება ენაში. ხოლო, აღმოსავლური სიტყვების სიჭარბე ქართულში აიხსნება, იმ დროინდელი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების და სამხედრო ძალების, საქართველოსა და ბიზანტიის, თუ ცივილური ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობებით. ცნობილია დავით აღმაშენებლის არნახული ღვაწლი ქართული ენის დაცვის საქმეში. დიდგორის ბრძოლამ არა მარტო ქართული სახელმწიფო, არამედ, ქართული ენაც გადაარჩინა.

„ჩვენი აზრით, რომ არა დავით აღმაშენებელი: საქართველო იქნებოდა თურქ-სელჩუკთა სამფლობელოში შემავალი ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც სალიტერატურო ენა იყო

[14] იქვე. (თბილისი, „მეცნიერება". 1980) 693
[15] კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია,ტომი I (თბილისი,საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემცემლობა. 1954) 184

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სპარსული და ყველა, ვისაც მწერლობისა და კულტურის ასპარეზზე დაწინაურება და სახელის მოხვეჭა სურდა, სპარსულად წერდა...[16]

ბუნებრივია, საქართველოშიც სალიტერატურო და კულტურის ენა იქნებოდა სპარსული. აქვე ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას: დავით მეფემ რამდენადაც გადაუკეტა გზა სპარსულ ენას საქართველოში, იმდენად გაუხსნა კარები ამ ენაზე შექმნილ უდიდეს ლიტერატურას, რამაც დიდ მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებში ჩართო ქართული მწერლობა, რამაც დიდად განაპირობა ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარება... ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ XVIII-XIX საუკუნებში არა ერთი და ორი გამაჰმადიანებული ქართველის მხატვრული ქმნილება ამშვენებს სპარსულენოვან მწერლობას.

ამგვარად, რომ არა დავით აღმაშენებელი, XII საუკუნის საქართველოში, და არა მხოლოდ XII საუკუნის, საერო მწერლობა იქნებოდა სპარსულენოვანი.[17]

იმჟამად, რეგიონში გაბატონებული იყო თურქ-სელჩუკთა კოალიციური სახელმწიფო, რომელიც უზარმაზარ ტერიტორიებს მოიცავდა კავკასიიდან აფრიკამდე და ინდოეთიდან ხმელთაშუა ზღვამდე და მთელს ამ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის სტატუსითა და მნიშვნელობით განფენილილი იყო სპარსული ენა. ყოველი დაპყრობილი ქვეყანა თავის ოფიციალურ ენად სპარსულს ღებულობდა. ეს ელოდა საქართველოსაც, თუ კი, დიდგორის ბრძოლა სელჩუკთა გამარჯვებით დასრულდებოდა. ხოლო, დიდგორის გამარჯვებით უამრავმა სხვა ქვეყანამ გაითავისუფლა თავი სელჩუკთა უღლისაგან.

სიტყვა იადგარი რომ ამ პერიოდის საქართველოში დამკვიდრებულიყო, მაშინ უფრო იოლი გასაგები იქნებოდა სიტყვის უცვლელად დამკვიდრება. ასეთ შემთხვევაში, მას საერო მწერლობისა და პოლიტიკურ-სოციალური პროცესების შედეგად შემოდინებულად და დამკვიდრებულად ჩავთვლიდით. ენა, როგორც სოციალური მოვლენა კულტურული თუ პოლიტიკური კავშირებისას, იცვლება. სხვადასხვა მოცემულობაში, ენის, როგორც დამოუკიდებელი სუბსტანციის მოქმედების სიჯანსაღეშია განსხვავება.

[16]ნომადი ბართაია, დავით აღმაშენებლის ერთი დამსახურების შესახებ ქართელი ერის წინაშე (თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი". 2017) 21
[17]იქვე. ნომადი ბართაია, (თბილისი,გამომცემლობა „უნივერსალი". 2017) 21

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიტყვა იადგარი ყველა სხვა ენაზე ითარგმნება, როგორც ხსოვნა, სახსოვარი, მოგონება, ან რაიმე ექვივალენტით ამ სიტყვათა შინაარსისა, რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ ქართულ ენაში მას სპეციფიური და უნივერსალური მნიშვნელობა არ გააჩნდა. რამე ისეთი, რაც გვაფიქრებინებდა, რომ სიტყვა ქართულ ენაში იმთავითვე არსებითი სახელის ფორმით შემოვიდა და დამკვიდრდა, ან ფორმაცვალების საშუალებით.

ის ფაქტი, რომ იგი მეცხრე-მეათე საუკუნეების ძეგლის სახელწოდებად გვხვდება გვაფიქრებინებს, რომ სიტყვა ჯერ კიდევ ქრისტეანობამდელ პერიოდში, ან ქრისტეანობის გავრცელების პირველ ხანებში ქართულ სამეფოებში გაბატონებული მაზდეანური ირანის სახელმწიფოებრივი დომინირების პირობებში უნდა იყოს შემოსული. (აქვე უნდა შევნიშნოთ „იადგარის" სათაურით არსებული საშუალო სპარსულით დაწერილი პოემები „ზარერის იადგარი" და „ჯამასპის იადგარი" რომლებიც საშუალო სპარული ლიტერატირის ერთერთი განსაკუთრებული თვალსაჩინოებებია. ამ ორი პოემის შემთხვევაშიც სათაურში არსებული სიტყვა „იადგარი" სახსოვარის მნიშვნელობითაა გამოყენებული და იგი სწორედ, რომ ავესტისა და ცეცხლთაყვანისმცემლობის პერიოდშია დაწერილი)* ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, სანამ ქრისტიანობა ძირეულად შეცვლიდა საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას, მანამდე სპარსეთის გავლენით ცეცხლთაყვანისმცემლობა იყო გავრცელებული. „საზოგადოდ ქრისტიანობამ ძირიანად შესცვალა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა: შემდეგ საუკუნეებში ბევრჯერ ყოფილა საქართველოს თავგადასავალი ამ ახალ სარწმუნოებაზე დამოკიდებული, რადგან ქრისტიანობაზე უწინ მთელ საქართველოში, მნათობთთაყვანისცემის შემდგომ, სპარსეთის მეზობლობისა და გავლენის წყალობით, ცეცხლთაყვანისმცემლობა გავრცელდა, ამიტომ მას უფრო მეტი მიდრეკილება ექნებოდა ერთმორწმუნე სპარსეთისადმი".[19] ყველაფერ ზემოთქმულთან ერთად ისიც საგულვებელია, რომ იადგრისეული

*ორივე ნაწარმოებზე ვრცელი გამოკვლევა გააჩნიათ ცნობილ მეცნიერებს,რომელნიც ძველი ირანული ლიტერატურის კვლევით იყვნენ დაკავებულნი. ასეთები არიან როგორც ირანელები ისე უცხოელი მეცნიერები,მაგალითად; ე.ბენვენისტი, ვ.ბ. ჰენინგი, ვ.გეიგერი, ა.თაფაზოლი, მ.ბოისი და სხვანი... ამ უკანასკნელის გამოკვლევათა მიხედვით კი „ენციკლოპედია ირანიკაში" მოცემული ინფორმაციაა შემუშავებული,რაც ყველაზე ცნობილცნობას წარმოადგენს ამ ნაწარმოებებზე და რის გამოც აქ აღარ შევუდექით დამატებით განხილვებს.

[19] ივანე ჯავახიშვილი,თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი I (თბილისი,1979) 273

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

საჰიმნო ლიტურგიული თაყვანისცემის წესი გააჩნდა ცეცხლთაყვანისცემის პრაქტიკას. მაგალითად, მაზდეანური პერიოდის „ავესტა", რომელიც ძველი ირანული კულტურის თვალსაჩინო ძეგლს წარმოადგენს, შედგება იმ გათებისაგან, რომელიც სწორედ, ცეცხლის თაყვანისცემის რიტუალებს აღწერს. რადგან მაზდეანური ირანის გავლენით, ჯერ კიდევ, ქრისტიანობამდე დამკვიდრდა ქართულში სიტყვა „ტაძარი", „ზვარაკი", „ცოდვილი", „ნეტარი", „ბარძიმი", „ბაგინი", „ჯვარი" და სხვა.

ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ლექსიკაში ჩვენ ვხვდებით ირანული წარმოშობის სიტყვებს ისეთი ძირითადი რელიგიური ცნებების გამოსახატავად, როგორიც არის მართალი, ცოდვილი, ცრუ, ნეტარი, წმინდა, ჯოჯოხეთი, ეშმა, ეშმაკი, ბარძიმი, ფეშხვენი, ზორვა, ზვარაკი, ტაძარი, კერპი, წარმართი, ბაგინი, ჯვარი და ბევრი სხვა.[20] აღნიშნული ლექსიკა შემდგომ ქრისტიანულმა კულტურამ შეითვისა და, სატაძრო მსახურების პრაქტიკულ ასპექტში ხშირად გამოიყენება.

დასკვნა

საგულვებელია, რომ სიტყვა იადგარიც, მსგავსად, მაზდეანური კულტურიდან დამკვიდრდა ქართულ მეტყველებაში და შემდეგ ნებსით თუ უნებლიეთ იგი გამოიყენა მისი შინაარსობრივი დატვირთვით თარგმნელმა ახალი რელიგიის იდენტური ლიტერატურული ძეგლის სახელწოდებად. მსგავს მოსაზრებას არაერთი მეცნიერი იზიარებს. ''ეს სიტყვა ქართულში საშუალო სპრსულის გზით არის შემოსული. იგი დადასტურებულია მანიქეველურ ძეგლებში „ხსოვნის", „სახსოვრის", „მოგონების" მნიშვნელობით". ნ. მარის აზრით, რომელიც კ.ზალემანის სტატიაშია მოყვანილი, იადგარი იმავე მნიშვნეობით ქართულშიც გვხვდება, ხოლო როგორც ძველი ქართული საეკლესიო ტერმინი, აღნიშნავს წმინდა მოსახსენებელს, საგალობლეთ კრებულს. ნ. მარის დაკვირვებით ჯერ იგი, როგორც ჩანს, ამა თუ იმ წმინდანის ყოველ ცალკეულ ჰიმნს აღნიშნავდა, ხოლო შემდეგ ამგვარი საგალობლების შემცველ კრებულს. ნ. მარს უთუოდ მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ ზოგიერთი ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში იადგარი მრავლობითის ფორმთ დასტურდება: „საგალობელნი იადგარნი", „იადგარანი დაჩხრეკილანი". კ. ზალემანი ფიქრობს, რომ თვით

[20]იქვე. მზია ანდრონიკაშვილი, (თბილისი,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.1966) 34

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მანიქეველურ ძეგლებშიც „იადგარი" საგალობელთა აღსანიშნავად უნდა იყოს ნახმარი".[21]

ცნობილია, რომ ცეცხლთაყვანისმცემლები თავიანთი ლიტურგიული მსახურებისას ვედებს იყენებდნენ. შესაძლოა, მაზდეანური კულტურის ცოდნის გავლენით, ახალი და უფრო აღმატებული რელიგიის ძეგლის თარგმნისას ავტორმა საჰიმნო სისტემის მსგავსების გამო დაუკავშირა ძველ რელიგიას ახალი ძეგლი და მას ძველისეული სახელი უწოდა. მაგრამ აქ საგულისხმოა ის, რომ იადგარი, როგორც ზემოთ ითქვა, ხშირად მრავლობითის ფორმით გვხვდება. ამას ემატება ისიც, რომ მკვლევები გრიგოლ ხანცთელის მოღვაწეობის ცნობებზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ მისი მოღვაწეობისას უკვე საქართველოში მრავალდ უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ავტორის მიერ შექმნილი იადგარი „VIII – IX საუკუნეთა მიჯნაზე გადაწერილ ლხელნაწერს, რომელიც X საუკუნეში კვლავ ხანცთის მონასტერში ინახებოდა და თხრობის მიხედვით, თავისი თვალით უნახავს გიორგი მერჩულეს, საწელიწადო იდგარი რქმევია. უნდა ვიფიქროთ, რომ ის არ იყო პირველი იმ კრებულთა შორის, რომელთაც იადგარი ეწოდათ" მაშასადამე,[22] საქართველოში მისი მრავლი ვერსია არსებობდა და ამდენად, საეჭვოა, რომ რომელიმე ცალკეული ანონიმი ავტორის ინდივიდუალობის გამოვლინება იყოს, რადგან, ამ სახელწოდების ძეგლებს უხვი საერთო მახასიათებლები აქვთ.

სიტყვათა სესხების პრაქტიკა და ფორმა, როგორც ქართულში, ისე სხვა ენებში, ზემოთ თქმულ პირველ ვერსიაზე უფრო მიგვითითებს. თუმცა, აქ მეტი საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, სიტყვა ძველი ან საშუალო სპარსულიდან უნდა იყოს დამკვიდრებული ქართულ ენაში სწორედ, მაზდეანურ პერიოდში. ხოლო, მისი შინაარსის გამო იგი ანონიმმა ავტორმა იერუსალიმური ლექციონარის ქართული ეკლესიისათვის განსაკუთრებით სახსოვარ იმ ნაწილს უწოდა, რომლის ყოველდღიური ხსენებაც მართებდა მთელი წლის განმავლობაში იმ საზოგადოებას, ვისთვისაც იგი იყო განკუთვნილი. ამგვარად გახდა იგი „აღდგომის" საგალობელთა კრებული, რომელიც, სავარაუდოდ, საქართველოში აქტიურად გამოიყენებოდა „იადგარის" სახელით მანამ,

[21] იქვე. (თბილისი, „მეცნიერება". 1980) 691-692
[22] იქვე. 693 გვ.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სანამ, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია რუსეთის ეკლესიის საეგზარქოსოდ გამოცხადდებოდა. ეს საკითხი კი, ცალკე კვლევას საჭიროებს.

ბიბლიოგრაფია

ანდრონიკაშვილი, მ. , ნარკვევები ირანულ ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, ტომი I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1966.

ანდრონიკაშვილი, მ. , ნარკვევები ირანულ ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, ტომი II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1996.

ბართაია, ნ., დავით აღმაშენებლის ერთი დამსახურების შესახებ ქართელი ერის წინაშე, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2017.

გამსახურდია, კ., დისერტაცია, თბილისი,2020.

კეკელიძე, კ., ქართული ლიტერატურის ისტორია,ტ. I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1954.

კობიძე, დ., შაჰნამეს ქართული ვერსიები, თბილისი, 1974.

სულხან საბა ობელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი, 1991.

ცურტაველი, ი., წამებაი წმიდისა შუშანიკისა დედოფლისაი, თბილისი, 1979.

ჯავახიშვილი, ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი I, თბილისი,1979.

თეორიული ენათმეცნიერების კურსი,თბილისი,2008.

უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანაკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბილისი, „მეცნიერება", 1980.

ქართული მწერლობა, ტომი I, თილისი, „ნაკადული", 1987.

Персидско-руский словарь. Под редакцтей Ю.А. РУБИНЧИКА. Издательство „советская енциклопедия", Москва, 1970.

"فرهنگ بزرگ سخن" ,حسن ,انوری, https://surl.li/lcimem, فروشگاه/مجموعه-فرهنگ-سخن/فرهنگ-بزرگ-سخن-هشت-جلدی

لغت نامه بزرگ دهخدا https://abadis.ir/dehkhoda

فرهنگ فارسی معین.https://abadis.ir/moeen